

N10/2015

საქართველო  
1852



- ◆ მანანა ჩიტიშვილის ლექსები
- ◆ სიმონ ჯაფარიძის სატირული მოთხოვნა
- ◆ ამირან გომართელი: რეზო ჭეიშვილი —  
გამრუდებული ყოფის მხატვარი
- ◆ თამაზ ტყემალაძე: ნინო ჭავჭავაძის სიყვარულის ისტორია
- ◆ ახალი თარგმანები: მილან კუნდერა, ჯონ აპდაიკი,  
შერვუდ ანდერსონი



2015/10

ყოველთვიური ლიცეიაფერული –  
საჭირო განათლის ქურნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილები  
**ბალათერ არაბული**  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
ნანა ყანდაშვილი  
გრაფიკული ილუსტრაციები  
მარიამ გოგილიძისა

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე  
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი  
ნაირა ბეპიევი  
ლევან ბრეგაძე  
დავით თელორაძე  
ზვიად კვარაცხელია  
ესმა კოკოსკერია  
გიორგი ლობუანიძე  
ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ნინო სადლობელაშვილი  
თამაზ ტყემალაძე  
თემურ ჭკუასელი  
ბესიკ ხარანაული

---

გარეკანზე –  
გურია კვარაცხელიას  
ნამუშევრების ილუსტრაციები.

---

ქურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსური მსარბაჭირით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>




# სარჩევი

|                              |           |                                   |            |
|------------------------------|-----------|-----------------------------------|------------|
| <b>მონიცავი</b>              |           | <b>ზურაბ ოდილავაძე</b>            | <b>78</b>  |
| <b>ვახუშტი კოტეტიშვილი</b>   | <b>3</b>  | <b>მარხვის დროს საკითხავი</b>     |            |
| <b>კულტურა თუ</b>            |           | <b>ესე</b>                        |            |
| <b>ცივილიზაცია?</b>          |           |                                   |            |
| <b>პოეზია</b>                |           | <b>უცხოობაში ჩანაწერაბი</b>       |            |
| <b>მანანა ჩიტიშვილი</b>      | <b>6</b>  | <b>მაკა კვერენჩილაძე-</b>         |            |
| <b>ლექსები</b>               |           | <b>კარტაიზერი</b>                 | <b>81</b>  |
|                              |           | <b>უკენდი ფლორიდაში –</b>         |            |
|                              |           | <b>სულის ზეიმი</b>                |            |
| <b>პოეზია</b>                |           |                                   |            |
| <b>ლალი ბრეგვაძე-კახიანი</b> | <b>18</b> | <b>ახალი თარგმანები</b>           |            |
| დილა მშვიდობისა,             |           | <b>მილან კუნდერა</b>              |            |
| ბატონო ნოე.                  |           | <b>აუჩქარებლობა</b>               | <b>88</b>  |
| მოთხოვბა                     |           | <b>თარგმნა</b>                    |            |
| <b>ციცი გურიელი</b>          | <b>25</b> | <b>ნანა გასვიანმა</b>             |            |
| ცაში ასასვლელი ბილიკი.       |           |                                   |            |
| ნოველა                       |           | <b>შერვუდ ანდერსონი</b>           | <b>119</b> |
| <b>პოეზია</b>                |           | თავგადასავალი                     |            |
| <b>ელგუჯა მარლია</b>         | <b>29</b> | <b>ჯონ აპდაკი</b>                 | <b>124</b> |
| რობაიები                     |           | ფოთლები                           |            |
|                              |           | თარგმანები                        |            |
|                              |           | <b>ქეთევან თუხარელისა</b>         |            |
| <b>პოეზია</b>                |           |                                   |            |
| <b>სიმონ ჯაფარიძე</b>        | <b>36</b> | <b>არტოვევი</b>                   |            |
| ცოცხალ-მკვდარი               |           | <b>მარიკა კახაძე</b>              |            |
| ქელებსაშვილი.                |           | გურია კვარაცხელიას                |            |
| მოთხოვბა                     |           | „ათინათები“                       |            |
| <b>პოეზია • ესეისტია</b>     |           |                                   |            |
| <b>ამირან გომართელი</b>      | <b>55</b> | <b>ალინა ქადაგიშვილი</b>          | <b>130</b> |
| გამრუდებული ყოფის            |           | მე უნდა გავხდე ზმნა, ანუ          |            |
| მხატვარი                     |           | მოქმედება                         |            |
|                              |           | (საუბარი                          |            |
|                              |           | მანანა მენაბდესთან)               |            |
| <b>თამაზ ტყემალაძე</b>       | <b>62</b> | <b>ხელმოწერების გასაფორმებლად</b> |            |
| სიყვარული, რომელიც           |           | <b>დაგვიკავშირდით ტელეფონის</b>   |            |
| სიცოცხლეს აღემატა            |           | <b>ნომრებზე:</b>                  |            |
|                              |           | 591 20 25 40;                     |            |
|                              |           | 599 56 56 44;                     |            |
|                              |           | 591 30 75 09                      |            |

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# 3 ასეშტი კოტეპიშვილი



## კულტურა თუ ცივილიზაცია?!

ანტიკომუნისტური რევოლუციის ხანა ასე თუ ისე დასრულდა. დიდი ხნის ნანატრი ეროვნული თავისუფლების კონტურებიც თითქოს გამოჩნდა. მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არ არის. ახალ-ახალი პრობლემები სოკოებივით მრავლდებიან და ჩვენი საზოგადოება, თუკი ეს სახელი შეიძლება ეწოდოს ლუკმა პურის საშოვარზე ქუჩაში მოლასლასე ხალხს, გაოგნებული და დაბნეული შეცდერის თავისივე ქონების ახალ გადანაწილებას, რომელიც ჯუნგლის კანონების კოდექსით ხორციელდება უსწრაფესი ტემპით.

ხალხი დარწმუნდა, რომ ყოველგვარ რევოლუციას, როგორი ამაღლებული და კეთილშობილური ლობუნგებითაც უნდა ხდებოდეს იგი, სისხლის ლვრის, ყაჩაღობისა და საყოველთაო უბედურების მეტი, არაფერი მოაქვს საზოგადოებისთვის.

თავისუფლებაც, რომლისკენაც ასე ვისწრაფოდით, ის უცხო ხილი აღმოჩნდა, რომელიც არც კი ვიცით, იქმევა თუ ისმევა. ახლადა ვხვდებით, რომ თავისუფლების უდელი გაცილებით უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე მონობისა, რომელიც არხეინად გვქონდა მორგებული ქედზე და მის ტაბიკებსა და აპეურებს თითქმის ვეღარც კი ვგრძნობდით. მეხრის მიერ გადმოქვეული სახრეც მამობრივ ალერ-

სად ალიქმებოდა. ახლა კი უპატრონოდ დარჩენილებმა აღარ ვიცით, რა წყალს ვეცეთ, საით წავიდეთ. ან გვინდა კი საერთოდ სიარული?!

ერთ მუჭა ფხიანთა გარდა, ყველა ცუდ დღეშია. და მთავარი ის გახლავთ, რომ ის ფხიანებიც, რომელთაც თავი ქუდში ჰგონიათ, ვერ ხვდებიან თავიანთ შინაგან უბედურებას – იმ სულიერ ვაკუუმს, რომელმაც მთლიანად მოიცვა ყოველი ჩვენგანის არსება.

მარადიული ფასეულობები დაემხო. სულიერების ტაძარი დაცარიელდა. ხატ-სალოცავებისაკენ მიმავალ ბილიკებს შამბმა გადაუარა. არაფერს აღარა აქვს ფასი, თუკი ნავთისა და გაზის სუნი არ უდის, ან ოქროსავით თუ არა, სპილენძად ან თითბრად მაინც არა ბრჭყვიალებს.

მოხდა სპეციალობების სრული ან ნაწილობრივი დევალვაცია. ინჟინერი გაკალატოზდა, გახარატდა ან გაზეინკლდა, პროფესორი პარკეტს აგებს, დოცენტი – კაფელს, ხოლო აკადემიკოსს კი ხანდაზმული ასაკის გამო ესეც არ შეუძლია და ამიტომ ბაზარში გამოუტანია ის წიგნები, რომლებიც ახალ ცხოვრებაში უკვე ნამდვილად აღარ სჭირდება და რამდენიმე თეთრად ჰყიდის, იმიტომ რომ შავად აქვს საქმე.

ყველაზე შავ დღეში კი ჰუმანიტარები არიან. მათ არც ხელოსნობა უსწავლიათ არასოდეს და არც ვაჭრობა. მათი ფილო-ლოგობა თუ ისტორიკოსობა, არქეოლო-გობა თუ ფილოსოფოსობა ისეთი აბსურ-დია, რომ თვით აბსურდის თეატრშიც კი არ მოეძებნება ადგილი.

და აი, მივადექით მწერლის, და სა-ერთოდ, ხელოვანის ფუნქციას ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, რომელსაც ეძღვნება ჩვენი დღევანდელი შეკრება. პოლ გოგენის ერთ-ერთი ცნობილი ფერ-წერული ტილოს წარწერისა არ იყოს: „ვინ ვართ, სად ვიმყოფებით, საით მივ-დივართ?!” კითხვა დასმულია, მაგრამ პა-სუხი, მარკ ტვენის ტომ სოიერის დასაწყისისამებრ, არ არის.

საზოგადოებაში, სადაც ცარიელი რვეული უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე წიგნი, ხოლო სუფთა საწერი ქალალ-დების ერთი დასტის ფასი იმავე წონის პლატონის დიალოგების ლირებულებას სამჯერ აღემატება, მწერლობის რაიმე ფასეულობაზე ლაპარაკი ზედმეტია და ალბათ უხერხულიც.

როდესაც მწერალს, თუკი მის წიგნს სასწაულებრივ გამოცემა ეღირსა, პონორარის მაგივრად ტირაჟის უმცირეს ნა-ნილს აძლევს გამომცემლობა, ნაიღე და სადაც გინდა, იქ გაყიდეო, დამერწმუნეთ ამაზე მეტ „თავისუფლებას“ ალბათ ვერც ინატრებდა ვერცერთი შემოქმედ.

ხელოვანის დღევანდელი ყოფის მთელი ტრაგედია ის კი არ არის, მას რომ უჭირს მატერიალურად, არამედ ის, რომ იგი სულიერადაც გალატაკებულია, ვინაიდან ეჭვი ეპარება თავისი საქმის, პროფესიის, მოწოდების აუცილებლობაში. ხელოვანმა ფუნქცია დაკარგა. დღეს უკვე ვევლარავინ იტყვის: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა“.

და მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტრაგე-დია არ არის. ეს გლობალური პრობლემაა და ასე თუ ისე მთელ მსოფლიოს ეხება.

ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუ-ციის გამარჯვებისთანავე კაცობრიობა აღმოჩნდა დილემის წინაშე. მას უნდა გა-ეკეთებინა არჩევანი კულტურასა და ცი-ვილიზაციას შორის. და მან უყოყმანოდ ცივილიზაციას დაადღო ხელი, თუმც, შე-საძლოა, ისიც კულტურა ეგონა.

სინამდვილეში კი კულტურასა და ცი-ვილიზაციას შორის უფსკრულია. კულ-ტურა სულიერია, ცივილიზაცია – ხორ-ციელი. კულტურა, ბერდიაევის თქმისა არ იყოს, კულტიდან მოდის, მისი არსება რელიგიურია. ცივილიზაცია მიწიერია და ბიწიერი. მის განვითარებას სარგებლია-ნობა წარმართავს. კულტურა მარადიუ-ლია. მას დრო ვერაფერს აკლებს, პირი-ქით, იგი რაც უფრო ძველია, უფრო ფა-სეულია. კულტურა წარსულის რეალიზე-ბაა ანტიკი სამომავლოდ. ცივილიზაცია წარსულის უარყოფაა. იგი გუშინდელ მიღწევას დაუნანებლად მოისვრის სანაგ-ვე ყუთში ბავშვის გატეხილი სათამაშო-სავით. მისი მიზანი პროგრესია. კულტუ-რამ კი პროგრესი არ იცის. ორმოცდა-ოთხი საუკუნის წინ შექმნილი „გილგამე-შის“ ეპოსიც ისევე ფასეულია, როგორც დღეს დაწერილი დიდებული ნაწარმოები.

კულტურა წარსულის მემკვიდრეობით იკვებება. ცივილიზაცია კი წარსულის ნანგრევებზე ყვავის.

ცივილიზაციი ნუვორიშებისათვის კუ-ლტურაა. ამიტომაც არის, რომ ისინი ცი-ვილიზაციის ახალ-ახალი მიღწევებისათ-ვის ფულს არ იშურებენ, ვინაიდან მას მათვის კომფორტი მოაქვს. კულტურა კი რა? არც იქმევა, არც ისმევა და არც სხვა რამეში გამოიყენება. სულ სხვაა მო-ბილური ტელეფონი, რომელიც შეგიძლია ქუჩაშიც ამოიღო და გააბა საქმიანი საუ-ბარი. ხოლო მარკუს ავრელიუსის „ფიქ-რები“ ან ფრანსუა ვიიონის „დიდი ან-დერძი“ ხომ ამოვარდნილია ყოველდღი-ური მოთხოვნილებების ნუსხიდან. ანდა, საერთოდ, ვინ გამოწმებთ, ვის აინტერე-სებს, წაკითხული გაქვთ თუ არა. მათი



წაუკითხაობა თქვენს კეთილდღეობას ოდნავ დალსაც არ დაასვამს.

სამწუხაროდ ასე მსჯელობს დიდი უმრავლესობა.

ინავლება კულტურის დიდი სამისნოს საკულტო ცეცხლი. დიდნი ქურუმნი გარდავიდნენ. ჩვენ, მათი შორეული შეგირდები თბილ ნაცარსლა ვჩრეკთ და ჩვენში სასწაულებრივ შემორჩენილ სულს ვუბერავთ გაჩაღების იმედით. და გვნამს,

რომ ჩვენი გაროსინანტებული მერანი ერთ მშვენიერ დღეს გადაიგდებს ცივილიზაციის სახედრის კურტანს და პარნასისაკენ მიახედებს თავის ღირსეულ მხედარს.

მანამდე კი ჩვენ უნდა გვეყოს ძალა, რომ ანდერსენისეული მეფესავით გაშიშვლებულ საზოგადოებას კულტურულად ჩავჩურჩულოთ ყურში: „თქვენ შიშველი ბრძანდებით, სირ!“

**1999წ.**



## განანა ჩიტიშვილი

### ზამო, რა ავად იღინე

თმენის საწყაო ივსება,  
ჩაქრა ნათება იელის...  
რის მტერი, ერთურთს ისედაც  
მშვენივრად დავერიენით.

ბევრჯერ გვიწვიმა, გვითოვა,  
იცვალნენ დრონი, მეფენი...  
მტერი რად გვინდა, თვითონ ვართ  
ერთურთის სისხლის მხვრეპელნი.

ცრუ იმედებით გაგვართეს,  
ზღაპრის გვიქსოვდნენ ფაჩუჩებს,  
მამული – ზოგი წაგვართვეს,  
ზოგიც ჩვენ გავასაჩუქრეთ.

ბნელიდან ბნელში ვაბიჯებთ,  
ჟამო, რა ავად იღინე...  
თუ რამ გვებადა, წაგვგლიჯეს  
ან უცხოს მიგვაყიდინეს.

დრონი სიტყვებით მოლიეს,  
ტაშით დაგვაცვდა ნებები,  
ბავშვივით შეგვიყოლიეს  
ამაო დაპირებებით.

ვის ახსოეს სისხლი ქართული,  
უღვთოდ დაღვრილი შარაზე,  
კარი, საჩვენოდ აღთქმული,  
ათასგან ჩაგმან-ჩარაზეს.

თმენის საწყაო ივსება,  
ჩაქრა ნათება იელის...  
რის მტერი, ერთურთს ისედაც  
მშვენივრად დავერიენით.

## ჩემი 100 ლექსის გამოსვლის შემდეგ

ვპრუნდები ჩემი სოფლის წყაროსთან,  
ხომ ავათავე ჩემი აზარი...  
აქ არის ჩემი გულანშარო და  
აქ არის ჩემი მულდაზანზარი.

როგორ თანდათან მდორდება სისხლი,  
მთებს ჩამავალი მზის ადგას შუქი,  
მორჩია,  
პოეტის მანტიას ვიხსნი  
და, ვისაც უნდა, უფასოდ ვჩუქნი.

დროსთან სულ ომი მქონდა უფარო,  
ომ დღეთა ხსოვნა ვით განვიშორო...  
მე დალლილი ვარ უკვე, უფალო,  
და სხვათებრ  
მშვიდად მინდა ვიცხოვრო.

დავპრუნდი ჩემი სოფლის წყაროსთან,  
ხომ ავათავე ჩემი აზარი...  
აქ არის ჩემი გულანშარო და  
აქ არის ჩემი მულდაზანზარი.

## სველი ფოთოლი

დროს ყველაფერი მიაქვს ტივტივით,  
შენც წახველ და დღეს არც რაი მინებს  
და ჩემი მზერა დამფრთხალ ჩიტივით  
ასკდება შენი სარკმელის მინებს.

აღარ შემორჩი ყვავილი ატმებს,  
წაიღო ქარმა, მტვერში მიჩიხა,  
შენ უნაღვლელად, იოლად დამთმე,  
მე არც არასდროს არ დამითმიხარ.

სევდით გავყურებ მწვერვალს მოთოვილს,  
გულსაც ხომ მისებრ სითბო აკლია...  
და მზერა, როგორც სველი ფოთოლი,  
კვლავ შენი სარკმლის მინებს აჰკვრია.



არ გამიწყრება, ალბათ, გამჩენი,  
თუ ვიტყვი თრთოლით შეკრულ მუჭებით,  
რომ მეშინია მარტო დარჩენის  
და ასე მიტომ გებლაუჭები.

ვერა სიავეს ვერ ავერიდე,  
სულ სხვისთვის ქსოვდნენ ზღაპარ-არაკებს,  
არ ვიცი, ამ ლექსს შენ მაწერინებ  
თუ სიმარტოვე მალაპარაკებს.

## დედის ლოცვა

ხევებმა ნისლი ამოიცოხნეს,  
შენც ზეცამ გბანა ცვარით, ბალახო,  
განგებას შევთხოვ, ვიდრე ვიცოცხლებ,  
შენს თვალზე ცრემლი არ დამანახოს.

ყველა კოცონი ბოლოს მიქრება,  
ლერწამიც უნდა ჩალად აკონო...  
უფალო, ვიდრე დედა იქნება,  
შვილების კვნესა არ გააგონო.

## სადღეისო

ლექსის ამდენი მწერალი  
რა დროს უნახავს, რა ჟამს,  
ზოგი თავს გოგლას უტოლებს,  
ზოგიც – ლადოს ან ვაჟას.

ჯერ ვერ შეპბედეს ილიას,  
ჯერ ვერ შეპბედეს რუსთველს,  
ვინ სადღეისოს ვერ ჩარხავს,  
ვინ სახვალიოს უსტვენს.

დრომ უნდა ბრძანოს მართალი,  
თავის ქება თუ რად ღირს  
ვიცით და ნალდი ვინც არის,  
ლექსის იცნობა დამლით.

გვახსოვს, ვის ადრის რუსთველი  
თავის მაქებარ მწერალს,  
ოდითგან მოგვდგამს, ერთ არწივს  
ასი დაპკორტნის ძერა.

არც მეფის ხოტბა გიშველის  
და არც ვაზირთა ქება,  
დრო, უტყუარი მსაჯული,  
გაყოფს ნაჭუჭს და ლებანს.

თორემ წალეკეს ერთურთი  
ზაკვით, მტრობით და შურით,  
რაც უფრო სუსტობს კალამი,  
მით უფრო მაღლა სწყურის.

თითქოს დღეისდღეს ხედავდა,  
ბრძენს ძალუძს დროის ათვლა...  
თქვითო – იტყოდა რუსთველი –  
თქვითო, ოღონდაც ნათლად.

ლექსის ამდენი მწერალი  
რა დროს უნახავს, რა ჟამს,  
ზოგი თავს გოგლას უტოლებს,  
ზოგიც – ლადოს ან ვაჟას.

## თუ სიყვარულით გამომაღვიძებ

გიყურებ ასე მშვენიერს და  
უცხოდ სახიერს,  
როგორ უხდები ამ გაზაფხულს  
და ამ მზიანეთს,  
არას ვინაღვლებ,  
სიძულვილით თუ დამამსხვრიე,  
ოღონდაც მერე  
სიყვარულით გამამთლიანე.

ბოშა ქალივით  
ფოთლის ჭრელი კაბით მროკავი  
ჩამივლის ქარი  
და ცბიერად მითვლის ნაბიჯებს,  
არაფერს ვიტყვი,  
სიძულვილით თუკი მომკალი,  
ოღონდაც მერე  
სიყვარულით გამომაღვიძე.

## უშენოდ

არც ფიქრით ცად მიმყავდი,  
არც საჩემოდ მენები,  
თითქოს კი არ მიყვარდი,  
სიყვარულს მახსენებდი.

ღმერთო, რა მზე მოგორდა,  
არ მენახა აგეთი...  
გაზაფხული მოგქონდა  
უბითა და ბაგეთი.

ვერც შენი გზა დავქარგე  
თრიმლითა და ძახველით,  
მაგრამ როცა დაგკარგე,  
მაგრამ როცა წახვედი,

დავრჩი მიწა აყალო,  
მზეც კი ჩაქრა იელთან,  
უშენობით სამყარო  
უცებ დაცარიელდა.

სიო ღიმილს მაძალებს –  
ნაზი და თან დედური,  
მე შენ არას გაბრალებ,  
არც არაფერს გემდური.

გულზე მზედ რომ მეკონა,  
იმ სანთელს თვით ვიქრობდი,  
შენ როგორლა გეგონა,  
შენ როგორლა ფიქრობდი?!

## მარტი

ჯერ არც რა მწყერი მოგოგავს,  
არც დიღა ნათობს ციმციმით,  
ვაი, ეს მარტი როგორ მგავს  
ცრემლებითა და სიცილით.

თუმც არ ამშრალა გუბენი,  
გულში ღვივდება იმედი,  
ცაზე ჩანს რუხი ღრუბელი  
ფეხმძიმე მარტის წვიმებით.

რა ენძელა და რა ია,  
ნეტავ, მანახა მთესავი...  
ჩემი პრანჭია დაია  
ჭირვეულია ჩემსავით.

მინდორი ფუტკარს დაისევს,  
მთებს სწვდება სხივთა ხანძარი,  
ხან ასეა და ხან – ისე,  
ხან წვიმაა და ხან – დარი.

ჯერ არც რა მწყერი მოგოგავს,  
მოლზე დაყრილა მარჯანი,  
ვაი, ეს მარტი როგორ მგავს  
სიცილითა და ჯაჯლანით.

## ვყიდი მამულის სიყვარულს

სიზმრად რომ მაინც მანახა  
ნესტანის რიდე-ამბარჩა,  
ვყიდი მამულის სიყვარულს,  
მაგრამ მყიდველი არა ჩანს.

რა უამური დრო გვიდგას,  
ერთობის ამომბზარავი,  
ქსნის ერისთავთა სისხლს ვყიდი,  
თუმცა მყიდველი არ არი.

რამდენი მტერი გვესევა,  
როგორც კალია-სარანჩა,  
ხმლებს ვყიდი არაგველების,  
მყიდველი მაინც არა ჩანს.



ვყიდი „მერანს“ და „ბახტრიონს“,  
ჯავარ-სინაზეს თამარის,  
„დავითიანს“ და „განთიადს“ –  
მყიდველი ისევ არ არი.

არც შენი საზი მინდა და  
არც სხვისი ზურნა-ქამანჩა,  
ჩემი მამულის ჯავრს ვყიდი,  
თუმცა მყიდველი არა ჩანს.

თუ რამ მაქვს, გითმობთ, წაიღეთ,  
მე დავრჩე დარდის ამარი,  
ვყიდი მამულის სიყვარულს,  
მაგრამ მყიდველი არ არი.

## ლექსი-ბეჭთარი

ტანთ მუდამ ლექსის ბექთარი მეცვა,  
სხვა ოცნებების მეხვია რიდე,  
დაბადებისას ნოემბრის ზეცამ  
დამლოცა, მაგრამ დამწყევლა კიდეც.

როგორც არ უნდა სიცოცხლე მიქო,  
ვიცი, სიკვდილი ბევრჯერ მეძებდა,  
მე ჩემი ლექსის სუყველა სტრიქონს  
ვრითმავ ჩემივე სისხლის წვეთებთან.

ლექსო, სულ დარდის საბად მეხურე,  
თუმც შვების ცრემლიც ბევჯერ მაპურე,  
ვით ნამცეცებით ნაზამთრ ბეღურებს,  
მე ლექსით მშიერ სულებს ვაპურებ.

უნდა გაუძლო ქარ-წვიმას რამდენს,  
ხან ბედისწერა აღმა აბრუნო,  
ლექსები უნდა მალამოს ჰევდეს,  
რომ მტკივან სულებს მიესალბუნოს.

არც სამდურავი არასდროს მითქვამს,  
რომ ვერ მოვხელე მთვარის არილი  
და დალოცვილი ქართული სიტყვა  
მკერდზე მიღვივის ნალვერდალივით.

საღვთო მადლი აქვს სიტყვას და ბგერას,  
ელვა და მეხი მას ვერ დანაცრავს,  
ლექსებს კი არ ვწერ,  
სამოსელს ვკერავ,  
რომ შემცივნებულ სულებს ჩავაცვა.

ტანთ ბექთარივით სულ ლექსი მეცვა,  
სხვა ოცნებების მეხვიდა რიდე,  
დაბადებისას ნოემბრის ზეცამ  
დამლოცა, მაგრამ დამწყევლა კიდეც.

## პრ დამემდურო

### ჩემს ვაჟს ლაშა მარგიშვილს

მცირე სანს თქვენთან ყოფნა მაცალეთ,  
ვუცქირო, როგორ ბრწყინავს მარიხი,  
არ დამემდურო, შენ გენაცვალე,  
თუ მოხვედი და ალარ დაგიხვდი.

არ დაიმძიმო გული ფიქრით და  
არ მოგერიოს დარდის მორევი,  
ლამით გადმოვალ ჩემი წიგნიდან  
და მძინარს ჩუმად გეამბორები.

მინდა, მზის სხივად ცაზე გავება,  
ვიგრძნო სამყაროს ყველა შერხევა,  
„მიყვარხარ“ – როგორ მეცოტავება  
ეს სიტყვა, როცა შენ შეგეხება.

აქ ყოფნა ერთხანს კიდევ მაცალეთ,  
ვუცქირო, როგორ ბრწყინავს მარიხი,  
არ დამემდურო, შენ გენაცვალე,  
თუ მოხვედი და ალარ დაგიხვდი.

## ნეტავ, მანახა

ნეტავი,  
მართლად მთქმელი მანახა,  
ვის დაუბნელდა  
უწინ ცისკარი,



შენ,  
სამზეოზე ვინც ალარა ხარ,  
თუ – მე,  
შენს სიკვდილს რომ მოვესწარი.

ჯავრის ფრინველი  
ფრთას ვისთან კეცავს,  
სვლა გოლგოთაზე  
ვის ერგო ბიჯით?  
შენ, ვინც უჩემოდ  
ნახვედი ზეცას,  
თუ – მე,  
უშენოდ სიცოცხლემისჯილს.

## ამ დილას

დღე უნდა მივშალ-მოვშალო  
გულთან ბრძოლით და ომითა,  
ამ დილას, თეთრო შროშანო,  
შენთან ალერსი მომინდა.

მე შემნატროდა ყველა ხე,  
მსურდა, ლიმილად მედინა,  
გნახე,  
ნეტავ, არ მენახე,  
ნიავის მკლავზე გეძინა.

ცაში თრთის იფნის კენწერო,  
მე ჯავრის გუბეს ვეწები,  
არ გსურვარ?  
ჯვარი გეწეროს,  
ალარც მე შეგეხვეწები.

## მე განა ვინ ვარ

მთელი კვირაა გაბმულად ავდრობს,  
წვიმის წვეთებით დამძიმდნენ ხენი,  
მე განა ვინ ვარ, რომ სიტყვა გკადრო  
ან საყვედური შეგბედო წყენის.

გამოეცვალა ამ მინდვრებს ფერი.  
წვიმები განა უწინ არ იყო?  
ისეთი ვინ ვარ, ამაყი მზერით  
ჭკუა გასწავლო და დაგარიგო.

აქ ავთანდილი ერთ დროს მღეროდა,  
აქ ფიროსმანი გადნა ტილოზე...  
სიმაღლეს შენსას ვით შეჰვეროდა,  
იმ სასოებით ვერ მოგილოცე.

შემინდე, თუკი უამმა მიმგვანა, –  
შენთვის მახვილი ველარ ავლესე,  
ვით გეკადრება, თუკი იმგვარად  
ვერ გეფერე და ვერ გეალერსე.

მთელი კვირაა გაბმულად ავდრობს,  
წვიმის წვეთებით დამძიმდნენ ხენი,  
მე განა ვინ ვარ, რომ სიტყვა გვადრო  
ან საყვედური შეგბედო წყენის.

## დრო

სიტყვით შენ ამღვრევ წყალწმინდას,  
საქმით მე გავიწირები,  
სად ჰყავდა მამულს ამდენი  
მაოხრებელი გზირები.

ბრძოლის დროს ბუჩქში შემძვრალი  
მინას აკვდები ლავინით,  
შენ მტრობის ცეცხლი დააგზნე,  
შიგ კი მხოლოდ მე ჩავიწვი.

ან ზეცა რად არ წითლდება,  
მიწა არ დაიმეხება,  
როს ხელი, მძიმედ ცოდვილი,  
მამულის დროშას ეხება.

დროა სიყრუის, სიბრმავის,  
საქმეს არ გკითხავს არავინ,  
ერის სახელით საუბრობს  
მეძავიცა და მპარავიც.

ერო, რუსთველის პატრონო,  
დღეს უნიჭობის მიმხედო,  
ჯვარს უნდა ეცვა როდემდე,  
მიწავ, ღვთისმშობლის წილხვედრო.

სიტყვით შენ ამღვრევ წყალწმინდას,  
საქმით მე გავიწირები,  
სად ჰყავდა მამულს ამდენი  
მაოხრებელი გზირები.

## რა გითხრა, ჩემო მთა-ველო

ივსება ცოდვის კალათა,  
მკერდზე შემაწყდა ბროში,  
ის გიყვარს, ვინც გილალატა,  
ვინც გადაგცვალა გროშში.

ცარგვალზე უკვე იბინდა,  
მადლს გინონიან მისხლით,  
შენ ალარც ერთგული გინდა,  
არც შემწირველი სისხლის.

ალარ ყვავილობს ბალი და  
დრო მეც ნელ-ნელა მრიყავს,  
ვინც უფრო ძვირად გაგყიდა,  
ის უფრო მეტად გიყვარს.

ქარი დალლილა წანწალით,  
შუბლს ვერ მიგრილებს ქარი,  
მე რად გინდივარ – საწყალი,  
შენზე დარდისგან მკვდარი.

მთაში იქუხებს ირემი,  
მწყერი დატოვებს ბუდეს,  
მაინც შენ შეგეწირები,  
როგორც არ უნდა გძულდე.

ცოდვის ივსება კალათა,  
მკერდზე შემაწყდა ბროში,  
ის გიყვარს, ვინც გილალატა,  
ვინც გადაგცვალა გროშში.

## ზაფხულის მზეში

ნატყვიარივით დამაჩინდა წყენა,  
ნავედი,  
თუმცა სხვა გზა მერჩია...  
ზაფხულია და მზე მწიფე ვენახს  
შაშვის ბარტყივით შემოეჩვია.

წლებმა იმდენი დარდი მაწვიმეს,  
ჯერაც მომწვეთავს ცრემლი ისევე,  
რა დაუნდობელ ხელით გამწირე  
და მერე ერთხელ არ გამიხსენე.

არ დამცდენია სიტყვა უცები,  
ცაზე სისხლისფრად ყვაოდა მთვარე...  
და ჩაგმანული სიმწრით ტუჩები  
ჰგავდნენ დილეგის დაკეტილ კარებს.

დღეს, როგორც იქნა, გავტეხე ნავსი,  
გულმა ძველებურ ვეღარ იდინჯა,  
შხამი, რომელიც წვეთ-წვეთად მასვი,  
შენ ხომ ერთხელაც არ გაგისინჯავს.

ჯერაც მატყვია იმ დღეთა დამღა,  
ჯავრი შემორჩა თვალის ღიობებს,  
ვერ გაპატიო...  
ხომ არის რაღაც,  
რასაც ვერასდროს ვერ პატიობენ.

თრთოლით შევიბნევ საკინძის ღილებს,  
ეს მზე გულამდე ვეღარც კი ატანს,  
ზაფხულია და ალვების ჩრდილებს  
ქარი სიცხიან ასფალტზე ხატავს.



## ლაიტ ბიბლიუსი-ლიტერატურის

### დილა მშვიდობისა, გაფონო ნოე!

ყველაფერი დაიწყო იქიდან, როდესაც კერძო სასაფლაოს ახალგაზრდა მოხელემ რაღაც ქალალდი მისცა და უთხრა:

— აი, ამ თანხას გადაიხდით ბანჯში.

გამოართვა. ანგარიშის ნომერი იყო, რომელზეც უნდა ჩარიცხულიყო ფული, ლალიტამ დიდი ხნის მანძილზე რომ აგროვა. დახედა თუ არა ფურცელს, მიხვდა, თითქოსდა უწყინარი ოპერაციით მარტო მინას კი არ ყიდულობდა, არამედ ხელშეკრულებას დებდა სამუდამო სამყოფლის უცნობ გამრიგესთან, უსიტყვო, მტკიცე შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ვერ იტყოდი, რომ ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ლოტოსის ფოთლიდან გადმოვარდნილი უზარმაზარი წვეთია და ერთი უწყვეტი სევდიანი ამბავი თავისი დასაწყისითა და დასასრულით.

ის კი, სასაფლაოს მეპატრონე, სახელად ნოე, ჩუმად იჯდა ლამაზ საწერ მაგიდასთან ოთახის კუთხეში. ხელები ერთმანეთზე დაეწყო, თავი ისე აეწია, გეგონებოდა, მხედრული სალმისთვის გამზადებულიყო. დარბაისლური იერი ჰქონდა. თითქოს ყურებით კი არა, ცისფერი, ოდნავ შეშუპებული მშვიდი თვალებით ისმენდა ლალიტასა და მოხელის დიალოგს.

— დღესვე ჩავრიცხავ, — თქვა ლალიტამ.

— თქვენი ნებაა, — გულგრილად უპასუხა მოხელემ.

მისმა ნათქვამმა მჭახე სიმართლედ გადაუარა სასაფლაოს ნახევრად ბნელოფისს და ლალიტას გარკვევით აუხსნა, რომ აქ ის ადგილი არ გახლდათ, სადაც თანაგრძნობას უნდა ელოდო. აქაურობა ყოველგვარ რომანტიზმს მოკლებულ უიმედო ნავსაყუდლად ქცეულიყო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიცოცხლის სიხარულთა ლოგიკურ დასასრულად.

წამიერად ადამიანური სისუსტე ეწვია, მაგრამ თავი ხელში აიყვანა, უსიტყვოდ გამოეთხოვა ოფისში მყოფთ, სახის გაურკვეველი გრიმასის მოშველიებით.

არ იცოდა, სწორად მოიქცა თუ არა, მეუღლე რომ არ წამოიყვანა თან. ზაფხულის პაპანაქება დღეები იდგა და გაუფრთხილდა ნაოპერაციებს. ქალს საკუთარ თავზე აეღო უსიამოვნო მანიპულაციები.

ცოლ-ქმარს მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს, ყველაფრის თადარიგი წინასწარ დაეჭირათ, რათა არ ემტვრიათ თავი იმაზე, რაც ისედაც გარდაუვალია და დარჩენილი ცხოვრება მშვიდად გაეტარებინათ.

ფული რომ გადარიცხა და შინ ბრუნდებოდა, ცდილობდა, ამ ამბავზე არ ეფიქრა. როგორმე, შეძლებისამებრ, მსუ-

ბუქად უნდა შეეხედა, ვითომ განსაკუთრებული არც არაფერი ხდებოდა, მაგრამ ფიქრი მაინც თავისით მოდიოდა გარეუბნის ახალი სასაფლაოს შესახებ, ფაქტობრივად, მეზობელი სოფლის ძველი სასაფლაოს გაგრძელებად რომ მოიაზრებოდა. იგი კომერციული გახლდათ. ამიტომაც ადამიანის სიცოცხლეშივე იძლეოდა ადგილის შეძენის საშუალებას, რაც უმეტკვიდროდ დარჩენილთა კატეგორიისთვის პირდაპირ მისწრება იყო.

...მაგრამ ქვეცნობიერის მგრძნობიარე ნაწილს ფარული სევდა მაინც ეპარბოდა, უსუსური მძვინვარების მსგავსი, რის აღიარებასაც ჯიუტად გაურბისარ. ოლონდ კი გულამდე არ მიუშვა, ოლონდ კი მოიცილო... ლალიტა ცდილობდა, განწმენდილიყო შავი ენერგიისგან, იმ წამლეკავი ძალისგან, მეცნიერთა დასკვნებით, სამყაროს მთელი ენერგიის სამ მეოთხედს რომ შეადგენს. იგი გამჭოლ აღწევს სულსა და სხეულში, მყისიერად გაივლის, შემდეგ ფართოვდება და ასე მრავლდება.

მშვიდი ადამიანის როლის მორგება იოლი როდია, მეტადრე, როდესაც სულაც არ ხარ ასეთი. ლალიტა მუდამ მძაფრად განიცდიდა ყოველ წვრილმან მოვლენას. მაგალითად, დღემდე ყურებში ედგა ფორტებიანოს პედაგოგის ათეული წლების წინანდელი მკაცრი შეგონება: „იგრძენი! იგრძენი ბგერა!“

მან კი მაშინ, უმნიფარმა შეგირდმა, არ იცოდა, რა ელონა, როგორ ეგრძნობგერა.

დრო გავიდა. ახლა ლალიტა მწერალია. ამიტომ ცდილობს, გვერდიდან შეხედოს მოვლენებს, როგორც მოთხოვნის წერისას. ადგილად შეუძლია, მისივე შექმნილ პერსონაჟთან გააიგივოს თავი, მასზე გადაამისამართოს ქმედებები, გადასცეს საკუთარი განცდები, თანაც ბუნებრივად, ზედმეტი ძალდატანების გარეშე.

როცა ავტორი ხარ, ბევრი რამ ხელგენიფება. მენტალობისთვის არაფერია დაუძლეველი. წარმოსახვით სამყაროს,

საჭიროებისამებრ, შეუძლია მოვლენათა ნებისმიერი გადალაგება. მით უმეტეს, როდესაც თვით ავტორი ყიდულობს მინის ორადგილიან ნაგლეჯს გარეუბნის სასაფლაოზე დედაქალაქიდან მთიულეთისკენ მიმავალი გზის დასაწყისში მდებარე მაღალ გორაზე.

სასაფლაოს ქუჩის მხრიდან რკინის მესერი აკრავს. ჭიშკარში შეხვალ თუ არა, იქვე გეგებება ოთხადგილიანი საფლავი, ჯერ ისევ მშენებარე, მაგრამ ერთი თვალის შევლებითაც რომ შეამჩნევ, განსაკუთრებული ზრუნვისა და პატივის ობიექტი გამხდარა. იგი სასაფლაოს მებატრონეს – ბატონ ნოეს ეკუთვნის. საფლავს მაღალი თავი აქვს. შუაში მარმარილო ისეა გამზადებული, ჩანს, ადამიანის მთელი ტანით გამოსასახავად ჩაუფიქრებით. ამის შემდეგ კარგა დიდი ტერიტორია ცარიელია. ლალიტა მოგვიანებით გაიგებს, რომ ეს ტერიტორია შემონახულია საყდრისთვის, რომელიც უთუოდ გახდება აქაურობის მშვენება და გვირგვინი. ჯერ კი რაღაც სამეურნეო მონაკვეთის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქეთიქით მიმოდიან ბატები, ქათმები და, ასე გასინჯეთ, ინდაურიც.

შინაური ფრინველების ხილვამ პირველად გააოცა ლალიტა. სულ არ შეეფერებოდა აქაურობას. იქამდე ეხამუშებოდა, ვიდრე მათ რეალურ დანიშნულებას გაიგებდა. თურმე, ნუ იტყვი და, მომრავლებულ ქვენარმავლებთან ბრძოლის იარაღად იყენებდნენ.

ჰარერი აქ სუფთაზე სუფთაა, ავტომანქანების ბინძური გამონაბოლქვისგან თავისუფალი. არ ისმის სირენების ცოფიანი კივილი, აგონიაში მყოფი ქალაქის ოხვრა და ვიშვები. მარჯვენა მხარეს სოფლის ტყის ხასხასა საფარველი ჩანს, პირდაპირ, ძველად ნაშენი მრავალსართულიანი კორპუსების უსახური ხედების იქით – ქალაქის შორეული ფრაგმენტები. მარცხნივ, ერთმანეთის ახლოს, ჩავარდნილ ალაგას, კამკამებს ორი პატარა ბუნებრივი ტბა – კოლონების ბუდედ წოდებული. მართალია,

სასაფლაოზე ხეები იშვიათობაა, უფრო სწორად, არ არის (თუ სათვალავში არ მივიღებთ მოკრძალებით მდგარ თითო-ოროლა ძენნას). სამაგიეროდ, ზოგიერთ ჭირისუფალს უპოვია გამოსავალი – ხელოვნური საჩრდილობლები გაუმართავს მუქი ორგშუშის ფანჩატურთა სახით, თუმცა გარდაცვლილთათვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

აქ მინაც როდი ჰეგავს მინას, გამომნვარია, გამონაცრული, მაგრამ მიცვალებულთა მზრუნველი პატრონები ამ ხარვეზსაც ასწორებენ. მანქანებით ეზიდებიან სადღაც-სადღაც მოჭრილ მინის ვარგის ფენებს.

ხოლო ლალიტა ირგვლივ კი არა, უფრო საკუთარ თავში იცქირება, სადაც გონებით ხედავს ერთსა და იმავეს – ადამიანის ორ თვალს, ორ სხივმფენ საოცრებას. იესოს თვალებია იგი, რომელიც ეუბნება: „ნუ გეშინია!“ და ქალს მართლაც არ ეკარება შიში, ადვილად თოკავს არაფრის-მომცემ ემოციებს. ცივ გონებას მინდობილი თავისი სასურველი გმირის უდრევი ხასიათის თვისებებს იძენს. გულდასმით აგრძელებს ზარმაცი მუშის მიერ ნახევარ-გზაზე მიტოვებული საფლავის კედელთა საძირკვლის ამოსუფთავებას.

აცხუნებს მზე, რომელსაც არ ეპუება და საკუთარ პერსონაჟთან იდენტიფიცირებული, უცნაურ რეალობასა და წარმოსახვებს შორის მყოფი, ზოგადი შტრიხებით ცდილობს, ტრაგიზმში კომიკურობის მარცვალი შეიტანოს. აპა, შენიშნა, რომ მისკენ ჯობზე ცალი ხელით დაყრდნობილი ნოე მოემართება, აქაურობის ბატონ-პატრონი. ნელა, მაგრამ მაინც ენერგიულად მოიწევს ზომიერი ნაბიჯით. თავზე ფართულებაკეცილი ჭილის სომბრერო ახურავს. სწრაფად ფარავს ალბათ მრავალჯერ გავლილ მანძილს. მოდის დაუსიტყვოდ ჯდება მომიჯნავე საფლავის მუქი კურსების ქვით კოხტად მოპირკეთებულ დაბალ კედელზე. ზის ასე მდუმარედ, თვალს ადევნებს, თუ როგორ ცდილობს ქალი საძირკვლის ჩალრმავებას,

რათა ფუნდამენტი საიმედო გამოვიდეს.

ლალიტას სიბეჯითე მალე თვით დინჯნიერაც აკარგვინებს მოთმინებას. ამიტომაა, რომ ურჩევს თუ უბრძანებს: „კარგი, კარგი, ნუ წვალობთ, საკმარისია, არ უნდა მეტი!“

ლალიტა, რასაკვირველია, ყურად არ იღებს მის სიტყვებს.

– არაა საკმარისი, სიმალლე ყველგან ერთნაირი უნდა იყოს. მიფუჩეჩებულია. აი, ასეთია საჭირო, – ერთ ადგილს უთითებს ნიჩბით, – ამის მიხედვით უნდა გასწორდეს.

ნოეს ელომება. ნოეს რა ენალვლებაო, ფიქრობს ქალი. და თითქოს ამის პასუხად, მეპატრონე ისევ იმპერატიულად ამბობს:

– რა, სასახლეს ხომ არ აშენებთ!

მაშინ ლალიტა, რომელმაც მთელი ცხოვრება ისე გაიარა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით უმკლავდებოდა ყოველგვარ სიძნელეს – დამხმარესა და ქომაგის გარეშე, რაც იყო, სულ თავად იყო და არც ნანობდა ამის გამო, ჯიუტი დაჯერებულობით უხსნის:

– დიახ, სასახლეს ვაშენებ, ჩემო ბატონო!

კიდევ მეტი გატაცებით ეძლევა საქმეს. იფიქრებ, სიამოვნებასაც კი განიცდის მინის ჩიორკნითო. ასეთი იყო მისი ბუნება – რასაც ხელს მოჰკიდებდა, გულიანად აკეთებდა. ჰოდა, ახლა საკუთარი მარადიული სამყოფლის მოწესრიგებაში საქმისთვის ვითომ რად უნდა დაეკლო ცდა. ჯერ ერთი, ამის ვალდებულებას გრძნობდა და ესეც არ იყოს, თითქოს თავისებურად ცდილობდა სიკვდილთან მორიგებას, ზავს დებდა დაუძლეველთან, რაც ამავდროულად ნიშნავდა ფარულ პროტესტსაც, რომ არ ეპუებოდა მას, ვის წინაშეც ძრნოდა ბევრი გულგვამი ძლიერთა ამა ქვეყნისა. ფარული თამაში თუ ბრძოლა წამოეწყო მის ყოვლად გარდაუვალობის შეურყეველი კანონის წინააღმდეგ, რითაც ოდნავ იოლებდა მდგომარეობას,

ნუ გეშინიაო, ამხნევებდა ის საოცარი თვალები.

ამას ვერასოდეს ვერავინ გაიგებდა. მხოლოდ მეუღლეს გამოუტყდებოდა, ნამდვილ საიდუმლოს ჩვეულებრივ უამბობდა, როგორც ყოველთვის. მას, ერთადერთს, შეეძლო დაეჯერებინა ქალის ნაამბობი, წმინდაწყლის ჭეშმარიტებად მიეღო.

მუშაობს და თავისას ფიქრობს ლალიტა. ფიქრია მისთვის ნოეს დაუინებული მზერისგან გასაქცევი. იხსენებს გურამ რჩეულიშვილის მამის ნათქვამს ზედმეტად მოღაყებეთა მისამართით – სადაც გურამია, იქაა პანთეონიო. აი, ისმინონ ბრძენი მამის ბრძნული აზრი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის შვილის ფასი. დიახ, ასეა. სადაც ნამდვილი მწერალი განისვენებს, ისაა პანთეონი. აბა, ვინმემ გვითხრას უფრო ზუსტად, უფრო დამაჯერებლად. მამამ არ დაუშვა ლირსეულად დაღუპული ჭაბუკი შვილის – კარგი ბიჭისა და კარგი მწერლის ძვირფასი ძვლების აქეთ-იქით ტარება. მოკრძალებულ, სამოქალაქო სასაფლაოს დაუტოვა იგი ოჯახურ სამარხში, რადგან ღირსება თვითკმარია და შეუვალი, ჭეშმარიტი შემოქმედი კი უნიკალური ინდივიდი. იგი მარტო სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. ადამიანი არ უნდა იქცეს ტოტემად. ადამიანი ადამიანად უნდა დარჩეს.

ფიქრი აშინაურებს აქაურობასთან. უფრო ახლობელი ხდება ეს ცა, ეს მიწა, ცხელი, სულის შემხუთავი ნიავი, ქვის მთლელთა სამუშაო იარაღთა ზუზუნზრიალი.

– რამდენი წლისა ხართ? – უცებიკითხა ნოემ.

- სამოცდაათის, – უბასუხა ლალიტამ.
- მე უკვე ოთხმოცს გადავაბიჯე, – დამნაშავესავით თქვა ნოემ.
- არ გეტყობათ, – ქათინაური არ დაიშურა ქალმა, – ჩანს, სწორად იცხოვრეთ.
- ჰო, რა ვიცი...

ქალი ისევ საძირკვლის დათვალიერებას მოჰყვა. ისევ აწუხებდა უგულოდ

ნაჯიჯგნი უსწორმასწორო ფსკერი. სიღრმეს ცოტა კიდევ უნდა ამოღება, ჩაილაპარაკა ხმამალლა, უფრო კი ნოეს გასაგონად. ამ სამუშაოსთვის კარგად ჰქონდა გადახდილი, ამიტომ აცხადებდა პრეტენზიას, ხარისხს ითხოვდა. მერე ის იყო, წელში გასწორდა, დააპირა, კიდევ რაღაც დაემატებინა მოთხოვნისთვის, რომ ყურს ნოეს დამტკბარი ხმა მისწვდა:

- ახალგაზრდობაში ლამაზი იქნებოდით,
- თითქმის უადგილოდ თქვა კაცმა.

შეცბა, ცოტა არ იყოს. არ ელოდა ლალიტა საუბრის ასეთ მობრუნებას. შეხედა სასაფლაოს მეპატრონებს. მერე თვალები დახარა და არადროული თემის დასრულების მიზნით, მოკლედ მოუქრა:

- არა მიშავდა.

ისე კი, რაც მართალია, მართალია, ენის წევრზე მაინც მოადგა ანცი სიტყვები – ჩემს ქმარს ახლაც მოვნონვარო. მაგრამ არაფერი უთქვამს.

დიდ ისტორიულ დღეს შედგა ეს მინიერი უმნიშვნელო საუბარი – ზუსტად „2015 წლის 14 ივლისს, როდესაც “NASA”-ს მიერ ცხრა წლის წინათ გაშვებულმა პლანეტათამორისო სადგურმა “New Horizons”-მა, რომელსაც თან კლაიდ ტომბოს – პლუტონის აღმომჩენი ამერიკელი ასტრონომის ფერფლი მიჰქონდა, კოსმოსში დაფარა ხუთი მილიარდი კილომეტრი და ჯუჯა პლანეტად წოდებულ პლუტონს ჩაუქროლა მაქსიმალური სიახლოვით (12,5 ათასი კილომეტრის მანძილზე), გრინვიჩის მიხედვით 11.50 წუთზე, 14 კილომეტრი წამის სიჩქარით.

- დაჯექით, დაისვენეთ,
- თავის გვერდზე ხელით მიუთითა ქალს ნოემ,
- გააკეთებენ, ნუ განიცდით, როგორც თქვენ გსურთ, ისე გააკეთებენ.

ქალიც დაჲყვა მის რჩევას, შეეშვა საძირკველს, მივიდა და გვერდით მიუჯდა მეპატრონეს.

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ, თითქოს არაფერი ჰქონდათ სათქმელი. ორივე

ცალ-ცალკე ფიქრობდა თავისას, დიდი ალბათობით, ყოფნა-არყოფნაზე, რასაც სიტყვები არ სჭირდებოდა. მერე ნოე დაიწყო:

— მამაცი ქალი ხართ თქვენ. პატივის-ცემას იმსახურებთ.

ლალიტა გაოცდა, ვერ მიხვდა, რაში გამოიხატებოდა მისი სიმამაცე. ასეთად სულაც არ მიიჩნევდა თავს, ვერ წარმო-ედგინა, რითი შეძლო მსგავსი შთაბეჭ-დილების მოხდენა, მაგრამ ისევ დუმილი არჩია. იქნებ თავად ნოეს დაეკონკრეტე-ბინა, რა ჰქონდა მხედველობაში. ამიტომ თვალმოუცილებლად, მოთმინებით დაე-ლოდა, თუ კიდევ რას იტყოდა კაცი. მა-ნაც არ დააყოვნა:

— მიკვირს, როგორ გაბედეთ, რანაი-რად გადაწყვიტეთ ამის გაკეთება, — საფ-ლავზე ანიშნა.

გაელიმა ლალიტას, მოკლედ მიუგო, რაც გარდაუვალია, იმას ყველა უნდა დავმორჩილდეთო.

— მე კი დიდხანს ვყოყმანობდი. მე-უბნებოდნენ, ამხელა ტერიტორია გაქვს, შენთვისაც გაიკეთე რამეო. კარგა ხანს ვიფიქრე. უნდა გამოგიტყდეთ, მეშინოდა.

მ ე შ ი ნ ო დ ა ო. აბა, ამაზე გასა-გებად რისი თქმა შეიძლებოდა? მაგრამ გულწრფელობის ხარისხი მოსალოდნე-ლობის სიმძაფრეს ვერ ცვლის. ბევრჯერ მოისმენ — რაც მეტად მდიდარია ადამი-ანი, მით მეტად უჭირს სიკვდილთან შე-გუება.

არავინ იცის, ეს რამდენად შეესაბა-მება სიმართლეს, მაგრამ ბოლო ხანებში, ქვეყნის ტრივიალური ყოფის სიდუხჭი-რები ჩავარდნილთაგან ბევრისგან მო-ისმენ — ნეტა მოვკვდე, დავისვენებო. ავინყდებათ, რომ შეკვეთილი სიკვდი-ლი მკვლელთა პრეროგატივაა. საკუთარ სიკვდილს შენს ნებაზე ვერ მოიხმობ. იგი არსთა გამრიგეს ფუნქციაა, ამიტომ მასვე უნდა დაუტოვო. ცოცხალმა სი-ცოცხლეზე უნდა იფიქრო. სიცოცხლე არანაკლებ საშიშია და თუ საქმე შიშჩე მიდგა, იქნებ ჯობდეს, სიცოცხლეს ვუფ-

რთხილდეთ, დაუსრულებლად რომ გვიმ-ზადებს განსაცდელს.

ნოე კი ხუმრობის გუნებაზე დგება. ნოემ შიში გადალახა.

— ჩვენ აქ ერთად ვიცხოვრებთ. სამუ-დამო მეზობლები გავხდებით, — ამბობს იგი.

— ჰო, ოღონდ შორეული მეზობლები, მაგრამ ჩემი მოკრძალებული სამყოფ-ლიდან თქვენს მეფურ სამარხამდე მაინც მოგზაუდენთ ხმას. ყოველ ცისმარე, რო-ცა აქაურობას რიურაუი დახედავს, ხმა-მალლა დაგიძახებთ: დილა მშვიდობისა, ბატონო ნოე!

გულიანად იცინიან. სიცოცხლე ზეი-მობს. სიცოცხლეს ზეიმი უხდება.

— საყდარი, ბატონო ნოე... ერთი პა-ტარა საყდარი მართლა მონათლავდა ამ ადგილს.

— ვნახოთ, ვფიქრობ. მეც მინდა, თუ მოვასწარი...

— მაცხოვრის სახელობის. რა შესანიშ-ნავი იქნება! უკეთესს რას გააკეთებთ. ქვეწარმავლის ჭაჭანებაც მოისპობა. ბა-ტები აღარ იქნება საჭირო.

თავს აქნევს, ვნახოთ, ვნახოთო. ეტ-ყობა, უჩვეულოდ დელიკატურ თემაზე საუბარმა და, მით უმეტეს, ხუმრობამ რამდენადმე იმოქმედა მასზე. უსიტყვოდ გაუჯავრდა ამაოებას, როგორც ონავარ ბავშვს, რომელიც არ იცი, როგორ დასა-ჯო. გაწყრომას მხოლოდა ასე ახერხებ: შენ იცი, რას გეტყვი?! იცი?!

ნამოდგა. დაებჯინა განუყრელ ხელ-ჯოხს. ოფისისკენ დაუყვა გზას.

მერე და მერე უფრო გაირკვა, რომ ნოე მართლა კარგი მოსაუბრე გახლდათ. ჰყვებოდა ხან ამ მთისას, ხან იმ მთი-სას. აფხაზეთიდან დევნილი იყო, დედით აფხაზი, მამით მეგრელი. მოუსმენდი ამ ზრდილ, ცხოვრებისგან გამოჯერებულ ადა-მიანს და ხვდებოდი, მყარად იდგა მინაზე. ფულის ყალიბი იცოდა, თანაც იმდენად, რომ ძუნწის რეპუტაციაც შეეძინა, მაგ-



რამ, სადაც გინდა გადაგეგდო, ყველგან აღწუზე დადგებოდა. უფრო წარსულით ცხოვრობდა, რომელიც საინტერესოდ გაევლო. ანმყოს კი ამ სასაფლაოსთვის მიევჯაჭვა. დილიდან საღამომდე ფეხმო-უცვლელად იჯდა ოფისში. ემსახურებოდა საქმეს, მისი ბიზნესი რომ ერქვა. უმართლებდა კიდეც.

ლალიტას სურვილით, ნოე ყველა მოგონებას, რომლიდანაც უმეტესობა აფხაზეთის ომის შემდგომ მისი მოსკოვში ცხოვრების დროინდელია, უყვება პერსონაჟს, ვისთვისაც ავტორს სახელის დარქმევა დავიწყებია ან, იქნებ, არც ჩაუთვლია საჭიროდ. ამას მნიშვნელობა არ აქვს, მით უმეტეს, ცოდვად არ ჩაითვლება. პერსონაჟი, თუნდაც უსახელო, მაინც პერსონაჟია. სად წაგვივა, ყველგან მივაგნებთ, რადგან მოვალეობების ჩარჩოში ზის. ავტორმა მას დამოუკიდებელი, გამოკვეთილი სახეც კი არ მისცა. შიგადაშიგ გადაულოცავს ხოლმე თავის როლს, ჩართავს მისთვის ნაკლებად საინტერესო ეპიზოდში და სულ ეგაა. ამიტომ პერსონაჟმა ბევრი რამ არ იცის ლალიტასა და მისი გეგმების შესახებ. თავისი ფუნქციის საფარველში შეყუული მოთმინებით იცდის, იფიქრებ, იბუტება იმ მეზობელივით, ფული რომ შემოაკლდება და მოსალმება აღარ სურს. თვალს გარიდებს, თითქოს თავის ხელმოკლეობას შენ გდებს ბრალად. ჰყავდა ლალიტას ასეთი მეზობელი – ძნელად ასახსნელი, ამოუცნობი, რომელსაც, რახან არ ეწუნუნები, საკუთარი პრობლემებით გულს არ უწყალებ, დალინებული პერიოდის, სხვა კატეგორიაში მყოფი. ამიტომ შენდამი, თუნდაც ფარული, ანტაგონისტური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. მაგრამ რა, ბაკანში ჩაკეტილისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს? ჰო, თითქმის ასეთად იქცა ლალიტა. ძველი მეგობრები აღარ ჰყავდა, თუ არ ჩავთვლით ერთიორ, ისიც ნახევრად გაუცხოებულ პირს. ახლის შექენის დრო კი სადღა იყო. გვიან ისწავლა ჭკუა. ადამიანებთან ურთი-

ერთობისგან კარგს არაფერს მოელოდა. ისინი ორ კატეგორიად დაჲყო – პერსონაჟებად და მკითხველებად. ორივენი მისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. ორთავესგან მკაცრად დაცული ვირტუალური სივრცე მიჯნავდა, მსუბუქი და თავისუფალი, რადგან ერთმანეთისგან არაფერს ითხოვდნენ.

როგორ გგონიათ, წარმოიდგენს პერსონაჟი, რომ მის ავტორს – ლალიტას ფეხის თითები უბუუდება, თითქოს შიგ ჭიანჭველები დაუდიოდეს? ამიტომ ხშირ-ხშირად ალაგებს ტერფებს კუზნეცოვის იპლიკატორზე, მაგრად აჭერს ნემსებს, რათა სისხლი ამოძრავდეს ანდა იმას, რომ მან სიზმრებში კარგა ხნის დავიწყებული ფრენა ისევ დაიწყო. ისევ დაიბრუნა გამორჩეულობის შეუდარებელი განცდა. ვინ ახსნის, თუ რა კავშირი აქვს ამას ისეთ უნიკალურ უნართან, რომლითაც დამით აყეფებულ ძალებს აჩუმებს, მაგრამ ფაქტია, მათზე ზემოქმედება იოლად გამოსდის, ადვილად ახერხებს აღავლავებულ პირუტყვთა ალფა დონეში შეღწევას.

იცის კი პერსონაჟმა, რომ ლალიტა თითქმის ყოველ გათამაშებაზე ლოტოს ლატარიის ერთ ბილეთს იძენს? თანაც ჯიუტად არ კარგავს იმედს ან ის, რომ არ უყვარს ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, საკუთარი წიგნების პრეზენტაციების გამართვა, თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა... ხმარობს საუკეთესო კბილის პასტას და ეჯავრება, როდესაც ვინმე ერთი და იმავეს ორჯერ ასმენინებს. ასეთებს შიზოფრენიით შეპყრობილად მიიჩნევს... კიდევ ბევრი რამ არ იცის პერსონაჟმა. არცაა საჭირო. იგი თვინიერი უნდა იყოს, ადვილად დამყოლი. ჰოდა, სწორედ ასეთია. გულდასმით უგდებს ყურს ნოეს ამბებს, რასაც თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა ავალდებულებს.

ნოე კი, წაბლისფერ საწერ მაგიდასთან მჯდომი, მშვიდად უყვება, თუ სახალხო მკურნალმა როგორ იხსნა ჭინჭრის ცი-ებისგან, ოღონდ ნანობს, მისი წამალი, რომელიც თორმეტი პატარა ჭიქით უნ-

და მიეღო, ძალიან ცუდი დასალევი იყო და ათის მეტის დალევა ვერ შევძელიო. გაუფრთხილებია იმ მადლიანს, ის ორიც მიაყოლე, თორემ სიბერეში ისევ გაგიხსენებს ავადობაო. არ დავუჯერე და რაღაც ნიშნებს მართლა ვგრძნობო.

უამბო ჭკვიანი ძალლის შესახებაც, რომელსაც თურმე ყელზე შებმულ პატარა ყუთში ჩაუდებდნენ ფულს წერილთან ერთად და ჯიხურში გაგზავნიდნენ საყიდლებზე. იგი ადამიანების რიგში დგებოდა, როგორც წესი მოითხოვდა, შინ კი პირით მოჰქონდა ნავაჭრით საქსე პარკი. მერე ჯიხური გაუუქმდიათ. სუპერმარკეტში ძალლი აღარ შეუშევს. შეურაცხყოლმა პირუტყველი მაშინ არც აცია, არც აცხელა, ისკუპა და წამში ვეებერთელა ვიტრინა ჩამოფშვნა, რის გამოც ნოეს სასამართლოში სიარული მოუწია.

ვიღაც „აჩკოს“ მოთამაშე შულერიც გაიხსენა ერთხელ, ბოშებს დანიშნული კარტების დასტებს რომ აყიდვინებდა და იმ კარტებით ნოეს ნაცნობს ერთ ღამეში თორმეტი მილიონი რუბლი წააგებინა, რასაკვირველია, ძველი კურსით, რაც დიდ თანხას შეადგენდა და ასე შემდეგ, ამოუწურავად...

როცა ნოე ამბებს ჰყვება, უნდა იჯდე და უსმინო ბოლომდე. ჯერ ერთი, ადვილად გითრევს ამბავში და, რაც მთავარია, თავად ისე ერთობა, ვერ შეაწყვეტინებ. აწმყო სავსეა მოგონებებით, აწმყო წარსულის მოგონებათა სკივრია.



უსუსური მძვინვარება.

სიცოცხლის მუდმივი თანამგზავრია ასეთი განცდა – წმინდა ცრემლში ამომხრჩვალი გრძნობების საყუდარი.

იმდენ ხანს უნდა ვიცოცხლო, ყველას

დავავიწყდე!

ნამდვილი ავტორი აქ არ ჩანს. ნამდვილი ყოველთვის ჩრდილშია. ასპარეზი ეთმობა თოვლინებს. თავს ზემოთ არაა ძალა. ჭრაქიანი დღე დაუნდობლად გწვავს, გთენთავს. თანაც გონებას გიხედნის, გადარჩენის ინსტინქტს გიძლიერებს. ესეც არ იყოს, ადამიანი დიდხანს მაინც ვერ გაძლებს მთვლემარე მდგომარეობაში. რაღაც გამოაფხიზლებს, აიძულებს, ფართოდ გაახილოს თვალი, მიმოიხედოს ირგვლივ, სადაც სულაც არ ხარობს მარტო ია-ვარდი. დრო ცოტაა. ილევა შენი დრო. წინ ახალი ჰორიზონტია, უცხო, შეუცნობელი. არაფერს გპირდება ეგ სიუცხოვე. არც ელოდო. არ შეცდე და არ ელოდო. რად გინდა... საკმარისია ფუჭი წარმოდგენები. არაფერი გჭირდება.

აღარც თხოულობ. ჩანს, მოჭკვიანდი. ჰოდა, ასე უფრო გაგიადვილდება შეიგნო, რომ სტუმრად ხარ მოსული სამყაროს ცისფერ ბურთზე, რომლის რადიუსი, არც მეტი, არც ნაკლები, სულ რაღაც 6.371 კილომეტრია. აქ შენამდე ბევრი მოსულა და იგი საკუთარ სახლად გამოუცხადებია.

ამ ლამაზ ტყუილში ცუდი არაფერია. სრული უფლება გქონდა, შენც ასე მოქცეულიყავი, რადგან სითამამე და გამბედაობა თვით სიცოცხლის თვისებაა. აუწყვე, აუწყვე ფეხი ღვთივ ბოძებულ სიცოცხლეს, იმკვიდრე, სანამ ხარ, შეიფერე უდიდესი პატივი ადამიანად ყოფნის. გულში ნუ ჩაიხვევ წყენებს, გაიადვილე, გაისხივოსნე დღეები დედამინაზე, რომელზე ცხოვრებაში მეცნიერება გვეხმარება, რომლიდან წასვლაში კი რელიგია.

ნუ გეშინია! ნუ გეშინია!

ხოლო თუნდაც ერთ ადამიანთან განშორებაზე თუ გწყდება გული, სიცოცხლე ღირს.

## ციცი გერივი



### ცაში ასასვლელი ბილიკი

დიდი ბიჭია უკვე. ახლა გულს უფრო სხვანაირი სიმძაფრით უთროლებს უმნეობა...

— „დრო ყველაფრის მკურნალია“ — და, ეგონა, დრო მისი მკურნალიც იქნებოდა...

ფანჯარასთან ჯდომით და მაქმანიან ჩარჩოში ყურებით გადის ცხოვრება. საოცრად მეოცნებე, წყლიან თვალებში თავს იხრჩოს ნატვრა, ნატვრა ფეხზე დადგომის, დედის გვერდით კაცური ნაბიჯით გავლის...

იქით — მოპირდაპირე სახლის ლამაზრი ყულებიან აივანზე ქოთნის ყვავილებს რწყავს ქერა, ცისფერთვალება და იმ ყვავილებივით ნაზი გოგონა. ოთახის სიღრმიდან გოგო-ბიჭების ბავშვური სიკისკასით სავსე ალიაქოთი ესმის და მწარე ბედისწერა კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ სხვანაირია — ფეხებს წართმევიათ ღონე, ხერხემალს აღარ შესწევს წელის დაჭერის უნარი და თითოეულ შეხსენებაზე მლაშე ტკივილებად მოჟონავს დეფორმირებული სხეულის უილაჯობა.

მერე თავაწყვეტილი ნერვების რიალში დაღლილი უსმენს ვივალდის „წელიწადის დროებს“... გახედავს ჩანისლულ მომავალს და სწყურია, ისეთი დილა გაუთენდეს, რომ იმედის მზემ სასწაულის-

ფრად დაძნენძოს უუმურად გამომზირალი, ნისლიანი, მაგრამ მისი საკუთარი ნაცრისფერი და ცივი დღეები... კიდევ კარგი, გამოიშუებს ხანდახან — ეზოს ბიჭებმა იციან ამოსვლა, არის ერთი ხორხოც-გნიასი. სანდრო ღვიძლ ძმასავით უყვარს. ყველასგან გამორჩეული და არაჩვეულებრივად თბილი ბიჭის გული-სამაჩუყებელი თანადგომა მის ერთფეროვან ცხოვრებას კრიალოსანივით ახალისებს, ახმაურებს... არც დანარჩენები იშურებენ სიყვარულს, მაგრამ...

ერთადერთი და უდალატო იმედი მაინც დედაა!.. როცა მარტოა, მიგორდება ხატებთან და ღვთისმშობელს ჩახედავს თვალებში — შენც ხომ დედა ხარ, მარტო იმიტომ მიშველე, დედაჩემი დარდმა არ მომიკლასო!..

...და ისევ მლაშე ნაკადულები წალე-კავენ გულიდან წამოსულ ტკენას...

დალამება უყვარს იმიტომ, რომ ძალიან ხშირად ესიზმრება ის ქერა, ყვავილივით ნაზი გოგონა მოპირდაპირე სახლიდან. ხელიხელჩაკიდებულები გარბიან კესანების, გვირილების, ღილილოების თოვაში და უსაზღვროდ ბედნიერები თითიქოს ცაში ასასვლელ ბილიკს ეძებენ ღმერთთან მისაახლოვებლად...

...გათენება ყველაფერს ისევ თავის

ადგილებზე ალაგებს. გულში ჩამნყდარი ოცნებების მძივი შეშფოთებული ფორია-ქით კითხულობს:

— ვაიმე! სად, რატომ დამეკარგნენ ოცნებებიო? — და პასუხად დაობლებული მახსოვრობის ხე შრიალით ახსენებს მწუხრისფერ სივრცეებში დაკიდებულ ღალატისფერ იმედებს...

არ უნდა, რომ მხოლოდ ნაცვალსახე-ლი ერქვას... მერე ვივალდის ნოტების გრძნეულებას სიყვარულის მინდვრე-ბიდან კესანების ლურჯი სევდით სავსე სამძიმარი მოაქვთ მისთვის სასოებით...

შეჯავრდა გაჩენის დღე და ფანჯარას-თან ჯდომა. იქით — სიცოცხლე სწყური-ათ, ფერადი და ხალისიანია ცხოვრება! აქეთ კი კუშტი და უიმედობით ამომ-ხრჩვალი დღეები უხუთავს საკუთარი უილაჯობით გასავათებულ სულ...

...სანდრო დაფეთებული შეყურებს მე-გობარს, მერე წყალწალებულივით ეჭიდე-ბა ერთადერთ ნათელ აზრს და ფეხებს თავისთავად აჰყავს ქერა გოგონას სა-დარბაზოს კიბეზე. კარს სიმპათიური მა-მაკაცი ალებს.

— შენ, ალბათ, თაკოს მეგობარი ხარ; მოპრძანდი, გენაცვალეო! — თაკო, მამა, სტუმარია შენთან გამოიხედეო! — და ჩი-ტივით გამოფრთქიალებული გოგოს თვა-ლებიდან ერთი დიდი და თბილი ლურ-ჯი მზე მოსჩერებია. შვილის გაოცებული მზერით ხვდება მამა, რომ რაღაც სხვა ხდება.

სანდროს მღელვარებისგან ენა ებმის, ძლივს ახერხებს აუხსნას, ვინ არის, რა-ტომ და რისთვის გაპედა ამ პატიოსანი ოჯახის შეწუხება. თაკო და მისი დედ-მა-მა, დაბწეულები ამ მოულოდნელი სტუმ-რით და სულის შემძვრელი ამბით, თა-ნაგრძნობით მიაჩერდნენ ნერვიულობის-გან ფერფურ წასულ ბიჭს.

— არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, თქვენთან რომ მოვედი. ათას ბოდიშს მო-გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა — გიორგის შველა სჭირდება, საშინელი დეპრესია სტანჯავს, სიცოც-

ხლე აღარ უნდა... ხშირად გიყურებთ ფანჯრიდან და მის თვალებში მხოლოდ მაშინ ვხედავ სიხარულს და ცხოვრების ხალისს, ყველაფერი ავიწყდება, ბედნი-ერი და აღტაცებულია... გემუდარებით, დაუმეგობრდით ბიჭს, თორებ წყალი წა-ილებს. იქნებ, გამოგვივიდეს რაღაც! — დიდი გაჭირვებით დასასრულა სანდრომ უცხო ოჯახში ვიზიტის მიზეზი და სათი-თაოდ შეათვალიერა მასპინძლები.

„რაც იქნება, იქნება!“ — ფიქრობს გულში. გრძნობს წამოჭარსლებულ სახეს და არანაკლებ გახურებულ ყურებს, გუ-ლი ბაგაბუგით უცემს.

თაკომ დედ-მამას გადახედა, მერე წა-მოდგა და უთხრა:

— სანდრო, შენ ახლა გიორგისთან წა-დი! რაღაცას მოვიფიქრებთ, არა, მამა? — ჩაეკითხა და პასუხს აღარ დაელოდა — ძალიან კარგად მოიქეცი, რომ მოხვედი!

სადარბაზოდან გამოსული მოეგო გონის, გული ისე უცემდა თითქოს მარა-თონი დაასრულაო...

„ნეტავ, რა მოხდება?“ — არ ასვენებდა ფიქრი. ჩვეულებრივად მიეხალისა სავარ-ძელს მიჯაჭულ მეგობარს. იტინგიცა, აიყოლია, აცინა და იცინა, ათას სისულე-ლეს მიედ-მოედო...

დღე დღეს მისდევდა. გიორგისთვის არაფერი იცვლებოდა. იყო ვივალდი, სა-შინელი სულის დარდი და მხოლოდ ლოც-ვებით შემსუბუქებული ტკივილი...

ერთხელაც ხატებს ესაუბრებოდა ჩუ-მად, უსიტყვოდ, მტკივანი გულით... კარ-ზე ზარმა გააწყვეტინა ფიქრი.

— ლაა! — გასძახა და გაიფიქრა: სან-დრო იქნება!

კარის გალებასთან ერთად თით-ქოს გაზაფხულის სურნელი შემოიჭრაო ოთახში. გაუკვირდა. „ნუთუ“?! — გაფიქ-რება და ბორბლებზე შემოტრიალება ერ-თი იყო და ჰით, საოცრებავ! — შუა ოთახ-ში გვირილებით ხელში იდგა მისი სიზ-მარი — გოგონა მოპირდაპირე სახლიდან. თითქოს მზე მოჰქონდა მის ღიმილს სი-ცისფრით აციმციმებული თვალებიდან.

მეგობრულად გაუწოდა ხელი.

— დიდი ხანია აღარ ჩანდი ფანჯარას-  
თანო! — უთხრა.

ოთახში ცისარტყელის ფერებად აელ-  
ვარებულ იმედის სხივს სიხარულის  
ტკარცალით პასუხობდა ბიჭის დანთებუ-  
ლი თაფლის სანთელი...

– ჩემი ავნის გვირილებია, წამოგილე, ნახე რამხელებია!!!

ოთახში წყლიანი ლარნაკით ხელში გი-  
ორგის დედა გამოჩნდა, გოგონას ღიმი-  
ლით მიესალმა:

— გამარჯობა, შვილო, რა ლამაზი გვი-  
რილებია! — ჩამოართვა, გვირილებიანი  
ლარნაკი მაგიდაზე დადგა.

გიორგი თითქოს სიზმრის გაგრძელებას ხედავდა, თაკოს საუბარი ვერ აღწევდა მის აფორიაქტულ გონებამდე. მოეჩვენა, ყვითელგულა გვირილები თითქოს ულიმოდნენ ლარნაკიდან.

თაკო ყვებოდა, როგორ უყვარდა კვა-  
ვილები, მუსიკა და თეატრი, ისტორია და  
საქართველოს დედატაძარი – სვეტიცხო-  
ვისი.

— ჰოდა, მეგობრებმა გადავწყვიტეთ,  
მცხეთა მოვინააზულოთ. შენც უნდა წა-  
მოხვიდე! მამა დიდი სიამოვნებით წაგ-  
ვიყეანს, ასე რომ, ხვალ დილიდანვე მზად  
იყავი!..

ამასობაში სანდრომ შემოალო კარი. ალფრეთოვანებულმა გიორგიმ ერთმანეთი „გააზნო“ სტუმრობს.

- ხვალ მცხეთაში ვართ დაპატიჟებული, სანდოო, თაკოს მამას მივყავართ!..

სანდრო გაოცებული შესცეკროდა გი-  
ორგის უცაბედ ფერიცვალებას და ბედ-  
ნიერი ფიქრობდა – „ხომ მაინც გამომივი-  
და“!.. თაკო დიდხანს აღარ გაჩერებულა.  
– აბა, ხვალამდე, გიორგი! დედა და სან-  
დრო კარებამდე მიჰყვენ. სანდროს შე-  
თავაზებაზე – გაგაცილებო – ღიმილით  
უთხრა უარი და ჩიტივით გაფაქტიალდა.

ოთახში შემობრუნებულ სანდროს გი-  
ორგიმ სხაპასხუპით გადმოულაგა ხვა-  
ლინდელი დღის გეგმა. გიორგის დედა  
კრისტიანის დედი გაჭირვებით აპრენინგდა

უკან – შვილის ფორმაქტი ხედავდა, როგორ დაბრუნებოდა სიცოცხლის წყურვილი.

სახლში თითქოს უშეველებელი მზე  
დატოვაო გოგომ. ლარნაკიდან ყვითელ-  
გულა გვირილები ულიმოდნენ გიორგის  
და თითქოს ეუბნებოდნენ – ყველაფერი  
კარგად იქნება!..

ლამე საშინლად გაიწელა. გიორგის  
მუსიკასავით ჩაესმოდა თაკოს სიტყვები  
და გრძნობდა, როგორ მოუკინავდა მთე-  
ლი სხეულიდან ბედნიერება. იმედით გა-  
კაფებული სული ხელუხლებელი ოცნებე-  
ბის სამყაროში მიაქროლებდა...

როცა სისხამძა რძისფერი თვალებით  
მაქმანიანი ფარდიდან შემოიხედა, გიორ-  
გიმ – დილა მშვიდობისა, თაკო! – გუ-  
ლიდან ისეთი გრძნობით ამოატარა, რომ  
მაქმანზე ჩამომჯდარ გარიურაჟს გააუ-  
რიალა...

ძალს გიორგი იყო და ძალს კედლიდან  
მოწიკრის საათი.

როგორც იქნა, დაადგა საშველი გა-  
თენებას. ლიფტი პირველ სართულზე გა-  
ჩერდა. სანდრომ და ბიჭებმა გიორგი ეტ-  
ლიანად ციმციმ მიიყვანეს მანქანასთან.  
გულთბილი კაცი იყო თაკოს მამა – ბიჭი  
დიდი სიფრთხილით ჩასვა სალონში, და-  
კეცილი ეტლი საბარგულში მოათავსა და  
მანქანა დაჭრა.

გიორგის დედა მაქმანებიდან დაჰყუ-  
რებდა სადარბაზოსთან გოგო-ბიჭების  
ფუსფუსს, ცრემლები ლაპალუპით ჩამოს-  
დიოდა. ხედავდა, როგორ ევლებოდნენ  
თავს მის შვილს მეგობრები, ანუხებდათ  
გიორგის მდგომარეობა. ამ გოგო-ბიჭებ-  
მა, ჯერ კიდევ ბავშვობიდან გაუსვლე-  
ლებმა, იცოდნენ, სად უნდა ჩაეთესათ  
სიკეთის მარცვალი, როგორ უნდა შეეშ-  
ვლებინათ ხელი, რომელი სიტყვა იყო  
საჭირო ადამიანის გულის გასათბობად!  
საამაყო, წესიერი და ღირსეული თაო-  
ბა მოაბიჯებდა საქართველოში... თაო-  
ბა, რომელიც კითხვას – რანი ვართ და  
საით მივდივართ? – კეთილი საქმეებით  
პასუხობდა. ესე იგი, ლათისმშობელმა

არ გვაქცია ზურგი, ესე იგი, ანთებულ სანთელს არ დაჲკარგვია ძალა; მათ ყოველთვის ეცოდნებათ ერთადერთი და ჭეშმარიტი პასუხი, ისინი ამქვეყნადვე იპოვიან ღმერთს, იგრძნობენ, რომ თავად არიან სიყვარული და მოძებნიან იმ ჭეშმარიტად სუფთა საგალს, რომელიც აუცილებლად ტაძრამდე მივა!..

დედამ დაძრულ მანქანას ჩურჩულით დაადევნა:

— ღმერთი გფარავდეთ, ღიმილის გოგო-ბიჭებო, რამეთუ იცით, როგორ უნდა დაადგეთ თქვენი ცხოვრების საფეხურებს!..

მანქანა დაიძრა, გიორგი ღიმილით, ხელის დაქნევით დაემშვიდობა დედას.

მანქანაში სასიამოვნო, გულთბილი და უშუალო ატმოსფერო სუფევდა. იყო ძალიან ბევრი იუმორი და ხალისი, მერე საქართველოს ძველ დედაქალაქს მიუახლოვდნენ და სალაპარაკო თემაც შეიცვალა. ყმაწვილები ქვეყნის წარსულზე ალაპარაკდნენ. ქართველები სიამაყით დავდივართ ღვთისმშობლის წილზედრ მიწაზე, კურთხეული დედის ჩვენდამი სიყვარულის უდიდესმა მადლმა მოგვცა დღემდე მოსვლის ძალაო, ამბობდნენ. საქრისტიანოსთვის უნმინდესი რელიკვიიდან ორი უდიდესი სიწმინდე სიწმინდეთა შორის საქართველოში ინახება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მისი მხოლოდ შობილი ძის — იესოს კვართი!

ერთი — დასავლეთ საქართველოში, დადიანების სასახლეში ინახება... მეორე აღმოსავლეთ საქართველოში — მცხეთის მადლიან მკერდშია ჩაკრული...

„მეორედ მოსვლა გარდაუალია! ეს სიწმინდეები კი თითქოს მეორედ მოსვლამდე ქართველთა ნუგეშად არის შემონახული“, — გაიფიქრა გიორგი.

— მოვედით! აი, ესეც სვეტიცხოველი! — ფიქრებიდან გამორკვეული გიორგი აურიამულებულმა მეგობრებმა ისევ ციმციმ ჩასვეს ეტლში და ქვაფენილიანი ვიწრო

ქუჩით აუყვნენ სვეტიცხოველისკენ გზას.

თაკო გვერდიდან არ შორდებოდა. გიორგის უსაშველოდ ეძვირფასებოდა ეს წუთები.

იდუმალი სიზმარივით მშვიდი დახვდათ მცხეთა. გოლგოთა იყო გიორგის-თვის ცხოვრება — ლოცვაში გამხელილი სურვილების ბეწვის ხიდი... სულის ზანზალაკებიდან მოტანილი მუსიკის უწონადობით ეიფორიაში ჩავარდნილი ხედავდა რწმენის ბილიკად სველ ქვიშაზე დარჩენილ იქსოს ნაკვალევს!..

ეს უფლის გზა იყო, რომელზეც სიხარულით და რწმენით უნდოდა ევლო, რამეთუ ასე დაწერილა ათიდან ერთ-ერთი: „მარადის გიხაროდენ!“

ტაძართან ხალხი ირეოდა. რიგი მოდიოდა, რიგი მიდიოდა. მომსვლელები რწმენანი თვალებით მიეახლებოდნენ „ხვლიკისფერ“ ოცნებას... წამსვლელებს ლოცვის მადლით დამშვიდებული გულები მიჰქონდათ...

ჩუქურთმაჩამოტეხილი ისტორია კიდევ ერთხელ ახსენებდა ყველას — საიდან მოდიოდნენ და საით უნდა წასულიყვნენ...

დედატაძრის დიდებულ მდუმარებაში ლოცვისა და მარადიულობის სიმბოლოდ გაყურსულიყო თაღების საკმევლით გაჟღენილი სივრცე.

ღვთისმშობლის ხატთან ერთად ლოცულობდა მდუმარე გოგო-ბიჭი...

ბიჭმა იცოდა, რომ თაკოსთან ერთად იპოვა ცაში ასასვლელი ბილიკი, რომ აღარ ჩაუტყდებოდა სურვილების ბეწვის ხიდი... ახდებოდა თაკოს მამის დანაბრები — გერმანიაში აღარ ჭირს შენი დაავადების განკურნებაო.

გოგომ კი ის იცოდა, რომ ბიჭის იმედს არ ეღალატებოდა, რაზეც დანთებული თაფლის სანთელი ტკარცალით პასუხობდა — ყველაფერი კარგად იქნება!..

## ერთა მახლი



### პანთეონის რობაი

რეზო ჭეიშვილის შესანდობარი

დუმს კლასიკოსი... წვით და დაგვით, განა ადვილად  
ქმნიდა შედევრებს... წუთისოფლის კადრიც ჩავლილა...  
თუმცა მაღალი იყო დღემდეც ეს პანთეონი,  
ამიერიდან მთაწმინდაა მწვანეყვავილაც...

### მსგავსების რობაი

შემოსძარცვია ფრანგს პერანგი ძველი ფლანელის,  
ქართველს – სატინის... მათ ირჩიეს აუგანელი  
თავისუფლება... აპოლონის იყვნენ პაუები,  
პარიზს აოცებს გრენგუარი\*, თბილის – გრანელი...

### ფაქტის რობაი

(ნახევრად იუმორესკა)

თუმცა სახელი დაიმკვიდრა ქვეყნის განირვით,  
თავსაც გვაწონებს ღვაწლმოსილი ერისკაცივით...  
იქნებ, ყვავობა არც ყვავს უნდა, მაგრამ ფაქტია,  
რომ შეიცვალოს, ვერ გახდება მაინც არწივი...

\* გრენგორი (გრენგუარი) პიერ – ფრანგი პოეტი-დრამატურგი, მწერალი (დაახლოებით 1475-1538 წწ.).

## უკან მოსახედის რობაი

ღამეა. მთვარე ბურიანის\* მინათებს შუკას,  
ვათვალიერებ გონებაში ცხოვრების რუკას...  
რაც უნდა მოხდეს, წინ იარე, – გვმოძლვრავს გოეთე, –  
ოლონდაც ისე, მოსახედი რომ გქონდეს უკან...

## ჯოჯოსეთის რობაი

წლების სიმრავლე დარდს გვიმატებს და ცრემლებს გვადენს,  
თან თევზებივით გვაფრთხობს შიში, ცხოვრება – ბადე...  
ჩვენი ეპოქა საშინელი ჯოჯოსეთია –  
რომ დაგანახოთ, უნდა ვიყო უკვდავი დანტე...

## სამშობლოს რობაი

იცნობა ნალდი მეციხოვნე და ფარლალიტი\*\*,  
როგორც ქურაში გამომწვარი მტკიცე კრამიტი....  
ჩვენთვის შენა ხარ ბედისწერა, დიდი სამშობლო, –  
რომ ვერ აწონის დედამიწის თვალ-მარგალიტი...

## ნიჭის რობაი

ცხოვრება ხანაც ყაჩაღია, ხანაც ჩაფარი,  
ხან აწეწილი, როგორც ქარში ცხენის ფაფარი...  
უფალს მადლობა, ლექსის წერის მაჩუქა ნიჭი  
და მაპოვნინა საიმედო თავშესაფარი...

## სიცოცხლის რობაი

„...თავსა ახლად ვერვინ იშობს“.  
*რუსთაველი*

თავს ვერვინ იშობს ხელმეორედ... მაგრამ დიადი  
მზე დაიპადა... კვლავ გვაჩუქა ეს განთიადი...  
უფლის მადლი და წყალობაა დილა ყოველი –  
რომ გაგვითანტოს ლამესავით სულის წყვდიადიც...

\* ბურიანი – აგარაკი საგურამისთან.

\*\* ფარლალიტი – ტაძრის დარაჯი.



## გუთინისძედის რობაი

მინაწერი გივი ჩილვინაძის წიგნზე  
„ძველი გუთნისძედების მიწა“...

არ გვინატრია სხვა სამოთხე და სხვა ედემი,  
წინაპრებივით ჩვენც სამშობლოს შევაბერდებით...  
ვინც აყურადებს მართლაც სისხლით გაპოხილ მიწას –  
ესმის გოდება უძველესი გუთნისძედების...

## დედის რობაი

ჯერაც ბევრი მაქვს მოსაყოლი თქვენთვის ამბავი,  
პოეტი ვარ თუ მოგონების ამომხაპავი...  
ზამთრისპირია, თავზე მადგას მოხუცი დედა –  
შემომიკეცა მე, ჭალარას, თბილი საბანი...

## ზეციური ჯარისპატის რობაი

ბრძოლის გარეშე ამ ცხოვრებას რაღა ფასი აქვს,  
ერთიანობით ჩვენ მოვიგებთ დიდგორს, ბასიანს...  
მამულიშვილნო!!! – ზარებს რეკავს მერაბ კოსტავა –  
ვინც საქართველოს ზეციური ჯარისკაცია...

## პოეტის რობაი

(ნახევრად იუმორესკა)

გეპატიება ზოგჯერ პოეტს, იყო თავხედიც –  
თუ არ შეტოპე და ხელიდან აღარ წახვედი...  
მოუთმენლობა-ეშმაკობას ის გირჩევნია,  
გულუბრყვილობა და მოთმენა გქონდეს სახედრის.

## მუხის რობაი

დიდგულობს ქარი... აგუგუნებს გარინდულ ტყესაც,  
გზადაგზა მესმის დაუცველი ხეების კვნესა...  
ბილიკზე გდია უმოწყალოდ მოკლული მუხა –  
გლოვობს ბუნება... გულის წუხილს გიყვები ლექსად...

## რენეგატების რობაი

ციხე შიგნიდან ტყდება მუდამ... მტერი ცბიერი  
ცდილობს, გაგვხადოს გულმავიწყი და თვინიერი...  
ძეგლებად დგანან უსამშობლო რენეგატები  
და ზურგს იმაგრებს ჩვენ დროის კონდოტიერი.

## გაზაფხულის რობაი

მანანას...

როდესაც გიყვარს, ვეღარ ახსნი, რა გემართება,  
გულში შემოდის გაზაფხული, როგორც ნათება;  
ყოჩივარდები დავკრიფე და ვიჩქარი შენკენ –  
თითქოსდა პირველ პაემანზე მაგვიანდება.

## პეიზაჟის რობაი

ზღვაზე არა ჩანს ჰორიზონტი, ცურავს შორს გემი,  
ნვიმს და ბულვარსაც გაუშლია პალმის ქოლგები;  
ნეტავ, რა ძალამ დაგვიხატა ეს პეიზაჟი –  
რის მონე, მანე ან ვან-გოგი, ანდა გოგენი.

## უიმედობის რობაი

თუკი ამქეცენად ლირსებას და სინდისს ღალატობ,  
გეტყვი პირდაპირ, საიდუმლოს განა გაგანდობ...  
ნულარ გექნება გამარჯვების მცირე იმედიც –  
რადგანაც იბრძვი უფაროდ და უმუზარადოდ.

## გულის რობაი

ნოდარ წულეისკირის ხსოვნას

ითმენდა ხმაურს და ცხოვრობდა თითქოსდა ჩუმად,  
მამულიშვილთა მიჰყვებოდა გზასა და გუმანს;  
ერის მხურვალე, უპირველეს გულშემატკივარს –  
ბუნებრივია, რომ უმტყუნა მტკივანმა გულმა.

## დედაენის რობაი

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“.  
გრიგოლ ორბელიანი

ფესვს თუ მოწყდები, ვერ გიშველის ღრუბლებში ფრენა,  
სხვისი თუ იცი, საკუთარიც გიყვარდეს ენა...  
გიყვარდეს შენი დამწერლობა თოთხმეტთაგანი –  
ენა თუ მოკვდა, თავისთავად გავქრებით ჩვენაც.

## ზამთრის რობაი

ხსოვნაში ჩამრჩა შთამბეჭდავი სურათი ერთი,  
უონავდა სხივი, როგორც სისხლის ფერმკრთალი წვეთი...  
ხეზე ეკიდა თოვლის ქულა – იმედი ზამთრის, –  
ფრთებჩამოყრილი, უმოწყალოდ მოკლული გედი...

## პართაგენის რობაი

„Carthaginem esse delendam!“  
მარკუს პორციუს კატონ უფროსი

პოლიტიკოსი თუმც არა ვარ და ორატორი,  
სხვა ვერ გახდება ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი...  
გარდუვალია, კართაგენი უნდა დაინგრეს! –  
ვუმზერ ლელვის ხეს... მახსენდება ბრძენი კატონი...

## ბუნების რობაი

მარაოსავით გაუშლიათ ხეებს ტოტები,  
ჭახჭახებს შაშვი, არ ეშლებათ ჩიტებს ნოტები...  
ბუნებას მოწყდა, გაუცხოვდა ადამიანი, –  
იქნებ ეს არის საფუძველი გაბოროტების...

## დაისის რობაი

გული სიკეთეს თუ ასხივებს, რას გიზამს დარდი,  
ბოროტს ნილაბი ვერ დაფარავს და მახინჯს – ჩადრი...  
ლამაზად უნდა იცხოვრო და წახვიდე ბოლოს, –  
შეხედე დაისს, მზე მშვიდად და ლამაზად ჩადის...

## დილის რობაი

მადლობა ღმერთო, გაგვითენე მზიანი დილა,  
ჩვენი სიცოცხლე შენ გეკუთვნის... შენს წიაღს შინა  
ბედნიერია, ვინც მღვიძარებს... იქნებ გონებაც  
შენ გაუნათო, ვისაც მთელი ცხოვრება სძინავს...

## გარადისობის რობაი

მოდილიანის მომნუსხველი ისმის სუიტა,  
ჰანგი უკვდავი მოვისმინო რაღაც სულ მინდა...  
რაა ცხოვრება წარმავალი?... აი, სიცოცხლე, –  
მარადისობა რომ იწყება დასასრულიდან...

## უსამართლობის რობაი

ამ ჩვენს ცხოვრებას უხილავი ხელი წარმართავს,  
ქათმის სიბრმავე უღმერთობამ მრავალს დამართა...  
„მართალ სამართალს“ გვიქადაგებს ბრძენი სოლონი, –  
მაგრამ უფალი თუ აღადგენს ქვეყნად სამართალს.

## ენის რობაი

სიმართლის მთქმელი უნდა იყო მტკიცე მხედარი,  
გაბედული და უშიშარი, შორსგამხედავი...  
ხანდახან ენაც ისე უნდა დაიმორჩილო, –  
როგორც ულაყი თავნება და გაუხედნავი.

## თავისუფლების რობაი

არაფერს ნიშნავს განძეული, თუნდ შენი წონა  
თუ გბოჭავს ქსენფი, – რა აზრი აქვს სიმდიდრის ქონას?..  
რად გინდა გერქვას უკვდავი და ბრძენი ეზოპეც, –  
თავისუფლებას ვერ ეღირსა საწყალი მონა...

## ზეგოს რობაი

(რემინისცენცია „დათა თუთაშხიას“ თემაზე...)

ეშმაკმა უწყის, თუ რას ფიქრობს გულში სეთური,  
მორჩილი ხალხით, რა თქმა უნდა, ბედს არ ემდურის.  
ჭაში ზის ზებო და იმედით ბედნიერია, –  
მამა-მარჩენალს შესციცინებს ეს უბედური.

## შემაცნების რობაი

რომ არ მოგედოს დამლუპველი ობი და ხავსი,  
იბრძოლე მუდამ... შეიმეცნე ცხოვრების არსი...  
ცინიკოსობდა დიოგენე, მაგრამ იცოდე, –  
იყო ნამდვილი მოქალაქე, მსოფლიო – კასრი...

## სიმართლის რობაი

„არ გათეთრდების ყორანიო“, – იფიქრე მეტი,  
ჭორს ნუ აჲყვები და სიმართლის დადექი გვერდით...  
სისულელეა, მტრედი ყვავად წარმოაჩინო, –  
ბუნებრივია, ყვავიც ველარ გახდება მტრედი...

## იმედის რობაი

მაინც რა არის ეს იმედი?.. რა გვაძლევს იმედს?..  
ამომწურავად მიპასუხოს იქნება ვინმემ?..  
მიწიერ ყოფის დასასრული თუა წერტილი, –  
იმედს დავარქვათ სულის მოთქმა – ნიშანი მძიმე...

## ცხოვრების რობაი

კაცობრიობის აღსასრული ნელ-ნელა მოდის,  
მთელი სამყარო მონანიე, ბუდეა ცოდვის...  
ყოველდღიურად მძიმე ხდება ჩვენი ცხოვრება, –  
როგორც მწვერვალზე ასატანი სიზიფეს ლოდი...

## დაუფიქრებლობის რობაი


(რემინისცენცია)

მოვიხმე დიდი სერვანტესი, რადგანაც ფრიად  
მომწონს ის, რასაც ქვემოთ ვიტყვი, სიბრძნე რომ ჰქვია:  
დაუფიქრებლად ისაუბრო, – ეს იმას ნიშნავს,  
დაუმიზნებლად გაისროლოს ჩუბინმა ტყვია...

## ბეჭისერების რობაი

ჩემს ნუცა და სანდრო ყოჩიაშვილებს...

შენ ისეთი ხარ, არასოდეს დამტოვებ მარტო,  
არ ვიცი, მაინც სანუგეშო რა გითხრა, დარდო...  
იქნებ ეს არის მთელი ჩემი ბედნიერება? –  
სიყვარულით რომ მეხუტება ნუცა და სანდრო...



## სიმონ ჯაფარიძე

### ცოცხალ-მკვდარი ქელებსაშვილი

გავრცელებული ხმები საქართველოში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში მართლმაჯულების გარდაცვალების შესახებ სულაც არ იყო გაზვიადებული.

**მარკ ტვენის სიტყვების  
ავტორის სული ინტერპრეტაცია**

იაგო ქელებსაშვილი, ცოცხალი ადამიანი, ვერასდროს წარმოიდგენდა, ოდესმე იმის მტკიცება თუ მოუწევდა, რომ ნამდვილად ცოცხალია, არასდროს, არავის მიერ მოკლული არ ყოფილა და თავადაც არავინ მოუკლავს. რუსეთიდან დეპორტირებულმა უამრავი დამცირებისა და შეურაცხყოფის შემდეგ, როგორც იქნა, ფეხი მშობლიურ მინაზე დადგა, ეგონა, სამშვიდობოს გააღწია, მაგრამ მწარედ შეცდა: საქართველოდან დიდი ხნის წინათ წასული თითქოს სხვა ქვეყანაში დაბრუნდა და ისეთი გასაოცარი ამბები გადახდა, ვინმეს რომ მოეყოლა, არაფრით არ დაუჯერებდა. თბილისის აეროპორტში ჯერ ქართველების დაღვრემილი სახეები მოხვდა თვალში, მერე გაუპარსავი ტაქსის მდლოლი, მთელი გზა სიგარეტს რომ აბოლებდა. დეპორტი ხარო, – მხოლოდ ეს ჰკითხა, დასტურის შემდეგ კი თავი ისე დაიქნია, ვერ გაიგებდი, თანაუგრძნობდა თუ კიცხავდა, ასეც მოგიხდებაო. ქალაქებმდე ხმა აღარ ამოულია და მო-ეჩვენა, რომ სარკეში უთვალთვალებდა,

ხოლო საბარგულიდან მისი ჩემოდნის ამოსაღებად მანქანიდან გადმოსვლაც კი არ იყადრა, მაგრამ ეს არაფერია იმ საშინელებასთან შედარებით, რაც შემდეგ გადახდა. თავისი სახლის ფასადზე უზარმაზარი, წითელი ასოებით გამოყვანილი წარწერის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მის ქვემოთ საქართველოს დროშის დამნახველს გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, თუმცა ასეთი წარწერა შეიძლება სხვა შენობებზეც ყოფილიყო. ბინის კარზე თავისი გვარის ნაცვლად იგივე წარწერა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – რაღაც გაუგებრობას მიაწერა, ხოლო შიგნით შესულმა თვალებს არ დაუჯერა – დაცარიელებულ ოთახში, სადაც უწინ მისი ავეჯი იდგა, მხოლოდ ერთი მაგიდალა დარჩენილიყო; კედელზე დედამისის სურათის ნაცვლად პრეზიდენტი დოროთე სადლობელაშვილის პორტრეტი ეკიდა, კომპიუტერთან მიმჯდარმა ვიღაც თმა-გაჩეჩილმა ქალიშვილმა კი მისკენ გამოხედვაც არ იყადრა. გაოგნებულმა ოთახს თვალი მოავლო. კუთხეში როიალი და

მრგვალი, შავი სკამი იდგა, ბავშვობაში წალმა-უკულმა რომ ატრიალებდა; დედა უქრავდა ხოლმე და მღეროდა, ახლა კი... აღარც დედამისის სურათი იყო, აღარც როიალი, თმაგაჩეჩილმა, სრულიად უცხო ქალიშვილმა კი, რა გნებავთო, როგორც იქნა, ისე იკითხა, მონიტორისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— ეს მე უნდა მეკითხა, თქვენ რა გნებავთ ჩემს ბინაში?

— აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სათავო ოფისია, — მისკენ მოუხედავად ისე თქვა, თითქოს ყველაფერი მართლაც ასე უნდა ყოფილიყო.

— როგორ გეკადრებათ, ეს ჩემი ბინაა, თქვენ კი ამბობთ ოფისიაო.

— სწორედაც მეკადრება, იმიტომ, რომ თქვენ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ აცხადებთ, თითქოს ეს თქვენი ბინაა. — ამ თავხედობამ ისე დააბნია, რომ ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო.

— მე აქ დაიბადე, მთელი სიცოცხლე აქ უცხოვრობდი და განა ეს საფუძველი არ არის?

— ეს კიდევ გასარკვევია, მართლაცხოვრობდით აქ თუ არა.

— რას ჰქვია, გასარკვევია? — ეს უკვენამეტანი იყო.

— სწორედაც რომ გასარკვევია. აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისია, სრულიად საქართველოს მმართველი პარტიის ოფისი, ასე იყო, ასე არის და ასე იქნება ყოველთვის, გასაგებია? — წარმოთქვა მუქარით, — თქვენ კი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ აცხადებთ ეს ჩემი ბინაა.

— მე სულაც არ მაინტერესებს, ვისი ოფისია, ეს ჩემი საკუთარი ბინაა, მორჩა და გათავდა! — ხმას აუნია.

— აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ ამაში? — ისეთი ირონიით უთხრა, რომ წამით ეჭვიც კი შეეპარა, რამე ხომ არ მეშვებაო და ფანჯრიდან გადაიხედა — ეჭვის გასაფანტავად მეორე ოთახის დათვალიერება დააპირა, მაგრამ იმ თავხედის მეკაცრმა გაფრთხილებამ შეაჩერა, უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულიაო.


— მე ვარ უცხო? — იკითხა აღშფოთებულმა და გუნებაში გვარიანად შეუკურთხა.

— ნუ იგინებით, მოქალაქევ, თორემ დაცვას გამოვიძახებ და მიგაბრძანებენ, სადაც საჭიროა. მთელი ამ დიალოგის განმავლობაში

შობრაობა...

ერთიანი ნაციონალური

შობრაობა...



ასეთი  
1952

ქალს მონიტორისთვის თვალი არ მოუწყეტია და ამ საქციელით ისე იყო გაოგნებული, ყურადღება ალარ მიუჟცევია იმისთვის, რომ ამან ასე ზუსტად ამოიკითხა თავისი მისამართით გაფიქრებული გინება. მეორე ოთახისკენ გაემართა, მაგრამ გზა შავპერანგიანმა ახმახმა გადაულობა და გასასვლელისკენ მიუთითა. ამას არამცუ წინააღმდეგობის განევას, გუნებაშიც კი ვერ გაუბედავდა შეგინებას და იძულებული შეიქნა, უსიტყვოდ დამორჩილებოდა. სადარბაზოში ქოქიაშვილის ზარი დარეკა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. პირველ სართულზე ჯერ კაკაურიძეს მიუკაუნა, მერე ხუბუტის, მაგრამ აქაც, ეტყობა, შინ არავინ იყო, ეზოშიც ყველა დარაბა დაგმანული დახვდა და ისეთი უჩვეულო სიჩუმე იდგა, თითქოს მეზობლები ერთიანად ამონცდნენ.

— ვა, იაგო, შენ ცოცხალი ხარ, კაცო? — მოესმა ზურგს უკან და მოულოდნელობისგან შეკრთა — მისი მეზობელი ჭიჭო იყო. ამ დარტყმულისგან არაფერი არ უნდა გაპევირებოდა, მაგრამ ამგვარი შეკითხვა რატომდაც არ ესიამოვნა და — ვითომ, რატომ არ უნდა ვიყო ცოცხალიო.

— რა ვიცი, კაცო, ასე თქვეს, მოკლესო. — მისი ბინა ხომ მიისაკუთრეს და ახლა მოკლეს კიდეც. არა, აქ რაღაც სხვა ამბავიაო, გაიფიქრა და — ვინ თქვა, მოკლესო, — გაბრაზდა.

— მე რა ვიცი, ასე თქვეს, მოკლესო. ცოცხალი რომ დაგინახე, გამიხარდა.

— ეს ჩვენი მეზობლები სად არიან?

— რა ვიცი, ზოგი მოკვდა, ზოგიც საზღვარგარეთ წავიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. დაცარიელებულ სახლს თვალი მოავლო და გული დაწყდა, მთელი პავშვობა ხომ აქ გაატარა, ამ ეზოში გაიზარდა, ახლა კი ყველაფერს რატომდაც ეს ნაციონალური მოძრაობა დაბატრონებია და — აქ რანაირად აღმოჩნდნენო, შეეკითხა.

— რა ვიცი, კაცო, აქ არ ვიყავი და, რომ დავპრუნდი, აქ არ დამსვდნენ?.. მე ხომ იცი, ხან ნარმალნი ვარ, ხან ვურევ,

ფსიქოში მხოლოდ ექვსი თვე მაჩერებენ. იქიდან გამოსულმა ან ვიტრინა უნდა ჩავტეხო, ან ვინმე ვცემო და ისევ ჩემს ფსიქოში მაბრუნებენ; მაჭმევენ, მასმევენ, ვერთობი და იქ არ მირჩევნია?.. ახლა საქართველოს პირველობისთვის ვემზადებით.

საქართველოს პირველობისთვისო?! — გაუკვირდა.

— ფსიქოშეუზღუდავ შესაძლებლობათა გუნდებს შორის. თუ მოვიგეთ, მსოფლიო პირველობაზე გაგვიშვებენ წყალჯომარდობაში. მაგარია, არა? — რადგან გაუგებარ წყალჯომარდობაზე მეტად თავისი გასჭირვებოდა, კი, ძალიან მაგარია, დაეთანხმა, ჩემოდანი და ხელჩანთა შესანახად დაუტოვა და ეზოდან გამოვიდა. საკუთარ ბინაში ნაცმოძრაობა თუ დახვდებოდა, ამას ვერასდროს წარმოიდგენდა, არადა, ბინა არასოდეს არავისთვის უთხოვებია, არ გაუქირავებია, არც იპოთეკაში ჰქონია ჩადებული და, მით უფრო, არც გაყიდვაზე უფიქრია. მართალია, თითქმის ოცი წელი არ გამოჩენილა, მაგრამ საკუთრება ხომ ხელშეუხებელია და რა უფლებით შეიქრნენ ცოცხალი ადამიანის ბინაში?.. ამან კიდევ საიდან მოიტანა, მოკლესო, თუმცა გიუსიგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამისთვის ყურადღება არ უნდა მიექცია და ვითარებაში გასარკვევად გადაწყიტა, მამიდასთან მისულიყო. ჭავჭავაძის ქუჩით რუსთაველზე ჩავიდა და აქ უცხოელების სიმრავლემ გააკვირვა — ზანგები, არაბები, ინდოელები, თურქები ტურისტებს არ ჰგავდნენ და ისე საქმიანად მიღი-მოდიოდნენ, თითქოს მუდამ აქ ცხოვრობდნენ. უნინ რუსთაველზე, როგორც წესი, ნაცნობებს ხვდებოდა ხოლმე, ახლა კი ერთი ნაცნობიც ვერ ნახა, მხოლოდ ვიღაც შავკეპიანმა კაცმა რაღაც უცნაურად გამოხედა და თვალიც კი გამოაყოლა, ალბათ, იცნო, მან კი ვერა. ძველი, ნაცნობი ჭადრების ნაცვლად ჯუჯა ხეები ჩაერგოთ, ერთმანეთის მიყოლებით ინგლისურწარწერიანი ძვირფასი მაღაზი-

ები, კაფე-ბარები, რესტორნები და უცხოური ოფისები ჩაემწყრივებინათ, მხოლოდ დამკრძალავი ბიუროს აპრაზე ენერო ქართულად – „საიქიო“, ქვემოთ კი – კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო, რაც ასევე ცუდად ენიშნა. მერე თავის მშობლიურ, პირველ სკოლას ჩაუარა და უნებლიერ, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი ოპოზიციის ხალხმრავალ მიტინგზე აღმოჩნდა. ქელებსაშვილი, საერთოდ, აპოლიტიკური ადამიანი იყო, რაც უშუალოდ მას არ ესტოდა, დიდად არ აინტერესებდა და რუსეთში მყოფმა წესიერად არც კი იცოდა, საქართველოში რა ხდებოდა. **მოვითხოვთ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს!** – ენერა შენობაზე გაკრული ნაჭრის ზოლზე და, მართალია, ტრაპუნაზე გამოსული ორატორების ხმა აქამდე ვერ აღწევდა, მაგრამ ისინიც, ეტყობა, იმავეს ითხოვდნენ, თუმცა ამას თავისი გასჭირვებოდა და, ის იყო, წასვლა დააპირა, რომ თავისი კლასელი ხოჯავა შენიშნა.

– იაგო, როგორა ხარ, კაცო? – გახარებული გადაეხვია, სულ არ შეცვლილ-ხარო, გაულიმა, მერე მისკენ მიიწია და ხმადაბლა შეეკითხა, გავიგე შენი ამბავი და მართალი თუაო. სხვებისგან განსხვავებით, ეტყობა, მოერიდა, ცოცხალი ადამიანისთვის პირდაპირ ეკითხა, ნუთუ ცოცხალი ხარო. ის-ის იყო, დააპირა, ხოჯავასთვის საქმის ვითარება აეხსნა, რომ უეცრად ხალხმა იხუვლა, ძირს პრეზიდენტიონ, ხოჯავაც აჰყვა და მისთვის ყურადღება ალარ მოუქცევია. ალექსანდრეს ბალში ჩაუხვია, მოეჩვენა, რომ ვიღაც აეკიდა, მერხზე ჩამოჯდა, ირგვლივ თვალი მოავლო, მაგრამ საეჭვო ვერავინ შენიშნა, ცოტა ხანში კი მერხზე – ყოველ შემთხვევაში, იაგომ ასე შეიცნო – ის შავკებიანი ჩამოუჯდა, რუსთაველზე თვალი რომ გამოაყოლა. როგორც ჩანს, მიტინგიდანვე უთვალთვალებდა, თუმცა ბალიდან გამოსულს ის ალარ შეუმჩნევია. მშრალ ხიდზე გადავიდა და ნაცნობი

სახლის ფასადზე უზარმაზარი, წითელი ასოებით გამოყვანილი ისევ ის ნარწერა დაინახა – **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**. აქაცო, გაუკვირდა და იმის იმედით, რომ ეს ყველგან არსებული მოძრაობა მამიდამისის ბინაში არ იქნებოდა, სადარბაზოში შევიდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა – მეორე სართულზე, ნაცნობი ბინის კარზე იგივე ნარწერა ამოიკითხა. ოთახშიც, კედელზე, პრეზიდენტ სადლობელაშვილის სურათი დახვდა, კომპიუტერთან კი თმაგაჩერილი ქალიშვილი, მონიტორისთვის თვალის მოუწყვეტლად რომ ჰქითხა რა გნებავთო.

– თქვენ თვითონ რა გნებავთ მამიდაჩემის ბინაში?

– აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისია, – მისკენ მოუხედავად და ისე დამაჯერებლად განაცხადა, თითქოს ყველაფერი მართლაც ასე უნდა ყოფილიყო.

– ეს მამიდაჩემის ბინაა და საინტერესოა, თქვენ როგორ მოხვდით აქ?

– აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისია, სრულიად საქართველოს მმართველი პარტიის ოფისი, გასაგებია?!

– გაიმეორა მუქარით და თქვენ კი აპსოლუტურად უსაფუძვლოდ აცხადებთ ვიღაც მამიდის ბინაო, დაამატა.

– ვიღაცის კი არა, მამიდაჩემის ბინაა, მა-მი-და-ჩე-მის, გასაგებია?! – ხმას აუნია.

– ყველამ თავის იმნაირ მამიდას მიხედოს, – წარმოთქვა სხვათა შორის, ისე, რომ მისკენ არც გამოუხედავს. იმნაირში, ცხადია, ბოზმამიდა იგულისხმა. ამის ატანა უკვე შეუძლებელი იყო, თავხედი და უზრდელი ყოფილხარო, მიახალა და გუნდებაში ამასაც მიაგინა.

– ნუ იგინებით, მოქალაქევ, თორემ დაცვას გამოვიძახებ და მიგაბრძანებენ, სადაც საჭიროა. – საგინებელი კი იყო, მაგრამ ხმამაღლა ნამდვილად არ შეუგინებია და გაუკვირდა, ფიქრს როგორლა მიმიხვდაო. მთელი ამ დიალოგის განმავლობაში ამ თავხედს მონიტორისთვის

თვალი არ მოუწყვეტია. ამნაირს მაინც ვერაფერს გააგებინებდა, კიბეზე დაეშვა და ქუჩაში გამოვიდა. შეიძლება მამიდამ ბინა ნაცმოძრაობას მიაქირავა, მაგრამ თვითონ სად უნდა გადასულიყო, ფიქრობდა.

— ვა, იაგო, შენ ცოცხალი ხარ, კაცო?  
— მამიდამისის მეზობელი ლაუშა იყო. ვითომ რატომ არ უნდა ვიყო ცოცხალიო, ცოტათი გაბრაზდა კიდეც.

— რა ვიცი, ასე მითხრეს, მოკლესო.  
— ვინ გითხრა ეს სისულელე?  
— რა ვიცი, ვიღაცამ მითხრა. — მხრები აინურა. — შენ სად იყავი ამდენ ხანს, კაცო?

— რუსეთში. მამიდაჩემი სადაა, არ იცი?  
— ზინა?.. — გაოცებულმა რაღაც უცნაურად გამოხედა. — ზინა დიდი ხანია არ მინახავს, სადღაც გაქრა.

— იაშა ბიძია? შვილები? ყველანი გაქრენებ?

ლაუშამ რაღაც უნდობლად გამოხედა, მერე კი თითქოს თავი იმართლა, აშოტას ეცოდინება, იმან ყველაფერი იცის, უძილობა სჭირს და დღე და ღამე ტელევიზორს უყურებს.

ეზოში ლაუშამ კარგა ხანს აპრახუნა აშოტას კარზე, მერე კარს მიაწვა და შეალო. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, ტელევიზორის წინ, სავარძელში აშოტა მოკალათებულიყო.

— აშოტ, ნახე ვინ მოვიდა?...  
— ვა, იაგოჯან, შენ ცოცხალი ხარ, კაცო? — წამოდგა, ნათურა ჩართო და ხელი ჩამოართვა.

— ვერ ხედავ, რომ ცოცხალი ვარ?.. ყველა ერთსა და იმავეს მეკითხება, ცოცხალი ხარ, ცოცხალი ხარ?.. ცოცხალი ვარ, აბა რა...

— რა გენწინა, იაგოჯან, რაც ტელევიზორში გავიგონე, იმას გებნები, ნიტო შენ მოკლეს, ნიტო შენ მოკალი... ნიტო ოტ შესტი დო დევიატი, ნიტო ოტ დევიატი დო ბიატნადცატი მისცეს, გავგიუდი, მეთქი, რა დეტსკი სროკია, იაგო

მოკლეს, დვენადცატ რა არი, ჩვენ დროს მაგაზე პაჟიზნენი იყო, ვკრაინებ სლუჩარე რასტრელ. მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ, ზნაჩიტ, არავინ არ მოკლა, ტემბოლე, შენც არავინ არ მოკალი. — ამ შტერთან მაინც ვერაფერს გაარკვევდა და, ხომ არ იცი მამიდაჩემი სად არისო, შეეკითხა.

— ზინა?.. — დააზუსტა და ხანმოკლე პაჟიზის შემდეგ ხმადაბლა, სინანულით ჩაილაპარაკა, ზინა გაქრა, მე მეგონა შენ იცოდიო. სად გაქრა, რას ამბობო, ამდენი გაუგებრობის შემდეგ, რასაკვირველია, არ დაიჯერა.

— სულ შენი დარდი ჰქონდა, კაცო, მაშინ რუსეთში ლიცა კავკაზსკოი ნაციონალოსტი თუ ხარ, მორჩა. ეგონა, შენც მოკლეს, მერე უცებ გაქრა. ამბობენ საზღვარგარეთ გაიქცა.

— იაშა ბიძია, ზინას ქმარი?

— აი, იაშა, ტოჩინა გაქრა, ვერც ცოცხალი ნახეს, ვერც მკვდარი, — მისკენ მიინია, თავით ჭერისკენ მიანიშნა და გავიგე, გაიტაცესო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა და ჩუმადვე დაამატა, ამის მერე დაიწყო მაგათი უბედურებაო, მთელი ოჯახი საზღვარგარეთ გაიქცა, ნიტო გერმანია, ნიტო იტალია, ტოჩინა არავინ არ იცისო.

— ეს ნაცმოძრაობა როგორ აღმოჩნდა მაგათ ბინაში?

— სულ დაკეტილი იყო, ერთხელაც ვხედავ, წერია ნაცმოძრაობა. მეთქი, საიდან, როგორ, არავინ არაფერი არ იცის, იძახიან ჩვენი ოფისია ი ვსიო.

ამ აშოტამ ის ვერ გაარკვია, იაგო მოკლეს თუ იაგომ მოკლა და მამიდამისის ამბავს როგორდა გაარკვევდა, რაღაც ჭორები უამბო, ადამიანების ასე უგზოუკლოდ გაქრობა ვის გაუგია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მთელი ოჯახი სადღაც გაქრა. არადა, საზღვარგარეთ რატომ უნდა გაქცეულიყვნენ — იაშა ბიზნესმენი იყო და შეიძლება სულაც ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს?.. ლაუშა და, განსაკუთრებით, აშოტა ამაზე ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქოს ვიღაცის ეში-

ნოდათ. მართალია, უწინ, სანამ რუსეთში წავიდოდა, ფულის გამოძალვის მიზნით, უცხოელი ბიზნესმენებიც გაუტაციათ, მაგრამ მას მერე ოც წელზე მეტი გავიდა, ქვეყნა თითქოს დალაგდა კიდეც და წუთუ ახლაც იგივე მეორდება?.. და უშვათ, იაშა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს, მაგრამ მას რას ერჩიან, არც ფული აქვს და არც ბიზნესი, შეიძლება, სულაც ვიღაც მისი მოგვარე მოკლეს, ნაცონბებს კი იაგო ეგონათ. ამდენ ხანს რომ არ გამოჩენილა, ალბათ, ზინასაც მკვდარი ეგონა, არადა, იმ ნაბოზარმა როგორ გაუბედა, ყველამ თავის ბოზმა-მიდას მიხედოსო. საიდნ მოეთრნენ ეს თავხედები, ჯერ მის ბინაში შეიქრნენ, ახლა მამიდამისის ბინა მიითვისეს. იაგო ქლებსაშვილი მაგათ მართლა მკვდარი ხომ არ ჰერინიათ?.. ამ ფიქრებში ელბა-ქიძის დაღმართი ჩაიარა და აღმაშენებლის გამზირზე გავიდა. რუსთაველივით ესეც იმდენად შეცვლილი დახვდა, რომ ძლივს იცნო, წამლად ერთი ხეც აღარ დაეტოვებინათ, შენობების ფასადები კი სხვადასხვაფრად იყო შეღებილი. ერ-თმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ძვირფასი მაღაზიების, კაფე-ბარებისა და რესტორნების აპრეზზე ინგლისური, ჩი-ნური, თურქული და არაბული წარწერები მოხვდა თვალში და მხოლოდ ერთადერთ ტუალეტს ამშვენებდა ქართული წარწე-რა – **საზტუალეტი**, ქვემოთ კი იგივე – ინგლისურად. აქაც ბევრი შავკანიანი და ათასი ჯურის ხალხი მოძრაობდა, ტუ-რისტისა რომ არაფერი ეტყობოდათ, და ერთი წაცნობი სახეც კი ვერ ნახა, ძველი პლეხანოვისგან აქ თითქმის ალარაფერი იყო დარჩენილი. მერე შეროზიას ქუჩა-ზე შეუხვია და გაოცებული მიაჩირდა ბიძამისის სახლის ფასადზე გამოკრულ უზარმაზარ, უკვე წაცნობ წარწერას – **ერთიანი წაცნონალური მოძრაობა**, მთა-ვარი საარჩევნო შტაბი. ეგონა, რომ ესე-ნი აქაც, ბიძამისის ბინაშიც იქნებოდნენ და, მართალია, შეცდა, მაგრამ იქ უარე-სი დახვდა: გაოგნებულმა ბიცოლამისმა

ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, ჩქარა შემო-დიო, ჩაილაპარაკა, კარის ლიობში გაიჭ-ვრიტა, ეტყობა, დარწმუნდა, რომ არავინ უთვალთვალებდა, კარი ჩარაზა, მცირე ხანს ისე შეჰყურებდა, თითქოს პირვე-ლად ნახა, მერე კი მკვანედ უსაყვედურა სად დაიკარგეო. ცოცხალი თუ იყავი, ერ-თხელ მაინც როგორ არ შეგვატყობინე, შენი გამოისობით ბიძაშენი ციხეში იტან-ჯებაო. ციხეშიო, გაუკვირდა, კი მაგრამ, მე რა შუაში ვარო?.. ბიძაშენს რომ შენი მკვლელობა დააბრალეს, წუთუ შენ არა-ფერი გაგიგიაო, უსაყვედურა და მისი გა-ოგნებული სახის შემყურემ, შენი მოკვლა დააბრალეს, შენიო, დააზუსტა. არადა, რადგან გავრცელდა ხმები მისი მკვლე-ლობის შესახებ, ვიღაცისთვის ხომ უნდა დაეპრალებინათ ეს მკვლელობა, მაგრამ ბიძამისს თუ დააბრალებდნენ, ამას ვე-რასდროს წარმოიდგენდა. ვინ დააბრა-ლაო, იყითხა და აქ უცნაური რამ მოხდა: ჩშშ... ბიცოლამ ტუჩებზე თითო მიიფა-რა, მისკენ მიინია, იმათო, წაიჩურჩულა და თავით ჭერისკენ მიანიშნა.

– ვინ იმათ, ქალო, ამოიღე ხმა! – ეტ-ყობა, ხმამაღლა მოუვიდა, იმან თითო ისევ ტუჩებზე მიიფარა, ჩშშ... გვისმე-ნენო, ირგვლივ თვალი მოავლო და ზე-მოთ მიანიშნა, ალბათ, ვიღაც მაღალჩი-ნოსანი იგულისხმა, მერე კი უამბო, რომ ბიძამისი ღამე სოდში წაიყვანეს, ბიზნე-სის და ქონების ჩუქება მოსთხოვეს, მაგ-რამ არ ქნაო, ამის შემდეგ ღამლამიბით ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ, მერე კი მისი მკვლელობა დააბრალეს და უკვე ხუთი წელია ციხეში იტანჯება, ქარხანა და მთელი ქონება დაუყადალესო. იაშას, მამიდამისის ქმარსაც იგივე დამართეს: ღამე წაიყვანეს, ბიზნესის ჩუქება მოს-თხოვეს, მაგრამ არ ქნა, ემუქრებოდნენ და ერთ დღესაც სადღაც გაქრაო. მერე მამიდამისსაც ურეკავდნენ და ემუქრე-ბოდნენ, თუ ბიზნესს სახელმწიფოს არ აჩუქებ, თქვენს ბიჭებს დავიჭერთო და იძულებულნი გახდნენ, საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ. მაინც არაფერი შეგვარ-

ჩინეს, ნეტავი, თავიდანვე ეჩუქებინათ და ამ უბედურებას გადავრჩებოდითო, დაიჩივლა საცოდავმა, ბოლოს კი ისე იყითხა, ვისი გაკეთებულია ახლა ესო, რომ ცხადია, იცოდა, ვინც გააუბედურა, მაგრამ შემიტ ვერ ამხელდა.

— ვისი და ამ ნაციონალების, მაგათი...  
— გინების მიყოლება უნდოდა, მაგრამ ტუჩებზე ხელი ააფარა და ჩვენ ზემოთ მაგათი ოფისიაო, უჩურჩულა, ხოლო როცა მისი ბინის ამბავი გაიგო, კიდევ უფრო მეტად შეშინდა, სამზარეულოში გაიყვანა და ხმადაბლა გაანდო, რომ ცყავთ ადვოკატი, რომელმაც ბიძაშენის გამართლება ჯერჯერობით ვერ მოახერხა, მაგრამ, რახან ცოცხალი აღმოჩნდი, იმის გათავისუფლებას წინ რაღა დაუდგებაო, თითქოს, თავისივე თავი დააიმედა და — შენც დაგეხმარება ბინის დაბრუნებაშიო.

ღამე თავს დატეხილ გასაჭირზე ფიქრობდა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა, მერე ჭიჭო, ლაუშა და აშოტა დაესიზრა, ნუთუ ცოცხალი ხარო, ეკითხებოდნენ. ხომ ხედავენ, რომ ცოცხალი ვარო, ბრაზობდა, შეშინებული ბიცოლამისი კი რაღაცას ეჩურჩულებოდა და თითს ჭერისკენ იშვერდა, ხოლო აყირავებულ როიალთან გალიმებული დედამისი იდგა და ლოცავდა, მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხარო. ამან საიდანლა გაიგოო, უკვირდა, მერე შავპერანგიანმა ბეხლებნმა, გაეთრიე შენი ბინიდანო, ხელი ჰკრა და... გაეღვიძა. სიზმარში დედამისის გამოცხადება ცუდად ენიშნა, მერე გაახსენდა, რომ სწორედ დღეს, თექვსმეტ თებერვალს გარდაიცვალა და ეს რა დღეში ჩამაგდეს ამ გარეწრებმა, დედაჩემის გარდაცვალების დღეც კი დამავიწყესო.

საბურთალოს სასაფლაოზე კიდევ ერთი უსიამოვნება დაემატა — დედამისის საფლავისკენ მიმავალმა გრანიტის უზარმაზარ შავ ლოდზე ოქროსფერი ასოებით ამოკვეთილი თავისი გვარ-სახელი და დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი დაინახა და თვალებს არ დაუჯერა:

## იაგო ქელებსაშვილი 1959-2002

არადა, ცოცხალი კაცი თითქოს საკუთარ საფლავთან იდგა. ხომ იცოდა — მისი ნამდვილად არ იყო, მაგრამ მაინც რაღაც უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა, მერე ივარაუდა, რომ ეს შეიძლება სწორედ, მისი მოგვარე ეგონათ, თავად იაგო და მოკლულადაც ამიტომ ჩათვალეს. ამ უცნაური დამთხვევით კიდევ უფრო მეტად გულდამძიმებულმა სასაფლაო დატოვა და ადვოკატთან შესახვედრად გაეშურა.

ადვოკატ ნემსინვერიძის ოფისი ქალაქის ცენტრში, მაღალი შენობის პირველ სართულზე იყო განთავსებული, აბრაზე „საადვოკატო ბიურო, ნემსინვერიძე, ყუნირეიშვილი“, ამოკითხა, ზარის ღილაკს დააწვა. შემობრძანდითო, მოესმა, კარი გაილო და საკმაოდ დიდ ოთახში აღმოჩნდა. გამხდარი ახალგაზრდა კაცი წამოდგა, გარსევან ნემსინვერიძედ გაეცნო და დაბრძანდითო, სკამზე მიანიშნა. ამას არაფრით გამორჩეული, ერთი შეხედვით, ძნელად დასამახსოვრებელი სახე ჰქონდა, მეორის ბრტყელ, სარკესავით პრიალა კეფაში კი, რომ მოენდომებინა, თავის ანარეკლს დაინახავდა, მაგრამ უფრო იმან გააკვირვა, რომ მისკენ არც გამოუხედავს, მაგიდაზე რაღაცას ჩაჩერებოდა, ალბათ, კითხულობდა ან ღრმა ფიქრებში იყო წასული. ნემსინვერიძემ მოკლედ გააცნო ბიძამისის საქმე, ბოლოს კი დასძინა, იშვიათი შემთხვევაა, ცოცხალი კაცი მოკლულად ითვლებოდეს, მსგავსი არაფერი შემხვედრიაო. ერთხანს ფიქრობდა, მერე გამომძიმებელივით ისე დაუინებით მიაჩერდა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მართლაც, ცოცხალია და ასეთი უცნაური კითხვა დაუსვა: ნუთუ არ გაგიგიათ, რომ ბიძათქვენი სწორედ თქვენი მკვლელობისთვის გაასამართლესო და ყოყმანი რომ შეატყო, თითქოს თავი იმართლა, არასწორად არ გამიგოთ და იმისთვის, რომ ეფექტურად დავიცვა ჩემი კლიენტები, ყოველთვის სიმართლე უნდა ვიცოდე, თუნდაც ეს ენინააღმდე-



გებოდეს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებსო. აქ რომ ჩამოვედი, მხოლოდ მაშინ შევიტყვე, რომ თურმე მოკლული ვიყავიო, ხუმრობა სცადა, მაგრამ ეს მაინც არ მოეშვა და – ხომ ყოვლად წარმოუდგენელია, ოცი წლის განმავლობაში არავის შეეტყობინებინა, რომ პიძათქვენს თქვენი მკვლელობა დააბრალესო. როგორც ჩანს, არ დაუჯერა და ეს შეკითხვა გამოტეხვის მიზნით დაუსვა. ამან მე უნდა დამიცვას თუ ისინიო, გაიფიქრა და რადგან სხვა პასუხი ვერ მოძებნა, სამწუხაროდ, ასეაო, ჩაილაპარაკა, თუმცა ასეთმა პასუხმა, ეტყობა, ვერ დააკმაყოფილა და, ალბათ, მართლა, მოკლული ეგონეთ და მკვდარს ხომ არ შეგატყობინებდნენო, როგორც ჩანს, იხუმრა, თორმე იურისტი კაცი ასეთ აბსურდულ დასკვნას როგორ გააკეთებდა, გაიფიქრა, მაგრამ ამან საქმიანი საუბარი განაგრძო, უზენაეს სასამართლოში საჩივრის შეტანას აპირებდა საქმის გადახედვის მოთხოვნით იმ ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, მოკლულად მიჩნეული ცოცხალი რომ აღმოჩნდა, და დაპირდა, რომ მის პინასაც მიხედავდა. რაც შეეხება იაშა ჩაჩავას, მამიდათქვენის ქმარს, მის ინტერესებს ჩემი კოლეგა, ელგუჯა ყუნწირეიშვილი დაიცავსო, ბრტყელკეფიანზე მიანიშნა, მაგრამ ის არც კი განძრეულა. კოლეგას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმე აქვს აღეჭული და დაცვისთვის ემზადებაო, თითქოს იმის ნაცვლად მოუბოდიშა.

ნემსინვერიძემ, დაპირებისამებრ, სასამართლოში განცხადება შეიტანა და იაგომაც დანიშულ დღეს სასამართლოს მიაკითხა. უზენაესი სასამართლო მთანმინდაზე, იმავე ძველებურ, ლამაზ შენობაში იყო განთავსებული, ოლონდ აბრაზე დიდი, ოქროსფერი ასოებით ეწერა – საქართველოს ერთიანი ნაციონალური უზენაესი სასამართლო. ნუთუ აქაც ესენი არიანო, გაიფიქრა. მიმღებში მჯდომამა გოგომ მისი პასპორტი გაშალა და ამრეზით ამოხედა, დაბლვერილმა დაცვის

თანამშრომელმა კი ეჭვით შეათვალიერა, პიჯაკის ჯიბეებზე ხელი მოუსვა, შარვლის ტოტებს ზემოდან ქვემოთ ხელისგულები ჩამოაყოლა, ბოლოს მკლავებზე ხელები რატომდაც ძალიან მაგრად მოუჭირა, როგორც ჩანს, თავისი ძალა აგრძნობინა, სწრაფად გაიარეო, მიუგდო, გასასვლელისკენ უბიძგა და ისეთი შეგრძნება გაუჩინდა, რომ აქედან შეიძლება ველარც გაელნია. მესამე სართულის 33-ე ოთახზე ეწერა – თავმჯდომარის უფროსი თანამშემწე ფრიდონ ხუსუნი, მისაღებში კი, კომპიუტერთან, იმ თავხედებივით თმაგაჩილი ქალიშვილი იჯდა, თუმცა ამან გამოხედვა მაინც იკადრა და შედით, გელოდებიანო, ჩაილაპარაკა. უზარმაზარ ოთახში, ძველებურ საწერ მაგიდასთან მჯდომი ძალიან სუფთად გაპარსული, უტუჩი ახალგაზრდა მაშინვე წამოდგა, ხელი ჩამოართვა, დაბრძანდითო, სავარძელზე მიანიშნა, ამ დროს საკეტმაც გაიჩხაუნა, როგორც ჩანს, კარი გარედან ჩაკეტეს და აქედან შეიძლება ველარც გავაღნიოთ, ისევ ეს გაიფიქრა.

– ნუ გეშინიათ, მხოლოდ იმიტომ ჩავრაზე, ვინმემ რომ არ შეგვანუხოს, – დაამშვიდა და გაუკვირდა, იმ თავხედი ქალიშვილივით ფიქრს რომ მიუხვდა. – შეგიძლიათ გულაბდილად ისაუბროთ, უცხო აქ არავინ შემოვა, – თითქოს ვიღაც სხვამ უთხრა, ტუჩები ოდნავალაც არ გატოკებია, უმოძრაო, ნახევრადგახელილი თვალებით მოსჩერებოდა, ეტყობა, დამძიმებული ქუთუთოების აწევა უჭირდა.

– მე პიძაჩემის, არჩილ ნებიერიძის საქმეზე განუხებთ, სასამართლომ მას ჩემი მკვლელობა დააბრალა, – მცირე ხანს დააყოვნა, ამ იშვიათი, ალბათ, ერთადერთი საქმის შესახებ ხუსუნის რეაქცია აინტერესებდა, მაგრამ ამას არანაირი ემოცია არ შესტყობია და სინამდვილეში ჩემი მოკვლა არც უფიქრიაო, გააგრძელა, ცოცხალი ვარ და ამ ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე საქმის გადახედვას ვითხოვო. ხუსუნიმ ყურადღებით მოუსმინა და მენტორული

ტონით უსაყვედურა: – ტყუილად არავის არაფერს არ აპრალებს ჩვენი სასამართლო და მხოლოდ მტკიცებულებებით აბსოლუტურად გამყარებული განაჩენები გამოაქვს დანაშაულის ან უდანაშაულობის შესახებ, განსასჯელებთან მიმართებაში, რასაკვირველია. – ერთხანს მის განცხადებას ჩასჩერებოდა, მერე კი ასეთი უცნაური შეკითხვა დაუსვა: – შეეცადეთ, გაიხსენოთ, სად, როდის და რავითარებაში მოხდა თქვენი მკვლელობა? – უცებ ამოქედა და იმისი უმოძრაო ტუჩების შემყურეს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს შეკითხვა ამან კი არა, ვიღაც უხილავმა დაუსვა და თქვენ, ეტყობა, ვერ გამიგეთო, ჩემი მკვლელობა საერთოდ არ მომხდარა, აგერ ვარ ცოცხალი კაციო.

– ძალიანაც კარგად გავიგე ყველაფერი. მე გეკითხებით თუ სად, როდის და რა ვითარებაში მოხდა მკვლელობა საქმის მასალებიდან გამომდინარე, ანუ, უბრალო ენით რომ ვთქვათ, საქმეში რა წერია-მეთქი, ამას გეკითხებით. კი მაგრამ, მკვლელობა თუ არ მომხდარა, მკვლელობის ადგილი როგორლა იარსებებსო? – გაუკვირდა.

– მოსამართლემ თუ ჩათვალა, რომ ჩადენილია მკვლელობა, საქმეში აუცილებლად იქნება მითითებული სად, როდის და რა ვითარებაში მოხდა ეს მკვლელობა. – ერთხანს მის განცხადებას ისე ჩასჩერებოდა, თითქოს პასუხი იქ უნდა ამოეკითხა და ბრალდებულს თუ იცნობდითო, ასეთი კიდევ უფრო უცნაური შეკითხვა დაუსვა. როგორ არ ვიკონბდი, ბიძაჩემიაო, გაუკვირდა, ამის შემდეგ კი სრულიად უაზრო რამ ჰკითხა, ასე დარწმუნებული რატომ ხართ, რომ თქვენი მოკვლა არ უფიქრია ბიძათქვენს, ფიქრების ამოკითხვის უნარი გაქვთო? არა მარტო ფიქრებს, ზოგჯერ აზრებსაც ვკითხულობო, იხუმრა. აზრებსაც თუ კითხულობთ, მაშინ იმასაც შეიტყობდით, რომ სწორედ თქვენი მკვლელობისთვის გაასამართლეს ბიძათქვენიო. ოცი წელი

რუსეთში ვიყავი და ამ სიშორეზე მიჭირს აზრების ამოკითხვაო, ისევ იხუმრა, მაგრამ ამას არც გაულიმია და რუსეთში რას აკეთებდითო, სახე გაუმცაცრდა. საქმეზე ვიყავი, მერე ქართველების დეპორტაცია დაიწყო და ყველანი გამოგვყარესო.

– კიდევ კარგი, რომ უარესი არ გიქნეს, – როგორც ჩანს, გული დასწყდა, უარესი რომ არ უქნეს და ამაზე მეტი რაღა უნდა ექნათო, გაიკვირვა.

– არ უქნიათ თუ რა?.. ან ნარკოტიკს ჩაგიდებენ, ან მკვლელობას დაგაბრალებენ, უკიდურეს შემთხვევაში, გამხმარტოზე ჩამოგყიდებენ ცალი ფეხით, სანამ სისხლი არ ჩაგექცევა ტვინში. – „ცალი ფეხით“ და „ტვინში“ ხაზგასმული მუქარით, ეტყობა, მისი მისამართით წარმოთქვა.

– აյ ამაზე უარესი არ დამმართეს?.. ჩემს და მამიდაჩემის ბინებში ნაციონალები შეიჭრნენ, მოსამართლემ ბიძაჩემს ჩემი მკვლელობა დააბრალა, მაგრამ ჩამოვედი და ჩემი მკვლელობა არ დადასტურდა.

– ისევ გიმეორებთ, რომ ტყუილად არავის არაფერს არ აპრალებს ჩვენი სასამართლო, ხოლო რაც შეეხება იმას, თითქოს არ დასტურდება თქვენი მკვლელობა, ეს შეიძლება ითქვას, იურიდიული ნონსენსია, თქვენ მხოლოდ „დე ფაქტო“ ხართ ცოცხალი, „დე იურე“ კი თქვენთან მიმართებაში ჩადენილია მკვლელობა, ანუ, უბრალო ენით რომ ვთქვათ, სასამართლომ მხოლოდ დაადასტურა თქვენი მკვლელობა და, შესაბამისად, თქვენ უკვე დიდი ხანია ტრუპი ხართ, გასაგებია, ტრუპი. – „ტრუპი“ ძალიან ჩუმად წარმოთქვა, სრულიად უფერული, უმოძრაო თვალებით მიაჩერდა, რაც ფარულ მუქარად აღიქვა, თუ არ გაჩერდები, ტრუპი გახდებიო, თავისი საფლავის ქვაც გაახსენდა, გული ხომ ისედაც აწუხებდა და ამდენმა უსიამოვნებამ და ნერვიულობამ, ეტყობა, მაინც თავისი ქნა, გული რაღაც უჩვეულოდ მოეკუმა, უცებ ისეთი სისუსტე შეეპარა, სავარძლიდან წამოდგომაც

კი გაუჭირდებოდა და ამ რეგვენის წინაშე რომ არ წამხდარიყო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ნელა გაიმართა და, კი მაგრამ, მე სინამდვილეში ხომ ვარ ცოცხალიო, თავის თავს ისე ჩაეკითხა, თითქოს ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ მართლაც ცოცხალი იყო.

– მოსამართლემ უკეთესად არ იცის, თქვენ ცოცხალი ხართ თუ მკვდარი? – ხუხუნის დამცინავმა ღიმილმა გადაჰკრადა ასეთი ცინიზმით გაოგნებულმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე ცოტათი სული მოითქვა და თავად შეუტია.

– თქვენს მოსამართლეს ძალიანაც უნდა, რომ მკვდარი ვიყო, მაგრამ მე, გინდა ასე და გინდა ისე, ცოცხალი ვარ და ბიძაჩემი, უდანაშაულო კაცი, ჩემი, ცოცხალი ადამიანის მკვლელობისთვის ციხეში რატომ უნდა იჯდეს?

– ათი უდანაშაულოს დასჯა ჯობს ერთი დამნაშავის დასჯას, – ისე განაცხადა, თითქოს შეუვალ ჭეშმარიტებას ღალადებდა. – ჩვენი პრეზიდენტის გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ციხეში უნდა წავიდეს ყველა. უდანაშაულობი თუ დაისჯიან, პოტენციურ დამნაშავებს შეიძი გაუჩინდებათ, უდანაშაულოებს სჯიან და ჩვენ მით უმეტეს დაგვსჯიანო და აღარ ჩაიდენენ დანაშაულს. ასე რომ, პრევენციულ ხასიათსაც ატარებს ეს ნულოვანი ტოლერანტობა. – ეს დემაგოგია ისე მტკიცედ და დამაჯერებლად წარმოთქვა, რომ მასთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა და რადგან საქმის გადახედვის იმედი უკვე გადაწურული ჰქონდა, ინანა, რისთვისძა მოვედიო, თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, უფრო კი თავის დასამშვიდებლად, რომ ყველაფერი იღონა, უნინდელი თხოვნა მაინც გაუმეორა, რადგან ცოცხალი აღმოვჩნდი, შეიძლება, საქმის გადახედვის იმედი მქონდეს ამ ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე.

– ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ შეიძლება ჩაითვალოს ეს, ვინაიდან გასულია ხანდაზმულობის ვადა. აი, თქვენი

გვამი რომ აღმოეჩინათ, ეს სხვა საქმეა.

– ცოცხალი ადამიანის ანუ ჩემს გვამს როგორლა აღმოჩენდნენო, გაუკვირდა.

– მე არ მითქვამს რომ თქვენი გვამი აღმოაჩინეს, რომ აღმოეჩინათ-მეთქი, – მცირე ხნით ჩაფიქრდა და, თუმცა ხანდაზმულობის ვადა აქაც მოქმედებსო, დაამატა. ნუთუ გვამის აღმოჩენასაც აქვს ხანდაზმულობის ვადაო, გაიკვირვა.

– ყველაფერსა აქვს თავისი ხანდაზმულობის ვადა, გარდა?.. – შეკითხვის ნიშნად საჩვენებელი თითო აღმართა და თავადვე უპასუხა: გარდა ჭაჭისაო. – გიყვარს ჭაჭა?

საუბრის ასეთ შემობრუნებას ნამდვილად არ ელოდა და დაბნეულმა, ისე რაო, თავისთვის ჩაიღლაპარაკა.

– ჭაჭა არ გიყვარს კახელ კაცს?

– სხვათა შორის ჩემი დიდი პაპისპაპა ხუხია იყო, მაგრამ თავის დროზე ქელეხი ორჯერ გადაუხადეს და მას მერე ქელეხსაშვილები გავხდით. – ქელეხი ორჯერო, გაიკვირვა.

– ერთხელ მკვდარი ჰეგონებიათ და ქელეხიც მაშინ გადაუხდიათ, მეორედ მართლა მომკვდარა, მაგრამ არ დაიჯერეს, გვატყუებსო, მერე კი დარწმუნდნენ და ქელეხიც გადაუხადეს მეორედ.

– მეგრელი ყოფილხარ, გამოდის, თანაც ხუხია, – ღიმილი გადაეფინა და სახეც თითქოს გაუნათდა. – გესმის მეგრული? – არაო. არ ყოფილხარ ნამდვილი მეგრელიო, ისევ მოიღუმა და ცოტა ხნის მერე, როგორც ჩანს, ტყუილში გამოსაჭრად უწინდელი შეკითხვა გაუმეორა, მართლა არ იცოდი, რომ შენი მკვლელობისთვის გაასამართლეს ბიძაშენი? რომ მცოდნოდა, როგორ ფიქრობთ, არ ჩამოვიდოდი?

– მე რასაც ვფიქრობ, ეს სხვა საქმეა, შენ ის მითხარი, ამდენ ხანს რას აკეთებდი რუსეთში?

– ატომური იარაღის მკაცრად გასა-

იდუმლობულ ქარხანაში ვმუშაობდი, – თავს უკეთ გრძნობდა და ხუმრობა სცადა.

— შენ დაბომბე ხიროსიმა? — როგორც იქნა, აჟყვა ხუმრობაში.

— მე ხომ მკვდარი ვიყავი და რანაირად დაგბომბავდი? — მგონი შემოვაპრუნეო, იფიქრა, მაგრამ შეცდა.

— „დე იურე“ კი, მაგრამ „დე ფაქტო“ ხომ იყავი ცოცხალი? — არ გაუღიმია და გაუგბარი დარჩა, ხუმრობითვე უპასუხათუ კვლავ ის უაზრო არგუმენტი გაუმეორა. ერთხანს მის განცხადებას ჩასჩერებოდა, მერე კი იმედი საბოლოოდ გადაუწურა, შენს საქმეზე არცყი ვიცი რა გითხრაო, ჩემზე არაფერია დამოკიდებული, მაგრამ იმედს მაინც ნუ დაკარგავო, დაემშვიდობა და ჩაკეტილი კარი გაულო.

პირველ სართულზე, მისაღებში, იმ გოგომ პასპორტი ისე მიუგდო, არც შემოუხედავს, დაბლვერილმა დაცვამ კი ისევ გაჩერიკა და, ალბათ, მის გასარკვევად, რამე ხომ არ მოვიპარეო, ივარაუდა გაკვირვებულმა, მერე გასასვლელისკენ ხელი რამდენჯერმე ისე ენერგიულად გაუქნია, თითქოს უხმოდ უბრძანა, დროზე გაეთრიეო. გარეთ გაღწეულმა, მართალია, შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მოეჩვენა, რომ ვიღაც აედევნა. დროდადრო უკან იხედებოდა, რომელილაც სადარბაზოშიც კი შევიდა და იქიდან აკვირდებოდა, თუმცა საეჭვო ვერავინ შენიშნა და გზა განაგრძო.

ამ დემაგოგი ხუხუნის ლოგიკით ასე გამოდის, რომ იაგო ცოცხალიცაა და მკვდარიც, თუმცა ამათოვის, ყველას-თვის მკვდარი იაგო უფრო ხელსაყრელია, იმიტომ რომ მკვდარს აღარ გაუწინდებოდა პრეტენზია, ცოცხალი ვარო, ბიძამისიც მკვლელობის ბრალდებით ციხეში დარჩებოდა, იმ გარენარ მოსამართლეს და ხუხუნს თავის უფროსებიანად აღარავინ შეაწებებდა განცხადებებითა და საჩივრებით. აკი უთხრა კიდეც, უკვე ტრუპი ხარო, მაგრამ ამათ ჯინაზე არ მოკვდება და სანამ ცოცხალია, არ შეარჩენს არც თავის და არც მამიდამისის ბინას და იმ უდანაშაულო კაცის დასჯას...

ამ ფიქრებში რუსთაველის გამზირზეც გავიდა და ისევ პარლამენტის წინ მიმდინარე ოპოზიციის მიტინგზე აღმოჩნდა. ამჯერად აქ კიდევ უფრო მეტი ხალხი შეკრებილიყო, ძლივს გაიკაფა გზა პარლამენტის შენობისკენ. გაზონზე გამოფენილი ახალგაზრდების გადიდებული ფოტოსურათები და ასეთი წარწერა დაინახა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ქუჩაში დახოცილი ახალგაზრდები, ქვემოთ კი მათი ფოტოსურათები და ვინაობა. ტრიბუნაზე გამომსვლელი თავიანთ გასაჭიროს ჰყვებოდნენ, ზოგიერთს ქმარ-შვილი მოუკლეს, ქონება წაართვეს, სხვებს ოჯახის წევრი უკანონოდ დაუპატიმრეს... ყველა ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობაზე ჩიოდა, პრეზიდენტის გადადგომასა და ვადამდელ საბარლამენტო არჩევნებს ითხოვდა. რაც უფრო მეტ გამომსვლელს უსმენდა, მით უფრო მატულობდა მისი აღშფოთება, თურმე მარტო ის არ ჩაუგდიათ ამ დღეში, მაგრამ როდესაც სათვალიანი მამაკაცი მოჰყვა, როგორ მოელეს ციხეში მისი ერთი შვილი, მეორე კი გაიტაცეს, წაართვეს ბიზნესი, ქონება და დაემუქრნენ, თუ არ გაჩუმდებოდა, მესამე შვილსაც დაიჭერდნენ. ვეღარ მოითმინა და, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხალხის წინაშე არასდროს გამოსულა, გადაწყვიტა, მოეყოლა, რაც გადახდა. ნახონ, რომ ნამდვილად ცოცხალი ვარო, ტრიბუნისკენ გზა გაიკვლია, სიტყვა ითხოვა და გამოცდილი ორატორივით ისე ემოციურად უამბო თავისი ამბავი, რომ მქუჩარე ტაში დაიმსახურა, მერე ტრიბუნის უკან დადგა და ისევ ხოჯავა დაინახა.

— იაგო, კაცო, ეს რა დღეში ჩაუგდისარ ამ ჩათლახებს. საიდან მოიგონეს, რომ მოგელეს, მე კი მეგონა, რომ შენ კაცი მოკალი და ციხეში იჯექი, — უთხრა ხოჯავამ. ვინ გითხრა, რომ ციხეში ვიჯექიო, გაბრაზდა.

— ამათ მეტი ვინ იტყოდა... მე შენზე უარეს დღეში ჩამაგდეს, მაგრამ არა უშავს, ჩატარდება არჩევნები და ჩავრეც-

ხავთ ამ მძღვანებს. ამათ პრასტიტუტკა დედებს შევეცი! – ხოჯავას ნაცვლად მას მოერიდა, ირგვლივ თვალი მოავლო და ისევ შუბლზე შავეკეჩჩამოფხატული კაცი შენიშნა, ვითომ ყურადღებით უსმენდა ტრიბუნაზე გამომსვლელებს, სინამდვილეში კი მათ საუბარს აყურადებდა, თუმცა ბიძამისის სახლისკენ მიმავალს ის ალარ შეუმჩნევია.

დაღლილს მალევე ჩაეძინა და საზარელი სიზმარი ნახა: უზარმაზარ, გამხმარ ტოტზე ცალი ფეხით იყო ჩამოყიდებული, ხუხუნი კი ხითხითებდა, დროდადრო გააქან-გამოაქანებდა და, შენ დიდი ხანია ტრუპი ხართ, უმეორებდა. ცოცხალი ვარო, ცოცხალი, იძახდა, თუმცა რაღაც გაურკვეველ ბურანში მყოფი დარწმუნებული არ იყო, რომ ცოცხალია. მე შენზე უკეთესად ვიცი, ცოცხალი ხარ თუ მკვდარიო, დაემუქრა. მე თუ მკვდარი ვარ და იქა ვარ, ესეც ხომ მკვდარი იქ, ჩემთან ერთად უნდა იყოსო, უკირდა, ის კი ისევ დაემუქრა, რატომ დამალე, რომ ბიძაშენმა შენ მოგვლაო. იმიტომ, რომ მაშინ უკვე მკვდარი ვიყავიო, თავი იმართლა. ასეც მოგიხდება, არა ხარ შენ ნამდვილი მეგრელიო, მეჩერი კბილები გამოაჩინა, მერე მისთვის თავის მოსაკვეთად განკუთვნილი უზარმაზარი, ლაპლაპა მაკატელი გააჩხაქუნა, მან კი შიშისგან ხელები კისერზე შემოიჭდო, მაგრამ ხუხუნიმ მხოლოდ თოკი გადაჭრა, იაგო თავით მიწას დაასკდა, გაელვიძა... და გაუხარდა, რომ ცოცხალია, მერე ამ სიზმარზე ფიქრში დაათენდა.

იმ საზარელ სიზმარზე ფიქრი ვერც მეორე დღეს, ადვოკატის ოფისისკენ მიმავალმა მოიცილა, თვალწინ სულ მოხითხითე ხუხუნი ედგა და უკვე ტრუპი ხარ, ტრუპიო, უმეორებდა.

ნემსიწვერიძე თავის მაგიდასთან რაღაცას კითხულობდა, ყუნწირეიშვილი კი უწინდელივით ისევ ისე იჯდა, თითქოს მას მერე სკამიდან არც ამდგარა და ვერ გაიგებდი მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს კითხულობდა თუ თვლემდა. რო-

გორ არისო საქმე, იკითხა ნემსიწვერიძემ და ამანაც დაწვრილებით უამბო ხუხუნთან შეხვედრის შესეხებ.

– ხუხუნი მაგრად აფრენს, – დაასკვნა ამან, – იურიდიულზე ერთ ჯგუფში ვსწავლობდით, სამჯერ გარიცხეს ზედიზედ და ორჯერ აღადგინეს, მაგრამ მერე მაინც გარიცხეს და მგონი, საკანალიზაციო ფაკულტეტი დაამთავრა ჩარეცხვის სპეციალობით. ასეთი ჩამრეცხავები რომ მუშაობენ მართლმასჯულებაში, იმიტომაცა კარგად ჩვენი საქმე. – ჩაფიქრებული ერთხანს მაგიდას ჩასჩერებოდა, მერე თანაგრძნობით გამოხედა, ყველაფერი გასაგებიაო, ჩაილაპარაკა, ამის შემდეგ კი, ცოტა არ იყოს, უცნაური მონოლოგი წარმოთქავა: – მაგათავის თქვენ უკვე დიდი ხანია მკვდარი ხართ, რადგან თავად წყვეტენ, ვინ დარჩება ცოცხალი და ვინ არა – სასამართლოც მაგათა, პროკურატურაც, პოლიციაც, სოდიც, კუდიც, კაზინოც, ბორდელიც და თქვენ წარმოიდგინეთ, ელიტარული ტუალეტიც კი. მოსამართლეს რასაც უბრძანებენ, ისეთი განაჩენი გამოაქვს და მადლობა უნდა თქვათ, რომ ცოცხალი ხართ. მე ერთ კაცს ვიცავდი, რომელსაც მკვლელობა დააბრალეს, სასამართლო დარბაზში დაცვამ შემოიყვანა და სკამიდან რომ არ გადავარდნილიყო, გვერდში ამოუდგნენ. სახე ისეთი შეშუპებული ჰქონდა, თვალები არ უჩანდა. მოსამართლემ ჰქითხა, დანაშაულს ალიარებთო, ნახეთ, როგორი წაცემი ვარო, იმან. მაგას საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს, გაიყვანეთო, ბრძანა და შესვენება გამოაცხადა. ნახევარი საათის მერე ეს კაცი საკაცით შემოიტანეს, მოსამართლემ იგივე შეკითხვა დაუსვა და კი, ალიარებსო, უპასუხა დაცვამ. მე კი, არ გაშინებთ, მაგრამ არა მარტო ხიროსიმა, შეიძლება ნაგასაკის დაპომბვაც თქვენ დაგაბრალონ. ეს საუკეთესო შეთხვევაში, თორემ მაინცდამაინც თუ დაიუენთ, რომ ცოცხალი ხართ, შეიძლება უარესიც დაგმართონ. ესენი ამტკიცებენ, რომ თქვენ „დე იუ-

რე“ მოკლული ხართ, ეს რა თქმა უნდა, აბსურდია, მაგრამ თამაშის წესებს ისინი ადგენერ და ჩვენც იმათი წესებით უნდა ვითამაშოთ. არადა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, იმის მტკიცება, რომ ცოცხალი ხართ, მაგრამ სხვა გზა არაა და იურიდიულად უნდა დავამტკიცოთ, რომ მართლაც ცოცხალი ხართ, ამისთვის კი ისეთი საბუთი უნდა მოვიპოვოთ, რომელშიც შავით თეთრზე დადასტურებული იქნება, რომ თქვენ ნამდვილად ცოცხალი ხართ და ვეღარ შემოგედავებიან, მკვდარი ხარო, ანუ იძულებული იქნებიან ცოცხლად გაღიარონ.

— ესეც ხომ არ აფრენსო, გაიფიქრა და კი, მაგრამ ასეთ საბუთს ვინ მომცემსო, იყითხა. ასეთი საბუთი, არც კი ვიცი, ვინ უნდა მოგცეთ, ალბათ, ოჯახის ექიმმან და თავადვე უარყო, არა, მაგას ვინ ენდობაო. ამის შემდეგ სუბორდინაციის მიხედვით ჩამოთვალი ის უწყებები, რომ-ლებსაც, სავარაუდოდ, შეეძლოთ ამგვარი საბუთის გაცემა: რაიონის პოლიკლინიკა, რესპუბლიკური საავადმყოფო, მერია, ჯანდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი... ეგონა, პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტსაც დაასახელებდა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა უწყება თავადვე უარყო, ეს საკითხი მაგათ კომპეტენციაში არ შედისო. იაგო ვერ მიხვდა, ეს კაცი ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა და სახალხო დამცველზე რას იტყვითო, ყოველი შემთხვევისთვის, შეეშველა, მაგრამ ამან ესეც უარყო, ეგ ცოცხლების უფლებებს იცავს, მკვდარს რაღა დაცვა სჭირდებაო. მეც ხომ ცოცხალი ვარო, შენიშნა მორიდებით და რეალურად კი, მაგრამ იურიდიულად მოკლულად ითვლებითო, დაასკვნა და იმათი აზრითო, დაამატა. იურისტია და, ალბათ, უკეთესად იცის, ცოცხლად ვითვლები თუ მოკლულადო და ალარ შეჰქამათებია.

— სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო,  
— მოულოდნელად ნარმოთქვა ყუნწირე-

იშვილმა ისე, რომ არც განძრეულა.

— ეგ, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ გარდაცვლილებზე გასცემს დასკვნას, — შენიშნა ნემსიწვერიძემ.

— ცოცხლებზეც, — დააზუსტა იმან და ნემსიწვერიძესაც ალარაფერი უთქვაშს, ეტყობა, დაეთანხმა. მაინცდამაინც ჩემი მკვლელობა რატომ დააბრალეს ბიძარებს, ეს ვერ გავიგეო, იკითხა ცოტა ხნის მერე. როგორც ჩანს, ისედაც აპირებდნენ თქვენ მოკვლას, მაგრამ ვინაიდან ამდენ ხანს არ გამოჩნდით, უკვე მოკლულად ჩაგთვალესო, — ივარაუდა. ჩემ მოკვლას ვითომ რისთვისძა აპირებდნენო, ვერ მიხვდა, მაგრამ ზედმეტი კითხვის დასმა მოერიდა და ჩემი ბინის საქმე როგორ-და იქნებაო. ცოცხალი რომ ხართ, იქაც ეს ცნობა დაგჭირდებათო, მაგ საქმეს კი სამსონი მიხედავს, ბინები, აგარაკები, მინისზედა და მინისქვეშა შენობა-ნაგებობები და ოქროს კოშკები მაგის კომპეტენციააო.

არადა, ცოცხალმა კაცმა ისეთი ცნობა თუ მოითხოვა, სადაც შავით თეთრზე ეწერება, რომ ცოცხალია, უეჭველად გიურად ჩათვლიან, მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა დაამტკიცოს, რომ ნამდვილად ცოცხალია ან ვინ მისცემს ასეთ ცნობას?.. ადვოკატის ოფისიდან გამოსული ამ ფიქრებში იყო, როდესაც, შემთხვევით, ქუჩის მეორე მხარეს ის შავკეპიანი კაცი შენიშნა, მეორე ქუჩაზე შეუხვია და სადარბაზოში ჩასაფრდა. შავკეპიანი თუ აქეთ შემოუხვევდა, ესე იგი, მას უთვალთვალებდა. მართლაც, აქეთ შემოუხვია, აშკარად, უთვალთვალებდა, სადარბაზოდან გამოვარდა, ქურთუკის საყელოში სწვდა და მაგრად შეანჯღრია.

— რას დამყვები, კაცო, შენ, რას გადამეკიდე?

— ვინ დაგყვება, შენ გიუი ხომ არა ხარ... — შავკეპიანი ცდილობდა, გათავისუფლებულიყო, მაგრამ იაგოს მაგრად ჩაებლუჯა, რატომ მითვალთვალებ, ვინ დაგავალაო, ჩააცივდა. ირგვლივ ხალხი შეიკრიბა, მერე საპატრულო მანქანა

გაჩერდა, იქიდან გადმოსულმა მაღალმა სერუანტმა ძლივს გამოგლიჯა ხელიდან შავკეპიანი და რა მოხდაო, იკითხა. აი, ეს გიუი თავს დამესხა, ვერ გავიგე რა უნდაო, აუხსნა იმან.

— კიდევ მე ვარ გიუი? — შავკეპიანის-კენ გაინია, მაგრამ მაღალი სერუანტი გადაუდგა, მეორემ ხელები ზურგს უკან გადაუგრიხა, ხელბორკილი დაადო. პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, მშვიდობიან მოქალაქეზე მოახდინა თავდასხმაო და მორიგეს ჩააბარეს, იმან კი — გამომძიებელს, რომელმაც მხოლოდ ერთი შეკითხვა დაუსვა, რა მიზნით მოახდინეთ თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეზეო.

— საქმე ისაა, რომ ბიძაჩემს ჩემი მკვლელობა დაბარალეს და ციხეში ჩასვეს, მე კი ცოცხალი ვარ და სასამართლოს უნდა დავუმტკიცო, რომ ნამდვილად ცოცხალი ვარ, ნაცმოძრაობამ ჩემი და მამიდაჩემის ბინები მისაკუთრა და ქუჩაში დამტოვა, ის შავკეპიანი, იმათი მოგზავნილი ვითომ მშვიდობიანი მოქალაქე კი მუდმივად მითვალთვალებს და ახლა მე თქვენ გეკითხებით, მე დავესხი იმათ თუ ისინი მე, მშვიდობიან, უდანაშაულო მოქალაქეს? — გაოცებული გამომძიებელი ერთხანს მდუმარედ აკვირდებოდა, მერე, ყველაფერი გასაგებიაო, თავისთვის ჩაილაპარაკა, თანაგრძნობის ნიშნად თავი ოდნავ დაიქნია, ეტყობა, გიუად ჩათვალა და შეეცოდა.

— მშვიდობიან მოქალაქეზე თავდასხმისთვის ვალდებული ვარ დაგაკავოთ, მაგრამ, ვინაიდან არ არსებობს თავდასხმის ობიექტი და, შესაბამისად, მომჩინენიც, ამიტომ მხოლოდ გაფრთხილებთ და თუ კიდევ დაარღვევთ წესრიგს, აუცილებლად დაისჯებით. — მცირე ხანს აკვირდებოდა, ეტყობა, მისი რეაქცია აინტერესებდა, მერე კი, ამჯერად თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ წაპრძანდეთო.

ამ გამომძიებელმა აშკარად გიუად ჩათვალა, არადა, ამათ ხელში შეიძლება მართლა გაგიუდეს კაცი. თავდასხმის ობიექტი თუ არ არსებობს, ის შავკეპი-

ანი გარეწარი ვინდაა ან რისთვის უთვალთვალებდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. მართალია ნემსიწვერიძე, ამათ ცოცხალი იაგო ხელს არ აძლევთ და მის მოსაცილებლად ყველაფერზე წავლენ, ის კი არ უნდა დანებდეს ამ გარეწრებს და ყველანაირად, თუნდაც ცნობის მეშვეობით დაუმტკიცოს რომ ცოცხალია.

კარი ბიცოლამისმა გაუღო და შეშფოთებულმა პროკურატურის უწყება მიაწოდა. გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, მაგრამ იძულებული გახდა, დანიშნულ დროს პროკურატურაში გამოცხდებულიყო.

პროკურატურის შენობაზე ოქროსფერასოებიანი აბრა — „საქართველოს ერთიანი ნაციონალური პროკურატურა“ აღარ გაჰქვირვებია, ის კი გაუკვირდა მისაღებში მკაცრად რომ აღარ შეუმოწმებიათ, მხოლოდ საბუთს დახედეს და საშვიც გამოუწერეს. მესამე სართულზე, აქაც 33-ე ოთახში, ეგონა, რომ ხუსუნი დახვდებოდა, მაგრამ ჩვეულებრივ საწერ მაგიდასთან პროკურორი ზორბა კაშმაძე დახვდა. ამას სახელად ჩია უფრო შეეფერებოდა და უჩვეულოდ ფართო, მძიმე ყბა მთელ სახეს თითქოს ქვემოთ ექაჩებოდა და თვალების ირგვლივ უცნაურ ნაოჭებს ქმნიდა. დაბრძანდითო, მიმართა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და, მართალია, მეტად უსიამოვნო და გასაოცარი ამბავი აუწყა, მაგრამ ამათ გადამკიდეს ეს აღარ გაჰქვირვებია.

— თქვენ, იაგო ქელეხსაშვილი, როგორც მკლელობაში ეჭვმიტანილი, იძენებით საერთაშორისო წითელი ცირკულარით. — მაგიდაზე ჩვეულებრივ თაბახის თეთრ ფურცელს რატომლაც ხელი დააფარა და სწორედ ამან აფიქრებინა, ცარიელი ფურცელიაო, და მართალია, დარწმუნებული არ იყო, რომ ცირკულარი აუცილებლად წითელი ფერისა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამანაც დააჭვა, მაჩვენეთო, უნდოდა მოეთხოვა, მაგრამ კაშმაძემ დაასწრო და წითელი ცირკულარის ჩვენების უფლება არა მაქვსო.

— ალბათ, ბიძაჩემის, არჩილ ნებიე-

რიძის მკვლელობაში ვარ ეჭვმიტანილი, არა? – იკითხა ირონიით.

– თქვენი ხუმრობა სრულიად უადგილოა, – შენიშნა უკმაყოფილომ, წითელი ცირკულარიდან ხელი ოდნავ გადაწია და ეჭვმიტანილი ხართ მოქალაქე გულადი ჭანჭალეიშვილის მკვლელობაშით, გამოუცხადა. ჩვენც იმათი თამაშის წესებით უნდა ვითამაშოთო, ნემსინვერიძის რჩევა გაახსენდა და მე როგორ მოვკლავდი ჭანჭალეიშვილს, როცა მე თვითონ მოკლული ვიყავით, – თავი იმართლა. მერე ხომ ცოცხალი აღმოჩნდითო, იმან, „დე ფაქტო“ კი, მაგრამ „დე იურე“ მოკლული ვარო. ეს ვინ გითხრაო, გაიკვირვა და ხუხუნიმო, უპასუხა. სულ გადარეულა ეს კაცი და გიუს რა ჭკუა მოეკითხებაო, – ჩაფიქრებული ერთხანს მაგიდას ჩასჩერებოდა, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, რა არგუმენტი მოეყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ შესაძლებელია, იურიდიულად მოკლულ ადამიანს მეორე, ცოცხალი ადამიანი მოეკლა, თორემ მკვდარი რომ ვერავის მოეკლავს, ეს ხომ ისედაც ცხადია, მერე წითელი ცირკულარი ახლოს მიიჩნია, მეორე ხელიც დააფარა და მდუმარედ მიაჩერდა, ეტყობა, რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა.

– შენი მკვლელობის საქმე მე გადმომცეს, ძმაო, მაგრამ, რაც მოხდა, ჩემი ბრალი არაა, გამოძიებელმა საქმე გააფუჭა და რას ვიფიქრებდი, რომ შენს მკვლელობას ბიძაშენს დააპარალებდნენ. ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ამ ხელისუფლების ხელში ამ საქმეს ხელახალი გამოძიება არ უწერია, გინდა ცოცხალი აღმოჩნდი და გინდაც მკვდარი. აი, ამ წითელი ცირკულარით...

– ფურცლიდან წამით ხელი აიღო და დასტურის ნიშნად ისევ დააფარა, – ვალდებული ვარ, ახლავე დაგაპატიმრო, მაგრამ წესიერი კაცი ჩანსარ და არ მინდა ცხოვრება გაგიფუჭო. შეეშვი ამ საქმეს, ძმაო, მოგებით მაინც ვერაფერს მოიგებ და შეიძლება ყველაფერი დაკარგო. ხომ იცი, ესენი ყველაფერზე წამსვლელები

არიან, მარტო ჭანჭალეიშვილის კი არა, პრეზიდენტ კენედის მკვლელობასაც შენ დაგაპარალებენ. მე გულახდილად გეუბნები და გინდ დამიჯერე, გინდ არა. – წამოდგა და მარჯვენა ისე ჩამოართვა, მარცხენა ვითომ წითელი ცირკულარის-თვის არ მოუცილებია.

ის ფურცელი მართლა წითელი ცირკულარი რომ ყოფილიყო, იაგო უკვე დიდი ხანია, ციხეში იჯდებოდა. კაშმაძემ მშვენივრად იცოდა, რომ ამისი ბიძა დამნაშავე არ იყო, მაგრამ, იმათი დავალებით, იაგოს მკვლელობა დააპარალა, ახლა კი ვითომ გულწრფელად უნდა, რომ დაეხმაროს. არადა, ვითომ რომელი პროკურორია გულახდილი ეჭვმიტანილის მიმართ, ეგ რომ იყოს. ერთი მართალი კი თქვა, თუ მოინდომეს, კენედის მკვლელობასაც მას დააპარალებენ, მე შენ გეტყვი, პასუხს მოსთხოვს ვინმე თუ რა, მაგრამ ესენი იაგოს ამ წითელი ცირკულარით ვერ გააჩუმებენ და აუცილებლად დაამტკიცებს, რომ მართალია.

არადა, რატომ უნდა უხდებოდეს ცოცხალ ადამიანს მის მტკიცება, რომ მართლა ცოცხალია, თანაც რაღაც ცნობის საშუალებით, მაგრამ სხვა გზა ვერ მონახა, ბევრი იფიქრა, ვისთვის უნდა მიემართა ასეთი ცნობის მოსაპოვებლად, ნემსინვერიძის მიერ ჩამოთვლილთა გარდა სხვა დაწესებულებებიც გაიხსენა, მაგრამ ყველაზე კომპეტენტურად მაინც ყუნინირეიშვილის სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო ჩათვალა და მასვე მიაკითხა. შენობის აბრაზე დიდი, ოქროსფერასოებიანი წარწერა – **საქართველოს ერთოანი ნაციონალური სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო** უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვალა, აქაც მესამე სართულზე ავიდა და პირდაპირ მთავარი ექსპერტკრიმინალისტის, რაჟდენ მესტრიზმებილის კაპინეტს მიადგა. იფიქრა, რომ ცოცხალის და მიცვალებულის გასარჩევად ეს განყოფილება ყველაზე კომპეტენტური იქნებოდა და კაპინეტის კარი შეაღვ. მაგიდასთან მჯდომი მელო-

ტი მამაკაცი რაღაცას წერდა, რა გნებავთ, წამით ამოხედა და წერა განაგრძო.

— მე, ცოტა არ იყოს, უჩვეულო საქმეზე განუხებთ, ბატონო რაჟდენ. ცნობა მჭირდება, რომ წამდვილად ცოცხალი ვარ. თქვენ შეგიძლიათ ასეთი ცნობის გაცემა?

ექსპერტმა კალმისტარი გადადო, ერთსანს გაოცებული მისჩერებოდა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდა და კი, კი, როგორ არ შეგვიძლია, აუცილებლად მოგცემთო, დაპირდა, ყურმილი აილო და ჩემთან შემოდიო, ვიღაცას უთხრა. ცოტა ხანში ოთახში მაღალი, სათვალიანი კაცი შემოვიდა, როგორც ჩანს, ცოცხლებისა და მკვდრების დამდგენი ექსპერტი.

— პარმენ, აი, ამ მოქალაქეს სჭირდება ცნობა, რომ წამდვილად ცოცხალია. ჩვენ შეგვიძლია ასეთი ცნობის გაცემა? — შეეკითხა და, როგორც მოეჩვენა, თვალი ჩაუკრა.

— ასეთი ცნობა რისთვის გჭირდებათ? — სათვალიანი დაუინებით მოაჩერდა.

— საქმე ისაა, რომ ბიძაჩემბა მე ვითომც მომკლა, მე კი ვიღაც ჭანჭალეიშვილის მკვლელობა დამაბრალეს, რომელიც არასდროს არც კი მინახავს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ცოცხალი აღმოვჩნდი. ახლა ისინი მიმტკიცებენ, რომ, მართალია, ფაქტობრივად ცოცხალი ხარ, მაგრამ იურიდიულად მოკლული ხარ. მე თქვენ გეკითხებით, მე რომ მართლა მოკლული ვყოფილიყვავი ბიძაჩემის მიერ, მაშინ როგორდა მოვკლავდი ვიღაც ჭანჭალეიშვილს, რომელიც არასდროს არც კი მინახავს, ეს ხომ სრულიად გამორიცხულია.

სათვალიანი ერთხანს ყურადღებით აკვირდებოდა, მერე მელოტს ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა, საიდანაც იაგომ მხოლოდ ორი სიტყვა, — „მანია მურტალე“ — გაარჩია, აქედან ერთი, — „მანია“ — გასაგებია, რასაც ნიშნავდა, მეორის მნიშვნელობა კი არ იცოდა და ალბათ, მურტალი გიური ვგონივარო, გაიფიქრა.

— ესე იგი, თქვენ გინდათ ცნობა, რომ

შეცდომით იყავით მოკლული, მაგრამ ცოცხალი აღმოჩნდით, არა? — ირონიულად შეეკითხა სათვალიანი.

— თქვენ ვერ გამიგეთ... მოკლული რომ ვყოფილიყვავი, ცოცხალი როგორდა აღმოჩნდებოდი?

— მაშინ თქვენ, ალბათ, გჭირდებათ ისეთი ცნობა, რომ მოკლული არ ყოფილ-სართ და, შესაბამისად, ცოცხალი აღმოჩნდით, არა?

— არა, თქვენ ვერ გამიგეთ... მოკლული რომ არ ვყოფილვარ, ეს ხომ ისედაც ცხადი გახდება, თუ მექნება ცნობა, რომ ცოცხალი ვარ, ასე არაა? — მცირე ხანს მისჩერებოდა და, რადგან პასუხი ვერ მიიღო, გაღიზიანებულმა ხმას აუწია. — მე მჭირდება ცნობა, რომ წამდვილად ცოცხალი ვარ, გასაგებია, ცო-ცხა-ლი და მეტი არაფერი. რა არის აქ გაუგებარი!

— ნუ დელავთ, გენაცვალე, დაწყნარდით, — დაამშვიდა სათვალიანმა, — ჩვენ მოგცემთ ცნობას, რომ ცოცხალი ხართ, ოლონდ ამისთვის უნდა გაიაროთ სამედიცინო ექსპერტიზა.

— რა ექსპერტიზა, რის ექსპერტიზა, თქვენ რაებს ლაპარაკობთ, მე რომ ცოცხალი ვარ, ეს ისედაც არ ჩანს თუ რა?! — იკითხა მუქარით.

— ჩანს, ჩანს, ისედაც ჩანს, მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანი მკვდარი ეგონოთ ან თუნდაც მოკლული, მაგრამ ექსპერტიზის შედეგად ცოცხალი აღმოჩნდეს, როგორც თქვენ შემთხვევაშია?

— მე თქვენ მართლა გიური ხომ არ გგონივართ?.. ვერ ხედავთ, რომ ცოცხალი ვარ, ცო-ცხა-ლი და ამას რაღა ექსპერტიზა სჭირდება?!

— დაამშვიდდით, გენაცვალე, დამშვიდდით. მე არ მითქვამს, რომ გიური ხართ, მშვენივრად ვხედავ, რომ ცოცხალი ხართ და ცნობასაც აუცილებლად მოგცემთ. — სათვალიანმა მხარზე ხელი დაადო, მაგრამ იაგომ მკვეთრი მოძრაობით ჩამოიცილა იმისი ხელი.

— თქვენ არ უთხარით ამას, მანია მურტალე სჭირსო?!. მურტალი მანიაკები

თქვენები მოიკითხეთ, თქვენი... – უნდოდა შეეგინებინა, მაგრამ თავი შეიკავა, მელოტისკენ გაიწია, ის კი სკამიანად უკანუკან გაჩოჩდა, მერე ეს სკამი აიფარა და კედელს აეკრა. ამ დროს ოთახში ორი პოლიციელი შემოვარდა და სწორედ იმ მაღალმა სერუანგმა, შავეპიანზე თავდასხმისთვის რომ დააკავა, ხელები ზურგს უკან გადაუგრიხა, ხელბორკილი დაადო, ეს გიუ ვიცით, მშვიდობიან მოქალაქეებს თავს ესხმისო, გამოაცხადა, გარეთ გაიყვანეს და საპატრულო მანქანაში ჩატენეს. ეს ყველაფერი ისე სწორად მოხდა, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. ეგონა, პოლიციაში მიიყვანდნენ, მაგრამ მანქანიდან გადმოსულმა ძველ, ნაცრისფერ შენობაზე მიკრული აბრა როცა დაინახა – **საქართველოს ერთიანი ნაციონალური მთავარი ფსიქიატრიული კლინიკა**, ზუსტად მაგათავისააო, ჩაილაპარაკა, შიგნით კი ნავისინიჩიანი ჭიჭო გადაეღობა. გიუ მოგიყვანეთო, უთხრა მაღალმა სერუანგმა. რა გიუ, კაცო, ეს ჩვენი იაგო არ არისო, გაუკვირდა ჭიჭოს და ნიჩაბი იატაკს დააბჯინა. რომელი, ოტელოს იაგო? – ირონიით იკითხა სერუანგმა. რა ოტელო, რის ოტელო, თქვენ ხომ არ გაგიუდით, ჩვენი იაგოა, ვპალნე ნარმალნია და გიუ რომც იყოს, მაინც არ შეგიშვებდით, იმიტომ, რომ გაფიცვაა, აუხსნა ჭიჭომ და ნიჩაბი დროშასავით შეარხია. რას ითხოვენო, სერუანგმა. უვადო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებსო, ჭიჭომ. შენ რას აკეთებო აქ, იკითხა მეორე პოლიციელმა. მე სპეცდაცვა ვარო, შიგნით არავის არ ვუშვებ, გარეთ ტემბოლეეო, გიუებმა ექიმები და სანიტრები მძევლებად აიყვანეს და გაფიცვა გამოაცხადესო. რაღა მე მხვდება ყველა გიუ და გადარეულიო, დაიჩივლა სერუანგმა, თავისი მეწვილე გვერდზე გაიყვანა, ერთხანს ხმადაბლა საუბრობდნენ, ეტყობა, ვერ გადაწყვიტეს, როგორ მოქცეულიყვნენ, მერე სერუანგმა ჭიჭოს, როგორც ჩანს, სავსებით სერიოზულად ჰკითხა, გაფიცვა რომ დამთავრდება მერე ხომ შეუშვე-

ბო და იაგოზე მიანიშნა. მერე კიო, იმან, ხელბორკილი მოხსნეს და წავიდნენ. ვა, ძლივს არ მოვიცილეთ ეს გიუებიო, ჭიჭომ შვებით ამოისუნთქა და ნიჩაბი კედელს მიაყუდა. სად დაიკარგე, კაცო, რას აკეთებდიო ამდენ ხას? ხიროსიმას ვბომბავდიო, იხუმრა. ნაგასაკიც შენ დაბომბეო, იკითხა. ნაგასაკიც სცოდნიაო, გაუკვირდა და – არა, ნაგასაკი ხუხუნიმ დაბომბაო. ეგ ხუხუნი ვინდა არისო, დაინტერესდა. ერთი გიუიაო, იაგომ. თუ გიუია, მე რატომ არ ვიცნობო, გაუკვირდა. იმიტომ, რომ შენ პერიოდულად აფრენ, ის კი მუდმივადო. მოულოდნელად საავადმყოფოს ვესტიბიულში ნავისინიჩიანი მამაკაცები გამოჩნდნენ და კედლის გასწვრივ ჩამნკრივდნენ, მერე თეთრხალათიანი, ხელშებორკილი ექიმები გამოვიდნენ, მათ კი ისევ ნიჩბიანი მამაკაცები გამოჰყვნენ, ვესტიბიული გიუებით გაივსო, მერე რიგში ჩამწერივებულები გარეთ გავიდნენ. ამდენი ორგანიზებული გიუ ერთად პირველად ნახა. შენობის წინ, კედელთან გამწერივებულინ უვადო, უვადოო, გაიძახოდნენ და ტრანსპარანტებს აფრიალებდნენ. მერე წინ ერთი ჩია კაცი გამოვიდა და პირით მწერივისკენ დადგა. ეს კრანაშვილიაო, აუხსნა ჭიჭომ, ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი, მაგარი დასტოინია, ათასში ერთხელ თუ აურევს, თორემ ისე პაჩტი ნარმალნიაო. კრანაშვილმა რეზინის ხელკეტი დირიქორივით აღმართა, გიუების გუნდმა ჯერ საქართველოს პიმნი შეასრულა, მერე კი „უვადოს ვითხოვთ, უვადოს ვითხოვთოზე“ გადავიდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად გააოცა იმან, რომ პირველ რიგში მდგომი ხელებშებორკილი ექიმებიც გიუებთან ერთად მღეროდნენ. მოულოდნელად მათ წინ პოლიციის რამდენიმე დახურული მანქანა გაჩერდა, იქიდან შავფორმიანი სპეცრაზმელები გადმოხტნენ, გიუების ორკესტრი ალყაში მოაქციეს, უვადო მოინდომეთ, თქვენი დედაო... ხელკეტების ცემით ალყა თანდათან შეავინროვეს და იმ ხელებშებორკილ ექიმებთან ერთად შენობაში შერეკეს.

— შენც უვადოს ითხოვ, შენი დედა... — შავპერანგიანმა იაგოს ხელკეტი მოუქნია, ამან ხელები აიფარა, მაგრამ ხელკეტი მა-ინც მოხვდა თავში, გაითიშა და... თავისი ქელები დაესიზმრა. ცარიელ მაგიდასთან მდუმარედ ისხდნენ ჭიჭო, ლაუბა, ნემსინ-ვერიძე და ყუნწირეიშვილი, პროკურორი კაშმაძე, სათვალიანი ექსპერტი პარმენი, დირიჟორი კრანაშვილი, თმაგჩერილი ქალშვილები და თვალდახუჭული უცნობი. ეს ვინდააო, გაიფიქრა და, ალბათ, ჭანჭალეიშვილიო, მაგიდის თავში კი ჭა-ჭისარაყიანი ჭიქით ხელში ხუხუნი იდგა და მის შესანდობარს ამბობდა, დღეს უკვე მეორედ ვუხდით ქელებს თითოეული ჩვენგანისთვის ძვირფას იაგოსო. ქელები ორჯერო, გაიკვირვა ყუნწირეიშვილმა, ნემსინვერიძემ კი, გიურიაო, დააზუსტა. რა ქელები, რის ქელები, ცოცხალი ვარო, იყვირა, მაგრამ რამდენადაც გასაკვირი უნდა ყოფილიყო, ხმა არავის ამოულია, მხოლოდ კაშმაძემ, ჯერჯერობითო, დააზუსტა. ცოცხალი ვარო, ცოცხალი, იყვირა, მაგრამ ყურადღება მაინც არავის მიუქცევია, მხოლოდ სათვალიანმა ექსპერტმა, მანია მურტალეო, ჩაილაპარაკა. გიურები თქვენ თვითონა ხართ, მე

ცოცხალი ვარ, ცოცხალიო, იყვირა, მაგრამ ყურადღება ამჯერადაც არავის მიუქცევია, მხოლოდ ხუხუნიმ გამოუცხადა, ცოცხალი რომ იყო, ქელებს მეორედ ხომ აღარ გადაგიხდითო, გადმოპირქვა-ვებული ჭიქა ცერა თითის ფრჩხილზე დაიკაკუნა და ეს შესანდობარი ყველამ ბოლომდე უნდა შესვასო, გააფრთხილა. რა შესანდობარი, რის შესანდობარი, ვერ ხედავთ, ცოცხალი ვარო, იღრიალა და წამოხტა, კრანაშვილმა კი რეზინის შავი ხელკეტი აღმართა, გაისმა მრავალეულიერი, თუმცა გასაოცარი იყო ის, რომ პირი არავის გაუღია. დირიჟორი სიმღერას რიტმულად აყოლებდა ხელკეტს, ალბათ, გიურები მღერიანო, გაიფიქრა. შეწყვიტეთ სიმღერა, ქელებიაო, ბრძანა ხუხუნიმ, განრისხებულმა კრანაშვილმა კი ხელკეტი მოუქნია, მაგრამ ხუხუნის ნაცვლად მას მოხვდა თავში... თვალები როცა გაახილა, თეთრსალათიანი მამაკაცი ადგა თავს, სადა ვარო, იკითხა და **საქართველოს ერთიან ნაციონალურ რეფერალურ საავადმყოფოშით**, უბასუსა იმან. რეპრესალურშიო, ამოიკვნესა და არა, რეფერალურშიო, დააზუსტა თეთრსალათიანმა, მაგრამ არ ინერვიულოთ, შოკურ-ფსიქი-



ატრიული ექსპერტიზის განყოფილებაში ხართო, დაამშვიდა. ისევ მაგათათანო, ჩაილულლულა... ჭერმა მის ზემოთ რხევა დაიწყო, თვალები მილულა და ნისლის-ფერ ბურანში ჩაიძირა, მაგრამ აღარა-ფერი დასიზმრებია.

P.S. შენ არ ინერვიულო, ჩემო მკითხველო, ყველაფერი კარგად დასრულდა – იაგო იმავე დღეს გამოწერეს რეფერალური საავადმყოფოდან, საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, იაგომ, როგორც იქნა, მოიპოვა ცნობა, რომ ცოცხალია, ხოლო ამ ცნობის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ნამდვილად ცოცხალია – როგორც „დე იურე“, ასევე, „დე ფაქტოც“, ბიძამისს არ მოუკლავს ის და მასაც არ მოუკლავს ჭანჭალეიშვილი. დაიბრუნა წართმეული ბინა, ბიძამისი გათა-

ვისუფლდა ციხიდან და იმანაც დაიბრუნა წართმეული ქონება, მამიდამისის ქმარი იაშა კი თავის ოჯახთან ერთად იტალიაში აღმოჩნდა. სახელმწიფო დაწესებულებათა დამახინჯებული სახელწოდებებიდან ამოიღეს სიტყვები „ერთიანი ნაციონალური“ და ძველი სახელები დაუბრუნეს; დირიჟორი კრანაშვილი დამარცხდა არჩევნებში და ვერ გახდა საქართველოს პრეზიდენტი; იაგომ ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „უკომპრომისობრძოლა ცოცხალ-მკვდარი ადამიანების უფლებების დასაცავად“ ითხოვა ცოლი, შეეძინა ორი გოგო და ერთი ბიჭი, ხუცუნს კი ეგონა, რომ დაიჭერდნენ, გაიკეთა თვალის პლასტიკური ოპერაცია, გაიქცა ამერიკაში, სადაც მუშაობს უზენაესი სასამართლოს დარაჯის – საქართველოს ექსპრეზიდენტის – უმცროს თანაშემწედ და, ამავე დროს, იღებს უმუშევრების-თვის განკუთვნილ ფულად დახმარებას.

## ამიჩან გომაქთიალი



### გამრუდებული ყოფის მხატვარი

„რამპა და დამპა!...  
– ოსა! ასა! ოსა! სამი, ოთხი, ზემოლა-  
ვი!... ნაგანის ლულა თავზემოთ!...  
– წავედით! სამი, ოთხი, დოლი!

იხეოდა იმ სერიაში დოლი და აზი-  
ური გარმონიც: თავად ქორეოგრაფი  
მასხორიძე ცეკვავდა ამ დროს და ბახ!  
აჭედებდა ქორეოგრაფი ტყვიებს ჭერ-  
ში...“

„...ხუთი, ექვსი, შვიდი! – დოლი! –  
წავედით – და მიდიოდნენ: აზიური გარ-  
მონი, მოჭიმული დოლი და ცეკვავდნენ  
ყრუ-მუნჯები გამოუძინებელი ქაჯები-  
ვით... წითელყაბალახმოგდებული მთა-  
ვარი ქორეოგრაფი ბრუნავდა წრეში...  
დააძრობდა ნაგანს ტაბელურს და ჭერში  
აჭედებდა კირუს ტყვიებს“, – ეს გახ-  
ლავთ ამონარიდები რეზო ჭეიშვილის  
უკანასკნელი მოთხოვდიდან, რომელიც  
„ცისკარი 1852“-ის მეშვიდე ნომერში  
დაიბეჭდა.

ვისაც წაკითხული აქვს რეზო ჭეიშვი-  
ლის ეს მოთხოვდა, ემახსოვრება, ვისაც  
არ წაუკითხავს, განვუმარტავ: მოთხოვ-  
დის მთავარი პერსონაჟი დათიკო მესხ-  
ორიძე ყრუ-მუნჯ მოცეკვავეთა ანსამბ-  
ლის ქორეოგრაფია, ზოგჯერ მასხორიძე-  
დაც რომ მოიხსენიებს ავტორი.

მოთხოვდას ორი სათაური აქვს – „ქო-  
რეოგრაფი დათიკო მესხორიძე“ და ფრ-

ჩხილებში მინაწერი – „ასტამურას ფული  
რად უნდა...“ არადა, ეს ორსათაურიანი  
თხზულება იმ მწერალს ეკუთვნის, რო-  
მელიც კინოფილმ „ცისფერი მთების“  
სცენარისა და ამავე სახელნოდების  
მოთხოვდის ავტორია, სადაც გამუდმე-  
ბით გაისმის გროტესკული ფრაზა: „კი,  
მაგრამ, რა საჭიროა ეს ორი სათაური –  
„ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“, თუმც  
„ცისფერ მთებში“ ამ ორმაგი სათაურის  
ფუნქცია სავსებით ნათელია: ის ფილმში  
ასახულ აბსურდულ ვითარებას კიდევ  
უფრო მეტად ამძაფრებს და ააშკარავებს.

„ცისფერ მთებში“ თუ ორმაგი სათაუ-  
რი გამოშტერებულ-გამობენტერებულ  
პერსონაჟს, ე.წ. მწერალს მიეწერება,  
რითაც კიდევ უფრო ესმება ხაზი აბ-  
სურდსა და უაზრობას, ახლა რეზო ჭეიშ-  
ვილმა საგანგებოდ მოითხოვა ორმაგი  
სათაურის შენარჩუნება და რედაქციის  
თანამშრომლები გაგვათრთხილა, ორ-  
მაგი სათაური არ წამიშალოთ (თუმც,  
როგორ ვეკადრებდით რეზო ჭეიშვილს  
რაიმეს წაშლას ან გადასხვაფერებას).

თუ რატომ მიმართა მწერალმა ორმაგ  
დასათაურებას, ამაზე ქვემოთ ვისაუ-  
ბროთ. ახლა კი კვლავ მოთხოვდას მივუ-  
ბრუნდეთ:

ეს ჩვენი დათიკო მესხორიძე, რო-  
გორც მწერალი გვამცნობს თხზულების

დასაწყისში, „ფელიქს ძერუინსკის სახე-  
ელობის შინაგანი სამინისტროს კლუბის  
მხატვრული ხელმძღვანელია, იმავე  
კლუბის ყრუ-მუნჯ მაცეკვართა ქორეო-  
გრაფი“. როცა მოთხოვდის კითხვა ხელ-  
ნაწერში დავიწყე, სულო ცოდვილო და,  
გავიფიქრე, ჯერ ხომ შინაგანი სამინ-  
ისტრო უნდა ენეროს (უფრო ზუსტად  
შინაგან საქმეთა სამინისტრო) და მერე  
ამ სამინისტროს ძერუინსკის სახელობის  
კლუბი (ასე ერქვა რუსთაველზე არსე-  
ბულ კლუბს კომუნისტების ხანძში). ამ  
„მაცეკვართას“ მაგიერ ენის გრამატი-  
კულ ნორმათა თავგამოდებული დამცვე-  
ლი, წესით, „მოცეკვავეთას“ დაწერდა,  
მაგრამ, საპედიტოროდ, მალევე მივხვდი,  
მწერალს არც ის შეძლია, რომ კლუბია  
ძერუინსკის სახელობისა და არა სამინ-  
ისტრო და არც ის, რომ „მოცეკვავეთა“  
უნდა დაეწერა „მაცეკვართა“ ნაცვლად,  
არც იმის გაფიქრება შეიძლება, რომ  
მოთხოვდაში ყრუ-მუნჯ მოცეკვავეთა  
შემოყვანით ოდნავ მაინც ილახება უნ-  
არშეზღუდულთა უფლებები. ეს კონკრე-  
ტული ანსამბლი კი არა, ქვეყანაა, ის  
ქვეყანა, სადაც ჩვენი საწყალი ყოფილ  
დამუნჯებულ-დაყრუებული აგერ ახლახ-  
ან, გუშინნინ თუ გუშინ და ეგების სუ-  
ლაც დღესაც. ეს ჩვენა ვართ, ვერაფრით  
რომ ვერ მოგვიშლია „დამპა“ და „დუმპა“,  
ბრაგაბრუგი, ღმული, სროლა შიგადა-  
შიგ, ტაში კვლავ და ვაშა და ურა, თქვენი  
მოწონებული, ნებადართული და დიდე-  
ბული!“ (ეს უკანასკნელი ციტატაც რეზო  
ჭეიშვილის მოთხოვდიდანაა).

ჰო, იმას ვამბობდი, რა თქმა უნდა,  
„მოცეკვავეთა“ მაგიერ „მაცეკვარ-  
თა“ უნდა იყოს; რასაკვირველია, სა-  
მინისტროც „შინაგანი“ უნდა იყოს და  
აუცილებლად ძერუინსკის სახელობისა  
(ასე უფრო შთამბეჭდავია), მოთხო-  
ბასაც ორი სათაური უნდა ჰქონდეს:  
„ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძე“ და  
„ასტამურას ფული რად უნდა...“ (ესეც  
რასაკვირველია), დათიკოც გვარად მესხ-  
ორიძე, ალაგ-ალაგ მასხორიძედ უნდა  
იხსენიებოდეს, დათიკოსაც ხომ ზოგჯერ  
„დატიკოდ“ მოიხსენიებენ რუსულ ენაში  
ქართული ყრუ, ფლვინვიერი „თ“ თანხ-

მოვნის არქონის გამო. როცა ირგვლივ ყველაფერი: ყოფა, აზროვნება, პერსონაჟთა ქცევა თუ ზოგადად ვითარება დეფორმირებულია, გამოხატვაც შესაბამისი სჭირდება. მოთხოვთა უმწვავესი გროტესკია და შესაფერის გამომსახველობით საშუალებებს ითხოვს. გამრუდებული ყოფა შესაბამისი (გამრუდებული) ენობრივი სტილით გამოისახება. ამიტომაც გვხვდება კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმები თუ სიტყვები: „პატატვრანებს“, „კირუ“ და ასე შემდეგ ლავრენტი ბერიამ, როცა გაარკვია, რომ ნათელა (გიმიტია) ფარჩალია ლეჭენჭყოდანაა, „დაბალძირულით“ გააგრძელა მასთან საუბარი. სოფლის ასეთი დაკინებულ-დამცრობილი სახელი - ლეჭენჭყო - თუ საზოგადოდ კუთხური მეტყველება, იმაზე მიგვანიშნება, რომ მოთხოვთაში აღწერილი ყოფა და გარემოა დაკინებულ-დამცირებული და ლრმად პროვინციულიც, ოღონდ ამით ჩვენს სულიერ პროვინციალიზმზეა აქცენტი გადატანილი და არა იმაზე, თუ ვინ საიდანაა, სად დაიბადა ან სად გაიზარდა, თორემ, როცა დღეს მავნი „თბილისელი ბიჭობით“ ტრაბახობს და ბაქიბუქილს, ესაა სხორცედ სულიერი პროვინციალიზმი. ერთი სიტყვით, რეზო ჭეიშვილის მოთხოვთა ენაც გროტესკის შესატყვისი და შესაბამისია. მარტინ ჰაიდეგერი ამბობდა, ენა ყოფიერების სახლიაო. ჰოდა, როგორიც ყოფაა, ისეთია ენაც. მართალია, ერთმა ჩვენმა დარბაისელმა პოეტმა თქვა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“-ო, მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ პირიქითაა: „რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს“. ვინ, ვინ და ეს შესანიშნავად იცის „დათიკო მესხორიძის“ ავტორმა.

გროტესკი შეგნებულად გაურბის ფო-  
რმალურ წესრიგს. ის დესტრუქციულია.  
აქ დეფორმირებულია აპსოლუტურად  
ყველაფერი: ენა, გარემო, ვითარება,  
პერსონაჟთა ქცევა და თვით ამბავიც.  
გროტესკის ავტორი თავისუფალია ცრუ-  
კდემამოსილებისაგან, მორიდებისაგან.  
გროტესკში სკაბრეზი ისეთივე ბუნე-  
ბრივია, როგორც ცხოვრებაში, ოღონძ  
უმიზნოდ, უფუნქციოდ და უაზროდ არა-

სოდეს გვხვდება. სკაპრეზის მეშვეობით ეპატაჟის შექმნას არავინ ცდილობს, როგორც უკანასკნელ წლებში ცდილობენ ამით ფონს გასვლას ჩვენში საეჭვო ნიჭის მწერლები.

როცა გაუთავებელი „დამპა-დუმპათი“ და ნაგანის ფუჭი („კირუხ“) ტყვიების სროლით თავგაბეზრებული საბავშვო ბალის დარაჯი ბარნაბა ხმამალლა შეუკურთხებს ამ ბრაგაბრუების მომწყობთ: „გამგონის ყ-ე გამსროლის ტრა-ში“-ო, ეს მოდას აყოლილი მწერლის სკაპრეზულობა არ გახლავთ. აქ გინება რეალობის ასახვის ადეკვატური ფორმაა, იმ დეფორმირებული, აბსურდამდე მისული ყოფის გამოძახილია, რომელსაც რეზო ჭეიშვილი აღწერს საკუთარ მოთხრობაში. ოლონდ საკითხავია – ეს დეფორმირებულ-დეგრადირებული ყოფა და აბსურდი მხოლოდ წარსულის ასახვაა, რომელმაც კარგა ხნის წინ ჩაიარა (მოთხრობაში ავადსახსენებელი 30-იანი წლები, ლავრენტი ბერიას ზეობის ხანაა აღწერილი), თუ ბერიას მშობელი ერი და მისი პირმოთნე მეხოტბე დღესაც ვერ გამოფხიზლებულა, დღესაც ბურანშია და მონუსხულ-მოჯადოებული კვლავ დიდი კაცის/ბელადის მონატრული და მოტრფილეა. იქნებ სულ მცირედი ბიძგია საჭირო, სიტუაციის ოდნავი სახეცვლილება, რომ მუხლებზე დაჩიქილებმა ვიბლავლოთ: „ჩვენ ავლოკავთ შენს გადაფურთხებულს“, მერე კი ფურთხსა და ლანძღვა-გინებასაც არ დავაკლებთ იმას, ვისი გადაფურთხებულის ალოკვაშიც ერთმანეთს ვასწრებდით. ეს გუშინ იყო... გუშინწინ კი... ამჟამად ჯალათად შერაცხულ ლავრენტი ბერიას ქება-დიდებაში ერთმანეთს ვასწრებდით და ვეჯიბრებოდით. კარგადაც გამოგვდიოდა – ჩვენ ხომ ნიჭიერებით და ესთეტიკური უდარდელობით გამორჩეული ხალხი ვართ. აბა, უნიჭო, როგორ შეძლებდა სისხლის წვიმების მომწყობისთვის ასეთი დითირამბის მიძღვნას: „მტკვარს უბრძანე და ისიც აღმა დაინტებს დენას“-ო, მერე დამწყები პოეტიც არ ჩამორჩებოდა უფროს თანამოკალმეს და უკვე გამოსკვებული ბერიას სამშობლოში სტუმ-

რობისას „ომახიანად“ დაიმღერებდა: „ჩვენ ყველა ხიდან სალამურს გავთლით, მასზე დავუკრავთ ჩვენ თქვენს დიდებას“. „ვაშა და ურა!“ ამ ხალხს და მის ქამელეონობას. ამიტომაც გაისმის წარამარა ეს „ვაშა-ურა“ და „დამპა-დუმპა“ რეზო ჭეიშვილის მოთხრობაში, ოლონდ ეს აღტაცებული შეძახილი მხოლოდ ბელადებს (მერე ყვარყვარებად ქცეულთ) კი არ მიემართება, არამედ თვითონ ერია მიღრეკილი ამ „ვაშა-ურას“ ძახილისა და „დამპა-დუმპისაკენ“. სწორედ ეს ერი შობს ყვარყვარებს და მერე გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილი, ვითომც აქ არაფერიო, არხეინად ლილინებს: „ასტამურას ფული რად უნდა, ასტამურა თვითონ ფულია“. და, ჰა გიდი, ბუქნავს ლალად და ტრიალებს წრეში ეს გულარხეინი „ყოვლის მთმენი“ „ბედნიერი ერი“. ვერც ვერაფერი შევისმინეთ და ვერც ვერაფერი ვისწავლეთ. ნირიც არ შეგვიცვლია. ისევ ბელადების ძიებაში ვართ, რათა სხვას დავაკისროთ პასუხისმგებლობა და თითოეულმა ჩვენგანმა, პილატესავით, ხელები დაიბანოს. აბსურდულ ყოფაში ჩარჩენილები, ისევ მზადა ვართ, რომ სიტუაციის შესაფერი აბსურდული სიმღერები შევქმნათ და გავლალდეთ: „ასტამურას ფული რად უნდა, ასტამურა თვითონ ფულია...“

„ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძე“ გროტესის კლასიკურ ნიმუშად გამოდგება. გროტესკში ხომ გვერდიგვერდ თანაარსებობს კომიკური და ტრაგიკული, რეალური და ფანტასმაგორიული, კარიკატურული, პიპერბოლური თუ ალოგიკური. კომიკურია ყრუ-მუნჯების ანსამბლის რეპეტიციები – დათიკოს წრეში ბზრიალ-ტრიალი და ნაგანის სროლა, მისი სიტყვა-პასუხი. თუნდაც ის რად ლირს, როცა ძმის, კოლიას, შესახებ ამბობს: „დედით სხვადახვა ვართ, ერთი მამიშვილები ვართ, მამა უცნობია“(?!); ტრაგიკულია მოთხრობის პერსონაჟთა ყოფა და თავგადასავალი, იმავე დათიკო მესხორიძის გაციმბირება – ეროვენი ერმაკის (ციმბირის დამპურობლის) გზას გაუყენესო, გვამცნობს მწერალი; კიდევ უფრო ტრაგიკულია ნათელა (გიმიტია)

ფარჩალიას ბედი – ყრუ-მუნჯთა ანსამბლის სოლისტობა, ბერიას საყვარლობა თუ აგენტობა, ბოლოს კი შემზარვი, ფანტასმაგორიული სვლა გვამებს შორის იმუამინდელი უშიშროების სამინისტროს სარდაფში.

ნათელა ფარჩალიაზე არანაკლებ ტრაგიკულია ლევ ლეიბა ტროცკის დაქალის, ბერიას მიერ „დავერბოვებული“, პროვოკატორად და აგენტად ქცეული ქალის, ლიდია გასვიანის ბედიც, რომელიც „პირდაობებული ბრონეულივით გამოწურეს“ და, როცა აღარ სჭირდებოდათ, საიქიოს გაისტუმრეს.

როგორც ითქვა, მოთხოვობაში თანაარსებობს რეალური და ფანტასმაგორიული, კარიკატურული და ჰიპერბოლური. რეალურია პენსნერიანი ჯალათის, ლავრენტი ბერიას პიროვნება და, რა თქმა უნდა, ჰიპერტროფირებულიც (სხვაგვარად შიშველ ნატურალიზმთან გვექნებოდა საქმე). ასევე რეალურია მისი დის ყრუმუნჯობაც და ჩვენი გაუნებელი ტკივილიც – პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა, მერე კი მიცვალებული პოეტის გასამართლება მისი დამფრთხალ-დაშინებული კოლეგების მიერ; რეალურია მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის, დავით დემეტრაძის შეფასება პაოლო იაშვილის „პროვოკაციული თვითმკვლელობის“ შესახებ და ისიც, რომ „არ გასულა დიდი დრო და ხანი... და დემეტრაძეც მიუწვინეს თვითმკვლელს“, რომ ცოცხლად გადარჩენილ გაციმბირებულებს უკან დაბრუნება არ ელირსათ მანამ, სანამ „დიდი ბელადი“ და პენსნერიანი ჯალათი ერთმანეთს არ მიჰყვნენ. ამ მეორემ, „ზოგიერთის ვარაუდით, მოკლა პირველი, თავად მკვლელი დახვრიტეს, მაგრამ, რომელმა რომელი მოკლა, ვერ დაადგინეს!.. ეს მოხდა 1953 წლის გაზაფხულ-ზაფხულში“.

გროტესკისათვის დამახასიათებელი ირონიით ალბეჭდილ ამ მონაკვეთს უშუალოდ მოსდევს მოთხოვობის სტილისათვის თითქოს აბსოლუტურად უცხო და შეუსაბამო, ერთი შეხედვით, ლირიკული პასაჟი:

„რამდენჯერ დაილია და აღივსო მთ-

ვარე მას შემდეგ. ყოველივე მიედინება: შემოდგომას ზამთარი ცვლის, ზამთარს გაზაფხული, სიცოცხლე წუთისოფელი-ვით გრძელია და ხანმოკლე... იბჟუტება, ბოლომდე არ ქრება, ინთება და ფერმკრთალდება, აალდება ისევ სუსტად... და... ისევ... მხოლოდ მახსოვრობისა და მარადისობის ციური დისკო – მზე და დროა – უკვდავი“.

ხვდები, რომ ამგვარი „ლირიზმი“ ალოგიკურია, ფსევდოლირიზმი ფანტასმაგორიულ ვითარებაში ირონიულად უღერს და გროტესკულ გამოსახვას უწყობს ხელს (ალოგიკურობაც ხომ გროტესკის უანრობრივი მახასიათებელია). როცა ამგვარ სტილურ მრავალფეროვნებას შეხვდები, გაოცება გიპყრობს, თუ რა შემოქმედებითი მუხტი და ენერგია შერჩენია სოცოცხლის მიმწუხრის უამს მხცოვან მწერალს.

ზემოთ „ესთეტიკური უდარდელობა“ ვახსენე. ოდნავ გადასხვაფერებულ ამ გამოთქმას კემბრიჯელ ქართველოლოგს, უილიამ ალენს დავესესხე, 1932 წელს „ქართველი ხალხის ისტორია“ რომ გამოაქვეყნა ინგლისურ ენაზე:

„ქართველების ხასიათში ერთი საინტერესო ელემენტი აღინიშნება – ინდივიდუალური უპასუხისმგებლობა... რასაც შეიძლება ესთეტიკური უპასუხისმგებლობა ეწოდოს“, – წერს ალენი, მერე კი ეს ჩვენი კარგად მცნობი ბრიტანელი იმასაც დასძენს, რომ: „ქართველებში, როგორც ხალხში, ისე პიროვნებებში, კარგად განვითარებული ინტელექტი და ნათელი, ცნობისმოყვარე გონება უთავს-დება პირველყოფილი ადამიანის უზნეობას და მოუთოკაობას“.

„ესთეტიკური უპასუხისმგებლობა“ თუ მაინცდამანც დიდად არ გვაწუხებს და ცოტა მოგვზონს კიდეც, „უზნეობა და მოუთოკაობა“, რა თქმა უნდა, ნამეტანი არ გვსიამოვნებს, მაგრამ შედავებაც გვიჭირს, რადგან ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია სავსეა ამგვარი პერსონაჟებით. მაგალითისთვის ლევან II დადიანის გახსენებაც კმარა, რომელმაც, ეჭვიანობის ნიადაგზე, ცოლს ცხვირი მოაჭრა და ისე მიუბრუნა სიმამრს. მერე კი, საკუთარ



ბიძას ცოლი წაართვა, თუმც, ამგვარი უზნეობისა და მოუთოკავობის პარალელურად, კულტურულ საქმიანობაზეც იზრუნა: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვალები გადაიხადა, „ვეფხისტყაოსანი“ გადააწერინა და შეამკინინა, ახალი ტაძრები ააშენა, ძველი აღადგინა, ეკლესიას ბევრი ოქრო-ვერცხლი და ხატები შესწირა, რომლებსაც მინაწერებიც დაურთო თავისი მძარცველური თავდასხმების შესახებ მეზობელ ქართულ ფეოდალურ სამთავროებზე. ერთი სიტვით, ქართული ხასიათის მოუცილებელი თვისება: უზნეობა და მოუთოკაობაც ძალუმად გამოავლინა და ესთეტიკურობაც. სტალინს უახლოეს გარემოცვაში კაცი აღარ დარჩა, ვისი ცოლი, შვილი, ძმა თუ საზოგადოდ ოჯახის წევრი არ გაეციმბირებინოს, მეტიც – მათი უმეტესობა არ დაეხვრიტოს, თუმც ჩვენებური წარმომავლობის დიქტატორს არც მშობლიური, ქართული ხელოვნების დეკადის ჩატარება დავიწყებია და არც რუსთაველის იუბილესი. ყოველივე ეს ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებდა, ალბათ. ლავრენტი ბერიამ გვამებზე სიარულით შეაღნია კრემლში, წითელი მეფის კარზე. შემზარვია ყოველივე ეს, მაგრამ, რას იზამ, ჩვენ სტალინისა და ბერიას მშობელი ერი ვართ, დიდი ბელადის მონატრება დღესაც რომ არ გაგვნელებია. პასუხისმგებლობას რაც შეეხება, სტალინისა და ბერიას გამო, რა თქმა უნდა, ვერ ავიღებთ საკუთარ თავზე, თუმც, ვერც მათ ხოტბას და სიყვარულს შეველევით.

როგორც ითქვა, სწორედ სტალინისა და ბერიას ეპოქის ფანტასმაგორიული, შემზარავი ყოფაა ასახული რეზო ჭეიშვილის მოთხოვაში „ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძე“. მართალია, ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი, მაგრამ იმ შემზარვმა ყოფამ მხატვრული უკუფენა დიდად ვერ ჰპოვა ჩვენს მწერლობაში. რეზო ჭეიშვილის უკანაკნელი მოთხოვა ამ ნაკლს, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ავსებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მისი ავტორისათვის მთავარი ჩვენი ერის ხასიათში ჩაბუდებული „ესთეტიკური უპასუხიმგებლობის და მოუთოკაობის წარმოჩენაა“.

ამდენად, წარსულის ასახვა არაა რეზო ჭეიშვილის მოთხოვაში მიზანი, ის უფრო საშუალებაა, რომელიც ეროვნული ხასიათის მანკიერ თვისებებს ააშვარავებს. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს მოთხოვაში ფინალი, სადაც აშვარაა მინიშნება (ალუზია) ფილმზე „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელშიც ყვარყვარე (მსახიობი დოდო აბაშიძე) ლალად და თავმომწონედ ბუქნაობს და მღერის: „ტრულაილას ფული რად უნდა, ტრულაილა თვითონ ფულია...“ ჩვენ ყვარყვარეს მშობელი ერიც ვართ. კონფორმისტი და შემგუებელი, „ყოვლის მთმენი“, „ინდივიდუალური უპასუხისმგებლობით“ გამორჩეული, რომელიც საკუთარ უპასუხისმგებლობას ესთეტიკური უდარდელობით ნიღბავს. ამიტომ ემსგავსება ჩვენი არსებობა გამუდმებულ სცენაზე ყოფნას. ეს უკე უცხოელმა კი არა, ჩვენებურმა თქვა. გურამ ასათიანი, ქართულ ხასიათზე მსჯელობისას, საგანგებოდ აღნიშნავდა: „ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. მარტოდ დარჩენილსაც კი ვიღაცის მოუშორებელი მზერა ელანდება და ყოველ თავის მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას ითვალისწინებს“.

სცენაზე დგომისა და ესთეტიკური უდარდელობით გამორჩეული საერთო ეროვნული უპასუხისმგებლობის „კლასიკური მაგალითი“ ორგზის ვიზილეთ უკანასკნელ ორ ათწლეულში. პირველად, როცა აფხაზეთის წაგებული ომის შემდეგ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დაბაზის სცენაზე გულზე მჯიდის ცემასა და ბაქიბუში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს და მეორედ, 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ დღეებში, როცა პარლამენტის წინ რაღაც გაუგებარი სანახაობა და ტაშ-ფანდური მოვაწყვეთ. ორივეჯერ დამარცხებულ-გაბითურებულნი, სცენაზე, ვითომდა, ჩვენს სულიერ გაუტეხლობას ესთეტიკურად წარმოვაჩენდით, ხოლო წაგებული ომის მთავარსარდლებს საუკუნო ერთგულებას ვეფიცებოდით, ოლონდ, ეგ არის, შაგრენის ტყავივით გაღეულსა და დაბატარავებულ ჩვენს მამულს ვერაფერი შევმატეთ. მართალია, „ტრუ-

ლაილას ფული რად უნდა...“ არ გვი-  
მღერია, ცოტა უფრო დრამატული და  
გულისამაჩუქუბელი ვთქვით და ვიმღე-  
რეთ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ  
სცენაზე ვიდექით, ყველაფერი ლამა-  
ზად და ესთეტიკურად ჩავატარეთ, პა-  
სუხი კი არც სხვას მოვთხოვეთ და არც  
საკუთარ თავს, როგორც უპასუხის-  
მგებლოდ ჩავებით იმ ორ ოში, ისე უპა-  
სუხისმგებლოდ დავასრულეთ.

ახლა ისევ „ქორეოგრაფ დათიკო მე-  
სხორიძეს მივუბრუნდეთ მოთხოვის ფი-  
ნალში კვლავ ცეკვა და ტაშ-ფანდურია,  
ამბის თხრობა დასრულებულია, მაგრამ  
გულარხეინობა გრძელდება. კვლავ გა-  
ისმის: „ასტამურას ფული რად უნდა...“  
თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება.  
მოთხოვის იმითვე მთავრდება, რითაც  
დაიწყო, თუმც სულ დამაგიწყვდა მეი-  
თხველისთვის შემეხსენებინა მოთხოვის  
დასაწყისი: საბავშვო ბალის ალსა-  
ზრდელი, ფეხისწვერებზე აზიდული და  
ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილი  
ხუთიოდე წლის ბიჭი, მოპირდაპირე შე-  
ნობის საკალათბურთო დარბაზში, რო-  
გორ უცქერის, თვალმოუშორებლად,  
ყრუ-მუნჯთა ანსამბლის რეპეტიციას –  
ნაგანის სროლას და ბახაბუხს, მერე კი,  
ფინალში, როგორც მოგახსენეთ, მწერალი  
ისევ საკუთარ ბავშვობას უბრუნდება,  
იმას, რითაც მოთხოვის დაიწყო:

„მე ახლაც გაუწმენდავ, მტვრიან  
შუშაზე ვარ ცხვირმიდებული, სილიან  
აგურებზე ისევ ფეხმოუკიდებელი ვიჭყი-  
ტები ვეებერთელა, ბურუსიან დარბაზში,  
კალათბურთის ცალი ფარი ჩანს ეულად.  
პარკეტზე ვიღაც დარბის შენელებულად:  
ერთი იცინის, ერთი ტირის, ვიღაც გადის,  
ვიღაც შემოდის, ერთი გაყავთ.

ერთი ფარი ჩანს.

შეუბერე, ასტრაფინა!

– ასტამურას ფული რად უნდა...

არავინა ჩანს. ვიღაც მღერის:

ნავალ და დავიკარგები (დოდო?!)...

ცეკვავს ცალ ფართან, არკი (დოდო)  
რა ჩიტის გული გქონია.

შეუბერე, ასტრაფინა!..

ცეკვავენ. არ ჩანან.

– ნამდვილი იყო?

– არა.

– არც ცალფა ფარი, ხომ?

ასეა, არ იცი?! შენ რა განუხებს, სად  
იხედები?!

იქ, სადაც დრო არ მიდის, სადაც  
ჩრდილებია, ლანდები...

მერედა ლანდებს რა მოეკითხებათ?  
ვიცით?!”

დრო გაჩერებულა, „დრო არ მიდის“-ო,

– გვეუბნება მწერალი და ეს ფრაზა  
არსებით მნიშვნელობას იძენს მოთხოვის  
აზრობრივი შინაარსის ამოსახსნელად:  
არაფერი შეცვლილა, ჩვენ ისევ წრეზე  
ვტრიალებთ, ზუსტად ისე, როგორც  
„მთავარი ქორეოგრაფი ბრუნავდა წრეში  
და ჭერში აჭედებდა კირუს ტყვიებს“.  
ჩვენ ისევ აბსურდის ტყვეობაში ვართ  
და აბსურდულ სიმღერას ვმღერით:  
„ასტამურას ფული რად უნდა, ასტამურა  
თვითონ ფულია...“ მოთხოვის ამგვარი  
ფინალი პრობლემის აქტუალობაზე, მის  
დაუძლევლობაზე მეტყველებს.

ახლა ისევ მოთხოვის ორმაგ და-  
სათაურებას მივუბრუნდეთ: როგორც  
მოგახსენეთ, მოთხოვის სულისშემსუ-  
თველი ყოფაა აღწერილი – XX საუკუნის  
30-ანი წლები – დასმენა-დაშინების, რე-  
პრესიების, სისხლის წვიმების ხანა. ამ  
მდგომარეობას უმწვავესი გროტესკის  
სახეს ანიჭებს გამუდმებული „დამპა და  
დუმპა!“, „გაშა-ურა!“ და ტაშ-ფანდური.  
ჰოდა, როცა ირგვლივ ასეთი ვითარებაა,  
ბარაქალა იმ ერს, ვინაც იმისთვის მო-  
იცავა, რომ ასეთი უდარდელი და სა-  
ლალობო სიმღერა შეექმნა: „ასტამურას  
ფული რად უნდა, ასტამურა თვითონ  
ფულია“ (სიმღერის ზოგიერთ ვარიანტში,  
„ასტამურას“ მაგიერ „ტრულაილა“ იხ-  
სენიება, მაგრამ ამას არსებითი მნი-  
შვნელობა არა აქვა). როგორც ჩანს,  
ჩვენი სილაჩრე და კონფორმიზმი გა-  
მუდმებით გარეგნული სილალით ინი-  
ლებოდა და ინილბება. ამიტომაც არის  
აქცენტირებული მოთხოვის სათაურში  
ეს ყოველგვარ აზრსა და შინაარსს მო-  
კლებული ფრაზა: „ასტამურას ფული  
რად უნდა...“ ამიტომაც აქვს მოთხოვის  
ორმაგი სათაური; ამიტომაც ითხოვა მისი  
დატოვების აუცილებლობა ავტორმა.



ჭეშმარიტ შემოქმედს ხშირად აქვს ერთი მთავარი თემა. ამით მისი ღირსება არა თუ არ კინიდება, არამედ, პირიქით, განსაკუთრებით გამოარჩევს მას. რეზო ჭეიშვილსაცაქვს საკუთარი მთავარი თემა, რომელიც მთელ მის შემოქმედებასაც მსჯვალავს და უკანასკნელ მოთხრობასაც – „ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძე“. რეზო ჭეიშვილი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე, გამუდმებით შეგვასენებდა, რომ, „თქვენ ცუდად ცხოვრობთ ბატონებო!“ (აქ ერთი ცნობილი მწერლის გამონათქვამს დავესესხე ანტონ ჩეხოვზე).

მიუხედავად იმისა, რომ რეზო ჭეიშვილის უკანასკნელ მოთხრობაში „ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძე“ არის დოკუმენტურობის მომენტებიც, მას არაფერი აქვს საერთო დოკუმენტურ პროზასთან. ცალკეული მომენტების ნამდვილობა, საბოლოო ჯამში, სათქმელის განზოგადებას ემსახურება. მოთხოვნაში კონკრეტულ ეპოქასა და ცალკეულ რეალურ მომენტებზე დაყრდნობით ეროვნული ხასიათის უარყოფით თვისებათა მხილება და წარმოჩენა-განზოგადება ხდება. ასე რომ, რეზო ჭეიშვილს სრული უფლება ჰქონდა, გაემეორებინა „კაცია-ადამიანის?!“ ავტორის სიტყვები: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ნაკლებდა ვწერთ“.

რეზო ჭეიშვილის თხზულებებში ასახული ჩვენი გამრუდებულ ყოფაც იმ სარკეში აირეკლება, რომელშიც „კაცია-ადამიანის?!“ ავტორმა ჩაგვახედა, რათა

საკუთარი ნაკლოვანება დაგვენახა. „ქორეოგრაფი დათიკო მასხორიძის“ ავტორსაც განუხრელად სწამდა და სჯეროდა, რომ: „ის მნერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია“ (ილია ჭავჭავაძე). სწორედაც, რომ „საკუთარი ვითარების“ შესწავლასა და გამომზეურებას ემსახურება გროტესკი და ირონია რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში, ოლონდ მის პროზას აქვს ერთი გამორჩეული თვისება – აქ გროტესკსა და, განსაკუთრებით კი, ირონიას რაღაცნაირი სევდაც ახლავს, ისეთი, დავით კლდიაშვილის შემოქმედების უმთავრეს თავისებურებას რომ გაგახსენებს. ამგვარი სევდიანი ირონიითა გამსჭვალული მისი მოთხრობები. ვინც „ბიჭიოს ავადმყოფობის ისტორიას“, ნაარტისტალი მეთუნუქის, სავლე გიორგაძის ყოფასა („ალ-რაზაკის სიკვდილი“) თუ „ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელ წლებს“ იცნობს, დამეთანაბება ამაში. რეზო ჭეიშვილიც, დავით კლდიაშვილის მსგავსად, თანაუგრძნობდა უკულმართ ყოფასა და ვითარებაში მოქცეულ საკუთარ პერსონაჟებს.

ახლა, როცა უკვე დასრულებულია რეზო ჭეიშვილის ამქვეყნიური ყოფა, ნუგებად ისლა გვრჩება, რომ კვდება ადამიანი და არა მისი შემოქმედება. სიცოცხლის მიმწერის უამს დაწერილი რეზო ჭეიშვილის უკანასკნელი მოთხრობაც ამის დასტურია.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

P. S. ახლახან, 2015 წლის 19 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის უიურიმ მხარი დაუჭირა უურნალ „ცისკარი 1852“-ის ნინადადებას და „ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძის“ ავტორს, რეზო ჭეიშვილს, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, გარდაცვალების შემდეგ, კონკურსის ჯილდო „ოქროს ხოხობი“ მიანიჭა. ჯილდო მნერლის შვილიშვილებს გადაეცათ.



## თამაზ ტყვეობაში

### სიყვარული, როგორც სიცოცხლეს აღემატა

(ნინო ჭავჭავაძე და ალექსანდრ გრიბოედოვი)

აზრი და საქმე შენი უკვდავია რუსული მახსოვრობისთვის, ოლონდ  
საკითხავია, რისთვის აღემატა ჩემი სიყვარული შენს სიცოცხლეს.  
**ნინო ჭავჭავაძე**

**ალექსანდრ გრიბოედოვის საფლავის ეპიტაფია**

#### თეირანი. 1829 წლის იანვარი...

ალექსანდრ გრიბოედოვი ჯერ კიდევ პეტერბურგში იყო და, როგორც სპარსე-თის მინისტრ-რეზიდენტი, იმპერატორის ინსტრუქტაჟს ისმენდა, როდესაც კავკა-სის მთავარსარდალმა ივან პასკევიჩმა<sup>1</sup> ირანიდან საოკუპაციო საჯარისო ფორ-მირებები გამოიყვანა. 1828 წლის მარტის ბოლოს ტფილისში ჩამოვიდა და გენე-რალიტეტთან ერთად კვლავ საბრძოლო სტრატეგიის შემუშავებას შეუდგა – ამ-ჯერად თურქეთის წინააღმდეგ. თურ-ქენების საზავო ხელშეკრულების<sup>2</sup> რამ-დენიმე მუხლით გათვალისწინებულ ვალ-დებულებას სპარსეთი სრულყოფილად არ ასრულებდა. ეს ითქმის, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისადმი მიყენებული ზა-რალის საკონფისკაციო თანხის გადახ-დაზე (ამ თანხის დიდი ნაწილი ინგლისმა მისცა მისთვის ასე საინტერესო ქვეყა-ნას, სპარსეთს). გადასახდელი რჩებოდა ოთხი მილიონი მანეთი. სპარსეთი არც ტყვებს ათავისუფლებდა. ამას ისიც და-

ერთო, რომ ქვეყანაში სხვადასხვა დავა-ლებით მყოფ რუს მოხელეებს, ვაჭრებს შავ დღეს აყრიდნენ. გახშირდა უხეშად მოპყრობის და ძალადობის ფაქტები. სპარსეთის შაპის ფარული ბრძანებით ქვეყნის ჩრდილო რეგიონებში დამსჯელი რაზმები დათარეშობდნენ და დედაბუდი-ანად ანადგურებდნენ ყველას, ვინც ომის დროს რუსებს თანაუგრძნობდა, – მხო-ლოდ იმის გამო, რომ ეჯი-რიზას სახლში ორიოდ დღე დაპყვეს, რუსეთის ჯარის სამი ოფიცერი საჯაროდ ჩაქოლეს.

ნავარინის ყურესთან მოულოდნელი შეტაკებისას რუსეთმა თურქეთის რამ-დენიმე საბრძოლო კატარლა გაანადგუ-რა, რამაც უკიდურესად დაძაბა ორ ქვე-ყანას შორის ვითარება.

იმპერიის საგარეო საქმეთა მინის-ტრის, ფრიად გამოცდილი და უნარიანი ნესელროდეს<sup>3</sup> რჩევით, რუსეთის იმპე-რატორმა, ნიკოლოზ პირველმა ყველა ხერხს მიმართა, რათა შეეტყო, რომ ავად განწყობილი თურქეთის წამქეზებლად, ინგლისს გარდა, არენაზე უკვე საფრან-

გეთიც გამოჩნდა, ამიტომ დაასწრო და 1828 წლის 12 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს. ირანიც, რასაკვირველია, თურქეთის მხარეს დაიჭერდა, რადგან სულს უხუთავდა თურქმენჩაის საზავო, მძიმე პირობები. სწორედ ახალი ომის იმედით არა და არ ახდენდა ხელშეკრულების რატიფიკაციას.

სამხრეთის ჰაერი, უკვე მერამდენედ, სისხლის სუნით იყო გაჯერებული, როდესაც გრიბოედოვი ავი წინათგრძნობით ტფილის მიადგა. იმპერატორის კარზე, მინისტრ-რეზიდენტის წოდებას რომ ანიჭებდნენ, მისთვის ყველაფერი არ უთქვამთ – არსებული ვითარება კარგად რომ სცოდნოდა, ამ თანამდებობის მიღებას არ დასთანხმდებოდა.

### სპარსეთისკენ

გრიბოედოვი და ნინო იმდროისათვის კომფორტულ ოთხცხნიან ეტლში სხედან. ეტლის სარკმლიდან, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ნინოსთვის სრულიად უცნობი და საინტერესო პეიზაჟი იმშება. სამაგიეროდ, არაფრის ხილვა არ სურს გრიბოედოვს – იგი უკვე მერვედ მიემართება ამ გზით და აქაურობა იმდენად კარგად იცის, რომ ალარაფერი აინტერესებს. ცდილობს, განსაკუთრებით ყურადღებიანი და ალერსიანი იყოს მეუღლისადმი. ბევრს ფიქრობს ბედისნერაზე. მართლაც, რა უცნაურია... უკელა ახალშეუღლებული იქ მიემგზავრება, სადაც სიხარულს და ბედინერებას ერთნაირად განიცდის, სადაც წეტარებას შეიგრძნობს. გრიბოედოვს კი ამ მტვრიანი, ხრიოკი გზით სპარსეთში მიჰყავს საყვარელი არსება, ანუ იქ, საიდანაც, ადვილი შესაძლებელია, ცოცხლები ველარც დაბრუნდნენ. ნინოსთან არ იმჩნევს, მაგრამ განწყობილებას უამრავი ფაქტორი უმძიმებს.

ტფილისიდან გამომგზავრების წინ, 7 სექტემბერს გრიბოედოვმა მთავარმართებელს გადასცა პროექტი – რუსეთის

ამიერკავკასიის კომპანიის შექმნისა (რეგიონის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის). იმავე დღეს „ტფილისის უწყებანი“ ამ პროექტს „ბუმბერაზულ წამოწყებას“ უწოდებს... „ამ საგანზე ყველა წინასწარ განზრახვა დამყარებულია მხარის ღრმა შესწავლით მოპოვებულ საფუძველზე მიღებულ უაღრესად ნათელ დასკვნებზე“. პროექტში კარგად ჩანს, როგორ აქვს შეცნობილი მის ავტორს მთელი კავკასია, მისი პრობლემები და პერსპექტივები. პროექტის განხორციელება ითვალისწინებდა: ბათუმის რაც შეიძლება მალე გათავისუფლებას თურქეთისაგან, ტფილისის დიდ საწარმოო ქალაქად გადაქცევას, მტკვარზე ნაოსნობის შექმნას, სკოლების, ბიბლიოთეკების გახსნას, ვაჭრობის აღორძინებას, აპრეშუმის, ნართის, მატყლის გადასამუშავებელი ფაბრიკების აშენებას, მედვინეობის, მეხილეობის განვითარებას. ყურადღება ექცეოდა ბაქოს ნავთობს, სომხეურ ბამბას. ხელისუფლების სამებლად პროექტში ნათქვამია, რომ აქციონერები მხოლოდ და მხოლოდ რუსები იქნებიან. პროექტის თანავტორი ზავილეისკი ტფილისში დარჩა, რათა პროექტის შესახებ პასკევიჩის აზრი შეეტყო. მთავარმართებელმა პროექტი წაიკითხა და იმავე დღეს განსახილველად გადასცა კავკასიის საგანგებო კორპუსის გენერალ-ინტენდანტს, უუკოვსკის. პროექტს კითხულობს უკვე პასკევიჩის „მარჯვენა ხელად“ ალიარებული თაღლითი ყორლანოვი, რომელსაც კარგა ხანია, რაც გრიბოედოვმა „ივან კაენი“ შეარქვა. პასკევიჩის თავდაპირველი ინტერესი და კეთილგანწყობა ასიმეტრიულად შეცვალა „ივან კაენმა“ და უუკოვსკიმ. მათ დაანახეს პასკევიჩს, რომ პროექტი, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება ამიერკავკასიაში ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. საშიშრად მიიჩნიეს კავკასიაში საქართველოს პრიორიტეტიდ აღიარება. „თუ საქართველოში ინდივიდუალურ მანუფაქტურულ ნაწარმს შევქმნით, ეს ხომ შეამცირებს საქართველოს კავშირს

რუსეთთან... არა, „საქართველოსაც ისე უნდა შევხედოთ, როგორც ნამდვილ კოლონიას“... თუ პროექტს „მწვანე გზა“ მიეცემა, „ივან კაენის“ აზრით, კავკასიის მთავარმართებელი, ფაქტობრივად, გრიბოედოვი ხდება. ამ ფაქტმა კი ძალზე აღაშფოთა თავის თავზე უზომოდ შეყვარებული გრიბოედოვის სიძე – პასკევიჩ-ერევანსკი. შესაძლოა, ამ გრანდიოზული გეგმის ბედი სხვაგვარად წარმართულიყო, გრიბოედოვს და ზავილეისკის ეშმაკობა რომ ესმართ და პროექტის მესვეურად მთავარმართებელი ელიარებინათ.

ერევანში გზად წამოწეულმა ზავილეისკიმ წამოიძღვანია პროექტი, რომელ-საც „ერევანსკის“ საზიზღარი კალიგრაფიით ენერა (თურმე ყველას უჭირდა მისი ნაწერის წაკითხვა და იქიდან აზრის გამოტანა), რომ იდეა უარყოფილი იყო.

(გაივლის ათეული წლები და საქართველოში უამრავი ვინძე ისე, რომ არც ამ პროექტს გაეცნობა და არც მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, იტყვის – გრიბოედოვის პროექტი საქართველოს „გარუსების“, მისი „სრული განადგურების“ მიზანს ემსახურება. ამასვე იმეორებენ დღესაც!)

დიდი ნაწილი 40000 ჩერვონეცისა<sup>4</sup>, რომელიც გრიბოედოვმა იმპერატორი-საგან ჯილდოდ მიიღო, მეგობარ ლიტერატორს, ბულგარინს დაუტოვა, რათა „ვაი ჭკუისაგან“<sup>5</sup> წიგნად გამოეცა. იგი ჯერ კიდევ პეტერბურგში იყო, როდესაც სათეატრო თხზულებათა ბედის გადამწყვეტი სახალხო განათლების მინისტრი (რომელიც მერე თავის შეხედულებებს შინაგან საქმეთა მინისტრს უთანხმებდა), შიქვოვი, მოულოდნელად გაათავისუფლეს და მის ადგილას ეანდარმერიის შეფის, ბენკენდორფის ახლო წარმოავი კ. ლივენი დანიშნეს. ლოიალურმა ცენზორმა, ბეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილმა პროფესორ-ორიენტალისტმა ტ. ბენკოვსკიმ ნაწარმოების სატიტულო ფურცელს წააწერა: „ეს კომედია დაწერილია კეთილგანზრახვით და შეიძლე-

ბა დაიბეჭდოს მთლიანად, ყოველგვარიცვლილებების და შემოკლებების გარეშე“. ლივენმა კი წიგნის დაბეჭდვა შეუძლებლად მიიჩნია და კარიერის პირველსავე დღეებში იმპერატორის მოწყალე ღიმილიც დაიმსახურა. ყოველივე ამას აუწყებდა გზად წამოწეული ბულგარინის წერილი, სადაც დამამშვიდებლად ქლერდა ფრაზა – პიესას შემოკლებით დაგეჭდავ ჩემს ალმანახშიო. ამ ფაქტმა ლიტერატორ-გამომცემელი ბულგარინი და მისი თანამოსაქმე გრეჩი უანდარმერიის სათვალთვალო პერსონებად აქცია.

**მინაწერი:** გრიბოედოვი თავის წიგნს ვერ მოესწრო. მისმა ახლობლებმა შეძლეს წიგნის გამოცემა 1833 წელს, მოსკოვში, ავგუსტ მენის სტამბაში, თუმცა ტექსტი ძალზე დაამახინვა ახალმა ცენზორმა სემიონოვსკიმ – ფამუსოვის<sup>6</sup> და ჩაცკის მონოლოგში ბევრი რამ შეცვალეს. 1853 წელს გრიგოლ წინამდლვრიშვილმა ქართულად თარგმნა ეს ნაწარმოები. გავრცელდა მხოლოდ 1862 წელს. შემდგომი თარგმანები ეკუთვნით დიმ. ერისთავს, ალ. ყაზბეგს, ს. ფაშალიშვილს. ნაწარმოები სრული სახით წარმოადგინეს 1831 წლის 26 იანვარს პეტერბურგში. მოსკოვში კი მეორე დღეს, 27 იანვარს.

1832 წლის 21 იანვარს საქართველოს მთავარმართებლის, ბარონ როზენის, მისი მეულლის და ტფილისის ელიტისათვის რუსულად წარმოადგინეს „ვაი ჭკუისაგან“. რეჟისორი იყო მიხ. ლამაზოვი, რომელიც აგრეთვე განასახიერებდა ფამუსოვს.

ეს თეატრალური წარმოდგენა კიდევ განმეორდა. ავადმყოფობის გამო ვერცერთს ვერ დაესწრო ნინო ჭავჭავაძე.



გრიბოედოვის მისამ ასეთი გეზი აირჩია: ტფილისი-კოდა. შულავერი-ჯელალ ოლლის გზა, მერე ამამლოს გზა ერევანზე გავლით. 17 სექტემბერს ეჩმიაძინს მიაღწიეს და ღამე გაათიეს. აქედან

ერევნისკენ აიღეს გეზი. ეჩმიაძინდან წერილი გაუგზავნა გრიბოედოვმა პეტერბურგელ მეგობარ ნ. გალმატინს, ვ. მიკლაშვილს (გრიბოედოვისა და ნინოს სასიყვარულო ამბის მიმართ ირონიით განწყობილთ ვურჩევთ, საფუძვლიანად გაეცნონ ამ წერილს): „...ჩემი ცოლი ჩვეულებრივ თვალებში შემყურებს და წერას არ მანებებს. იცის, ქალს რომ ვწერ და ეჭვიანობს... ცოლთან ერთად ვმოგზაურობ უზარმაზარი ამალით. 110 ცხენით, ჯორებით. ლამებს ვათევ კარვებში, მთის მწვერვალთა ფონზე. უკვე იგრძნობა სიცივე. ჩემი ნინო გალადებულია, ყველაფრით კმაყოფილია, გიუმაუ და მხიარული. ახალ-ახალი შეხვედრები მოუწყინარია. წინ გვეგბებიან ცხენოსნები. ქვეითდებიან და გვილოცავენ ბედნიერად ჩასვლას იქ, სადაც სრულებითაც არ მსურს ვიყო...“ მართლაც, ეჩმიაძინში გალობით, ჯვრებით, ხატებით შეეგებნენ, შემდეგ კი ერევნიდან მათ შესახვედრად გამოემართნენ ხუთასი ცხენოსანი, ხანები და ერევნის პლაც-ადიუტანტი.

21 სექტემბერს კი, დილით, ბაიაზეთი-დან ჩამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. ოთხი დღე ერთად არიან (იქვე ნინოს დედაც, სალომე ორბელიანი). ქალიშვილს მამამ ქორწილისმაგვარი ლხინი მოუწყო. 25 სექტემბრის დილას კი გამოემშვიდობნენ ახალშეულლებულებს და ტფილი-სისკენ მობრუნდნენ. მისია გზას განაგრძობს. 27 სექტემბერს უკვე თავრიზშია.<sup>7</sup> წინ შემოეგებათ სპარსეთის ტახტის მეკვიდრე აბას-მირზა, რომელსაც გრიბოედოვმა გადასცა რუსეთის იმპერატორის რატიფიცირებული ტრაქტატი. თავრიზში ირი თვე დაჰყო გრიბოედოვმა.

გრიბოედოვის თავრიზში ყოფინის ქამს, 1828 წ. 23 ნოემბერს, პასკევიჩი იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ნესელ-როდეს, ერთგვარ სამხილ და საბოდოშო წერილს უგზავნის: „თქვენი ბრნინვალებისთვის, რა თქმა უნდა, უკვე ცნობილია, რომ სპარსეთის კარზე ჩვენმა სრულუფლებიანმა მინისტრმა, სამოქალაქ

მრჩეველმა გრიბოედოვმა, სპარსეთში გამგზავრებამდე შეირთო გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძის, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მემამულის ქალიშვილი, ისე, რომ ამის ნებართვა არ უთხოვია. ამის გამო ჩემს მოვალეობად ვრაცხვაცნობო თქვენს ბრნინვალებას, რომ გრიბოედოვის ჯვარისწერა რამდენადმე მოულოდნელად მოხდა. მას უნდა ალეს-რულებინა უზენაესი ნება და საჩქაროდ წასულიყო სპარსეთში, ამიტომ არ შეიძლებოდა ჯვრისწერა შემდგომი დროისთვის გადაედო. გრიბოედოვის დაუინებით თხოვნით მე ვიკისრე მიმეცა მისთვის ქორწინების უფლება. გთხოვთ, თუ საჭიროდ ჩათვლით, ყოველივე აცნობოთ მის უდიდებულესობას – იმპერატორს“.

სპარსეთი დროის მოგებას ცდილობს. აჭიანურებს ოთხი მილიონი მანეთის რუსეთისათვის გადაცემას. გრიბოედოვი წონას სწორობიდან გამოჰყავს გაუთავებელ შეხვედრებს, ერთი და იმავეს გამეორებას. იგი არ ინდობს არავის, ვინც არ მიიღო მისი წინადადება, რომელიც დღეის გადასახედიდან ზუსტია და მახვილ-გონივრული. მისი აზრით, მუქარის წერილი უნდა გაეგზავნათ სპარსეთის ცბიერი შაჰის და მისი ქვებუდანი შვილის, აბას-მირზასთვის. და, თუ გრიბოედოვს გააგზავნიდნენ სპარსეთში, ისინი თანხას აღარ გაიღებდნენ. რუსეთი ვერაფერს ვეღარ იზამდა, რადგან მისიის წევრთა სიცოცხლეს უნდა გაფრთხილებოდა.

ინგლისის დიპლომატიური მისია უკვე, როგორც სურდა, ისე წარმართავდა სპარსეთის საგარეო პოლიტიკას. ყველა-სათვის ნათელი იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომში სპარსეთი თურქეთის მოკავშირე გახდებოდა. სრულუფლებიანი ელჩის ყოველდღიური შეხვედრები თავრიზში აბას-მირზასთან, მის გარემოცვასთან. სხვადასხვა მიზეზით უსაშველოდ ჭიანურდებოდა. აშკარა იყო, რომ ინგლისი სპარსეთში მილიონებს ხარჯავდა და ქვეყანას აძლიერებდა. მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ამუშავებ-

დნენ რამდენიმე გეგმას, რომლის ძალითაც დაირღვეოდა თურქმენჩაის ზავი და სამხრეთის ტერიტორიებზე შემოჭრილი რუსეთი იძულებული იქნებოდა, თავის საზღვრებში დატეულიყო. პეტერბურგის სამეფო კარზე მსტოვრების თუ ოფიციალური პირების გამოგზავნილი წერილები ნათელყოფდა, რომ დიპლომატიური მისის წევრები დიდი საფრთხის წინაშე იყვნენ. ნაცვლად იმისა, რომ იმპერატორს ავად დამუხტული გარემოსაგან განერიდებინა მისია და მისი მეთაური, პირიქით, ახალ-ახალ სამოქმედო დირექტივებს უგზავნიდა. გრიბოედოვს უნდა შეესწავლა კასპიის ზღვის სანაპიროებიდან ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-საქარავო გზების ყოველი ნიუანსი. უნდა დაედგინა, რა კავშირი ჰქონდა სპარსეთს აზიის მეზობელ ქვეყნებთან: ავღანეთთან, ბუხარასთან, თურქეთთან და, რაც მთავარია, ინდოეთთან.

იმპერატორმა ყურად არ იღო მინისტრ-რეზიდენტის რჩევა, ეპატიებინა ირანისთვის დარჩენილი ორი ყურური, ანუ ოთხი მილიონი მანეთი და პეტერბურგს მოსათათბირებლად მიეწვია აბას-მირზა, რომელიც კვლავაც რჩებოდა წინააღმდეგობათა მიზეზად. გრიბოედოვმა აბას-მირზა უკვე წინასწარ დაითანხმა ამ ვიზიტზე. პატივმოყვარე ტახტის მემკვიდრე (რომელსაც რუსეთის მხარემ ოფიციალურად განუცხადა ტახტისათვის ბრძოლაში მხარდაჭერა) პეტერბურგს ეწვეოდა და ყველაფერი მოგვარდებოდა. არცთუ ღრმად მოაზროვნე პასკევიჩი მხარს არ უჭერდა გრიბოედოვის ამ მოსაზრებას. ცდილობდა, წესელროდეც დაერწმუნებინა იდეის უვარებისობაში – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კავკასიონზე ზაფხულამდე ვერავინ გადავაო. პასკევიჩის აზრით, აბას-მირზა უნდა დაეჯერებინათ, რომ თუ სპარსეთი პირადად მას აჩუქებდა ბალდადის ან ვანის და მუშქის საფაშოებს, რუსეთს საბრძოლო იარაღი უნდა მიეცა სპარსეთისათვის, მატერიალურად მოემდლავრებინა,

ასტრახანში კი მზად უნდა ჰყოლოდათ 10000-კაციანი მძლავრი არმია, თუ ირანი ჩვეულებისამებრ მუსანათურს რასმე მოისურვებდა.

გრიბოედოვი სიხარულით თავბრუდას-ხმულია. მეუღლე ფეხმძიმედაა... „ნუთუ აქ, ამ საშინელებაში უნდა დაიბადოს ჩემი შვილი?“ – გული მხოლოდ ამაზე წყდება და აღარ იცის, როგორ და რითი ასიამოვნოს თექვსმეტი წლის მეუღლეს.

მოულოდნელი არ იყო გრიბოედოვის-თვის ახალი ბრძანება, დაეტოვებინა თავრიზი და თეირანს გამგზავრებულიყო... ბედის ირონიაა, რომ გრიბოედოვი მეზობლად მოსახლე ინგლისის მისის მეთაურის, ვინც მისი სიკვდილით დასჯას მალე მხარს დაუჭერს, მაკდონალდის მეუღლეს (ძალზე ყურადღებიან და მოყვას ქალბატონს) ემუდარება, ყურადღება არ მოაკლოს ნინოს. აღსანიშნავია, რომ ფეხმძიმე ქალზე ზრუნავდა აღალო-ბეგის ოჯახი, რომლის დიასახლისიც ქართულის მცოდნე გეზალ-ხანუმი გახლდათ. გრიბოედოვს ასე თუ ისე ისიც ამშვიდებდა, რომ ინგლისის მისიას ძალზე გამოცდილი ექიმები ჰყავდა თავრიზს ჩამოყვანილი.

გამგზავრებული მისის მეთაური წამით შეყოვნდება, ცხენს შემოაბრუნებს და ორი-სამი წამი უცქერის სპარსული სახლის ჭრილ სარქმელში თვალზე ცრემლმომდგარ, თითქოს გაღიმებულ საყვარელ მეუღლეს, რომელიც გულში მესედ იმეორებდა ლოცვას. გრიბოედოვმა ცხენს მათრახი გადაჰკრა და უმალვე მიეფარა თავრიზის მეჩეთის ბრტყელი აგურით ნაშენ კედელს.

მეოთხე დღეს ნინომ წერილი მიიღო. „ჩემო უძეირფასესო მეგობარო, მებრალები, საშინლად მოწყენილი ვარ. მიმდიმს უშენობა. მხოლოდ ახლა ვიგრძენი სიყვარულის ჭეშმარიტება. წინათაც ბევრჯერ დამაშორა ბედმა საყვარელ მეგობარს, მაგრამ მალე განშორების ნალველი მიქრებოდა. ახლა, რაც უფრო შორს ვარ შენგან, მით უფრო მიჭირს ასე ყოფნა.

ღმერთს ერთად ვევედროთ, ჩემო ანგელოზო, რომ ამის შემდეგ არასდროს ალარ დაგვაშოროს ერთმანეთს... გახსოვს, შუამავლის, მესამე პირის გარეშე, როგორ გამცნე სიყვარული? გახსოვს? როგორ გეამბორე პირველად?.. გახსოვს, მე რომ ავად გახდი და შენ რომ მეურნალობდი?.. დარეჯანის იმედი მაქვს (ნინოს მოახლე), ის მუდამ ფხიზლობს და გვერდიდან არ გცილდება. აკოცე მას, ჩემო ტკბილო, ფილაპესაც, ზაქარიასაც (ნინოს ქართველი მცველები). მადლობას ვუხდი მათ. თუ შენ მათი მოქმედებით კმაყოფილი იქნები, მე შემიძლია მალე მათ საკადრისი სიკეთე მივუზღო.

წელან ვათვალიერებდი აქაურ ქალაქს. ყველაფერი იავარქმნილია ისე, როგორც მთელი ეს ქვეყანა. მალე აქ ჩვენ ერთად გავივლით და ყველაფერი, ყველაფერი კარგად და ლამაზად მომეჩვენება.

მშვიდობით, ნინიკო, ჩემო პატარა ანგელოზო. ახლა საღამოს 9 საათია და შენ, ალბათ, დასაძინებლად წვები. მე კი მეხუთე დღეა არა და არ მეძინება. ექიმი ყავის სმას აბრალებს. მე კი ვიცი, რა არის ჩემი უძილობის მიზეზი – ეზო, სადაც სპარსულ ქორნილს იხდიან, ჩემი საძინებლის გვერდითაა. ხმაურობენ, მღერიან, ყვირიან და ყოველივე ეს მე არ მაპრაზებს, პირიქით, ძალზე მსიამოვნებს კიდეც.

ნახვამდის, უძვირფასესო მეგობარო... გკოცნის სავსებით შენი ა.გრ.“.

### გრიბოედოვის ტრაგიკული ალსასრული

ფეთ-ალი-შაჰის<sup>8</sup> ჰარამხანის მთავარი საჭურისი მირზა-იაკუბი მირქარიანი 1804 წელს დაატყვევეს და სომხეთიდან თეირანში ჩამოიყვანეს თავის მეგობართან, ან უკვე მანუჩარ ხანთან ერთად. ჭკვიანმა საჭურისებმა იოლად ისწავლეს სპარსული და ვაჭრული ალლოს წყალობით მალე დიდალი ფულიც იშოვეს. ერმოლოვის სპარსეთში შეპარულმა მსტოვრებმა მირ-

ზა-იაკუბი აგენტად გაიხადეს. სპარსეთის მხარე (ინგლისელების დახმარებით) თითქოს ხვდებოდა კიდეც, რომ საიდუმლო ინფორმაციები სწორედ საჭურის იაკუბის შემწეობით უონავდა, მაგრამ ვერა და ვერ წაასწრეს ღალატის ფაქტზე.

გრიბოედოვის კაბინეტში შესულმა სპარსული მისალმების რევერანსი შეასრულა და ყოველგვარი ქათინაურების გარეშე მოახსენა სათხოვარი. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიის დიპლომატიური მისია დიდ ყურადღებას აქცევდა თურქმენჩაის ზავის XIII მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესრულებას. რაც შეიძლება მალე უნდა გაეთავისუფლებინა ფეთ-ალი-შაჰს საქართველოდან და სომხეთიდან ტყვედ წაყვანილნი. შაჰის მთავარი საჭურისი გრიბოედოვს სთხოვდა, ამ ტყვეთა შორის ისიც ყოფილიყო მოხსენიებული. მიუხედავად სიმდიდრისა და თანამდებობისა, თავს შეურაცხყოფილ მონად ვგრძნობო. გრიბოედოვს არ შეუთავაზებია სავარძელი სტუმრისათვის.

– თქვენი სურვილი ჩვენთვის მისაღებია. ღამე, ფარულად რატომ მოხვედით? მოდით ხვალ, დღისით-მზისით, აშკარად და სხვა მოწმეთა თვალწინ განაცხადეთ თქვენი სათქმელი...

ხუთ წუთს არ გაევლო, რომ მირზა-იაკუბი ქურანა ცხენს მოახტა და სასახლისკენ გასწია. ფარულად მოთვალთვალე ჯაშუშები სახტად დატოვა ამ ფაქტმა.

მეორე დღეს, 15 იანვარს, მძიმე კაეშანი შემოაწვა გულზე. აკვიატებული ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა: „მე აქედან ცოცხალი ველარ დავბრუნდები“, მაგრამ ბუნებით უშიშარი, უდრევი ხასიათისა იყო და შიშს არ ნებდებოდა. ერთხანს მაგიდაზე საფრანგეთიდან გამოწერილ მოყვითალო სანერ ფურცლებს თვალგაშტერებით უმზერდა. იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ძალიან მალე მისთვის ბევრი რამით საინტერესო დიდ სოფელში თან წაიღებდა გონიერაში კარგა ხნის წინათ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა

გეგმას... მერე ხელში დიდხანს ატრიალა ასევე საფრანგეთიდან მიღებული ცისფერი სამელნე, რომელშიც ჯერ მელანი არ ჩაესხა. თავის რეინის სამელნეში კალამი ჩააწინ და ფრანგულად მისწერა ნინოს: „ქვირფასო, გიგზავნი სამელნეს, იმიტომ, რომ ხშირად მომწერო წერილები, ჩემო ანგელოზო. მარად შენი ა.გ. 15 იანვარი 1829 წელი. თეირანი“. ეს იყო უკანასკნელი წერილი და უკანასკნელი საჩუქარიც საყვარელი მეუღლისადმი.

ორი საათის შემდეგ მირზა-იაკუბ-ხანიც მოვიდა. ამ დროს გრიბოედოვთან იმყოფებოდნენ შაპის კარის საფინანსო საქმეთა მესვეურნი (კვლავ უთავბოლოდ მსჯელობდნენ რუსეთისათვის გადასახდელ ოთხ მილიონ მანეტზე), რომელთა გასაგონად მირზა-იაკუბმა მინისტრ-რეზიდენტს უმორჩილესად სთხოვა, მფარველობა გაერია მისთვის, როგორც დატყვევებულისთვის და როგორმე დაეპრუნებინა იგი მშობლიურ სომხეთში. გრიბოედოვმა ასევე ოფიციალურად განუცხადა, რომ რუსეთის საქურის შეიფარებდა საჭურის, ვიდრე მისი უდიდებულესობა ფეთ-ალი-ხანი ოფიციალურ ნებართვას მიღებდა მისი სამშობლოში გამგზავრების შესახებ.

მაღლ შაპს შეატყობინეს, რაც მოხდა. წყენა, გაოცება და სიპრაზე ერთად აისახა ღრმა სიბერით დანაოჭებულ სახეზე. იმავე დღეს შეყარა თავისი მინისტრები, დაისწრო ინგლისის მისის ხელმძღვანელი. ამ დროს საელჩოს ოთახი სავსე ყოფილა ხოჯებით, რომელნიც სახეში აფურთხებდნენ მირზა-იაკუბ-მირქარიანს. ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ 20 იანვარს თეირანის თავმომწონე თავადის ალიარ-ხანის პარამხანიდან ორი სომეხი ხარჭა გამოიპარა და ტირილით მიადგა რუსეთის საელჩოს, ეგებ გვიშველოთ და ჩვენს ოჯახებში დაგვაპრუნოთ. გრიბოედოვმა უყოფმანოდ მისცა თავშესაფარი საელჩოს შენობაში. მალე საელჩოსთან ცხენი მოაჭენა ალიარ-ხანმა, რომელიც ქალების მკაცრად გადა-

ცემას მოითხოვდა. ესენი ჩემი კანონიერი ცოლები არიან, თანაც ერთი ფეხმძიმედაო... გრიბოედოვი წარბშეუსრელად იცავს ხელშეკრულების XIII მუხლს და, პირიქით, მოითხოვს სასწრაფოდ გაათავისუფლონ მონურ პირობებში მყოფი ტყვევები და თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნონ. ინგლისის მისის მეთაური მაკდონალდი სიამოვნებას ვერ ფარავს. სცენარი ისე ვითარდება, რომ, მისი აზრით, რუსეთი თვითონ გამოუცხადებს ომს ირანს, ეს კი, ბოლოს და ბოლოს, გაართიანებს ირანს და თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ომში ჩაეპინება ყველა მუსულმანური ქვეყანა. ისინი მიიღებენ ევროპიდან საჭირო დახმარებას და რუსულ დათვს არა მარტო ბრჭყალებს შეაკვეცენ... შაპი ყველაზე მეტ ანგარიშს მაკდონალდის აზრებს უწევს, მაგრამ, თეირანში ვითარება რომ ბოლომდე დაიძაბოს და მოსახდენი მოხდეს, ამისთვის თეირანის მთავარი მუშტაიდი უნდა ჩაებას და იანვრის 25-ში ისიც დაარწმუნა იაკუბ-ხანი უკვე ყველას გასაგონად აგინებს ისლამსო.

ქალებნაგვრილი ალიარ-ხანი<sup>9</sup>, შაპის სიძე, კბილთა ღრჭენით მოუნოდებდა ყველას, თავგასული რუსეთის დიპლომატიური მისიისათვის ჭკუა ესწავლებინათ. თეირანის მუშტაიდი მოლა-მესიხი და თვით თავრიზის მუშტაიდი ამერ-ფეტი სალოცავებში შესულ მუსულმანებს ერთხმად აწყევლინებდნენ ალაპის მაგინებელ მირზა-იაკუბს და მის მხარდამჭერებს. საჭურის კი ჩაქოლვა მიუსაჯეს.

ხალხი ბობოქრობდა. რისხვამ ყველას დაავიწყა, რომ რუსეთის იმპერიის მისის გაღიზიანებას, შესაძლოა, საყოველთაო უბედურება მოჰყოლოდა.

29 იანვარს, მუშტაიდის დავალებით, თეირანში მოქმედ მეჩეთთა სასულიერო პირებმა ხალხს მიმართეს, რომ 30 იანვრისთვის ყველას გამოეკეტა ბაზარი, მაღაზია, საჩაიე და თავი მოეყარათ მთავარი მეჩეთის წინ. მოწოდება ასეთი იყო: „მოდით რუსეთის საელჩოს შენობასთან.

გამოიყვანეთ იქ თავშეფარებული ტყვეები, ჩაქოლეთ მირზა-იაკუბი და რუსტამ-ქართველი, რომელიც იქვეა თავშეფარებული.

ამავე ღამით საბოლოოდ შეიყარნენ ფეტ-ალი-შაჰითან თრი მუშტაიდი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ინგლისის მისის ლიდერი და ალიარ-ხანი. სამ-ოთხჯერ გაისმა შეკითხვა, თუ რა მოჰყვება ამ ფაქტს, თუ მისის მეთაური ბრძოს შემოაკვდება, თუ მთელი მისია განადგურდება... შაჰითან ნაუყრუა, შეკითხვა არ დააფიქსირა, რითიც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

1829 წლის 30 იანვარს (11 თებერვალს) განრისხებით მოყაყანე მისიას წინ უძლოდნენ ალიარ-ხანი და თეირანის მუშტაიდი. გრიბოედოვს თავდაპირველად ეგონა, რომ ეს ხალხი სპარსეთის შაჰის ბრიყულ გეგმას – დაეშინებინათ მისია – ასრულებდა. ფიქრობდა, იყაყანებენ და დაიშლებიანო, მაგრამ სულ მალე იძულებული შეიქნა, ალიარ-ხანის ჰარემის ხალხი მომხდეურებისათვის გადაეცა. ეს უკვე დაგვიანებული ქმედება იყო. მისიას ხუთი კაცი შეიარაღებული დგას ეზოში, სადაც ქვექის წვიმა მოდის. მალე ალაყაფიც შემოანგრიეს და ერთმანეთს დაერივნენ. გრიბოედოვმა დამბაჩა დაცალა. ყოველგვარი დამიზნების გარეშე კლავდა გასროლილი ტყვია ადამიანს. ეზოში თითქმის ყველა მოკლეს. ხმალამონვდილი იდგა კარებთან მინისტრ-რეზიდენტი. მერე დინჯად შევიდა ბრძოში, ორ-სამჯერ ხმლის მოქნევაც მოასწრო, მერე... უკნიდან მოზრდილი ქვა მოხვდა კეფაში და გონი დაკარგა. ბრძომ გადათელა. მერე მომხდეურები შენობაში შეიჭრნენ და ყველაფერი დაიტაცეს. შენობა მთლიანად დაანგრიეს. ამ ბრძოლაში მისიას წევრთაგან ექვსი კაცი გადარჩა. მირზა-იაკუბი აკუნქს. დახოცეს სხვა შეფარებული ტყვეებიც.

**მინაწერი:** რუსეთის დიპლომატიური მისიას ამოწყვეტაზე დღემდე გრძელდე-

ბა უწიგნურთა ათასი ჭორი და მითქმა-მოთქმა. 2003 წელს „ოგონიოკში“ ორი რუსი ავტორის წერილი ამ ტრაგედიის მიზეზად პირადად გრიბოედოვს, მის უკმეხობას, უზრდელობასა და პოლიტიკურ სიბეცეს ასახელებს. ტრაგედიაში ლომის წილი (დიდება შენდა, ღმერთო!) თურმე გრიბოედოვის სიმამრს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უძევს. ვითომ ა. ჭავჭავაძემ, თავის სიძეს, სრულუფლებიან ელჩს, მისიას შემადგენლობაში ბევრი ქართველი თავადიშვილი შეაყვანინა. ეს ქართველები რუსებივით კარგები ხომ არ იქნებოდნენ? ქარაფშუტები, ფუქსავატები, აყალმაყალის ამტები თეირანის ქუჩებში მუშტი-კრივს მართავდნენ, რის გამოც თავისი წყრომა აღარ დაუფარავს სპარსეთის მხარეს. გრიბოედოვი თურმე ისეთი უზრდელი იყო, ეტიკეტს არად დაგიდევდათ. არ იხდიდა ფეხსაცმელებს შაჰის მისალებსა თუ მეჩეთში შესვლისას. შაჰის ტიტულების გარეშე მოიხსენიებდა. შაჰის მინისტრებს ხომ ლამის აპანლურებდა. ქარაფშუტა ქართველების გარდა, თეირანის მოსახლეობას საზიზლრად ექცეოდა მისიას სამეურნეო მხარის უფროსი რუსტამ-ბეგი და გრიბოედოვის ძიძიშვილი ალ. დმიტრიევი.

შაჰის საჭურისები მანუჩარ-ხანი და იაკუბ-მირზა (ერევნელი სომხები) „ოგონიოკში“ დაბეჭდილ უნიქო ნარკვევში ტფილისელებად არიან მოხსენიებულნი.

გრიბოედოვს თითქოს გატაცებული და სპარსეთში ტყვეებად მყოფი ახალგაზრდების მშობლებისაგან ქრთამიც კი აეღოს... ერთი სიტყვით, რუსი ავტორები ყოვლად უსამართლოდ ექცევიან რუსული კლასიკური მწერლობის მშვენებას, ალექსანდრ გრიბოედოვს, რომელმაც თურმე ტფილისში „ცელქობით“ შეირთო ნინო ჭავჭავაძე.

უსინდისობაა, აბა რა. გრიბოედოვი ისე გახდა ალ. ჭავჭავაძის სიძე და ისე გაეშურა სპარსეთისაკენ, მათ ერთმანეთი თვალითაც არ უნახავთ. მხოლოდ ერევანში შეხვდნენ ერთი დღით, სადაც სიმამრი

მხარის გამგებლად მსახურობდა. ავტორ-თა აზრით, გრიბოედოვს სრულებითაც არ ჰყვარებია ნინო და ა.შ. საინტერესოა, ეს პოპულარული ჟურნალი რა მიზნით ბეჭდავს უსინდისო და უნიჭო ავტორთა პასკვილანტურ „ნარკვევს“, სადაც ასერხებენ კიდევ ერთხელ გალანძღონ და ტალახის გუნდა ესროლონ საქართველოს. რუსეთის სალიტერატურო კრიტიკაში ამ ხნის განმავლობაში უამრავი მცდარი წერილი და გამოკვლევა დაიბეჭდა ალექსანდრ გრიბოედოვზე. აქებენ ეპოქის მამზილებელ კომედიას „ვაი ჭკუისაგან“ და რამდენადაც ძალუძთ, აკნინებენ მის ავტორს. ეს იმიტომ, რომ გრიბოედოვს დიდი სიყვარულით უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი... ცოლად შეირთო ქართველი ასული, რომელსაც, ფაქტობრივად, ემონებოდა... მისი შემდგომი ლიტერატურული საქმიანობა მთლიანად ქართულ თემატიკას მიეძღვნა. მისი კომერციული გლობალური გეგმებიც მხოლოდ საქართველოს დასტრიალებდა თავს. მან ბევრი, ძალზე ბევრი რამ გააკეთა საქართველოს-თვის... ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი ჭორები, ცხადია, კვლავაც იჩენს დროდადრო თავს.

### სინამდვილეში...

გულლრძო იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გრიბოედოვს მინისტრ-რეზიდენტის წოდება მიანიჭა თუ არა, იმწამსვე კარგად უწყოდა, რა ულელში გააყოფინა თავი მისთვის მიუღებელი „ვაი ჭკუისაგან“-ის ავტორს. მის მიმართ კეთილი განწყობილება არასდროს ჰქონია. სამი წლის წინათ, როდესაც სახელმწიფო კომისია სხვებთან ერთად გრიბოედოვსაც დაჰკითხავდა, ხელჩასაჭიდი დანაშაულის მსგავსი არ დაუმტკიცდა, მაგრამ იმპერატორმა კარგად იცოდა მისი დამოკიდებულება რუსეთის ხელმწიფის ტახტის მიმართ... მაშინ წაუყრუა, რადგან არც ის აძლევდა ხელს, დიპლომატი და მწერალი

ქვეყნის დასანახად თავის მტრად ელიარებინა.

გრიბოედოვი ჯერ კიდევ ტფილისში არ ჩასულიყო, რომ რუსეთმა დაასწრო და თურქეთს ომი გამოუცხადა. ასეთ დროს სპარსეთში დიპლომატიური მისის გაგზავნა მათ დალუპვაზე თანხმობის გაცხადებას ჰგავდა. იცოდა იმპერატორმა, რომ ინგლისელები სწორედ გრიბოედოვს განირავდნენ, რათა სპარსეთი საბოლოოდ მოსწყვეტოდა რუსეთს, ამას კი თურქმენჩას ზავის (ინგლისისათვის ასე მიუღებელი) სრული ლიკვიდაცია მოჰყვებოდა. ამ გზით ირანი თურქეთის მომხრე ხდებოდა უკვე დაწყებულ რუსეთ-თურქეთის ომში.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ ამ დროს თურქეთსა და ირანს შორის დასრულდა ხანგრძლივი მოლაპარაკება და დაიდო სამეკავშირეო ხელშეკრულება (ნ. ქორთუა, „ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლის ომში“, განათლება. 1978 წ.), რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ საომარ მოქმედებას. ერთ-ერთ დოკუმენტში მოთხოვდილია, თუ როგორ ივალდებულა ირანის შაჰი ა.ს. გრიბოედოვისა და მისი მისის ამონტყვეტა. სამაგიეროდ, თურქეთი ირანს ჰპირდებოდა, რუსებისათვის გაცემული კონტრიბუციის კომპენსაციას – დამატებით ათი ყურურის (ანუ ოცი მილიონი მანეთის) მიცემას და ომში დაკარგული ტერიტორიების დაპრუნებას.

საარქივო დოკუმენტებში, რომელიც თავადმა აფხაზმა მიაწოდა რუსეთის მხარეს, ვიგებთ, რომ ირანის შაჰი და მისი ვაჟი ჰასან-ალი-მირზა, ავანტიურისტულად ცდილობდნენ იმში რუსეთის ჩაბმას. სწორედ ამისი ეშინოდა გრიბოედოვს, რომ ინგლისი და თურქეთი ყველაფერს იღონებდნენ ირანი მოკავშირედ გაეხადათ რუსეთის წინააღმდეგ. დასხ, ყველაფერს წინასწარ გრძნობდა გრიბოედოვი და თურქეთი ისიც კარგად იცოდა, რომ მსხვერპლი პირადად ის იქნებოდა.

ვინ იცის, იქნებ, პასკევიჩმა განგებ



დაუშვა შეცდომა და არ დაუჯერა გრიბოედოვს – აბას-მირზას პეტერბურგში გაგზავნის მოსურნეს. მართლაც რამდენი პრობლემა გვარდებოდა ამ ერთი ვიზიტით. ასე თუ ისე, დანაშაულთა მორგვი სწორედ ამ საბედისნერო შეცდომიდან იწყება. ამ ტრაგედიის მერე მიხრნილი ცბიერი ფეტ-ალი-შაჰი და მისი ახლად დაწინაურებული ვაჟი, გენერალ-გუბერნატორი ზილი სულთანი მართლაც უსინდისოდ იტყუებოდნენ თავიანთ წერილებში, ამ მკვლელობის შესახებ ქვეყნის მთავრობამ არაფერი იცოდაო. აგნეტურის მეთაურის აფხაზის წერილში კი მკაფიოდ ჩანს, შაჰის ორგანიზატორობით რომ ჩაიდინა ბრძომ ეს სივერაგე.

ინგლისის ოცნება არ სრულდებოდა. მიუხედავად ყოველივე მომხდარისა, რუსეთი სპარსეთს ომს არ უცხადებდა და, პირიქით, კვლავ დიპლომატიური გზით ცდილობდა, ვითარება არ დაეძაბა და როგორმე ირანი გამხდარიყო თურქეთის ოფიციალური მხარდამჭერი.

ინგლისმა მოახერხა და შაჰის ჩვიდმეტი ვაჟიშვილი კონკრეტული ინტერესებით დააკავშირა ერთმანეთთან – ტახტის მემკვიდრის, აბას-მირზას წინააღმდეგ... ამავდროულად აცხადებდნენ, რომ მზად არიან, რუსეთს ომი გამოუცხადონ. ახლალა მიხვდა ერმოლოვის<sup>10</sup> მიერ ბრიყვად და კოსტაპრუნად მონათლული მთავარმართებელი პასკევიჩი, რომ აუცილებელია აბას-მირზას იმპერატორის კარზე გაგზავნა გრიბოედოვის მკვლელობისათვის ბოდიშის მოსახდელად და მთელი რიგი პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად.

ამ დროს რუსეთი იოლად ახერხებდა თურქეთის ყველა შეტევის მოგერიებას, რაც ომში ჩაბმის სურვილს მთლად უკარგავდა ირანის შაჰის, რომელსაც უკვე სურდა, პეტერბურგს გაეგზავნა არა აბას-მირზა, არამედ მომდევნო ვაჟი ხოსრევან-მირზა.

როდესაც ნინო ჭავჭავაძემ გრიბოედოვის ორსიტყვიანი წერილი და ჯერ უხმა-

რი ცისფერი სამელნე მიიღო, გრიბოედოვის ცხედარი უკვე კარგა ხანი იყო, რაც თეირანის დასავლეთით ხევში ეგდო და ფრინველები ძიძგნიდნენ...

### ტრაგედიის შემდეგ ნინო ჭავჭავაძე

#### საქართველოში ჩამოდის ალექსანდრ პუშკინი

რუსეთის დიპლომატიური მისიის ამონყვეტას რამდენიმე პიროვნება ოდნავ განსხვავებულად აღწერს. უფრო ვრცელი და ზუსტია მოგონება მისიის სასწაულად გადარჩენილი წევრის, მალცოვისა. გადარჩა მისი პირადი მსახურიც, იბრაჟიმ ბეგი. „ჯაპად-ჯაპად“ გაპერვის რისხვით ანთებული ბრძო... ამ მოგონებიდან საინტერესოა, რომ იმ დღეს გრიბოედოვს ოფიციალური მუნდირი ეცვა, ორდენ-მედლებით გაწყობილი და თავზე ეხურა სამკუთხედი ფორმის ქუდი. მერე უწყალოდ დახანჯლეს მისი გვამი, ორდენები ააძვრეს მუნდირს და ქუდიც მოხადეს. მოკლულთა გაძარცული, შიშველი გვამები სამ დღეს ეყარა საელჩოს ეზოში. მხოლოდ მეოთხე დღეს, თეირანის ქალანთარმა<sup>11</sup> შეაგროვა გვამები და საელჩოს წინა ტერიტორიაზე ამოთხრილ ორმოში ჩაყრევინა.

დიდ ინტერესს იწვევს ამ დანაშაულებრივი, არაადამიანური ქმედების ფარული რეჟისორის, ინგლისის მისიის ლიდერის, მაკდონალდის საქციელი. მან მეორე დღესვე იფიციალური ნოტა მიართვა ფეტ-ალი-შაჰს, სადაც ეწერა, რომ სპარსეთის ხელისუფლებამ უსწრაფესად უნდა გამოიძიოს ამ ვანდალური აქტის ყოველი ნიუანსი, გამოავლინოს მკვლელობის ინიციატორები (აი, ცინიზმი!) და მთელი სიმკაცრით დასაჯოს. მისიის ცოცხლად გადარჩენილი წევრები კი უხილვათოდ უნდა მიაცილონ თავრიზამდე. ნოტის წაკითხვის შემდეგ გაოცებულა შაჰი...

30 იანვარს გავლენიანმა საჭურისმა, მანუჩარ-ხანმა, თავისი მსახურები, პირადი დაცვის წევრები ცხენებზე შესხა, ძმისწული სოლომონ მელიქიანი უნინამძღვრა და ინციდენტის ადგილისკენ გაამგზავრა. ჭკვიანი საჭურისი ხვდებოდა, რომ რაღაც ქმედება იყო საჭირო, რათა უბედურება არ მომხდარიყო. იცოდა, მირზა-იაკუბ-მირქარიანს თუ გადმოსცემდნენ, ბრძო მოშორდებოდა რუსთა საელჩოს, მაგრამ ეს მოქმედებაც ძალზე დაგვიანებული აღმოჩნდა. „ჯიპად-ჯიპად“ – ეს შეძახილი მთელ სივრცეს ფარავდა. ყურთასმენა აღარ იყო. გამძვინვარებულმა ბრძომ სოლომონი საელჩოს წევრად მიიჩნია, ცხენიდან გადმოაგდეს და უმაღ ყელი გამოღადრეს. სპარსეთში მყოფი მანუჩარ-ხანის დედამ შვილიშვილის მოკვლა რომ შეიტყო, ადგილზევე გარდაიცვალა. გავლენიანი საჭურისი ეჩ-მიაძინები გზავნის დედისა და ძმისწულის გვამებს. სოლომონ მელიქიანის ძებნისას მსახურებმა სამარხი გათხარეს და ამ დროს იპოვეს გრიბოედოვის უთავო გვამიც, რომელიც იაკუბოვიჩთან დუელის უამს მარცხენა ხელის მტევანზე დაზიანებული წევრის მეშვეობით ამოიცნეს.

შერმაზანიანი იგონებს: „15 თებერვალს მანუჩარ ხანმა თავისი დედის და სოლომონ მელიქიანის გვამები ერთ ტახტრევანზე დადებული ურემზე მოათავსა და ცხენოსანთა თანხლებით ეჩმიაძინები გაგზავნა. იმავე ურემზე იყო გრიბოედოვის გვამიც“.



თავრიზს მყოფმა ნინო ჭავჭავაძემ არაფერი იცოდა თეირანის ტრაგედიისა. ერთხანს ეს არავინაც არ იცოდა, რადგან ირანის ხელისუფლება ამ საშინელი ამბის გამუღავნებას აჭიანურებდა. უბრალოდ, ძალზე უკვირდათ, ასე რატომ იგვიანებდა წერილები თეირანიდან. ალექსანდრემ ფეხმძიმე ნინოსთან მიავლინა ბიძაშვილი, რომან ჭავჭავაძე. მალე თავრიზს ჩავიდა ტფილისელი ვაჭარი იაგორ ბეჭუაშვილი,

რომელმაც ნინოს დედამისის, სალომე ორბელიანის წერილი ჩაუტანა. რა თქმა უნდა, არც სალომემ არა უწყოდა რა მომხდარი საშინელების შესახებ. დედა შვილს სთხოვს, ტფილისისკენ გამოჰყვეს რომან ჭავჭავაძეს. ოლონდ უფლება აიღოს ქმრისაგან! ამასობაში ყველასათვის ნათელი გახდა ყველაფერი. კიდევ მიიღო ნინომ წერილი. ამჯერად მამისაგან. შენს შესახვედრად ჯულფაში მოვედი და ნუ აყვონებ, ჩქარა გამოემგზავრეო (ჯულფას იქით წასვლა შეშინებულმა პასკევიჩმა აუკრძალა).

1829 წლის 13 თებერვალს ნინოს სამგზავრო ეკიპაჟი თავრიზს ტოვებს. მალე შეხვდა მამასაც და მიუხედავად ალექსანდრეს დაბეჯითებით მტკიცებისა, რომ გრიბოედოვი ფეტალი-შაპიან ერთად ხორასნის მხარეს სტუმრობს, საიდანაც საფოსტო გზავნილები დროებით შეჩერებულია, მაინც ავს უგრძნობდა გული. მალე ყველაფერი გაიგო და საშინელი კრუნჩხვები დაეწყო, გონება დაკარგა. მეორე დღეს კი დღენაკლული ვაჟი დაბადა, რომელმაც მხოლოდ ერთ საათს იცოცხლა.

ჭავჭავაძეთა სახლში სამძიმარზე მისულთა ნაკადი არ ცხრებოდა. ყოველი მხრიდან მოდიოდა სამძიმრის წერილები. ალ. ჭავჭავაძე ყველას უბრუნებდა პასუხეს.

დაიწყო მოლაპარაკება სპარსეთთან გვამების გადმისვენების თაობაზე. გრიბოედოვის ნეშტი, უკვე მოგახსენეთ, ძმათა სასაფლაოდან სხვებზე ადრე ამოასვენეს.

კახეთის სასაზღვრო რაზმის, ანუ ნიუჟეგორიანის დრაგუნთა 44-ე პოლკის უფროსი, გენერალ-მაიორი ნ. რაევსკი მთავარმართებულს მოახსენებდა: დაღესტნიდან მსტოვრებმა დაუჯერებელი ამბავი ჩამოიტანეს, თითქოს თეირანში მოუკლავთ ჩვენი სრულუფლებიანი ელჩი. მე ვეჭვობ, ეს იქნებ ამათი აგენტურის სპეციალურად გავრცელებული ჭორია... ყოველ შემთხვევაში, ძალზე ცუდი და ამაზრზენი.

პასკევიჩმა მომხდარის შესახებ ამბურგერისაგან გაიგო 1829 წლის 8 თებერვალს, რომელიც, ბედად, იანვრის თვეში თავრიზში იმყოფებოდა. ერთხანს დუმდა პასკევიჩი. ვინ იცის, იქნებ, სინდისის ქენჯნასაც კი გრძნობდა. დუმდა გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტიც“. ამბურგერს, როგორც ჩანს, ბევრი არაფერი მოეკითხებოდა, რადგანაც თავის წერილში მომხდარ ტრაგედიაში მხოლოდ თეირანის სასულიერო პირებს სდებდა ბრალს.

მკითხველი ძალზე ბევრს შეიტყობს წერილიდან, რომელიც ნინო ჭავჭავაძემ მაკდონალდის მეუღლეს, ქალბატონ ამალიას გაუგზავნა.

„ტფილისი, 22 აპრილი, 1829 წელი.

ძვირფასო ქალბატონი მაკდონალდ!

სრულებითაც არ დამვიტყია თქვენი სიკეთე და თანაგრძნობა, რაც ჩემდამი გამოიჩინეთ იმ დღეებში, როდესაც ერთად ვიყავით... თქვენი ზრუნვითვე მშვიდობით ჩამოვედით ტფილისამდე... ძვირფასო მეგობარო, აქამდე არ დავაყოვნებდი თქვენს მიმართ ჩემი დიდი ნდობის და მადლიერების გამოვლენას – ის უმძიმესი ამბავი რომ არა...

ძალა არა მაქვს აგინეროთ ჩემი განცდები. სწორედ თქვენს გულს, ვითარცა ნაზი მეუღლის გულს, ვანდობ ჩემს განცდებს. მჯერა, რომ ყოველივეს მიმიხვდებით. ჩემმა სულიერმა სამყარომ ვერ გაუძლო ასეთ მეხთატეხას და ეს გახდა მიზეზი ნაადრევი მშობიარობისა... საცოდავმა ბავშვმა მხოლოდ ერთ საათს იცოცხლა და თავის უბედურ მამას გაჟყვა იმქვეყნად. ბავშვის მონათვლა კი მაინც მოვასწარით, ალექსანდრე დავარქვით – მისი ბედშავი მამის სახელი.

...ძვირფასო ქალბატონი მაკდონალდ, მე ყველაფერი გავიგე, ყოველი წვრილმანიც კი. ვიცი, რომ ჩემი უბედური ქმრის ნეშტი თავრიზში გაგზავნეს, სადაც ალბათ ჩაიტანეს კიდეც, მაგრამ გამოგზავნეს კი ეს სევდიანი ტვირთი ტფილისში? – ეს ვერ გავიგე. თუ თქვენ რამე იცით, გთხოვთ შემატყობინოთ – ძალიან მინ-

და გავიგო ბედი ჩემი საუნჯისა, რომლის დაბრუნებასაც შემპირდნენ. ესეც ვიცი, რომ თქვენი ტფილისში ჩამოსვლა გადადებულია. ვფიქრობ, თქვენი ჯანმრთელობისადმი საზრუნავი ცოტა ხანს კიდევ წამართმევს თქვენი ხილვის ბედნიერებას.

...ნახვამდის, ძვირფასო და კეთილექალბატონო მაკდონალდ. ნუ შეწყვეტთ ჩემდამი თქვენს მეგობრულ თანაგრძნობას, რასაც მე ასე ვაფასებ. სამაგიეროდ თქვენ მიიღებთ ყველაზე სრულყოფილ და ცხოველყოფილ სამადლობელს.

ნინო გრიბოედოვა“.

ჩანს, რომ წერილის ავტორი დიდსულივანი, გულწრფელი, მაღალზნეობრივი ადამიანია. წერის მანერა დახვეწილია, გრძნობიერი. ასევე დიდებულად წარმოგვიდგება ინგლისელი კეთილშობილი, ნინო ჭავჭავაძისადმი დიდი ყურადღების, ადამიანური სითბოს გამღები ამალია მაკდონალდი. იგი თავრიზში ცივ ნიავს არ აკარებდა ფეხმძიმე გოგონას, ნინო ჭავჭავაძეს (ეს მაშინ, როდესაც თეირანში მისი ქმარი, ჯონ მაკდონალდი, რელიგიური ფანატიზმით ჭკუადაკარგული ბრბოს საჯიჯგნად წირავდა ალექსანდრ გრიბოედოვს).

მთელ სპარსეთს აკონტროლებდა გენერალ აფხაზის აგენტურა. ალსანიშნავია, რომ მისი გამოგზავნილი ყოველი წერილი დაუბრკოლებლად ალწევდა პასკევიჩამდე. რუსეთის მხარემ უკვე იცოდა, რომ გრიბოედოვის სიკვდილის ცნობას ინგლისის სახელმწიფო მომზადებული შეხვდა. მათი გუმანით ან რუსეთი გამოუცხადებდა სპარსეთს ომს, ანდა აუცილებლად დადგებოდა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი თურქეთის მხარეს. ორივე შემთხვევაში ბრიტანეთის ლომი თავს ვალდებულად მიიჩნევდა გაეძლიერებინა ფეტ-ალი-შაჰი. აფხაზის უტყუარი ცნობებით თეირანში ინგლისიდან გაიგზავნა თოვები, დამბაჩები, 60 ქვემეხი, ოთხი მილიონი მანეთი, რამდენიმე ასეული



წმინდა ინგლისური ცხენი. ორი კვირის განმავლობაში დიდაღი არმია შეიკრიბა. ასევე გააძლიერა სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორია, ხოს ოლქში ქურთების 10-ათასიანი კავალერია მზად იყო საიერიშოდ, თავრიზში 12-ათასიანი ქვეითი ბრძანებას ელოდა, ჰასანალი-მირზა საუკეთესოდ აღჭურვილ 15-ათასიან არმიას სარდლობდა. შაჰმა სარდლებს, ალიარ-სანს და ჰასან-ალი-მირზას ათი მილიონი მანეთი გაუგზავნა.

თეირანში დიდად შეურაცხყოფდნენ რუსეთის განახლებულ დიპლომატიურ ჯგუფს, რომელსაც ამბურგერი ხელ-მძღვანელობდა. შეშინებულმა ამბურ-გერმა და მისის ხუთმა წევრმა თეირანი დაუკითხავად დატოვა.

გენერალ აფხაზის ოპერატორული მამ-ხილებელი ცნობების მიღების შემდეგ რუსეთმა სასაზღვრო ზოლი გაამკაცრა. ამ სიფხიზლის გამო, როგორც თალიბის გენერალი რალი უპატაკებს მთავარმართებელს, 1829 წლის 21 თებერვალს მირ-ჰასან-ხანმა მოულოდნელად გადმოლახა საზღვარი და სოფელ ასტრას დაეცა. იყო მსხვერპლი, თუმცა მზადმყოფმა რუსეთის საჯარისო ნაწილმა თავდამსხმელები უკუაქცია. ასეთი თავდასხმები ძალ-ზე გახშირდა. ყველაფერი ნათელი იყო. ასეთივე სურათი იხატებოდა ბაიაზეთი-დან გამოგზავნილ გენერალ პანკრატი-ევსკის წერილში. ფრანგი სემინოს ცნობა საინტერესო პროგნოზს გვაცნობს. ირან-რუსეთის ახალი ომის მსურველი ინგლისი, რომელიც სრულიად განუდგა აბას-მირზას, ასეთი მზაკრული გეგმის განხორციელებას ცდილობს: მას სურს, რუსეთის სამხედროფოორმიანებმა მოკლან აბას-მირზა. ეს ორმხრივად მომგებიანია – აბას-მირზას ჩამოიცილებდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან და ეს ფაქტი უკიდურესობამდე გაამწვავებდა ირანის ორთავიანი არწივის და ინგლისის ლომის ქიშპობას... თუმცა მალე ოსმალეთის ფაშამ გაიგო, რომ, ფატ-ალი-შაჰის ნებართვით, აბას-მირზამ პეტერბურგს

წარგზავნა თავისი უფროსი ვაჟი, ხოსრევან-მირზა<sup>12</sup>, რათა ბოდიში მოეხადა გრიბოედოვის და მისის სხვა წევრების ულ-მობლად დახოცვისთვის. ირანის ამალაში შედიოდნენ ქვეყნის დიდად წარჩინებული პირები: ამერ-ნიზამი<sup>13</sup> (ჯარების სარდალი), ფაიეტი ფაზილ-ხანი (რომელიც, პუშკინის მსგავსად, ოდას უძღვნის ნიკოლოზ I-ს), მირზა-მასუდი (რუსული ენის მცოდნე)... აქ წამით შევჩერდეთ!

### პუშკინი საქართველოშია...

ცხრა წლის წინათ, 1820 წელს, პუშკინი კავკასიას ესტუმრა და უახლოესი მეგობრის, ნ. რაევსკის ოჯახში ორი თვე დაჲყო. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა და ახლა, როდესაც კვლავ აიღო გეზი კავკასიისაკენ, სამეფო კარისგან უკვე შერისხული ცნობილი პოეტი ვალდებული იყო, უზენაესის ნებართვა მიეღო ამ მოგზაურობისათვის, თუმცა პუშკინი 1829 წლის 1 მაისს თვითნებურად გამოეშურა და „ორიოლში“ ინახულა სამართლიანად, გულისხმიერად და, ამავე დროს, უსასტიკესად ცნობილი რუსეთის ომების ლეგენდარული გმირი, ჩეჩენეთ-დაღესტნის და სხვა ტომების დამრბევი, ყოფილი კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი... შემდეგ ისევ გზა ტფილისისაკენ. პუშკინი გაოცებულია... ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიას ბევრი არაფერი ჰქონია საერთო. მოგზაურობას საუცხოო დარები დაერთო. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ არა გრიბოედოვის ასე თვალწარმტაცად აღწერილი პეზაჟები, ასე ხატოვნად წარმოდგენილი ივერია, საეჭვოა, ეს მოგზაურობა შემდგარიყო. პუშკინს უკვე შეეტყო გრიბოედოვის ტრაგედიის შესახებ, იცოდა ამ სიკვდილის გამომწვევი მიზეზებიც... დიდი კომპოზიტორი გლინკა<sup>14</sup> იგონებს, გრიბოედოვის მიერ მიცემული ქართული თემა პუშკინმა ჩემს მელოდიას შეუჯერა და ლექსად ჩამოქნაო.



ეს იყო ლექსი „Не пой красавица при мне“. გლინკა იმასაც დასძხნს, ეს მელოდიაც, ფაქტობრივად, მუსიკის საუკეთესოდ მცოდნე გრიბოედოვმა მიკარნახაო. სწორედ გრიბოედოვთან სამი-ოთხი შეხვედრის შემდეგ, 1826 წელს პირველად ახსენა პუშკინმა თავის ლექსში სიტყვა „Грузин“ (Ответ Ф.Т...). მეორე იყო ზემოხსენებული ლექსი, მესამეს, უკვე საქართველოში მყოფი წერს:

„На холмах Грузии лежит ночная мгла

Шумит Арагва предо мною“...

შემდეგ ლექსში „Кавказ“ სწორედ მთათა მასივის იმ პეიზაჟს ხატავს, რაც ჩვენი მინიდან აღიქმება, თერგისა და არაგვის დინებებიდან... ოღონდ, არაგვისა არ იყოს, აქაც ასე წერს: „Кавказ подо мною...“ „Здесь тучи смиренно идут подо мною...“ ასეთია პუშკინის განცდა! ასეა თუ ისე, ადრეულ ნარმოსახვაში ნახსენებ საქართველოსთან დაკავშირებულ პეიზაჟებს ახლა ცოცხალი, რეალური ხილვები ცვლის.

29 მაისს, საღამო ხანს, პუშკინი ტფილისშია, უან-პოლის „ტრაქტირში“. ერთი სული აქვს, როდის გათენდება და ფეხდაფეხ დაივლის ქალაქს.

პუშკინი ნახევარ თვეს ატარებს ტფილისში. უცდის მთავარმართებლის ნებართვას, რომ რუსეთ-ურქეთის ფრონტზე წასვლის უფლება მიიღოს. ამ ხნის მანძილზე პირადად მოინახულა ნინო გრიბოედოვა-ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე და მიუსამძიმრა.

პუშკინი ნინოს და ალექსანდრეს უამბობს: „დავშორდით შარშან, პეტერბურგში, სპარსეთს მისი გამგზავრების ნინ. მწუხარე იყო და უცნაური წინათგრძნობით შეპყრობილი. მითხრა: „თქვენ არ იცნობთ ამ ხალხს, ნახავთ, რომ საქმე დანებამდე მივა“. მერე სხვა წლის მოგონებებში ჩაწერს: „...იმ მხარის უნაკლოდ ცოდნამ, სადაც ომი იწყებოდა, ახალი ასპარეზი გადაუშალა გრიბოედოვს, საქართველოში ჩამოსვლისას შეირთო ის, ვინც უყვარდა.

არ ვიცი მისი მძაფრი უკანასკნელ წლებზე უფრო შესაშური რამ. თვით სიკვდილიც კი, რომელიც უთანასწორო ბრძოლაში ეწვია, არ წარმოადგენდა გრიბოედოვისთვის რაიმე შესაზარს, რაიმე სამძიმოს, იგი წუთიერი და მშვენიერი იყო“.

პუშკინმა, როგორც იქნა, მიიღო ნებართვა ფრონტის ხაზზე გასვლისა...

გრიბოედოვის ცხედარს ნახტევანში დიდი გლოვა გაუმართეს...

1829 წლის 10 ივნისს ტფილისიდან არზრუმისკენ მიმავალი პუშკინი გერგერის ციხესთან შეხვდა მოზოზინე ურემს, რომელსაც მხოლოდ ქართველები მოსდევდნენ.

ხანმოკლე დიალოგი ასეთი იყო:

- საიდან? – ვკითხე მათ.
- თეირანიდან.
- რა მოგაქვთ?
- გრიბოედოვი...

პუშკინმა ცხედრის წინაშე დაიჩოქა, მერე კი თვალცრემლიანმა განაგრძო გზა არზრუმისაკენ.

17 ივნისს ცხედარი ტფილისში იყო. მემატიანე გვამცნობს:

„სამგლოვიარო სვლაში რაღაც სიდი-ადე გამოკრთოდა და გულს უსერავდა ყველას. საღამოს ბინდი, მაშხალებით განათებული გარემო, გალავნის თავზე თეთრჩადროსანი მტირალი ქართველი ქალები, ცხედრის ეტლს უკან მომავალი ხალხი. დაღუბული გრიბოედოვის საშინელი ბედი გულს უკლავდა ყველას, ვისაც კი უყვარდა ის.

განსვენებულის მწუხარე, სვეგამნარებული ახალგაზრდა ქვრივი, ტფილისის კარიბჭესთან იდგა თავის ოჯახის წევრებთან ერთად. მაშხალის პირველმა შუქმა ამცნო მას ცხედრის მიახლოება. ის გონებამიხდილი დაეცა და დიდხანს ვერ მოიყვანეს გონზე“ (თანამედროვეთა მოგონებები გრიბოედოვზე. 1929 წ.).

შუალამისას სიონის ტაძარში დაასვენეს გრიბოედოვის ცხედარი.

მეორე დღეს ეგზარქოსმა იოანემ წირ-



ვა გადაუხადა. ტაძარში იყვნენ დიდმო-სელენი, ტფილისის გუბერნატორი, გენე-რალ-ადიუტანტი სტრეკალოვი.

1829 წლის 18 ივნისს გრიბოედოვი თავისი ანდერძისამებრ მთაწმინდის ეკ-ლესის გალავანში დაკრძალეს.

●  
დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი დაკ-რძალვაზე. ბევრს ახსოვდა გრიბოედოვის გულისხმიერება, სითბო. ტფილისის გუ-ბერნატორმა გენერალმა სტრეკალოვმა (რომელმაც სპიაგინი შეცვალა ამ თანამ-დებობაზე) მთავარმართებლის საბჭოს წევრს, გენერალ ვოლკოვს გადაულაპა-რაკა: ვეჭვობ, ამ ხალხის ნახევარი მოსუ-ლიყო გრიბოედოვის დაკრძალვაზე მოს-კოვში ანდა პეტერბურგშით.

●  
გრიბოედოვის განაწამები სხეულის მთაწმინდაზე დაბინავებიდან 12 დღის შემდეგ ირანის დიპლომატიური მისია პეტერბურგს ჩავიდა და კარგადაც და-ისვენა. იმპერატორთან შეხვედრა 2 აგ-ვისტოს შედგა. ნიკოლოზ პირველმა ამ შეხვედრას ყველა უმაღლესი საფეხურის სამოქალაქო თუ სამხედრო პირი დაას-წრო.

ხოსრევან-მირზამ იმპერატორს შა-ჰის სიგელი გადასცა და ვრცელი საბო-დიშო სიტყვა წარმოთქვა საკრებულოს წინაშე. უსინდისოდ ტყუოდა. ამბობდა, ირანის მთავრობას ამ ულეტაში არავი-თარი ბრალი არ მიუძღვისო. არ უხსე-ნებია არც ტრაგედიის ორგანიზატორი, ინგლისის დიპლომატიური მისია. მსე-ნელთაგან ყველამ საუცხოოდ იცოდა, რა როგორ მოხდა. საბოდიშო სიტყვამ იმპერატორი და მის ირგვლივ შეკრე-ბილნი, ყველანი კარგ გუნებაზე დააყენა. და როდესაც ნიკოლოზ პირველმა, თავი-სი არტისტული ჟესტით წარმოთქვა: „Я

предаю вечному забвению злополучное Тегеранское происшествие“, ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ იმპერატორი ამ სევ-დიან თემას არასდროს მიუბრუნდებოდა. იგი ყოველთვის შინაგანად გრძნობდა, რომ დეკაბრისტულ ამბობში სერიოზუ-ლად იყო ჩართული გრიბოედოვი და რო-დესაც ამბობის მონაწილეთა სიკვდილის ცნობებს იღებდა ციმბირიდან, შურისძი-ების ბენელი ღიმილით უნათდებოდა სა-ხე. ასე მოხდა ახლაც. გრიბოედოვი მი-ნისტრ-რეზიდენტის მანტიით შემოსა და პოლიტიკურ დაფაზე დიდი ფიგურის შე-წირვის ვერაგ გეგმაშიც ქვეშეცნეულად მიიღო მონაწილეობა.

იმპერატორმა დარჩენილი ოთხი მი-ლიონი მანეთიდან ირანს ნახევარი აპა-ტია, მისის წევრები კი უხვად დააჯილ-დოვა ძვირფასი რამერუმეებით.

ირანში კი მოულოდნელად რუსეთის-თვის სასურველად შეიცვალა ვითარება.

აბას-მირზას ტახტის მოცილე ჰასან-ალი-მირზა ქერმანში დაატუსაღეს და შაჰს ჩაუყვანეს ბალდალში... ალარ-ხა-ნის აქტიურობამაც საგრძნობლად იკ-ლო. მის მომხრეთა ასეთი დასუსტება პირდაპირპროპორციული იყო ინგლისის მისის წარმმართველი როლის დაქნინე-ბისა... ყოველივე კი ისევ და ისევ გრიბო-ედოვის მსხვერპლშენირვის პოლიტიკუ-რი ჭადრაკის ავაზაკური სვლის შემდეგ მოხდა...

თუმცა... კიდევ ერთი... 1830 წლის 7 აპრილს საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ნესელროდე პასკევიჩს ნერილს უგზავნის და ამცნობს, რომ გულმოწყა-ლე იმპერატორმა გრიბოედოვის დედას და ქვრივს, ნინო ჭავჭავაძეს, სრულად გადასცა ოცდაათი ათასი მანეთი, მათ დაენიშნათ წლიური ხელფასი ხუთი ათა-სი მანეთის ასიგნაციით მთელი სიცოც-ხლის მანძილზე...

### განმარტებები

1. პასკევიჩი – საქართველოს მთავარმართებელი (1827-1831).
2. თურქემენჩაის საზავო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ირანსა და რუსეთს შორის 1828 წელს. ირანი დამარცხდა რუსეთის არმიასთან ბრძოლაში და დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები და დღევანდელი სომხეთი.
3. ნესელროდე – რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1780-1862).
4. ჩერვონეცი – პეტრე პირველის წინადროინდელ რუსეთში უცხოური ოქროს ფული.
5. „გაი ჭკუისაგან“ – ალ. გრიბოედოვის დრამა, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.
6. ფამუსოვი და ჩაცეი – ალ. გრიბოედოვის დრამის პერსონაჟები.
7. თავრიზი – ქალაქი ირანში.
8. ფეთ-ალი-შაჰი – იმდროინდელი შაჰი.
9. ალიარ ხანი – შაჰის სიძე.
10. ერმოლოვი – საქართველოს მთავარმართებელი (1816-1827).
11. ქალანთარი – პოლიციარისტერი.
12. ხოსრევან-მირზა – ირანის შაჰის ერთ-ერთი ვაჟი.
13. ამერ-ნიზამი – შაჰის სარდალი.
14. მიხაილ გლინკა – რუსი კომპოზიტორი (1805-1857).





## ზეჩენ ოლიციანი

### მარხვის დროს საპითხავი ესე

„ჩემი გონიერა ჩემი ეკლესია“  
ტომას პეინი

#### I. დღეს – სიძულვილის ქვეყანა

28 ნოემბერს ქრისტეშობის მარხვა დაიწყება. ადამიანები ღმერთსა და ერთმანეთს ცოდვების მიტევებას მობილურებით ისე სთხოვენ, რომ ერთმანეთს თვალებშიც არ ჩახედავენ. ზოგი იტირებს კიდეც...

მთელი წელი ყველა და ყველაფერი გვძულდა, სისაძაგლებს ჩავდიოდით, უმსგავს ჭორებს ვავრცელებდით და შენდობა უცებ, ერთი დარეკვით?! სიაპანდია ეს ყველაფერი, ფარისევლური რიტუალი და თავის მოტყუება – წეს-ჩვეულებების აღსრულებაზე აგებული, „ტაძრული რწმენის“, სინდისის დამამშვიდებელი „პლაცებო“. აბი.

მარხვის დასრულების შემდეგ ხომ ზრდასრული დეიდები და ბიძიები კაცობრიობას ისევ „ქოცებად“ და „ნაცებად“ დაყოფენ და თან ქრისტიანულ შემწყნარებლობას იქადაგებენ. „ნაცები“ ცოტანიღა დარჩნენ, სულ ერთი-ორი და ამ სიყვარულით სავსე „ქოცებმა“ ისინი უნდა გაჟღიტონ, გაანადგურონ და გასრისონ. არც „ნაცები“ თმობენ... და ჩვენ სიყვარულზე ვლაპარაკობთ, ვძედავთ? ეს როგორი სტილის არამზადული სიყვა-

რულია – ახალი სიძულვილის ქრისტიანობაა?

პატივცემული საზოგადოება მალევე ისევ დასმენებს, დაჭერებსა და სხვისი უბედურებით ტყბობას მიეცემა, მრავალ სხვა ჭუჭყან საქმეს ჩაიდენს და 40 დღე ცოდვების გამო იტირებს. თქვენ ვის აგო-იმებთ? საკუთარ თავს იბოლებთ? ნაზე-ბო და უმანკოებო, ფრთხილად, ცოდვებზე ტირილით, ერთმანეთისთვის შენდობის თხოვნითა თუ საყოველთაო სიყვარულით არ დადნეთ და ლორის ქონად არ ჩამოიღვენთოთ.... ღმერთი თქვენსავით გულმავინყი იდიოტი გგონიათ? თვალ-თმაქცებო, ცოდვებზე ტირით?

ერთ დიდ წმინდანს უთქვამს – ხორცი ჭამეთ, ოღონდ ადამიანს ნუ შეჭამთო. ამდენი შური, ბოლმა, მუდმივი სიძულვილი და... სიყვარული? ერთმანეთს ვერ ვიტანთ, კარის მეზობლის გვშურს, ნათესავები თუ ოჯახის წევრები, იგივე „ქოცობისა“ თუ „ნაცობის“ გამო, დანასისხლად ვართ ერთმანეთზე გადაკიდებული; „ერთმანეთში ვერ მოვრიგებულ-ვართ და ჩრდილოელ დამპყრობელთან ურთიერთობებს ვალაგებთ“? ათეულობით წლებია, ერთიმეორის გინებით პირი აგვევსო, სისხლი შურით, ზიზლითა და

გაუტანლობითაა გაუღენთილი და საყოველთაო სიყვარულს ვიჩემებთ? სწორედ ამ ფარისევლობის ოკეანის გამო აქ კარგა ხანს ხე კეთილ ნაყოფს არ გამოისხამს – ეს ბოლმით გადამწვარი მიწაა, სიცრუით გამოფიტული და შურით მონამლული ნიადაგია.

ჩვენ შორის არაფერია საერთო – სრული გაუცხოება და გაუტანლობა. ბარიერის ორივე მხარეს – 30 წლის ბოლმა და ზიზღი. იცით, რატომ ვართ ასე პოლიტიკითა და სარწმუნოებით გატაცებულნი? გპასუხობთ – ამ სფეროში სიძულვილისა თუ დაპირისპირების გადატანის და მისი გამოხატვის შესაძლებლობით. სწორედ ამის გამო ვერ ვიკლავთ წყურვილს პოლიტიკისა და რელიგიის მიმართ – ჩვენ არა ღმერთი, არამედ სხვაზე უპირატესობა გვწყურია. ჩვენ ბოლმა და გესლი ვერ დავშრიტეთ საკუთარ გულში. დიახ, ჩვენ ურთიერთზიზღითა და შურით გაუღენთილი მონების ერი ვართ. მარხვას გილოცავთ!

## II. ხვალ – „გონების საუკუნე“

ჩვენ ჩამოვრჩით – ცივილიზებულ სამყაროში რახანია „გონების საუკუნე“ დგას. ყოვლისმომცველი სიყვარული პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქმნა, ის მხოლოდ დეკლარირებულ თეზისში გადაიზარდა. სწორედ ამიტომ ადამიანთა მთელი მოდგმის სიყვარულის ქრისტიანული მოთხოვნა ფარისევლობად იქცა. ძველთაგან გამეფებული თვალთმაქცობა ადამიანის პიროვნებისადმი ცივილიზებულმა დამოკიდებულებამ – მისი პიროვნული თავისუფლებისა და თვითგამოხატვის ფორმებისადმი პატივისცემამ, ტოლერანტობამ შეცვალა. უკიდეგანო სიყვარული აღარ შეიქნა საჭირო და აუცილებელი, საკმარისა პიროვნული წესიერება და პატიოსნება – ადამიანებმა მკაცრად უნდა დაიცვან მხოლოდ მორალური ნორმები და იცოდნენ, რომ სხვებ-

ზე „ფეხის დაბიჯება“ თუ „ფეხის დადება“, შური და ჭუჭყიანი ჭორების გავრცელება ჩამორჩენილობის ნიშანია და სამარცხვინოა. მორალის მთავარ პრინციპად კვლავ რჩება ახალი აღთქმის ოქროს წესი – მოქეც სხვას ისე, როგორც გინდა, რომ ის გექცეოდეს.

პიროვნებისადმი ცივილიზებული მიდგომა, აგრეთვე, გულისხმობს არა სიტყვით სიყვარულს და რეალურად კი – მუდმივ ბლვერას, არამედ მისდამი კეთილგანწყობასა და გალიმებას. რაღა თქმა უნდა, მეტად ფასობს ისეთი ნიჭი, როგორიცაა ჩაგრულების, უპოვარების და ავადმყოფების სიბრალული, თანადგომა. ასეთი რაციონალური სიყვარული – იგივე ცივილიზებული ურთიერთობა, მტრისთვის ლოყის მიშვერისგან განსხვავებით, შესაძლებელია. ამას გარდა, ის „ყოვლისმომცველი სიყვარულისა“ და „სულიერების“ მსგავსად ეფემერული, უზომო და უწონო ცნება არაა – შენს მორალურობას ყველა ხედავს, შესაძლებელია მისი შემოწმება და საზოგადოების მხრიდან კონტროლი. ცივილიზებულ საზოგადოებაში წესიერება დაფასებულია და ამის გამო ყველა ცდილობს, ამგვარი თამაშის წესები დაიცვას.

ნაკლები ემოციები და მეტი რაციონალიზმი – გულის ძახილის, მაღალფარდოვანი სიტყვებისა და ადვილად აალებადი, შესაბამისად, მალე ჩაქრობადი და აუცილებლივ სიძულვილში გარდამავალი ემოციური სიყვარულის დრო გავიდა. წარსულს ჩაბარდა ირაციონალური შეფასებების, მოუთოკავი გრძნობების ხანა და დადგა გონების საუკუნე. დღეს შვილებისადმი, მშობლებისადმი, ქალისადმი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის საუკუნეა. საწინააღმდეგო სქესისადმი სექსუალური ლტოლვის და პირადი სიმპათიის ხანა.

ადამიანური ნაწილი იესო ქრისტესიც კი თანამოაზრის არჩევაში შეცდა და იუდა დაიმეგოპრა. მით უფრო არც ჩვენ ვართ დაზღვეულნი ამგვარი შეცდომე-

ბისგან. დრო გადის და როდესაც საერთო ინტერესები, შეხედულებები ქრება, მეგობრობაც წელდება. ასე რომ, „ტრუსიკის“ სამუდამო ძმაბიჭობის ეპოქაც დასრულდა – დღეს ინტერესთა თანხვედრაა მეგობრობის წარმმართველი ძალა. ძველი სავალდებულო და დამამდიმებელი ტვირთივით მობეზრებული ძმაკაცობა, დაობებული ურთიერთობები, ხელოვნური მეგობრობა კვდება. მხოლოდ ინტერესთა თანხვედრა ასაზრდოებს ახლო ურთიერთობებს, ქალის სიყვარულს კი – სექსი, სიმპათია და იგივე საერთო მისწრაფებები.

ადამიანი იმ ახალ წრეს ირჩევს, რომელიც შეესაბამება მის ამჟამინდელ ინტელექტსა და ინტერესებს, იმ კონკრეტული დროისთვის ჩამოყალიბებულ ფასეულობების ერთობას. სიყვარული რაციონალური ხდება – ადამიანი იმასთან ატარებს დღეს, ვინც იმ მომენტისთვის მას აინტერესებს, მასთან ყოფნა სიამოვნებს და არა „კანონით“ დადგენილ „ბავშვობის ძმაკაც-დაქალებთან“.

ასე ხდება ადამიანი სიყვარულსა და ურთიერთობებში გაცილებით თავისუფალი. ის ვერ დარჩება ძველი კოლექტივი-სადმი ერთგული და მასთან სამუდამოდ მიბმული. ერთი სიტყვით, ძმაბიჭებისა და დაქალების ინფანტილური ინსტიტუტი წარსულს ბარდება. მოდის ახალი თავისუფალი ურთიერთობების, ინტერესთა თანხვედრასა და გონიერივ განვითარებაზე დაფუძნებული ურთიერთობების დრო.

– დაძველებული, ხელოვნური სიყვარულისა და მეგობრული ურთიერთობების ჯაჭვები წყდება! – შეთხვევითი

გარემოებებისგან (უბანი და სხვა) და კლანური ინტერესებით გაპირობებული დამოკიდებულის ხარისხი იკლებს – კოლექტივიზმი კვდება!

– ინდივიდუალიზმის დრო დგება – თავისუფლების ხარისხი იმატებს!

– თავისუფლების დაუძინებელ მტრებს – მინიერ მიჯაჭულობას, ყოველდღიური ყოფისგან და ცხოვრების გარემოებებისგან დამოკიდებულებას – არა!

და ბოლოს, საქართველოს უახლესი ისტორიისთვის დამახასიათებელი და მორიგი ხელისუფლების მიერ გაჩაღებული გაცხარებული საქმიანობის შიშით გამოწვეული რიტორიკული კითხვა: „ამათ ხელში („ზვიადისტები“ – „პუტჩისტები“; „ნაცები“ – „ქოცები“...) რა გვეშველება?!

პასუხი: საქართველოში არჩევნები ოთხ ხელიწადში ერთხელ ტარდება. რევოლუციები ანგოლაში ხდება, ავტომატებით სირბილი სომალში უყვართ. ნორმალური ქვეყნები ატარებენ არჩევნებს, ხოლო არჩევნებს შორის სწავლობენ, შრომობენ, კითხულობენ, კულტურულად იხვეწებიან... და ერთმანეთს ულიმიან... და წინ მიდიან.

საქართველო მაშინ გაპრეცინდება, როდესაც უცხო ადამიანის არ შეგვე-შინდება, დაგვაინტერესებს კიდეც მისი აზრი ცხოვრებაზე – ანუ გარეშე პირს თანატოლად, საკუთარი თავის ღირსად მივიჩნევთ, ხოლო მისი „მეს“ გამოკვლევა ახლის მომტანი იქნება ჩვენთვის. ამიტომ საქართველო მაშინ გახდება მაგარი ქვეყანა, როდესაც ავტოსტოპით შეძლებ თუნდაც თბილისიდან ქუთაისში ჩახვიდე და გზაში ნებისმიერ თემაზე ისაუბრო.

# გან ქვეჩერხილაძე- ნახტაზე



## შიკვედი ფლორიდაში – სულის ზემო

ნოემბერი, 2013 წელი

ამიკიდია გუდა, გადამიკიდია ჩემი განუყრელი „ლეპტოპის“ ჩანთა და ფლორიდის შტატში, ქალაქ სარასოტაში მივფრინავ...

მოგზაურობა ჩემი მამოძრავებელი ძალაა. ცვლილებები და სიახლეები მიყვარს, ეს კი ამის პირდაპირი წამალია: სავსე ახალ-ახალი სანახაობებით, ბედნიერი ადამიანებით და სულიერი სამყაროს გამამდიდრებელი მრავალფეროვანი ხედებით.

ახლა ჩემს მეხსიერებაში კინოკადრებივით იცვლება ხედები: ატლანტის ოკეანის სანაპიროები მზის ჩასვლის სუნთქვის შემკვრელი სურათებით; ცას მიბჯენილი კოლორადოს თოვლიანი მთები; ულურჯესი ცა, ფირუზისფერი კარიბის ზღვა და უმწვანესი პალმები; აფრიანი გემები, მეკობრეების დროში რომ გადაასახლებს ადამიანს; კეთილშობილი დელფინების ბედნიერი ხტუნვა-თამაშები; ჰავაის კუნძულების მიხვეულ-მოხვეული გზები, მოულოდნელად კლდიდან ჩამოშლილი ქვებით რომ ჩახერგილა; სულში ჩამწვდომი ჰავაიური მელოდიები, ყვავილიანკაბიანი გოგონები, მამლები... ჰო, ჭრელ-ჭრელი, წითელბიბილობიანი მამლები, დილაუთე-

ნია რომ ყივიან და ულამაზეს ალიონს ამ-ცნობები ფუფუნებას მიჩვეულ მოაგარა-კებს; კალიფორნიის ცნობილი „Highway 1“-ის გულის გამხეთქი მიხვეულ-მოხვე-ული გზები, ცალი მხრიდან კედელივით აღმართული ციცაბო მთა რომ ებჯინება, მეორე მხარეს კი მოწყვეტით დაქანებული კლდეები პირდაპირ წყნარ ოკეანეში რომ ეხეთქებიან და, ამავე დროს, სუნ-თქვისშემკვრელ სილამაზეს რომ ქმნიან. ყველაფერი ისეთ სრულყოფილებამდეა ასული, თითქოს დახატულიაო, თუმცა მართლაც ხომ ნახატია ეს ყოველი-ვე, ღმერთის მიერ შექმნილი?! მერე კი ადამიანის ხელით ასეთ მშვენიერებამდეა აყვანილი ამავე ადამიანის მონდომებით, მოვლითა და ზრუნვით.

მოგზაურობა მიყვარს, მაგრამ ერთი თვისებაც მაქვს, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო მიძლიერდება და ეს უკვე უბრალო სურვილი კი არა, სულის ამო-დახილია. ის, რაც ძალიან მომწონს, მინ-და გავუზიარო მათ, ვინც მიყვარს, ვინც მიღირს და ვისზეც გული შემტკიცა... და ვარ ასე, სულ გაზიარებაში: თუ რამე კარგი ფილმი ვნახე, საინტერესო წიგნი წავიკითხე, სპექტაკლია, კონცერტი თუ ინფორმაცია.

ჰოდა, ახლა...

მინდა ჩემთან ერთად გამოგზაურო, ჩემო საყვარელო მკითხველო. მინდა და-განახო, გაგრძნობინო, განგაცდევინო სიხარული, აღფრთოვანება, ბეჭნიერება, იქნებ, დაღლა და ქანცგანწყვეტილობაც კი, ამ ყველაფერს რომ ახლავს თან. ყვე-ლაზე მეტად კი მსურს, ის გამოცდილე-ბა გაგიზიარო, ღმერთი რომ გადამიშლის წინ ფართოდ და მეც მივდივარ გადახ-სნილ გზაზე, ვნახულობ, ვსწავლობ, ვიზ-რდები... თუმცა ერთიცა: სადაც გინდა წავიდე, რაც უნდა ვნახო, ვისაც გინდა შევევდე, ყველაფერი ერთი და იმავე ფიქრთან, მიზანთან კავშირშია მუდამ, ეს კი ის ადგილია, შორიდან წერტილად რომ მოჩანს, ახლოს კი ჩემი სამშობლო ჰქვია. ფესვები მექაჩება. თითქოს თოკი მქონდეს სულზე გამობმული. მტკივნე-ულია ეს ქაჩვა, საშინლად მტკივნეულია მონატრებაც. მერე ამ ყველაფერს სიტ-ყვებად ვაქცევ და ვიახლოვებ:

შენი მონატრება ისევ შემახსენებს  
თავს,  
ისევ ამეშლება საღერღელი შენზე  
ფიქრის,  
ღამე ჩაიმუხლავს,  
უმთვარეოდ დარჩენილი ღამე,  
ნუთები კი ისევ დაუნდობლად,  
სწრაფად მიჰქრის...  
ეს ზამთარიც ძველებურად თეთრად  
პარდის,  
ისევ უშენობის ფიფქებს მათოვს ცა,  
მინდა, გავარღვიო კედლად  
აღმართული სივრცე,  
ნელა ვიფარფატო  
და ფრიალით შენთან დავეშვა...

სამშობლო კი მიხმობს, მაგრამ ეს ახა-ლი ადგილებიც რომ მიზიდავს, მზრდის და სულს მიბეჭნიერებს? ჰოდა, მეც ვცდი-ლობ, დავაახლოო ეს, ერთი მხრივ, სუ-ლის გამამდიდრებელი და, მეორე მხრივ, მშობლიური ადგილები ერთმანეთს. მინდა, ხიდი გავდო ამ ორ სამყაროს შორის. ვირ-ტუალური ხიდი გავდე კიდეც. ამ წლების

მანძილზე რა არ მიცდია, რა არ მიფიქ-რია, ვისთან რა წერილი არ მიმიწერია და რა პროექტი არ შემიმუშავებია ამ ხიდის გასადებ-გასამყარებლად. მერე ბევრჯერ გულიც დამწყვეტია, დაწყებული საქმე წინ რომ ვერ წასულა, მაგრამ ახლა ვხვდე-ბი, აგურებს ვადებდი თურმე ერთმანეთს. ვძლიერდებოდი და ვიბრძმედებოდი.

ამას წინათ ღია ბარათი მივიღე და ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. მართალია, ადრესატის გვარი მსოფლიოს უმეტესობისთვის ცნობილია, მაგრამ ჩე-მი სიხარულის მიზეზი ბარათის ავტორ-თან საოცარი სიახლოვის შეგრძნება იყო, რამდენიმე კვირის წინათ რომ ვიგრძენი.

მწერალი და ფილანტროფისტი ეილინ როკფელერი მწერდა: „ძვირფასო მაკა, რა მშვენიერი სიურპრიზი იყო შენგან ქარ-თული მინანქრის სამკაულის მიღება. ახ-ლა ის ყელზე მაქვს ჩამოკიდებული. მის სილამაზეს სიტყვებითაც ვერ აღვწერ.“

თითქოს ეს ტიხრული მინანქარი სიმ-ბოლურიცაა. მეტაფორები – ფაქიზი და ლამაზი – სარკეა შენი სულისა, რომე-ლიც ჯაჭვით დააკავშირებს ორ სამყა-როს, რომელთა ერთმანეთთან დაახლო-ება მიზანდასახულ ოცნებად გქცევია“...

ეილინ როკფელერი დიდი ჯონ როკ-ფელერის შვილთაშვილია. იმ ადამიანისა, რომელმაც მსოფლიოში პირველი მილი-ონერობით გაითქვა სახელი და დაიპყრო კიდევაც მსოფლიო თავისი მილიონებით. უდაოა, ბევრი ნეგატიური აზრიც არსე-ბობს მისი, თუ მისი შთამომავლების სიმ-დიდრის გამო. მაგრამ, თითქოს ბედის ირონიაო, ახლა ისევ მისი გენი და ჯი-ში სულიერების, ხელოვნების, გარემოს დაცვის, ადამიანებს შორის კეთილი და-მოკიდებულების დესპანია.

ეილინი ძალიან ფაქიზი და ლამაზი სულის ადამიანი აღმოჩნდა. როკფელე-რების დიდებაში ჩაკარგულს, საკუთარი თავის ძიებით დაღლილს ამ დაღლილი სულის განსაკურნებლად მოგონებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების შესახებ წერა დაუწყია. წიგნმა „როკფე-



ლერობიდან საკუთრი თავის პოვნამდე“ ეილინს მტკიცანი სულიც განუკურნა და თავი და ადგილიც აპოვნინა ცხოვრებაში.

თურმე, მართლაც, რა პატარა ყოფილა სამყარო! თურმე რა ერთნაირები ვყოფილვართ ადამიანები! და, რაც მთავარია, არანაირ მატერიალურ სხვაობას არ ჰქონია მნიშვნელობა, თუ სული სულს შეიცნობს. სწორედ, თავისა თუ ადგილის ამ სამყაროში ძიების პროცესი, აღმოჩნდა ის საერთო მუხტი, მყისიერად რომ დაგვაახლოვა მე და ეილინი, სარასოტაში ღირსშესანიშნავ წვეულებაზე ერთად მოხვედრილი.

ყველაფერი კი შემოდგომის ერთ მშვენიერ დილას, საუზმეზე სტუმრობით და-ინც:

*15 ოქტომბერი, 2013*

100 წელს მიტანებული ჯოელი და 86 წლის სელი, გამორჩეულნი თავიანთი მიღწევებით, წარმატებებით, მდიდარი სულიერი სამყაროთი და თურმე სიყვარულის ამბითაც კი, საუზმეზე გველოდნენ. მოხუცი მხატვარი და მისი ცოლი ჩვენს უბანში, საუკუნის ტოლი იახტულუბის აუქციონზე გავიცანი რამდენიმე ხნის წინათ. მოხუც ჯოელის ნახატი „მდინარის პირას“ გამოეტანა. ნახატის განსხვავებულმა სტილმა და თბილმა და ბედნიერმა ფერების შერწყმამ შორიდანვე მომზიბლა და მიმიზიდა. პირდაპირ მისკენ წავედი:

„რა ლამაზია!“ – ვერ დავფარე აღფრთოვანება.

ეს ჯოელ ელკესის ნახატია. ჯოელი წარმოშობით ლიტვიდანაა და, როცა გაიგო, ამ საღმოზე ერთ-ერთი სტუმარი საქართველოდან იქნებოდა, – გაცნობა ისურვა და ახლა გელოდებაო...

წარმადგინებს ჯოელთან. დაკოურილ-ხელებიანი, მაგრამ თვალებში ახალგაზრდულ სხივმოციმციმე, ჯოელი მომესალმა. ამერიკული ჩვეულებისამებრ, გადავეხვიე ამ სათნო და კეთილ მხატვარს,

რომელიც ამ ორივე თვისებას ასხივებდა. იასამნისფერი, სუნამოთი სასიამოვნოდ გაედინობილი, ფუმფულა სვიტერი საოცრად ნაზი იყო. ამ ადამიანში, ისევე, როგორც მის ნახატში, რაღაც იდუმალი ენერგია იგრძნობოდა.

მორიდებით დავიწყე მოყოლა, საიდან ვიყავი და რამ გადმომისროლა ამ ქვეყანაში...

აუქციონი დამთავრდა. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. მთვარის შუქზე იდუმალად მოლივლივე ტბა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა კი სიყვარულით სავსე ღამეს ჰქონდა შეყვარებულებს...

რამდენიმე ხნის მერე საუზმეზე მოწვევა მოგვივიდა.

ხელცარიელი ხომ არ მივიდოდი და, ხაჭაპური გამოვაცხვე.

ულამაზესი დილა იყო – შემოდგომის ფერები და სურნელი უკვე შერეოდა ჰაერს. ტბის პირას განლაგებულ პატარა, კოხტა თეთრ სახლს მივადექი. აქ ცხოვრობენ მხატვარი, ხელოვანი, თანამედროვე ფსიქიატრიისა და ფსიქოლგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯოელ ელკესი და მისი მეულლე, ხელოვანი, პედაგოგი, ქველმოქმედი, ნიჭიერთა სკოლების დამფუძნებელი, უამრავი უნივერსიტეტის საპატიო წევრი და ჩვენი ქალაქის აფრისნული კლუბის აღმოჩინებისა და შენარჩუნების პროექტის ლიდერი სელი.

ჯოელი, აგრეთვე, ავტორია მემუარული ნაშრომისა მამის, ელკანან ელკესის ლიტვაში კაუნასის გეტოს დროს თავდადებული ლიდერობისა და მოღვაწეობის შესახებ. „ღირებულებები, რწმენა და გადარჩენა“ ებრაელთა მიმართ ფაშისტების მიერ ჩადენილ სისასტიკეზე მოგვითხოვთ. ელკანანის ერთგულება საკუთარი ხალხისადმი კი, უდავოდ, სამაგალითო და შთამაგონებელია.

კარი ჯოელმა გაგვიღო და გულითადი ლიმილით შეგვაპატიჟა სახლში. უცებვიგრძენი, იქაურობაც, როგორც მისი ფუმფულა სვიტერი, გამოხედვა და ლიმილი, გაუდენთილი იყო დადებითი ენერ-

გით, სიკეთით, სიყვარულით და... თავი ისე ვიგრძენი, როგორც ჩემს საკუთარ სახლში. გადავეჭვიერ ერთმანეთს. შემდეგ ჯოელმა თავისი დაკოურილი, მაგრამ ახალგაზრდული ძალით სავსე ხელი მომენტიდა და ოთახებისაკენ გამიძლვა. თვალები მხატვრის მზით განათებულ სახელოსნოს მოვავლე და ღრმად ჩავისუნთქე საღებავების და ნახატების სუნი. ჯოელმა ჩემი მზერა დაიჭირა და ღიმილით მითხრა:

– დაიწყე ხატვა...

70 წლის ასაკში მემუარების წერით დაღლილი ოკეანის სანაპიროზე სეირნობდა, წარსულით აფორიაქებულ ფიქრებს იმშვიდებდა. ერთი-ერთი ასეთი გასეირნების დროს პეიზაჟმა თვალი წარიტაცა: აქაფებული ტალღების შეუილმა, ცის, აისის და წყლის ფერთა შერწყმამ მეცნიერში რაღაც ახალი სიმი შეარჩია. მერე საღებავები და ტილო იყიდა და ხატვა დაიწყო. ჯოელის ნახატები მეცნიერებისა და ხელოვნების შერწყმაა, სულის სამყაროს სიმსუბუქეა, რაღაც განსხვავებული.

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ მაფიქ-რებინა, რომ ასაკს მართლა არ ჰქონია მნიშვნელობა. ჩვენ ხომ, პირიქით, დაგვაკომპლექსეს, მაგრამ სულ უფრო მეტად ვრჩნებულები, ასაკი არ ყოფილა სულის სიძლიერის განმსაზღვრელი.

ჯოელი, ეს უშუალო და თავმდაბალი ადამიანი, სინამდვილეში უზარმაზარი პიროვნებაა. ესაა მეცნიერი, რომელმაც პირველად „ჩაიხედა“ ადამიანის ტვინში და სწორედ მან აღმოაჩინა, რომ ის ერთი მთლიანი მასა კი არა, პატარ-პატარა „განყოფილებებით“ სავსე ორგანოა. ცველაფერი კი კატის ტვინზე დაკვირვებით დაიწყო. ამერიკა გამჭრიახია და ნიჭს ფართო გზას უხსნის. ინგლისში მცხოვრები ახალგაზრდა სწავლული 1950-იან წლებში ამერიკაში მიიწვიეს. ბრიტანეთის რიგითი ლაპორატორიიდან ამერიკის უზარმაზარი საავადმყოფოს ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ

კვლევით ცენტრში აღმოჩნდა და მორიგი „შერეკილიდან“ გენოსად იქცა. ახლა, ამ ასაკშიც კი, შეუპოვარი და მუდამ სიახლის მაძიებელია. ეს მოხუცი კაცი ისე აღფრთოვანდება ყოველი საინტერესო ამბით, პირდაპირ გაოცებს და, რაც ყველაზე ღირებულია, თითოეულ ადამიანში არსებული საუკეთესო უნარების გამომუდავნების და გაფურჩქვნის ინიციატორი და ხელისშემწყობია.

სასადილო ოთახში ლამაზად გაწყობილი მაგიდა გველოდა. ყოველი ნივთი და მუქი ლურჯი საღებავით მოხატული ჭურჭელიც კი სიმშვიდის დარაჯად ჩანდა ამ გარემოში. ჯოელი და სელი ისეთი უშუალობით, უბრალოებით, თავმდაბლობითა და მეგობრულად გვექცეოდნენ, რომ თავი ოჯახში მეგონა.

შედარება გულსატკენია – ჩვენ, ქართველებს, სულ მცირე წარმატებაც კი თავში აგვიგრდება ხოლმე და გვაკარგვინებს თავს, გზას, მეგობარს, დაწყებულ საქმეს. „ჩვენც რატომ არ გვაქვს წარმატებისაკენ სწრაფვა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უინი, თანადგომა, ერთგულება?“ – ვფიქრობდი სევდით.

სტუმრობის მერე, დღე-ნახევარი ემოციებს ვხედნიდი. ბოლოს არც ვაციე, არც ვაცხელე და წყლის საღებავები, ფუნჯი და სახატავი ქალალდი შევიძინე. იმედია, ერთ დროს ახალგაზრდობაში ჩარჩინილ ამ განუხორციელებელ ოცნებასაც ავიხდენ.

სწორედ იმ დღეს მივიღეთ მიწვევა ჯოელის დაბადების მე-100 წლის აღსანიშნავ წვეულებაზე, რომელიც სარასოტაში, ფლორიდის შტატში უნდა გამართულიყო.

15 ნოემბერი, 2013

ფლორიდა პალმების, თეთრსილიანი სანაპიროების მზიანი შტატია. სწორედ რომ თეთრი მანქანა შეეფერება აქაურობას და ჩვენც ზუსტად თეთრი მანქანით



მიღსრიალებთ სანაპირო ზოლზე... შენობების არქიტექტურულ ზედმინევნით შეეფერება აქაურ ბუნებას.

ჯოელ ელევისის საუკუნოვან იუბილეზე მივდივართ. ეს პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში – 100 წლის ადამიანის დაბადების დღე. ცოტა არ იყოს, ვდელავ. მეშინია ემოციების მოზღვავების, არადა, ვიცი, უხვად იქნება. ჯოელი უცნობილესი პირვენებაა და, შესაბამისად, ბევრი წარმატებული ადამიანი იქნება მოწვეული, მაგრამ ერთ ადამიანთან შეხვედრას განსაკუთრებით ველი: ეილინ როკფელერმა იცის ჩემ შესახებ, ჯოელმა წინასწარ უამბო ჩემზე. მოკლე შეხვედრა და საუბარიც დაგევმილია.

წვეულება სარასოტას ერთ-ერთ საბანკეტო დარბაზში გაიმართა. იქაურობა ჯოელის ნახატებით იყო დამშვენებული. მოწვეული სტუმრებიც, მასპინძლის მსგავსად, უმაღლეს სამეცნიერო, მწერალთა და ხელოვანთა საზოგადოებას ეკუთვნოდნენ და მე ღმერთს მადლობას ვწირავ, ამდენ ღირსეულ და საინტერესო პოროვნებას შორის რომ აღმოვჩნდი.

მე მეგობართა რანგში გავედი. რატომლაც არც გამკვირვებია ასეთი სტატუსის მონიჭება. ამაყი და აღფრთოვანებული ვარ, რომ ღმერთმა აქ ყოფნის შესაძლებლობით დამაჯილდოვა.

ჯოელი საკმაოდ სხარტად აზროვნებს და უზომოდ ბედნიერია. მის სახეს კეთილი ღიმილი ამშვენებს. სტუმრები ულოცავენ ამ მნიშვნელოვან თარიღს. მეც ვულოცავ და მისი უშუალობა ძალიან მსიამოვნებს. უკვე შევეჩივე ამერიკელთა ამ დადებით მხარეს. როგორი მაღალი წინდება, წარმატება, თანამდებობაც უნდა იყოს მათ სახელთან დაკავშირებული, შენთან საუბარში ისინი მეგობრები არიან, აინტერესებთ შენი ამბები, თვალებშიც შემოგციცინებენ მოსმენისას. მათი ღიმილიანი სახე სითამამეს მატებს შენს მორიდებულ თხრობას და გრძნობ, როგორი ძლიერი ხარ ამ თუნდაც ორნუთიანი საუბრის მერე... თუ რამეს ვინატ-

რებდი ჩემი ქართველებისთვის, სწორედ ამ უშუალობას, ასეთ დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ, ვინატრებდი იმ შინაგან თავისუფლებას, რომელიც შეაძლებინებს ადამიანს, სხვისი წარმატებით გაიხაროს.

მერე ჯოელმა ეილინს წარუდგინა ჩემი თავი. ეილინს კომპლიმენტი ვუთხარი წიგნზე და ის ნაწყვეტი გავიხსენე, რომელიც ყველაზე მეტად მომსვდა გულზე: ეილინის ბების, უმდიდრესი მამაკაცის მეუღლის, ები როკფელერის სიტყვები, რომლითაც ის 1920-იან წლებში ახალჩამოსულ ემიგრანტებს მიმართავდა. ეს ადამიანები გამერიკელების, მასაში შერევის და ადგილის დამკვიდრების გამო ტრადიციებისა და ეროვნულობის დავინცებას ცდილობდნენ, რადგან ეგონათ, ასე უკეთესად მოერგებოდნენ ამ ქვეყანას, ები სახლში სტუმრობდა ემიგრანტებს. ისინიც დიდი სიხარულით, ჩაითა და ტკბილეულობით უმასპინძლდებოდნენ. მოშინაურებული ები ძალიან ბუნებრივად ოჯახის უფროსს სამშობლოდან ჩამოტანილი ნივთების გამოტანას სთხოვდა, სათუთად ათვალიერებდა და ამავე დროს თბილად ახსენებდა, საკუთარი ღირებულებები არ დაევინებინათ:

„არასდროს დაივინწყოთ თქვენი ფესვები და წარმოშობა. ამ ქვეყანაში თქვენი მომავალი ცხოვრება მათზე დაამყარეთ და გაამყარეთ“.

ეილინს ჩემს წიგნზეც ვესაუბრე. უცხო ქვეყანაში მუდმივ ძიებასა და ემიგრანტულ სატკივარზე. აღმოჩენდა, რომ 1978 წელს საქართველოში უმოგზაურია. ბათუმისა და თბილისში გატარებული დღეები თბილად გაიხსენა. ცრემლებმა დაუკითხავად დამინწყო დენა და, მიუხედავად ჩემი მცდელობისა, თავს ვერაფერს ვშველოდი. საკუთარი სისუსტით შერცხვენილი ლუდლულით ვცდილობდი მობოდიშებას, მაგრამ, ამ სისუსტის საპასუხოდ, ეილინმა მომიალერსა: არაუშავს, ხანდახან აუცილებელიცაა ტიროლი, ჩვენ ყველას რაღაც გვტკივაო....



ამ სიტყვებმა ერთბაშად გამაძლიერა და კიდევ ერთხელ მივხვდი: „ერთგულება, მეგობრობა, ურთიერთობა თუ სხვა ღირებულებები არ ყოფილა „ქართული“ ან „ამერიკული“ რამ. ადამიანები ყველა ქვეყანაში ერთნაირები ვყოფილვართ, უბრალოდ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ და სხვადასხვა გარემოებებში აღვიზარდეთ, ისე კი ყველას ერთნაირად გვიყვარს, ერთნაირად ვმეგობრობთ, განვიცდით და გვიხარია“ („ბილიკები ამერიკისკენ“ მ.კ. 2012).

16 ნოემბერი, 2013  
მანასობუს სანაციონოს  
ხელოვნების ცენტრი

ლრუბლიანი შაბათი გათენდა. ჩვენი სასტუმროს აივნიდან წესით მთელი ოქეანე უნდა მოჩანდეს, მაგრამ ახლა ამ ამინდში მხოლოდ ბუნდოვნად თუ დალანდავ მის ნაპირებს. მართალია, ნაცრისფერი გადაპყრავს სიშორეს, მაგრამ ეზოში ხასხასა მწვანე პალმები და მონითალო, დიდფორთლიანი სუპტორპიკული მცენარეები მახსენებს, რომ გარეთ სითბოა.

მე და ტომი ვსაუზმობთ თეთრსილი-ან სანაპიროზე, სასტუმროს ოქეანისპირა კაფეში. ხედი, როგორც ყველგან, აქაც ეგზოტიკურია. ყავის სურნელი მსიამოვნებს. ფორთოხლის წვენი გამაცოცხლებლად იკვალავს გზას სხეულში. მერე მე და ტომი ფეხსაცმელებს იქვე ვტოვებთ და ფეხშიშველი მივუყვებით სანაპირო ზოლს. სასიამოვნოდ ცრის.

ვიცოდი, საინტერესო დღე გველოდა, მაგრამ ჩემი ფანტაზია უძლური აღმოჩნდა იმის წარმოსადგენად, სადაც ორ საათში აღმოვჩნდი. ფლორიდის შტატი ოქეანეში გრძლად შექრილი ყურეა, მაგრამ ასე ახლოს არასდროს დავკვირვებივარ რუკას. ახლა კი აღმოვაჩინე, რომ განცალევებული ხმელეთი ზოლად ჩაუყვება სანაპიროს. ჩვენც, ერთ-ერთი

ასეთი სანაპიროსკენ გვაქვს გეზი აღებული.

გეგმის მიხედვით, 12 საათზე ლანჩზე უნდა შევხვდეთ ჯოელს, ეილინს და მათ მეუღლებს. გუშინდელმა გულისხმიერმა საუბარმა და ცრემლებმა, ვიცი, მე და ეილინი დაგვამეგობრა.

მივუყვებით ულამაზეს ზოლს. ორივე მხრიდან წყალია, უმწვანესი პალმები, სუნთქვაშემკვრელი ხედები და უნებურად ღმერთის ყოვლისშემძლეობას ვგრძნობ. მისამართს ვუახლოვდებით. ცოტა არ იყოს, დაბნეულობა გვეპარება. კი, ვიცი, შეხვედრის ადგილი ხელოვნების ცენტრია, მაგრამ მე კეთილმოწყობილი შენობა და შეხვედრა რესტორანში წარმოვიდგინე და ჩემი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებიც, შესაძამისად, მსგავსი ადგილებისთვისაა შესაფერისი. მოულოდნელად, ორივეს, მეც და ტომსაც, გაოცების შესახილი აღმოგვხდება:

„ვამე, მგონი ეს უნდა იყოს?!“ და ვხედავთ ხალხმრავლობას, კარვებს, გამოფენილ ნახატებს. აბრა დიდი ასოებით გვეგებება: „ხელოვანთა შემოქმედებითი სახლი“. იქით პალმებისა და კოტეჯების წყება და ოკეანის სილურჯე მოსჩანს. აგერ, ეილინსაც ვხედავ, არავითარი საღამოს კაბა – თავისუფლად აცვია...

რა ხდება?

სასწავლოდ ვაბრუნებთ მანქანას. ორივემ უსიტყვილ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ: მე მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ვიხდი, უკანა სკამს გადავწვდები, ჩანთიდან ამოვაძვრენ დაბალქუსლიან საზაფხულო სანდლებს და... მზად ვარ. ტომი ცალი ხელით თეთრი პერანგის ღილებს იხსნის და ისე აჩერებს მანქანას. მე უკანჩამედებულ მაისურს გადავწვდები და ტომს ვაწოდებ. ჩვენს ჩაცმულობას ადგილსა და მოვლენების ხასიათს წამებში ვუსადაგებთ. გადმოვდივართ მანქანიდან. ნაჩეარევად იქვე მდგარი მანქანის ფანჯარაში ვიხედები: „როგორ გამოვიყურები?“ და ვაწყდები პოლის, ეილინის მეუღლის, თვალებს... ორივეს გვეღიმება:



ჩვენი მომენტალური ტრანსფორმირების  
საიდუმლო გამჟღავნებულია...

მანასოტას კულტურის ცენტრი ჯოელის დაბადების დღის აღსანიშნავად მასპინძლობს სტუმრებს. სამასი ადამიანია მოწვეული. საქველმოქმედო თანხა გადაირიცხება ხელოვნების ხელშეწყობისა და განვითარების ფონდში. ხალხი კეთილგანწყობილია და თანხების გასაღებად მზად არის.

სელის ჯოელზე სამახსოვრო ფილმის გადაღებაც დაუგეგმავს. სტუმრები კამერის წინ დგანან და თბილ მისალოც სიტყვებს უძღვნიან ამ დიდ ადამიანს. უცებ, მეც მიწვევენ: ჯოელს გაეხარდება, შენს მოლოცვას რომ მოისმენსო. ცოტა ვლელავ, მაგრამ როგორც კი ოპერატორმა და პროდიუსერმა მიკროფონი მომაწოდა, სიტუაციის განსამუხტავად ცოტა გამესუმრა და მერე ძალიან უბრალოდ დამისვა კითხვა, უცებ სულ დამავიწყდა რომ უნდა მენერვიულა:

„მოგვიყევი, როგორ გაიცანი ჯოელი?“

და მეც დავიწყე...

როგორც ჩანს, საინტერესოდ გამომივიდა, ვინაიდან იქ მდგომნი მილოცავდნენ და გულდაწყვეტით აქნევენ თავებს: ვაიმე, ჩვენ ასე ლამაზად არ გვისაუბრიაო...

წვეულება დასასრულს უახლოვდება. ჯოელის და ეილინის წიგნები თან მაქვს. ავტოგრაფების და სამახსოვრო სურათების გადაღების შესაძლებლობას როგორ გავუშვებ ხელიდან?!.

მერე ჯოელს ვეხვევი და იქაურობას ვტოვებ..

ბედნიერი, სულიერად სავსე და ამაღლებული მივეშურები ოკეანის სანაპირო-საკენ. სილიან სანაპიროზე მზით გაბრძყინებული ლურჯი, უკიდეგანო ოკეანე თვალებს მჭრის... ხელებს ვშლი და ცისკენ ავაპყრობ მადლიერ მზერას:

„დიდი მადლობა, ღმერთო!“

5 მარტი, 2014

დღეს ეილინის წიგნის „როკფელერობიდან საკუთარ თავამდე“ კითხვას მოვრჩი. წიგნში მორიგ სიურპრიზს წავაწყდი:


2008 წელს ეილინი და მისი ქმარ-შვილი სამხრეთ აფრიკაში ნელსონ მანდელას ესტუმრნენ. ბევრ საინტერესო კითხვაში ასეთიც იყო: პოლმა (ეილინის მეულლებმ) ნელსონ მანდელას ჰკითხა: „რა რჩევას მისცემთ ჩვენს შვილებს?“

„იმოგზაურონ!“

– მერე მანდელა ადამს მიუტრიალდა და ჰკითხა: – ყოფილსარ ოდესმე Georgia, Russia? საქართველოში?

„არა, მაგრამ ჩვენ რამდენიმე წლის წინათ კუმასპინძლეთ გაცვლითი პროგრამის სტუდენტს საქართველოდან – იყო პასუხი.

მანდელამ კი გააგრძელა: „ხო, ხო, ძალიან საინტერესო მხარეა საქართველო... მოგზაურობა მნიშვნელოვანია, თვალსაწიერს უზრდის ადამიანს.“



## გილ კანდეჩა

### აურქარებლობა

22.

— ამ დროს თავმჯდომარე სხდომას ხურავს. დარბაზიდან ხმაურით გამოცვენილი კონგრესის მონაწილენი ჰოლს ავსებენ. ბერკი ჩეხ მეცნიერთან მიდის.

— ისეთი შეძრული ვიყავი... — განზრახ წაიპორებიკებს, რათა ჩეხ სწავლულს მიახვედროს, რარიგ უძნელდება მის მიერ წარმოთქმული სიტყვის უანრისთვის ზუსტი განსაზღვრების შერჩევა, — თქვენი მონაწილეობით... ჩვენ მიდეკილნი ვართ, მეტისმეტად სწრაფად დავივინწყოთ ბევრი რამ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ გულთან ახლოს მივიტანე ყველაფერი, რაც თავს გადაგხდათ. თქვენ ევროპის სიამაყე იყავით, იმ ევროპის, რომელსაც საკუთარი თავით სიამაყის განსაკუთრებული საფუძველი არა აქვს.

ჩეხი მეცნიერი პროტესტის ნიშნად აკეთებს გარკვეულ ჟესტს, რომელსაც მისი თავმდაბლობის დამოწმება მართებს.

—არა, არა, ნუ აპროტესტებთ, — აგრძელებს ბერკი, — რასაც ვფიქრობ, იმას ვლაპარაკობ. თქვენ, სწორედ თქვენ, თქვენი ქვეყნის ინტელექტუალები, კომუნისტური წერხის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გამომხატველნი, იჩენდით სიმამაცეს, რომელიც ასე ხშირად გვაკ-

ლია ჩვენ. თქვენ თავისუფლების ისეთი წყურვილი გამოამჟღავნეთ, მე ვიტყოდი — თავისუფლებისადმი ისეთი ჟინი, რომ ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი გახდით და კიდევ მინდოდა მეთქვა, — დაუმატა მან თავისი სიტყვებისათვის მეგობრული ფამილარობის მისანიჭებლად, — რომ ბუდაპეშტი საუცხოო ქალაქია, ისეთი ცოცხალი და, ნება დამრთეთ, ხაზგასმით აღვნიშნო — ისეთი ევროპული.

— თქვენ, ალბათ, პრალის თქმა გინდოდათ? — ფრთხილად აგებინებს ჩეხი სწავლული.

ოჳ, ეს ოხერი გეოგრაფია! ბერკი მიხვდა, რომ ბრიყულ სიტუაციაში აღმოჩნდა და კოლეგის უტაქტობით გამოწვეულ გაღიზიანების ჩასახშობად თქვა:

— რასაკვირველია, პრალის თქმა მინდოდა, მაგრამ ასევე შეიძლება უწოდო კრაკოვი, სოფია, სანკტ-პეტერბურგი: მე უზარმაზარი საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოგლეჯილ ყველა ამ ქვეყანაზე ვფიქრობ.

— საკონცენტრაციო ბანაკებზე ნუ მელაპარაკებით. ჩვენ ხშირად გვემუქრებოდა სამსახურიდან მოხსნის საფრთხე, მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკებში არავის შევურევართ.

— აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვე-

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი“ № 9.2015 წელი.

ყანა საკონცენტრაციო ბანაკებით იყო მოფენილი, ჩემო ძვირფასო, მაგრამ რეალურით თუ წარმოსახვითით, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს!

— და აღმოსავლეთ ევროპაზე ნუ მელაპარაკებით, — განაგრძო შედავება ჩეხმა სწავლულმა, — როგორც ცნობილია, პრაღა ისეთივე დასავლური ქალაქია, როგორიც პარიზი. მეთოთხმეტე საუკუნეში დაარსებული კარლოვის უნივერსიტეტი პირველი უნივერსტიტეტი იყო წმინდა რომის იმპერიაში. სწორედ მასში მოღვაწეობდა იან ჰუსი, ლუთერის წინამორბედი, ეკლესისა და ორთოგრაფიის უდიდესი რეფორმატორი.

რა ბუზმა უკბინა ჩეხ მეცნიერს? ის გამუდმებით უსწორებდა თანამოსაუბრეს, რომელიც გაცოფებამდე მიჰყავდა ამ შესწორებებს, თუმცა ხმაში სითბოს შენარჩუნება მაინც შეძლო.

— ძვირფასო კოლეგა, ნუ გრცხვენიათ იმისი, რომ თქვენ აღმოსავლეთის გვერდიგვერდ ხართ. საფრანგეთს ყოველთვის ესიმპათიურებოდა აღმოსავლეთი. თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის თქვენს ემიგრაციაზე გაიხსენეთ.

— მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენთან არავითარი ემიგრაცია არ ყოფილა.

— მაგრამ მიცკევიჩი? ვამაყობ იმით, რომ მან საფრანგეთში პოვა თავისი სამშობლო!

— მაგრამ მიცკევიჩი ჩეხი არ იყო, — არ დაშოშმინდა ჩეხი ენტომოლოგი.

ამ მომენტში სცენას იმაკულატა მოევლინება, რომელიც თავის კინომანს ენერგიულ ნიშანს აძლევს, შემდეგ ხელების მოძრაობით გვერდზე წევს ჩეხს, ბერკის გვერდით ჯდება და მიმართავს:

— უკა-ალენ ბერკ...

23

როდესაც ერთი საათის წინათ ბერკმა საკონფერენციო დარბაზში იმაკულატა და მისი კინომანი დაინახა, სიბრაზისაგან ლამის აყმუვლდა, მაგრამ ახლა ჩეხი მეცნიერით გამოწვეულმა გაღიზიანებამ და-

ჯაბნა იმაკულატასადმი სიბრაზე. ამ ეგზიტიკური პედანტისაგან თავის დაღწევის სამადლობლად გაუტედავი ღიმილიც კი გაიმეტა ქალისთვის.

გამნენებული იმაკულატა მხიარული და ხაზგასმულად ფამილარული ტონით არატრატდა:

— უან-ალენ ბერკ, ენტომოლოგთა ამ შეკრებაზე, რომელთა რიცხვს, ბედისწერის ნება-სურვილით, თქვენც ეკუთვნით, მოგვიხდა ერთი ყველაზე მღელვარე მომენტის გადატანა... — აქ ის მიეროფონს უწრიალებს ბერკს ტუჩებთან.

ისიც სამაგალითო მონაფესავით პასუხობს:

— დიახ, ბედნიერება გვაქვს, ამ კედლებში მივესალმოთ დიდ ჩეხ ენტომოლოგს, რომელმაც, იმის ნაცვლად, მთლიანად მისცემოდა მეცნიერებას, მთელი თავისი ცხოვრება ციხეში გაატარა. ჩვენ ყველანი შეძრული ვიყავით მისი აქ ყოფნით.

მოცეკვავე — ეს არა მხოლოდ ხორცშესხმული ვნებაა, არამედ გზაც, რომლიდანაც შეუძლებელია გადახვევა; როდესაც დიუბერკმა შიდსიანებთან სადილის ბოლოს დრუნჩით ტალახში ათრია, ბერკი სომალს არა მარტო პატივმოყვარეობის მოჭარბების გამო მიაწყდა, არამედ იმიტომაც, თავისი ცეკვის წარუმატებელი პას გამოსწორების აუცილებლობას გრძნობდა. ამ მომენტში ის ხვდება საკუთარი ფრაზების უგვანობას, გრძნობს, მათ რაღაც აკლია, რაღაც ქიშმიშის მარცვლები, მოულოდნელი იდეები, სიახლეები. ამიტომაც გაჩერების მაგივრად ლაყბობას იმ დრომდე აგრძელებს, სანამ წინ ნამდვილი შთაგონების გამოკრთომას არ იგრძნობს:

— და მე ვსარგებლობ შემთხვევით, შეგატყობინოთ ჩემი წინადადება ფრანგულ-ჩეხური ენტომოლოგიური ასოციაციის შექმნის თაობაზე. — ამ იდეის მოულოდნელობით განცვიფრებული მაშინვე ძალების მოზღვავებას გრძნობს. — ეს-ეს არის ველაპარაკე ჩემს პრაღელ კოლე-

გას, – ის გაურკვეველ უესტს აკეთებს ჩეხი მეცნიერის მხარეს, – რომელიც მოიხიბლა ჩემი წინადადებით – ამ ორგანიზაციას მივაკუთვნოთ გასული საუკუნის დიდი პოეტ-დევნილის სახელი, პოეტისა, რომელშიც ჩვენ ორ ხალხს შორის მარადიული მეგობრობა სიმბოლიზირდება. მიცეკვიჩი. ადამ მიცეკვიჩი. ამ პოეტის ცხოვრება გვეკვლინება გაკვეთილად, რომელიც მოწოდებულია შეგვახსენოს, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, იქნება ეს პოეზია თუ მეცნიერება, ბოლოს და ბოლოს, არის ამბოხი. – ამ სიტყვის წყალობით ბერკი საბოლოოდ მიაღწევს საუცხოო ფორმას. – რადგან ადამიანი – მარადიული მეგობოხეა. – ახლა იგი ჭეშმარიტად ბრნებულება და გრძნობს კიდეც ამას. – ასე არაა, ჩემო მეგობარო? – ის მიბრუნდება ჩეხი მეცნიერისკენ, რომელიც სასწრაფოდ ჩნდება კინოკამერის კადრში და თავს იქნებს, თითქოსდა სურს თქვას „დიახ“. – თქვენ ეს მთელი თქვენი ცხოვრებით დაამტკიცეთ, თქვენი მსხვერპლით, თქვენი ტანჯვით, დას, დიახ, დამეთანხმეთ: ადამიანი, ამ წოდების ღირსი, მუდმივად მეამბოხეობს, ჯანყდება მჩაგვრელის წინააღმდეგ და თუ ასეთი არაა, – აქ ის ხანგრძლივ პაუზას აკეთებს; მხოლოდ პონტევენს შეუძლია შეედაროს მას აგრერიგად გრძელი და მრავალმნიშვნელოვანი პაუზის გამოყენების ხელოვნებაში; შემდეგ დაბალი ხმით ამთავრებს: – ის თავად კაცობრიობის იმ ხვედრის წინააღმდეგია, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია. ჯანყი კაცობრიობის იმ ხვედრის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია... – უკანასკნელი ფრაზა, თავისი იმპროვიზაციის გვირგვინი, თავადვე ანცვიფრებს. ვერაფერს იტყვი, ფრაზა თავისთავად დიდებულია. მომენტალურად იტაცებს მას თავისი დროის პოლიტიკური კინკლაობისაგან, ნებას რთავს, შეეხოს თავისი ქვეყნის უდიდეს ტვინებს; ასეთი ფრაზის დაწერა შეეძლო კამიუს, მარლის ანდა სარტრის.

გაბედნიერებული იმაკულატა თავის

კინომანს ანიშნებს და კამერა ჭრიჭინს წყვეტის.

ამ მომენტში ჩეხი სწავლული ბერკთან მიდის და ეუბნება:

– ეს ყველაფერი ბრწყინვალეა, მართლაც ბრწყინვალე, მაგრამ ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ მიცეკვიჩი...

პუბლიკის წარმატებამ ბერკი იმ მდგომარეობაში ჩააგდო, რომელიც ახლოსაა სიმთვრალესთან: მტკიცე, მაღალი და დამცინავი ხმით აწყვეტინებს:

– ვიცი, ჩემო ძვირფასო მოძმევ, თქვენზე არანაკლებ კარგად ვიცი, რომ მიცეკვიჩი ენტომოლოგი არ ყოფილა. დას და, დამეთანხმებით, იშვიათად ხდება, პოეტები ამ მეცნიერებით იყვნენ დაკავებული. ამ ზადის მიუხედავად, ისინი კაცობრიობის სიამაყეს წარმოადგენენ. იმ კაცობრიობის, რომლის ნაწილსაც შეადგენენ ენტომოლოგები. მათ რიცხვში კი, თქვენი ნებართვით, ჩვენცა ვართ.

ჰოლში განმწმენდი სიცილის ნამდვილი აფეთქება გაისმა, დიდი ხნის დუღილის შემდეგ ორთქლის ამონაბოლქვის მსგავსი. როგორც კი ენტომოლოგები მიხვდნენ, რომ ამ მეტისმეტად აღელვებულ ბატონს თავისი მოხსენების წაკითხვა დაავიწყდა, ძლივსძლივობით შეძლეს სიცილის შეკავება. ბერკის თავხედურმა სიტყვებმა გაათავისუფლა ისინი სინდისის ქენჯნისაგან და ახლა ერთხმად ჭიხვინებდნენ, თავიანთ ზეიმს არ მაღავდნენ.

ჩეხი მეცნიერი საგონებელშია: სადგაქრა პატივისცემა, რომელსაც მეცნიერების ეს ბურჯვები გამოხატავდნენ მის მიმართ ჯერ კიდევ ორიოდე წუთის წინ? როგორ შეუძლიათ სიცილი, თავს ამის ნებას როგორ აძლევენ? (შეიძლება, ჩემო კარგო და მერე როგორ) წუთუ სიმპათია ასეთი მყიფე, ასეთი არამდგრადი გრძნობა? (რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, რა თქმა უნდა).

ამ დროს იმაკულატა მივარდება ბერკს. დამაჯერებელი ხმით ლაპარაკობს, მაგრამ ენა მსუბუქად ეპმის, თითქოსდა შეზარხოშებულია.

— ბერკ, ბერკ, მომისმინე, შენ, უბრალოდ, დიდებული ხარ! შენ შექელი ყველაფრისთვის მიგეფურთხებინა. ო, მე ვალმერთებ შენს ირონიას! მაგრამ გესომება, მე რა გადამხდა მისგან. გახსოვს ჩვენი ლიცეუმი? ბერკ, მომისმინე, გახსოვს, როგორ დამარქვი იმაკულატა? ნუ მეკამათები, საჭიროა, ორივემ მოვამზადოთ ფილმი, რაღაც შენი პორტრეტის მსგავსი. დამეთანხმე, რომ მხოლოდ მე მაქვს ამის უფლება.

სიცილი, რომლითაც ენტომოლოგებმა ბერკი დააჯილდოვეს ჩეხი მეცნიერის გაჯორვისათვის, ჯერ კიდევ უდერს მის ყურებში და შეზარხოშებულ გზნებას უფუცხუნებს. ასეთ მომენტებში უზარმაზარი თვითკამაყოფილების გრძნობა აპოგეას აღწევს და უბიძგებს თავხედური, თუმცა კი გულწრფელი გამოხდომებისკენ, რომლებიც არაიშვიათად თავად მასვე აძრნუნებს. წინასწარ ვაპატიოთ ის, რის გაკეთებასაც ახლა აპირებს. იმაკულატას ხელს დასტაცებს, მოურიდებელი ყურებისგან მოშორებით მიათრევს და ხმადაბლა ეუბნება:

— რაც გინდა, ის ჰერნი, ბებერო ჩათლახო, შენი დაქნეული დამქაშებით, გინდა იტყნაურე მათთან, ღამის ფრინველო, ღამის კოშმარო, ბოსტნის საფრთხოებელავ, ჩემი სიბრიყვის მოგონებავ, ჩემი სისულელის ძეგლო, ჩემი მოგონებების სანარცხე ორმოვ, ჩემი ახალგაზრდობის აქოთებულო შარდო...

ქალი ისე უსმენს, თითქოს ყურებს არ უჯერებს, ეჩვენება, რომ ამ ბილნ სიტყვებს ვიღაც სხვა ანთხევს, რათა კვალი აურიოს, დააბნიოს მთელი შეკრებილობა; ჰერნია, რომ ეს სიტყვები, როგორდაც, ეშმაკური ონია, რომლის გაგების უნარი მის ძალებს აღემატება და ის ბერკს მიამიტად და პირდაპირ ეკითხება:

— ყველაფერ ამას რატომ მეუბნები? რისთვის? რას მიბრძანებ, ყველაფერი ეს როგორ უნდა გავიგო?

— გიბრძანებ, გაიგო სწორედ ისე, როგორც გეუბნები! პირდაპირი აზრით! სავ-

სებით პირდაპირ! ჩათლახი — ჩათლახად, სანარცხე ორმო — სანარცხე ორმოდ, კოშმარი — კოშმარად, შარდი — შარდად.

## 24

ამ დროს ბარში მჯდომი ვენსანი თავისი ზიზლის ობიექტს უთვალთვალებდა. მთელი სცენა მისგან ათი მეტრის მოცილებით გაიშალა. ასე რომ, საუბრიდან ვერაფერი გაიგო. მისთვის მხოლოდ ერთი რამ იყო ნათელი: ბერკი მის თვალწინ სწორედ ისეთი წარსდგა, როგორსაც პონტევენი აღწერდა ყოველთვის: კლოუნს უხეში ბრძოსათვის, მსახიობს, ბურჟუას, მოცეკვავეს. სრულიად თვალსაჩინოა, რომ მხოლოდ ტელებრიგადის ხათრით გადაწყვიტა ენტომოლოგთა კონგრესის მონახულება! ვენსანი გაფაციცებული იყო მისი „ბალეტური“ ოსტატობის შესწავლაზე: კამერას თვალი არ მოაცილოს, ყველაზე წინ გაძვრეს, საყოველთაო ყურადღების მისაპყრობად ელეგანტურად იქნიოს ხელები. იმ მომენტში, როცა ბერკმა იმაკულატას ხელი დაავლო, ვენსანმა თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა:

— არა, ერთი შეხედეთ: ის აქ არავის აინტერესებს, ამ ტელე-დედაკაცის გარდა! თავისი საზღვარგარეთელი კოლეგისათვის არ გაუკეთებია ხელკავი, ფურთხად არ ულირს თანამოძმენი, განსაკუთრებით, უცხოელები, მხოლოდ ამ ტელე-დედაკაცს ეპყრობა თბილად, როგორც თავის ქალბატონს, თავის საყვარელს, ერთადერთ მძევალს იმიტომ, რომ — ნაძლევს ვდებ! — მეტი არავინ ჰყავს. ის ხომ მთელი სამყაროს ბუმბერაზი იმპოტენტია.

უცხაურია, ამჯერად მისი ხმა, მთელი მისი სამარცხვინო სისუსტის მიუხედავად, სრულიად მკაფიოდ უდერს. ხდება ხოლმე, როდესაც თვით ყველაზე სუსტი ხმაც მიდის მსმენელამდე, ეს მაშინ, როცა ვენსანი ჩვენთვის გამაღიზიანებელ იდეებს გამოთქვამს, ხმამაღლა გადმოცემს თავის მოსაზრებებს, ჭკვიანია, გამქირდავი, მოცეკვავებზე და სიკვდი-

ლის ანგელოზთან დადებულ კონტრაქტზე ლაპარაკობს და უფრო და უფრო მეტად ფიცხდება საკუთარი მჭევრმეტყველებით, თავის პიპერბოლებზე ისე მიცოცავს, როგორც ცაში მიმავალ კიბეზე. ვიღაც კოსტიუმში გამოწყობილი სათვალიანი ახალგაზრდა ყურადღებით ადევნებს თვალს და იმ მტაცებელივით უსმენს, თავდასხმისათვის რომ მზადაა. როდესაც ვენსანის ენამჭევრობა დაიშრითა, მიმართა:

— მუსიე, ჩვენ არ ვირჩევთ ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობთ. ცხოვრებით კი კინოკამერების მზერის ქვეშ ვცხოვრობთ. ისინი ახლა კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთ პირობას შეადგენს. ომში მონაწილეობის დროსაც კი კამერის მზერის ქვეშ ვომობთ და, თუკი რაიმეს წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა გვიხდება, ჩვენი პროტესტი კამერის დახმარების გარეშე ვერ იქნება მოსმენილი. ჩვენ, ყველანი, მოცეკვავეები ვართ, როგორაც თქვენ ინებეთ გამოხატვა. მეტსაც ვიტყოდი: ჩვენ ან მოცეკვავეები ვართ, ან დეზერტირები. თქვენ, მუსიე, გენანებათ, დრო რომ წინ მიდის. ასე მობრუნდება იგი უკან! მეთორმეტე საუკუნეში თუ მოგეწონებოდათ? მაგრამ იქ მოხვედრისთანავე კათედრალური ტაძრების წინააღმდეგ დაიწყებთ პროტესტს, რადგან მათ თანადროულობის ბარბაროსობად მიიჩნევთ! კიდევ უფრო შორს წადით! დაბრუნდით მაიმუნებთან! იქ თქვენ არავითარი თანამედროვეობა არ დაგემუქრებათ, თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში, მაკაკების შეურყვნელ სამოთხეში!

არაფერია იმაზე დამამცირებელი, გესლიანი პასუხი ვერ მოძებნო გამქირდავ გამოხდომაზე. უზომოდ დაბნეული ვენსანი აპუჩად ამგდებ სიცილში იძულებულია, გაიპაროს. წუთიერი დაფანტულობის შემდეგ იხსენებს, რომ იულია ელოდება; ერთი ყლუპით ცლის ჭიქა ვისკის, რომელიც ხელში უჭირავს, ჭიქას პარის დახლზე დგამს და კიდევ ორ ულუფას

უკვეთავს – ერთს თავისთვის, მეორეს იულიასათვის.

## 25

კოსტიუმიანი ადამიანის ხატება მის სულს ხინვივით ჩაერჭო: ეს მით უფრო უსიამოვნო იყო, რომ ქალის მოხიბლვა სწყუროდა. მაგრამ როგორ მოხიბლავ, თუკი სულში ხინვი გტანჯავს?

ქალიშვილმა შეამჩნია მისი მდგომარეობა:

— ამდენ ხანს სად იტუზებოდი? ვფიქ-რობდი, რომ მიმატოვე, უკვე აღარ დაბრუნდებოდი.

ვენსანი ხვდება, ქალიშვილი დიდად აფასებს და ეს ცოტათი უმსუბუქებს ხინვით გამოწვეულ ტკივილს. ცდილობს, ისევ მომაჯადოებლად გამოიყურებოდეს, მაგრამ იულიას ფხილად უჭირავს თავი.

— თვალს ნუ მიხვევ, რამდენიმე წუთში სავსებით შეიცვალე. ნაცნობს შეხვდი?

— არა-მეთქი, არა, — გაეხმიანა ვენსანი.

— და მაინც, ქალს შეხვდი, გთხოვ, თუ გინდა, წადი მასთან. ჩვენ ხომ ერთმანეთი რაღაც ნახევარი საათის წინ გავიცანით. ჩავთვლი, რომ სრულებით უცნობები ვართ.

ქალიშვილი უფრო და უფრო ნალვლიანდება. მამაკაცისთვის კი არ არსებობს ქალისთვის მიყენებულ ნალველზე უფრო ტკილი ბალზამი.

— არა, დამიჯერე, იქ ქალის სახსენებელიც არ ყოფილა. იყო ერთი მუდო, საშინელი კრეტინი, რომელსაც მივეჯაჭვები, ყველაფერი, — და მან იულიას ლოყაზე ხელი ისე გულწრფელად და ნაზად მოუთაუნა, რომ ქალს მაშინვე დაავიწყდა თავისი ეჭვები.

— და, ასე იყოს, ვენსან, და მაინც, სავსებით შეიცვალე.

— წამოდი ჩემთან, — უთხრა მან. ბარში მიიწვია. იმედოვნებდა, რომ იქ მაინც მოახერხებდა სულიდან ხინვის ამოძრობას ვისკის მთელი ნიალვრის მეშვეობით. კოსტიუმში გამოწყობილი ელეგანტური

ტიპი ისევ იქ დაყიალებდა რამდენიმე მეგობრის თანხლებით. ახლომახლო ქალის ჭაჭანება არ იყო და ეს ხელს აძლევდა ვენსანს, რომელსაც ამ წუთში თანმხლები ქალიშვილი კიდევ უფრო სანდომიანი მოეჩენა. ორი ჭიქა ვისკი აიღო, ერთი იულიას გაუწოდა, მეორე აჩქარებით ჩაყლაპა, შემდეგ მისკენ დაიხარა.

— ამ სათვალიან და კოსტიუმიან კრეტინს შეხედე.

— ამას? ეს ხომ არარაობაა, ვენსან, ნამდვილი არარაობა. როგორ შეგიძლია, ყურადღება მიაქციო?

— მართალი ხარ, ტიპური მოუმთავრებელია, ანტიპიტინიკი, იმპოტენტი, — ამბობს ვენსანი და ეჩვენება, რომ იულიას გვერდით ყოფნა წელანდელი მარცხის დავიწყებას აიძულებს, რადგან ნამდვილი გამარჯვება, ერთადერთი, რისთვისაც ღირს ბრძოლა ენტომოლოგთა ავბედით და ანტიეროტიკულ საზოგადოებაში, ამ დამათრობელი ლამაზმანის უსწრაფეს დაპყრობაზე დაიყვანება.

— არარაობა, ცარიელი ადგილი, ცარიელი ადგილი, გარწმუნება, — იმეორებს იულია.

— მართალი ხარ, თუკი თავიდან ვერ ამოვიგდებ, თვითონაც ასეთივე კრეტინად გადავიცევი, — და იქ, ბარში, ყველას თვალწინ ტუჩებში კოცნის იულიას.

ეს მათი პირველი კოცნა იყო.

ისინი პარკში გადიან, სეირნობენ, ჩერდებიან და ხელახლა კოცნიან ერთმანეთს. შემდეგ სკამს პოულობენ და სხდებიან. შორიდან მდინარის შხაპუნის ხმა აღწევს, თავადაც არ უწყიან, რატომ, ალფრთოვანებულები არიან; აი, მე კი ვიცი: ისინი მადამ დე T.-ის მდინარეს უსმენენ, მისი სასიყვარულო ლამეების მდინარეს, განცხრომათა საუკუნის წიაღიდან მოკრძალებულ სალამს რომ უძლვნის ვენსანს.

და ისიც თითქოსდა ვიღაცის კარნასით წარმოთქამს:

— ოდესაც ამ ციხე-დარბაზში ორგიებს მართავდნენ. უფრო ზუსტად, მეთ-

ვრამეტე საუკუნეში. სადი, მარკიზი დე სადი. „ფილოსოფია ბუდუარებში“. იცი ეს პატარა წიგნი?

— არა.

— საჭიროა, კი, მოგცემ წასაკითხად. ესაა საუბარი ორგის დროს ორ მამაკაც-სა და ორ ქალს შორის.

— დიახ, — ამბობს იულია.

— ოთხივენი შიშვლები არიან და ერთად ეძლევიან სიყვარულს.

— დიახ.

— შენ ეს მოგეწონებოდა?

— არ ვიცი, — პასუხობს იგი. მაგრამ ეს „არ ვიცი“ უღერს არა როგორც უარი, არამედ როგორც ამაღლვებელი გულწრფელობისა და სამაგალითო სისადავის დასტური.

სულიდან ხინვს ასე იოლად რას ამოიძრობ. ტკივილზე გამარჯვება, მისი განდევნაა საჭირო. ვენსანი თავს იკატუნებს, თითქოს ამაზე აღარ ფიქრობს, მაგრამ ეს თვალთმაქცობა ძალას მოითხოვს. მარკიზ დე სადიზე ასეთი ვნებით არა იმდენად იულიას გასარყვნელად ლაპარაკობს, არამედ იმ წყენის დასავიწყებლად, კოსტიუმიანმა ლამაზმა რომ მიაყენა.

— არა, — არწმუნებს ქალიშვილს, — ბრწყინვალედ იცი, რომ მოგეწონებოდა, — მოუნდა მისთვის უამრავი სენტენცია მოეყვანა, უამრავი სიტუაცია მოეთხრო, რომელსაც შეიცავს ეს ფანტასტიკური წიგნი, „ფილოსოფია ბუდუარებში“ რომ ეწოდება.

შემდეგ ისინი დგებიან და სეირნბას განაგრძობენ. უზარმაზარი მთვარე ამოდის ხეების თავზე. ვენსანი შეხედავს იულიას და თავს უეცრად მოჯადოებულად გრძნობს: მთვარის მკრთალ შუქზე გოგონა ზღაპრულ ფერიად ეჩვენება, იგი განსაცვიფრებელი სილამაზით ბრწყინვას, რომელიც თავიდან წესიერად არც კი შეუნიშნავს, ნატიფი, უღონო, ქალწულებრივად სუფთა, მიუწვდომელი სილამაზით. იმწამსვე, თავადაც არ იცის რატომ, მის უკანა ხვრელს წარმოიდგენს. მოულოდნელად ეს ხატება მთლიანად

მოიცავს და ვერაფრით ვერ შეძლებს მისგან გათავისუფლებას.

დალოცვილი იყოს ეს მხსნელი ხილვა! რადგან კოსტიუმიანი ლამაზი მისი წყალობით აორთქლდა (ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს!). ის, რაც ვისკის აურაცხელმა ულუფამ ვერ შეძლო, ამ უხამსმა სურათმა მოახერხა წამში! ვენსანი მოეხვია იულიას, მიიკრა, მკერდის სრესვა დაუწყო, ტკბებოდა მისი გრძნეული სილამაზით და, იმავდროულად, მისი უკანა ხვრელი ელანდებოდა. საშინლად მოუნდა ეთქვა მისთვის: „მე ვეალერსები შენს მკერდს, მაგრამ მხოლოდ ამ ხვრელზე ვფიქრობ“, მაგრამ ამის ხმამაღლა წარმოთქმა ვერ გადაწყვიტა, სიტყვები ყელში გაეჩირა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამ ხვრელზე, მით უფრო ნათელი, გამჭვირვალე და ანგელოზისებრი ეჩვენებოდა იულია. ასე რომ, მისი სიტყვები უთქმელი დარჩა.

ვერას სძინავს. მე კი, ლია ფანჯარა-სთან მდგარი, მთვარიან ლამეში ციხე-დარბაზის პარქში მოსეირნე წყვილს ვუყურებ.

უეცრად მესმის, მძინარე ცოლის სუნთქვა სულ უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხდება. მისი საწოლისკენ შემობრუნებული ვგრძნობ, საცაა დაიყვირებს. არასოდეს მინახავს, იგი კოშმარების მსხვერპლი გამხდარიყოს! ციხე-დარბაზში რაღა ხდება?

ვაღვიძებ. ის ფართოდ გახელილი, შეძრნუნებული თვალებით მიყურებს. შემდეგ თავის სიზმარს ისე აჩქარებით მიყვება, თითქოს ციებ-ცხელების შეტევა აქვს:

— ამ სასტუმროს გრძელ კორიდორში ვიყავი. უეცრად შორს ადამიანი გამოჩნდა, ჩემკენ მორბოდა. ათ მეტრზე რომ მოირბინა, ყვირილი მორთო. შენ წარმოიდგინე, ჩეხურად ყვიროდა! ფრაზები სავსებით უაზრო იყო: „მიცემიჩი ჩეხი არაა! მიცემიჩი პოლონელი!“ შემდეგ მუქარის გამომხატველი მზერით მომიახლოვდა რამდენიმე ნაბიჯზე და აქ შენ გამაღვიძე.

— მაპატიე. — ვეუბნები, — შენ ჩემი

სულელური გამონაგონების მსხვერპლი გახდი.

— ეს როგორ გავიგო? — ისე, რომ შენი სიზმრები როგორ-დაც, იმ სანაგვე ვედროდ იქცა, რომელ-შიც მე მეტისმეტად სულელურ გვერდებს ვყრი.

— ამჯერად რას იგონებ? რომანს? — განგაშით მეკითხება ის. თავს ვუქნევ.

— ხშირად მეუბნებოდი, რომ ოდესმე დაწერდი რომანს, რომელშიც არც ერთი სერიოზული სიტყვა არ იქნებოდა. დიდ სისულელეს საკუთარი სიამოვნებისათვის. ვიშმობ, რომ ეს მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა. მინდა მხოლოდ გაგაფრთხილო: ფრთხილად იყავი!

თავს კიდევ უფრო მონდომებით ვუქნევ.

— გახსოვს, რას გეუბნებოდა დედა-შენი? ყურებში აქამდე მესმის მისი ხმა: მილანკა, სისულელებს შეეშვი, ვერავინ გაგიგებს, ამქვეყნად ყველას გაანაწყენებ და ყველა შეგიძლებს ამისთვის.

— ჰო, — ვეუბნები მე.

— გაფრთხილებ, შენი ხსნა სერიოზულობაშია. როდესაც ის დაგტოვებს, მგლებს შორის შიშველი აღმოჩნდები და განა არ იცი, რომ მხოლოდ ამას ელოდებიან.

ამ საშინელი წინასწარმეტყველების წარმოთქმისთანავე ვერამ ხელახლა დაიძინა.

## 27

თითქმის ამ დროს დათრგუნვილი და განამებული ჩეხი სწავლული თავის წომერში ბრუნდება. ყურებში ჯერაც არ მიწყნარებია ბერკის სარკასტული სიტყვებით გამოწვეული ხარხარი. მას ერთი და იგივე კითხვა აწამებს: შესაძლებელია კი აღტაცებიდან ზიზღზე ასეთი სიმსუბუქით გადასვლა?

სინამდვილეში, ვეკითხები საკუთარ თავს, სად გაუჩინარდა უმაღლესი მსოფლიო აქტუალობით აღბეჭდილი კოცნა ჩეხის შუბლზე?



აი, რაში ცდებიან აქტუალობის მიმდევრები: მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ისტორიულ სცენაზე წარმოშობილი სიტუაციები მხოლოდ პირველსავე წუთებშია გაჩირალდნებული. არც ერთი მოვლენა არ რჩება აქტუალური მთელი მისი სანგრძლივობის მანძილზე, არამედ დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში, დასაწყისში. განა აღარ იხოცებიან სომალელი ბავშვები, რომელთაც ხარბად შესცეკროდა მილიონობით ტელემაყურებელი? რა სჭირთ ამ ბავშვებს ახლა? გამოჯანმრთელდნენ თუ უფრო უარესად დამჭლევდნენ? არსებობს კი დღემდე ასეთი ქვეყანა – სომალი?

ანდა არსებობდა კი ოდესმე? რომელიმე ფანტომის სახელი ხომ არ იყო?

თანამედროვე ისტორიის მოთხრობის ხერხი გრანდიოზულ კონცერტს გვახსენებს, სადაც თანმიმდევრობით სრულდება ბეთჰოვენის ას ოცდათვრამეტი ოპუსი, თანაც, ყოველი მათგანიდან მხოლოდ პირველ რვა ტაქტს უკრავენ. თუკი იმავე კონცერტს ათი წლის შემდეგ გავიმეორებთ, მასზე თითოეული პიესის მხოლოდ პირველი ნოტი გაიჟღერებს; შესაძლოა კონცერტის გაგრძელებაში შესრულდეს ყველა ას ოცდათვრამეტივე ნოტი, ერთ მელოდიად წარმოდგენილი. ოცი წლის შემდეგ კი ბეთჰოვენის მთელი მუსიკა იმ დაუსრულებელი მაღალი ბგერის მსგავს სანგრძლივ და განმგმირავ ნოტზე დაიყვანება, რომელიც მან მოისმინა სიყრუის პირველ დღეს.

ჩეხი მეცნიერი ჩვეულ მელანქოლიაში იძირება. დარდის გასაქარვებლად იხსენებს, რომ მშენებლობაზე გმირული მუშაობის ეპოქამ, რომლის დავიწყებაც სურს ყველას, დაუტოვა სრულიად მატერიალური და საგრძნობი მოგონება – ჩინებული მუსკულატურა. კმაყოფილების თავშეკავებული ღიმი გამოიყონავს სახეზე, რადგანაც დარწმუნებულია, რომ არც ერთ აქ მყოფ სწავლულს არა აქვს ისეთი კუნთები, როგორიც მას.

დიახ, დიახ, გინდ დაიჯერეთ, გინდ

არა, მაგრამ გარეგნულად ამ სიცილის მომგვრელ იდეას კარგ გუნებაზე მოჰყავს. ქურთუკს იხდის და პირქვე, პირდაპირ იატაკზე წვება. ხელებს მაღლა წევს. ამ ვარჯიშს ოცდაექვსჯერ აკეთებს და კმაყოფილებას გრძნობს. იმ დროს იგონებს, როცა სამსახურის ამხანაგებთან ერთად ცვლის დამთავრების შემდეგ სამშენებლო მოედნის პატარა გუბურაში საბანაოდ დადიოდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ ის ათასჯერ უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე დღეს, ამ ციხე-დარბაზში. მუშებს იგი უყვარდათ და აინტერანს ეძახდნენ.

თავში კიდევ ერთი საკმაოდ უაზრო იდეა გაუკრთება (მან იცის ამ იდეის უაზრობა და ეს კიდევ უფრო ამხიარულება): საბანაოდ წავიდეს სასტუმროს მდიდრულ აუზში. ამ სულსწრაფი და სავსებით ცნობიერი პატივმოყვარეობის შესრულებით სურდა, თავისი სხეულით ეტრაბახა ამ უცნაური, უზომოდ კულტურული და, საერთოდ, მზაკვრული ქვეყნის ჩია ინტელექტუალების წინაშე. საბედნიეროდ, საბანაო კოსტიუმი წამოიღო პრაღიდან (ყველგან თან დაათრევს); იცვამს მას და სარკეში ნახევრად შიშველ საკუთარ გამოსახულებას ათვალიერებს. მკლავებს იდაყვებში ღუნავს, მისი ბიცეფსები მძლავრად ხტიან. „თუკი ვინმეს აზრად მოუვა ჩემი წარსულის უარყოფა, დაე, ჩემს კუნთებს შეხედოს, მტკიცებულება სრულიად უდავოა!“ წარმოიდგენს, როგორ დასეირნობს აუზის გარშემო. ფრანგებს თვალსაჩინოდ აჩვენებს, რომ ამქვეყნად არსებობს ელემენტარული ღირებულება – სხეულებრივი სრულყოფა, რომლითაც ის სამართლიანად ამაყობს და რომელზეც მათ მცირეოდენი წარმოდგენაც არ აქვთ. შემდეგ გადაწყვეტს, რომ უწესობა იქნება ასეთნაირად სასტუმროს კორიდორში აქეთ-იქეთ სიარული და სპორტულ ტრიკოს იცვამს. ფეხსაცმლის საკითხის გადაწყვეტალა რჩება. ფეხშიშველა ტანტალი ისევე უადგილოა, როგორც ფეხსაცმლით წასვლა; გადაწყვეტს, წინდები იკმაროს. ამნაირად ეკი-

პირებული ხელახლა იცქირება სარკეში. მისი ჩვეული მელანქოლია კვლავ უთანასწორდება სიამაყეს, თავს ისევ დაჯერებულად გრძნობს.

## 28

უკანალის ხვრელი. შეიძლება სხვაგვარადაც ეწოდოს, მაგალითად, ისე, როგორც ეს გააკეთა გიორმ აპოლინერმა: „სხეულის მეცხრე კარიბჭე“. მისი ლექსები ქალის სხეულის მეცხრე კარიბჭეზე ორ ვარიანტად არსებობს: პირველი თავის საყვარელს – ლუს გაუგზავნა 1915 წლის 11 მაისს სანგარში დაწერილი წერილით, მეორეც იქიდანვე გაგზავნა იმავე წლის 21 სექტემბერს მადლენთან – მეორე საყვარელთან. ორივე ლექსი ერთნაირად ბრწყინვალეა, მხოლოდ წარმოსახვის გამომწვევი მიზეზები განასხვავებს, მაგრამ ერთიანი პლანით არის აგებული: თითოეული სტროფი მიძღვნილია შეყვარებულის სხეულის ერთ-ერთი კარიბჭისადმი: ერთი თვალი, მეორე თვალი, ერთი ყური, მეორე ყური, მარჯვენა ნესტო, მარცხენა ნესტო, პირი; შემდეგ ლუსადმი მიძღვნილ პოემაში „შენი უკანალის კარიბჭე“ და ბოლოს, მეცხრე კარიბჭე – საშვილოსნო. მადლენისათვის მიძღვნილ მეორე ლექსში კარიბჭეების ჩამოთვლის რიგითობა ბოლოში არსებითად იცვლება, საშვილოსნო მერვე ადგილს იკავებს, „მარგალიტის ორ მთას შუა“ გახსნილი უკანა ხვრელი კი ხდება „მეცხრე კარიბჭე და უფრო მეტად იდუმალი, ვიდრე ყველა დანარჩენი“. „კარიბჭეებით“ „ჯადოქრობა, რომელზედაც მე ლაპარაკს ვერ ვპედავ, უმაღლესი კარიბჭეებით“.

მე მგონია, რომ ის ოთხი თვე და ათი დღეა ორივე მათგანის გამყოფი. იმ ოთხმა თვემ, რომელიც აპოლინერმა სანგარში გაატარა მშფოთვარე ეროტიკულ წარმოსახვებში დანთქმულმა, იგი პერსპექტივის ცვლილებამდე, რაღაც ზემთაგონებამდე მიიყვანა: სწორედ უკანა ხვრელი გვევლინება იმ იდუმალ წერტილად, რომელშიც თავმოყრილია სიშიშვლის

მთელი ბირთვული ენერგია. ცხადია, საშოს კარიბჭე მნიშვნელოვანია (ამას ვინ უარყოფს), მაგრამ მისი მნიშვნელობა მეტისმეტად ოფიციალურია; ეს ადგილი რეგისტრირებულია, კლასიფიცირებული, კონტროლირებული, კომენტირებული, გამოკვლეული, დაცული, ხოტბაშესხმული, სახელმოხვეჭილი. საშო – ეს ხმაურანი გზაჯვარედინია, სადაც მრავალენოვანი კაცობრიობის წარმომადგენლები ეხლებიან ერთმანეთს, გვირაბია, რომელსაც მთელი თაობები გაიკლიან. მხოლოდ უკანასკნელი რეგვენნი ირწმუნებენ თავს ამ ყველაზე უფრო საჯარო ადგილის ინტიმურობაში. ერთადერთი ჭეშმარიტად ინტიმური ადგილი, რომლის ტაბუირების ხელყოფასაც თვით პორნოფილმებიც კი ვერ ბედავს – უკანა ხვრელია, უმაღლესი კარიბჭე, ყველაზე უფრო იდუმალი, ყველაზე უფრო საიდუმლო.

ამ სიბრძნეს, ოთხი თვის განმავლობაში ღია ცის ქვეშ გდებითა და შრაპნელით განამებული აპოლინერის წინაშე გაცხადებულს, ვენსანი იულიასთან ერთი – ერთადერთი სეირნობის დროს ეზიარა, იულიასთან, რომელიც მთვარის შუქზე თითქმის ნახევრად გამჭვირვალე გახდა.

## 29

ძნელია იმის მდგომარეობა, ვისაც სურვილი კლავს, მხოლოდ ერთ რამეზე ილაპარაკოს, მაგრამ ამის გაკეთების ძალა არ შესწევს: წარმოუთქმელი უკანა ხვრელი ვენსანს პირში ალიკაპს სდებს და მჭევრმეტყველების ნიჭს უკარგავს. ცას შეჰურებს, თითქოსდა შველას სთხოვს და ცაც ინყნარებს მის თხოვნას, პოეტურ აღმაფრენას უგზავნის; ვენსანი წამოიძახებს:

– არა, ერთი შეხედე! – და მთვარისკენ აკეთებს უესტს: – ის თითქოს ნახვრეტია ზეცის უკანალში!

იულიასკენ მიპრუნდება. ის, ნახევრად გამჭვირვალე და ნაზი, იღიმება და ამბობს „დიახ“, რადგანაც მზადაა, ვენსანის მიერ ნათქვამი ნებისმიერი სისულელით ალფროთოვანდეს.



ვენსანი ისმენს მის „დიახ“-ს, მაგრამ არ ცხრება. ქალიშვილი სუფთაა, როგორც ფერია, და მოუთმენლად ცდილობს მისი ბაგეებიდან გაიგონოს ეს ფორმულა: „ნახვრეტი უკანალში“, თუმცა ვერ გადაუწყვეტია. ამის ნაცვლად, საკუთარი მჭევრმეტყველების მახეში გაბმული, უფრო და უფრო მეტად ეფლობა მოფიქრებულ მეტაფორაში:

– ნახვრეტი ზეცის უკანალში, საიდანაც სამყაროს შიგნეულის გამაცისკროვნებელი მკრთალი შუქი გამოდის! – და ხელს მთვარისკენ იშვერს: – წინ, უსასრულობის ხვრელში!

არ შემიძლია ვენსანის ამ იმპროვიზაციაზე მოკრძალებული კომენტარისაგან თავის შეკავება: თავისი აკვიატებული და ნათლად გამოზატული იდეით – ნახვრეტი უკანალში, ის ცდილობს XVIII საუკუნისადმი, მარკიზ დე სადისა და ლიბერტინ – თავისუფლად მოაზროვნეთა მთელი ჯგროსადმი სიყვარულის გამოსატვას, მაგრამ, რადგანაც ძალა არ მოს-

დევს, მთლიანად და ბოლომდე მიეცეს ამ გულისთქმას, მასთან დასახმარებლად მიდის სრულიად სხვა, უფრო მეტიც, სრულიად საწინააღმდეგო მემკვიდრეობა, მომდევნო საუკუნეს რომ ეკუთვნის: ანუ, მას შეუძლია თავის უსირცხვილო გულისთქმაზე ილაპარაკოს, ოღონდ მეტაფორაში გადაზრდით მოახდინოს მისი პოეტიზირება. ამგვარად, ლიბერტინელების სულისკვეთებას მსხვერპლად სწირავს პოეზიის სულისკვეთებას და ქალის უკანალის ხვრელი ზეცის ხვრელში ერევა.

ეჭ, რა სავალალოა ეს გადასვლა, უბრალოდ, ძნელია მისი ყურება! ჩემთვის მეტად უსიამოვნოა ამ გზაზე მოძრავი ვენსანისთვის თვალის მიდევნება: მას გიუივით უჭირავს თავი, ლობე-ყორეს ან-ყდება, გაჰკივის, როგორც ერთ წე-ბოში ჩაფლული ბუზი:

– ნახვრეტი ზეცის უკანალში – ეს იგივეა, რაც ღვთაებრივი კინოკამერის ჭუჭრუტანა!

ვენსანის უძლურებას თითქოსდა მიმხვდარი იულია არღვევს მის პოეტურ ზმანებებს პოლის გაჩირალდნებული ფანჯრების ჩვენებით:

– თითქმის ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

ისინი ბრუნდებიან: სინამდვილეში მაგიდებთან მხოლოდ რამდენიმე დაგვიანებული სტუმარი ზის. კოსტიუმიანი ლამაზი არსად ჩანს. მისი არყოფნაც კი ისეთი ძალით ახსენებს მის თავს, რომ ხელახლა ესმის ლამაზის ცივი და ავი ხმა ამხანაგების სიცილის თანხლებით. ვენსანს ხელახლა რცხვენია: ასე რატომ დაიბნა მის წინაშე? შეკამათება რატომ ვერ გაბედა? ცდილობს, გამოგავოს ის სულიდან, მაგრამ არ გამოსდის; ყურებში მისი სიტყვები ისევ უელერს: „ჩვენ ყველანი კინოკამერის მზერის ქვეშ ვცხოვრობთ, ისინი ახლა კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთ პირობას შეადგენე...“



იულია სავსებით ავიწყდება და თავა-  
დაც უკვირს, ამ ორ ფრაზაზე მოძრაობს.  
უცნაურია, ლამაზის არგუმენტები თით-  
ქმის იდენტურია იმ იდეის, რომელიც  
მან თავად გადმოალაგა პონტევენთან  
კამათისას: „თუკი საზოგადოებრივ კონ-  
ფლიქტში ჩარევა, უსამართლობისადმი  
ყურადღების მიპყრობა გსურს, როგორ-  
ლა გინდა ჩვენს დროში არ იყო მოცეკვა-  
ვე ან თავი არ გაასაღო ასეთად?“

ამიტომ ხომ არ დაიბნა ასე ლამაზის  
წინაშე? ნუთუ ლამაზის განსჯა ისე ახ-  
ლოს იყო მის საკუთართან, რომ შედა-  
ვება ვერ გადაწყვიტა? ხომ არ გავებით  
ჩვენ ყველანი სამყაროს მიერ დაგებულ  
ერთსა და იმავე მახეში, რომელიც ჩვენს  
ფეხქეშ წამსვე სცენად იქცევა და ამ  
სცენიდან გასასვლელი არ არსებობს? შე-  
საძლოა, არავითარი განსხვავება არ არის  
იმაში, რას ფიქრობს ვენსანი და რას ლა-  
მაზი?

არა, ეს აზრი, უბრალოდ, აუტანელია!  
მას ძულს ბერკი, ძულს ლამაზი და ეს  
ზიზლი მის ყველა შეფასებას წინასწარ  
განსაზღვრავს. შეუპოვრად ცდილობს გა-  
ნსხვავების მოხელთებას საკუთარ თავსა  
და მათ შორის და საბოლოოდ, გამოსდის  
კიდეც: ისინი, როგორც საცოდავი მაჩან-  
ჩალა კუდები, კაცობრიობის არსებობის  
იმ პირობით არიან აღფრთოვნებულნი,  
რომელიც გარედან არის მათვის თავ-  
სმოხვეული; ეს მოცეკვავები საკუთარი  
მდგომარეობით არიან კმაყოფილნი. თა-  
ვად კი, როცა იცის, არავითარი გამოსა-  
ვალი არ არის, გაჰკივის ამ სამყაროსთან  
თავის უთანხმოებაზე. მოულოდნელად  
თავში მოსდის პასუხი, რომელიც შეიძ-  
ლებოდა სახეში მიეხალა ლამაზისთვის:  
„თუკი კინოკამერის მზერის ქვეშ ცხოვ-  
რება ჩვენი ყოფის პირობა გახდა, მე წი-  
ნააღმდეგი ვარ ასეთი ცხოვრების, მე იგი  
არ ამირჩევია!“ აი, ეს კი წამდვილი პასუ-  
ხია! იულიასკენ იხრება და ყოველგვარი  
ახსნა-გამარტების გარეშე უცხადებს:

— ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ეს  
ჯანყია კაცობრიობის არსებობის პირო-

ბის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ არ აგ-  
ვირჩევია!

ვენსანის უთავბოლო ფრაზებს უკვე  
მიჩვეული გოგონა ამასაც დიდებულად  
მიიჩნევს და მამაცური ტონით პასუხობს:  
— ცხადი! — და რამდენადაც სიტყვა  
„ჯანყი“ ენერგიითა და ზეიმით ავსებს,  
უმატებს: — შენს ნომერში წავიდეთ!

ლამაზი ხელმეორედ ორთქლდება ვენ-  
სანის გონებიდან, იულიას უყურებს მისი  
უკანასკნელი სიტყვებით აღფრთოვანე-  
ბული.

ქალიშვილიც ხარობს. ბარის ახლოს  
რამდენიმე კაცი, რომელთა შორის თვი-  
თონაც იყო, როცა ვენსანი გაჩითა, ისევ  
უსაქმიდ დაყიალებს ეს კაცუნები, რო-  
გორც ცარიელ ადგილს, ისე უყურებდნენ  
და ამით შეურაცხყვეს იგი. ახლა მათ ზე-  
ვიდან უცქერის, დიდებული და უვნები.  
ისინი უმნიშვნელო შთაბეჭდილებასაც  
ველარ მოახდენენ მასზე. წინ სიყვარუ-  
ლის მთელი ღამე აქვს და ყველაფერი ეს  
— საკუთარი ნება-სურვილის, საკუთარი  
გადაწყვეტილების წყალობით; თავს ამ  
კაცუნებზე უფრო მდიდრულად, იღბლი-  
ანად, ძალმოსილად გრძნობს.

ის ვენსანს ყურში ჩასჩურჩულებს:

— ეს ყველაფერი ერთნაირად ანტი-  
ბიტნიკია. — იცის, ეს ვენსანის საყვარე-  
ლი სიტყვა და იმის მისახვედრებლად  
იმეორებს, რომ მზადაა დანებდეს, რომ  
მთლიანად მას ეკუთვნის.

ყველაფერი ისეა, თითქოს ქალიშვილ-  
მა მას ეიფორიით დატენილი ყუმბარა  
ჩააბარა. ახლა ვენსანს შეუძლია პირდა-  
პირ წავიდეს თავის ნომერში უკანა ხვრე-  
ლის ბრწყინვალე მფლობელთან ერთად.  
მაგრამ საიდანღაც შორიდან მოღწეულ  
პრძანებას დაქვემდებარებული ჯერ აქ  
ნამდვილი არეულობის მოწყობას გადაწ-  
ყვეტს. ის ბრუუ აღტაცებითაა შეპყრო-  
ბილი, რომელშიც უკანა ხვრელის ხატება  
და მომავლის ერთობლიობა ირევა, ლამა-  
ზის დაცინავი ხმა ისმის და იელვებს სი-  
ლუეტი პონტევენისა, რომელიც, ტროც-  
კის მსგავსად, თავისი პარიზული ბუნ-

კერიდან ხელმძღვანელობს ამ სამყაროს სკანდალს, ამ დიდ ბორდელურ ჯანყს.

— წავალ, ჩავყურყუმალავდები, — უც-ხადებს იულიას და კიბეზე სირბილით ეშვება ამ მომენტში ცარიელი აუზისაკენ, რომელიც ზემოდან ცქერისას თეატრალურ სცენას ჰგავს. ხალათს იხსნის. იულია მიირბენს მასთან. — წავალ, ჩავყურყუმალავდები, — იმეორებს და შარვალს იძრობს. — შენც გაიხადე.

30

ბერკის იმაკულატასადმი ნათქვამი ბილწი სიტყვები ისეთი წყნარი, ისეთი სისინა ხმით იყო წარმოთქმული, რომ შორიახლოს მდგარნი უძლურნი იყვნენ, ჩასწვდომოდნენ ჭეშმარიტ არსს დრამისას, რომელიც მათ თვალწინ დატრიალდა. იმაკულატამ შეძლო, არაფრით გაეცა თავისი შეძრნულება: როდესაც ბერკი გაშორდა, კიბისაკენ გაემართა, ზემოთ ავიდა და ნომრებისაკენ მიმავალი ცარიელი კორიდორის შუაგულში მარტოდმარტო აღმოჩენილმა იგრძნო, რომ პარბაცებს. ნახევარი საათის შემდეგ კინომანი, რომელსაც ეჭვი არაფერზე აუღია, შევარდა მათ საერთო ნომერში და იგი ლოგინზე პირქვე ჩამხობილი იპოვა.

— რა დაგემართა?

მას არაფერი უბასუნია.

კინომანი გვერდით ჩამოუჯდა, ხელი თავზე დაადო, მან ისე დაიბერტყა, თითქოს გველი ყოფილიყოს.

— მაინც რა დაგემართა? — ეს კითხვა რამდენჯერმე გაუმეორა, ვიდრე ქალმა პასუხი არ აღირსა.

— გთხოვ, წადი, პირი გამოირეცხე, ღვინის კასრივით ყარხარ.

კაცს სუნთქვა ყოველთვის სუფთა ჰქონდა, ყოველდღე იბანდა და, საერთოდ, სისუფთავის ნიმუში იყო. ასე რომ, ტყუილად დასდეს ბრალი და მაინც მორჩილად წაჩანჩალდა იმის გასაკეთებლად, რაც უბრძანეს. პირის ცუდ სუნზე ფიქრი იმაკულატას თავისთავად არ მოსვლია. საქმეში ეს-ესაა მოვარდნილი და მაშინვე

ჩახშობილი ბერკის პირის სუნის მოგონება იყო ჩარეული. ამან გამოიწვია გაღიზიანების აფეთქება. როცა ის ბერკის შეურაცხყოფებს შეძრნულებული უსმენდა, მისი სუნთქვისთვის არ ეცალა, მაგრამ მასში მჯდარმა უჩინარმა დამკვირვებელმა არა მარტო დაიჭირა ეს გულისამრევი სუნი, არამედ კონკრეტულად, ნათლად განმარტა: მამაკაცს, რომელსაც პირი უყარს, არ შეიძლება საყვარელი ჰყავდეს; არც ერთი ქალი ამას არ შეეგუება, ყოველი მათგანი როგორმე შეეცდება, აუხსნას მას, რომ საძაგლად ყარს და გაათავისუფლოს ამ მანკისაგან. შეურაცხყოფებით დასეტყვილი ქალი აყურადებდა ამ უხმო კომენტარებს, სასაცილოდ და იმედისმომცემად რომ ეჩვენებოდა — ჩააგონებდა, რომ თუ სათვალავიდან ამოვილებდით მშვენიერ ქალთა დასს, რომელიც თავად ბერკის ხრიკების წყალობით ტრიალებდა მის გარშემო, მან უკვე დიდი ხანია გული აიყარა გალანტურ ავანტიურებზე და რომ მის გვერდით საწოლში ადგილი ყოველთვის თავისუფალია.

პირის გამორეცხვის შემდეგ ჩვენმა კინომანმა, რამდენადაც რომანტიკულმა, იმდენად პრაქტიკულმა ადამიანმა, საკუთარ თავს უთხრა, რომ მეგობარი ქალის მძვინვარე განწყობილების შესაცვლელად ერთადერთი გზაა, რაც შეიძლება მალე მიეცეს მასთან სიყვარულს. აბაზანაში პიუამას იცვამს და არეული ნაბიჯით ნომერში დაპრუნებული საწოლის კიდეზე უჯდება ქალს. თუმცა შეხებას ვეღარ ბედავს, უკვე მერამდენედ წარმოთქვამს:

— ასეთი რა შეგემთხვე?

ის ურყევი სულისკვეთებით პასუხობს:

— თუ ამ სულელურ ფრაზას ისევ გაიმეორებ, არ ელოდო, რომ საუბარი გამოგვივა.

ქალი დგება და ტანსაცმლის კარადასთან მიდის, აღებს მას და რამდენიმე კაბას ათვალიერებს, ისინი იზიდავენ, აღვიძებენ მასში რამდენადაც ბუნდოვან, იმდენადვე ძლიერ სურვილს, საკუთარი ნება-სურვილით არ დატოვოს სცენა;

კვლავ მიაკითხოს თავისი შეურაცხყოფის ადგილს, დამარცხებას არ შეურიგდეს, მარჯვე შემთხვევისას გადააქციოს იგი გრანდიოზულ სპექტაკლად, რომლის დროსაც თავისი მოუწყვლელი სილამაზით ბრწყინვა და ამხედრებული სიამაყის სრული გამოვლენა შეეძლება.

— რას აკეთებ? სად აპირებ ნასვლას?  
— ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, აქ, შენთან არ დავრჩე.

— მითხარი მაინც, რა არ გამოგდის?  
იმაკულატა უყურებს თავის კაბებს და შენიშვნაგას: „მეექვსედ“ და მე მზად ვარ დაგარწმუნოთ, რომ იგი ანგარიშში არ შემცდარა.

— დღეს ნამდვილად სრულქმნილი იყავი, — მისი განწყობილების დაძლევის ურყევი განზრახვით ეუბნება კინომანი. — შენ ბევრს მიაღწიე. ბერკზე გადაცემის შესახებ შენი პროექტი გადაწყვეტილად მიმართია. ნომერში ერთი ბოთლი შამპანური შევუკვეთე.

— შეგიძლია დალიო, რაც გსურს და ვისთანაც გსურს.

— მაგრამ ასეთი მაინც რა შეგემთხვა?  
— მეშვიდედ. შენთან ყველაფერი დამთავრდა. სამუდამოდ. მომბეჭრდა შენი პირის სიმყრალე. შენ ჩემი კოშმარი ხარ. ჩემი ცუდი სიზმარი. ჩემი მარცხი. ჩემი სირცხვილი. ჩემი შეურაცხყოფა. ჩემი ზიზლი. სწორედ ამის თქმა მინდოდა შენთვის უხეშად და გულახდილად, რომ ალარ გაგრძელდეს ჩემი ყოყმანი, ჩემი კოშმარი და მთელი ეს ამბავი, რომელმაც სულ მცირე აზრიც კი დაკარგა.

ის კინომანისაგან ზურგშექცევით, პირით საკიდრისაკენ დგას. დაბალი, სისინა ხმით მშვიდად და აუჩქარებლად ლაპარაკობს, შემდეგ გახდას იწყებს.

31

ის პირველად იხდის მის წინაშე ასეთი უსირცხვილობით, ასეთი ხაზგასმული გულგრილობით. ეს პროცედურა ნიშნავს: შენს აქ, ჩემს წინაშე ყოფნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; შენ ჩემთვის

იგივე ხარ, რაც ძალლუკა ან თაგუნა. შენი მზერა ჩემი სხეულის ვერც ერთ ნაკვთს ვერ აიძულებს შეკრთომას. მე შენ წინაშე ყველაფრის გაკეთება შემიძლია, რაც მსურს, თვით ყველაზე შეუფერებელი საქციელისაც კი: ყურების გამორეცხვის ან ქვევით გამობანვის, რწყევის, მასტურბაციის, მოშარდვის. შენ არც თვალები გაქვს, არც ყურები, არც თავი. ჩემი ზვიადი გულგრილობა — ლაბადაა, რომელიც შენს წინაშე სავსებით თავისუფლად და უსირცხვილოდ მოძრაობის ნებას მრთავს.

კინომანი ხედავს, რომ საყვარლის სხეული მის თვალწინ სრულიად გადასხვაფერდა. ეს სხეული, აქამდე ასე იოლად და დაშურებით რომ ეძლეოდა, ახლა მის წინ ისე აღმართულა, როგორც ბერძნული ქანდაკება ასი მეტრი სიმაღლის ცოკოლზე. სურვილისაგან ჭკუას კარგავს, მაგრამ ეს უცნაური სურვილია: არა ხორციელი სახით გამუდავნებული, არამედ გონებაში მოთარეშე, მხოლოდ მასში, გონების დაუძლეველი სწრაფვის მონათესავე; აკვიატებული იდეის, მისტიკური შეშლილობის, იმაში დარწმუნებულობის, რომ სწორედ ეს და არა რომელილაც სხვა სხეულია მოწოდებული, მთლიანად შეავსოს მისი ცხოვრება, მთელი მისი ცხოვრება.

ქალი გრძნობს, ეს სწრაფვა, ეს თვითგანდგომა როგორ ეკვრის პირდაპირ ტანზე და ცივი თავშეკავების ტალღა დაკრავს თავში. თავადაც გაკვირვებულია ამით, ადრე ამის მსგავსი არაფერი განუცდია. სიცივის ეს მოზღვავება ვნების მოზღვავების მსგავსია, სიცხის ან გულისნყრომის, რადგანაც ეს სიცივე, იმავდროულად, ვნებაც არის; კინომანის აბსოლუტური ერთგულება და ბერკის აბსოლუტური უარი ერთი და იმავე წყევლის ორ მსარედ ევლინება, რომლისადმი დაპირისპირებასაც ცდილობს; ბერკის უშეს გამოხდომას მიზნად ჰქონდა მისი მიგდება უგვინი საყვარლის მფლობელობაში. ამ სიტლანქისადმი წინ აღდგომის



ერთადერთი გზა საყვარლის აბსოლუტური სიძულვილი იქნებოდა. აი, რატომ უკუაგდებს იგი ასეთი გააფთრებით მის ყველა წინადადებას, აი, რატომ სურს მისი გადაქცევა თაგვად, შემდეგ ობობად, შემდეგ კი ბუზად, რომელსაც მეორე ობობა შეახრამუნებს.

ქალი უკვე შეიმოსა თეთრი კაბით იმ გადაწყვეტილებით, ძირს ჩავიდეს და ასეთნაირად ეჩვენოს ბერკს და ყველა დანარჩენს. ბეჭნიერია, რომ თეთრი ფერის კაბა თან წამოიღო. საქორნინო ფერის, რადგანაც არ ტრვებს განწყობა, რომ ქორნინებას დღეს განიცდის, მაგრამ უკულმა ქორნილს, ქორნილს სიძის გარეშე. თეთრი სამოსის ქვეშ უსამართლოდ მიყენებული ჭრილობა იფარება და გრძნობს, რომ ეს უსამართლობა ამალებს და ალამაზებს მას, როგორც უბედურება ყველა ტრაგიკულ პერსონაჟს. კიბისაკენ იმ რწმენით მიდის, რომ პიუამაში გამოწყობილი საყვარელი ფეხის წვერებზე შემდგარი გაედევნება, როგორც ერთგული ქოფაკი, და ხარობს, რომ ისინი ასე გადაკვეთენ მთელ ციხე-დარბაზს: ტრაგიკომიკური წყვილი, დედოფალი უჯიშო ძალის თანხლებით...

32

მაგრამ იმისი გამომეტყველება, ვინც აქამდე ძალლად მიაჩნდა, ან-ცვიფრებს: კინომანი კარებთან ბრაზისგან დამახინჯებული სახით დგას. მორჩილებისკენ მისი მისწრაფება მეყსეულად ამოიწურა. სავსეა ჯანყის უიმედო სურვილით ამ სილამაზის წინააღმდეგ, რომელიც უსამართლოდ შეურაცხყოფს მას, გამშედაობა არ ჰყოფნის, სილა გააწნას, ცემოს, საწოლზე დაანარცხოს და გააუპატიუროს, მაგრამ რაღაც გამოუსწორებლის, უსაზღვროდ ტლანქის და აგრესიულის გაკეთების აუცილებლობას გრძნობს.

ქალი თავისდა უნებურად ჩერდება ზღურბლზე:

- გამიშვი.
  - არ გაგიშვებ.
  - შენ ჩემთვის მეტად აღარ არსებობ.
  - როგორ თუ აღარ ვარსებობ?
  - ცნობითაც არ გიცნობ.
- ის მოგუდულად იცინის:
- ა მიცნობ? - ხმას იმაღლებს: - მაშინ ვისთან ტყნაურობდი ამ დილით?
  - გიკრძალავ ასეთი სიტყვების გამოყენებას! ამ დილით შენ თვითონ მეუბნებოდი სწორედ ამ სიტყვებს: - მომტყანი, გადამტყანი, გადმომტყანი!

- ეს მაშინ იყო, როცა ჯერ კიდევ მიყვარდი, - ამბობს ქალი მსუბუქი უხერხულობით, - მაგრამ ახლა ეს სიტყვები ჩემთვის ძალიან უხეშად უღერს.

- და მაინც ჩვენ ვტყნაურობდით! - ყვირის ის.



- გიკრძალავ!
- და ღამითაც მხოლოდ იმას ვაკე-  
თქმდით, რომ ვტყნაურობდით, ვტყნაუ-  
რობდით, ვტყნაურობდით!
- გაჩუმდი!
- რატომ არა დილით ჩემი სხეული  
შენთვის მძიმე, საღამოს კი ტვირთად გა-  
ნევს?
- როგორ მძულს შენი სიტლანეე!
- მიმიფურთხებია, თუ გძულს! ჩათ-  
ლახი ხარ!

ეჰ, საჭირო არ იყო ზუსტად იმ სიტ-  
ყვის თქმა, რომელიც ბერქმა პირში მია-  
ხალა.

- მძაგს შენი უხეშობა. - ყვირის ქალი,
- და თავადაც საძაგელი ხარ.

კაციც ყვირილზე გადადის:

- მაშასადამე, შენ მასთან ტყნაურობ,  
ვინც ზიზღს გვვრის! ქალი, რომელიც  
ასე იცევა, ნამდვილი ჩათლახია, უკა-  
ნასკნელი რანგის ჩათლახი.

კინომანის სიტყვები სულ უფრო და  
უფრო უხეში ხდება. იმაკულატას სახეზე  
შეიში ჩნდება.

შიში? ნუთუ ქალს ნამდვილად ეშინია  
მისი? მე ასე არ ვფიქრობ: სულის სილ-  
რმეში ის გრძნობს, რომ არ ღირს ამგვა-  
რი ჯანყის მნიშვნელობის გაზვიადება.  
მისთვის კინომანის ერთგულება ცნობი-  
ლია. დარწმუნებულია ამაში. იცის, კაცი  
მხოლოდ იმიტომ უხეშობს, რომ მოუს-  
მინოს. დაინახოს, ყურადღება მიაპყროს.  
შეურაცხყოფს იმიტომ, რომ სუსტია და  
ძალის პოზიციიდან, უხეშობისა და სა-  
ლანდლავი სიტყვების გარდა, ვერაფერს  
დაუპირისპირებს. ქალს რომ ოდნავ მა-  
ინც ჰყვარებოდა იგი, გული უნდა აჩვი-  
ლებოდა ამ თავზეხელადებული უძლუ-  
რების ამოფრქვევაზე. მაგრამ გულის აჩ-  
ვილების ნაცვლად მისთვის ტკივილის მი-  
ყენების დაუოკებელ სურვილს გრძნობს.  
სწორედ ამიტომ აქვს გადაწყვეტილი, მი-  
სი ლანდლვა ზედმიწევნით პირდაპირ გა-  
იგოს, თავი მოაჩვენოს, თითქოსდა, მისი  
ეშინია. ამიტომაცაა, რომ შეძრწუნებული  
თვალებით შეჰქმურებს.

კინომანი ხედავს იმაკულატას სახე-  
ზე შიშს და თავს მხნედა გრძნობს: ჩვე-  
ულებისამებრ, მუდამ თვითონ თრთის  
შიშისგან, უთმობს, პატიებას სთხოვს,  
ამჯერად კი, სრულიად მოულოდნელად,  
ქალი თრთის, ხედავს რა მის ძალასა და  
რისხვას.

ფიქრობს, რომ ქალი აი, ახლა აღია-  
რებს სისუსტეს, კაპიტულაციას გამოაც-  
ხადებს, ხმას უწევს და თავისი აგრესიუ-  
ლი და ბოლმიანი სისულელეების სახეში  
მიხლას განაგრძობს. საბრალოს არც კი  
ეეჭვება, რომ ქალს, როგორც ყოველ-  
თვის, საკუთარი თამაში მიჰყავს, რომ მის  
ხელში უნებისყოფო მარიონეტად რჩება  
მაშინაც კი, როცა ჰერნია, რისხვამ ძალა  
შემატა და თავისუფლება დაუბრუნა.

- მე შენი მეშინია, - ამბობს ქალი, -  
შენ აგრესიული და საშინელი ხარ! - ის  
კი, დოყლაპია, ვერ ხვდება, რომ ასეთი  
ბრალდება ამიერიდან აღარასოდეს მოქ-  
სნება, რომ ის კეთილი და გამგონე ჭინ-  
ჭის კლოუნი ერთხელ და სამუდამოდ მო-  
ძალადე და აგრესორი უნდა გახდეს.

- მე შენ მაშინებ, - კიდევ ერთხელ  
იმეორებს ქალი და გზიდან იცილებს.

კაცი გაატარებს და მის კვალს ისე  
მისდევს, როგორც უჯიშმ ქოფაკი დე-  
დოფალს.

### 33

სიშიშვლე. ჩემთან ინახება 1993 წლის  
ოქტომბრის თვის “Nouvel observateur”-  
იდან ამონაჭერი: მოსახლეობის გამოკით-  
ხვა. ასობით დუჟინ ადამიანს, რომლებიც  
თავს მემარცხენებებს მიაკუთვნებდნენ,  
გაეგზავნა ორას ათი სიტყვისგან შედგე-  
ნილი ფურცელი. მემარცხენებს ის სიტ-  
ყვები უნდა გაეხაზათ, რომლებმაც მათი  
წარმოსახვა განაცვიფრა, რომლებიც მათ  
გულებს ცხოველმყოფელად მოხვდა, მიმ-  
ზიდველად და სიმპათიურად მოეწვენათ.  
ასეთივე გამოკითხვა ჩატარდა რამდენი-  
მე წლის წინათ; იმ დროს ორას ათი სიტ-  
ყვიდან მხოლოდ თვრამეტი აღმოჩნდა  
ისეთი, რომლებსაც მემარცხენე შეხე-



დუღებების ადამიანები გამოეხმაურნენ და ამით თავად დაადასტურეს თანამო-აზრეობა. ამჟამად ასეთი პუნქტი სამიღა დარჩა. მხოლოდ სამი სიტყვა, რომელსაც მემარცხენე-გოშისტი შეიძლება დაეთან-ხმოს. როგორი დაცემაა! როგორი გადაგ-ვარებაა! რომელია ეს სამი სიტყვა? ყუ-რადღებით მომისმინეთ: ჯანყი, წითელი, სიშიშვლე. ჯანყი და წითელი ფერი – თა-ვისთავად, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ ორი სიტყვის გარდა მხოლოდ ერთი – საშიშ-ვლე ინვევს მემარცხენეების გულის ძეე-რას, რომ სწორედ ის გვევლინება მათ სა-ერთო სიმბოლურ კუთვნილებად, პირდა-პირ გასაოცარია. ნუთუ ესაა ყველაფერი, რაც მათ დაუტოვა უკანასკნელმა ორასი წლის დიდებულმა ისტორიამ, საზემოდ გახსნილმა საფრანგეთის რევოლუციამ, ნუთუ ამისგან შედგება რობესპიერის, დანტონის, უორესის, როზა ლუქსემბურ-გის, ლენინის, გრამშის, ჩე გევარას მემ-კვიდრეობა? შიშველი მუცლები, შიშველი ჭანჭლები, შიშველი დუნდულები? ნუთუ ეს არის უკანასკნელი ბაირალი, რომლის ქვეშაც მემარცხენეთა ძალების უკანას-კნელი რაზმები თავს გვაჩვენებენ, თით-ქოსდა საუკუნეთა შორის თავიანთ უდი-დეს მარშს აღასრულებენ?

მაგრამ, რატომ მაინცდამაინც სიშიშ-ვლე? რას ალნიშნავს მემარცხენეთათვის ეს სიტყვა, მათ მიერ ხაზგასმული საზო-გადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტი-ტუტის მიერ შედგენილ ფურცელზე?

მახსენდება გერმანელ მემარცხენეთა მსვლელობა სამოცდათიან წლებში, რო-დესაც ისინი რაღაც საპაპით თავიანთი აღშფოთების გამოხატვისას (ატომური ელექტროსადგურების წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ, ფულიანი ტომრების ხელი-სუფლების წინააღმდეგ, უკვე აღარც კი მახსოვს, კიდევ ვის წინააღმდეგ აღარ) გაშიშვლდნენ და ველური შეძახილებით მარშირებდნენ დიდი გერმანული ქალა-ქის ქუჩებში.

რა უნდა გამოეხატა მათ სიშიშვლეს? პირველი ჰიპოთეზა: ის მათთვის წარ-

მოადგენდა ყველა სხვა თავისუფლე-ბიდან ყველაზე ძვირფასს, ყველა სხვა ლირებულებიდან – ყველაზე დაუცველს. გერმანელმა გოშისტებმა ქალაქში ჩაია-რეს, საჩვენებლად გამოფინეს თავიანთი გენიტალიები, როგორც დევნილი ქრის-ტიანები მიდიოდნენ სასიკვდილოდ ხის ჯვრებით მხრებზე.

მეორე ჰიპოთეზა: გერმანელ გოშის-ტებს სრულებითაც არ ჰქონდათ გან-ზრაული რაღაც ფასეულობათა საჩვე-ნებლად გამოფენა, მათი მიზანი უფრო უბრალო – საძულველი პუბლიკის შოკი-რება იყო. შოკირება, თავზარის დაცემა, შეძრნუნება, შეურაცხყოფა, განავლის სახეში ტყორცნა, სამყაროს მთელი საკა-ნალიზაციო არხების ამოყრა.

კუროზული დილემა: სიშიშვლეში უდ-იდესი ღირებულება სიმბოლიზირდება თუ, უბრალოდ, უდიდესი სისაძაგლე, უწმინ-დურობით სავსე ბოთლივით, მოწინააღ-მდეგის ბანაკში რომ ისვრიან?

და რას წარმოადგენს ის ვენსანისათ-ვის, რომელიც იულიას უმეორებს: „გაი-სადე, – და უმატებს: – დიდი გაშიშვლება ამ მოუმთავრებლების თვალწინები!“

და რას ნიშნავს იგი იულიასათვის, რომელიც მორჩილად და რამდენადმე გა-მომწვევად პასუხობს: „რატომაც არა?“ – და კაბის გახსნას იწყებს.

### 34

ვენსანი შიშვლდება. ეს მდგომარეობა ცოტათი აკვირვებს და ხველანარვეი სი-ცილით ჩაიცინებს, რომელიც თავად მას უფრო ეკუთვნის, ვიდრე იულიას. რად-განაც ასეთ დიდ მინიან სივრცეში დე-დიშობილად ყოფნა იმდენად უჩვეულო გახლდათ მისთვის, ფიქრი არაფერზე შეეძლო, თავისი სიტუაციის ექსცენტრუ-ლობის გარდა. ქალიშვილმა უკვე შეიხსნა ლიფი და გვერდზე მოისროლა, ტრუსიც გაიძრო, მაგრამ ვენსანი, როგორღაც, ვერაფერს ამჩნევს: ხედავს, ქალიშვი-ლი შიშველია, მაგრამ როდის და როგორ მოხდა ეს, მისთვის გაუგებარია. გავიხ-

სენოთ, რამდენ ხანს სდევდა მისი უკანა ხვრელის ხილვა და ვიკითხოთ: ფიქრობს კი ამზამად მასზე, როცა ეს ხვრელი აპ-რეშუმის ტრუსით აღარ არის დაფარული? არა, ყბადაღებული ხვრელი აორ-თქლდა მისი გონებიდან. იმის ნაცვლად, ხარბად უყუროს მის თვალწინ გაშიშვლებულ სხეულს, მიუახლოვდეს, აუჩქარებლად დაათვალიეროს ყოველი მხრიდან, შესაძლოა, შეეხოს კიდეც, შებრუნდება და აუზში ჩაყვინთავს.

უცნაური ყმანვილია ეს ვენსანი. ის ეძგერება მოცეკვავეებს, ბოდავს მთვარის გამო, მაგრამ არსებითად, ნამდვილი სპორტსმენია. წყალში ყვინთავს, ცურავს და, მხოლოდ თავის კროლზე რომ ფიქრობს, იქვე ავინწყდება საკუთარი სიშიშვლეცა და იულიაც, რომელიც მის ზურგს უკან, ყვინთვის არცოდნის გამო ფრთხილად ეშვება კიბეზე. ვენსანი მის შესახედად არც კი ბრუნდება. რა სამნუსაროა, იულია ხომ მომაჯადოებულია, უბრალოდ, მომაჯადოებული. მისი სხეული თითქოს ბრწყინვას, მაგრამ არა უბინოების ბრწყინვით, არამედ კიდევ რაღაც არანაკლებ მშვენიერით: საკუთარი თავის ამარა მიგდებული მოუქნელი სიშიშვლით, რადგანაც იულიამ დაინახა, როგორ ჩაყვინთა წყალში ვენსანმა და დარწმუნებულია, არავინ უყურებს. წყალი ოქროს საწმისამდე სწვდება, მაგრამ ისეთი ცივი ეჩვენება, მაშინვე ჩაყვინთვას ვერ ძედავს. ჩერდება, ყოყმანობს და კრთის, შემდეგ ფრთხილად ეშვება კიდევ ერთ საფეხურზე. ასე რომ, წყალი ახლა ჭიბამდე სწვდება, ხელებს ჩაყოფს, მკერდს იგრილებს. ნამდვილად ძალზე სასიამოვნოა ამის ყურება. მიამოტი ვენსანი ვერაფერს ხვდება, მაგრამ მე ხომ, ბოლოს და ბოლოს, თავად ვხედავ ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ სიშიშვლეს, გაშიშვლებულ სიშიშვლეს, სიშიშვლეს თავისთავად, სუფთასა და მამაკაცთა მომნუსხველს.

დაბოლოს, ის გაცურავს, ვენსანზე ნელა მიცურავს, წყალზე მოუხერხებლად, მეტისმეტად მაღლა უჭირავს თავი; ვენ-

სანმა უკვე სამჯერ დაძლია თხუთმეტ-მეტრიანი აუზი, როცა იულია წყლიდან ამოსვლის განზრახვით საფეხურებთან მიცურდა. ვენსანი ჩქარობს მის უკან. ისინი უკვე აუზის კიდეზე დგანან, როდესაც ზემოლდან, ჰოლიდან, მათ ყურამდე ხმები მიაღწევს.

უჩინარი უცნობების სიახლოვით აღგზნებული ვენსანი ყვირის:

— მე შენში უკიდან შემოვალ. მე მინდა ვიყო სოდომისტი! — ფავნივით გაიჭყანება და ქალიშვილს ეცემა.

როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ მათი გულითადი სეირნობის დროს ვენსანმა ვერ გაბედა იულიასათვის თუნდაც უმცირესი უწმანურობის ჩაჩურჩულება, ახლა კი ყველას გასაგონად ასეთ ბილნზეშთაგონებას ანთხევს?

სწორედ ისე, რომ მან, თავისდა შეუმჩნევლად, გვერდი ჩაუარა ინტიმურობის ზონას. ვინრო, ჩაკეტილ სივრცეში წარმოთქმულ სიტყვას სრულიად სხვა აზრი აქვს, ვიდრე იმას, ამფითეატრში რომ გაისმის. ეს უკე აღარაა ის სიტყვა, რომელზეც ვენსანი პასუხისმგებელი იყო და რომელიც მიმართული იყო მხოლოდ მისი მეგობარი ქალისაკენ; ახლა ამ სიტყვის გაგონება სხვებსაც სურთ, მათ ირგვლივ შემოჯარულებსა და მათზე თვალმიცეცებულებს. სიმართლე თუ გნებავთ, ამფითეატრი ცარიელია. მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, წარმოსახვითი თუ მოჩვენებითი, პოტენციური თუ ვირტუალური პუბლიკა არსად წასულა, ის აქაა, მათთან.

შეიძლება ვიკითხოთ, ვისგან შედგება ის? არა მგონია, ვენსანს იგი კონფერენციაზე დანახული ადამიანებით შედგენილი ესახებოდეს, ახლა მისი გარემომცველი პუბლიკა მრავალრიცხოვანია: დაუინებული, მომთხოვნი, ხმაურიანი. ცნობისმოყვარე, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად განუსაზღვრელი, სახის წაშლილი ნაკვთებით; მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ მის მიერ წარმოსახული პუბლიკა იგივე პუბლიკა, რომელზეც ოცნებო-



ბენ მოცეკვავეები? უჩინმაჩინთა პუბლიკა? ზუსტად ის, რომლის საფუძველზეც აგებს პონტევენი თავის თეორიებს? მთელი მსოფლიო? უპიროვნო უსასრულობა? სუფთა აბსტრაქცია? არა მთლიანად: რადგანაც ამ ანონიმურ ბრძოში კონკრეტული სახეები გაკრთებიან, პონტევენი და მისი მაყრები; ისინი ცხოველი ინტერესით ადევნებენ თვალს სცენას, მხედველობიდან არ უშვებენ ვენსანსა და იულიას; ამავე საქმიანობითაა დაკავებული მათი გარემომცველი უცნობი ხალხი. ეს მათთვის ანთხევს ვენსანი უხამსობებს, რადგან ისწრაფვის, მათი მოწონება, მათი აღფრთოვანება დაიმსახუროს.

— უკნიდან არ დაგნებდები, — ყვირის იულია, რომელსაც პონტევენზე არც კი სმენია რამე, ამ ფრაზას კი მხოლოდ მათთვის წარმოთქვამს, აქ რომ არ არიან, მაგრამ მაინც ამ ამფითეატრში იმყოფებიან. სწყურია თუ არა ქალიშვილს მათი აღფრთოვანება? ცხადია, მაგრამ მხოლოდ ვენსანის სამებლად. მას უნდა, ტაშს უკრავდეს უცნობი და უზილავი პუბლიკა, იყოს სასურველი იმ ადამიანისათვის, რომელიც მან დღევანდელი ღამისთვის აირჩია და — ვინ იცის? — ბევრი სხვა ღამისთვისაც. აუზის გარშემო დარბის და მისი მკერდი მხიარულად ინჯლრევა მარჯვნივ და მარცხნივ.

ვენსანის სიტყვები სულ უფრო გაბედული ხდება, ესაა მხოლოდ, მეტაფორულობა ოდნავ აპუნდოვნებს მათ სასტიკ უშვერობას.

— მე მინდა, შეგიდო და კედელზე მიგალურსმნო!

- ვერ შემიდებ! ვერ მიმალურსმნავ!
- აუზის ფსკერზე გაგაკრავ!
- ვერ გამაკრავ!
- მთელი ქვეყნიერების თვალწინ გავგლეჯ შენს უკანა ხვრელს!
- ვერ გაგლეჯ!
- მთელი ქვეყნა დაინახავს შენს ხვრელს!
- ვერავინ ვერ დაინახავს! — ყვირის იულია.

ამ მომენტში შორიახლოდან ისევ მოესმით ხმები. იულიას მსუბუქი ნაბიჯის დამძიმება ვენსანს გაჩერებას აიძულებს; იულია განმგმირავ ყვირილს იწყებს იმ ქალივით, რომელსაც აი, ახლა უპირებენ გაუჟატიურებას. ვენსანი ხელს დასტაცებს და ისინი ერთად ეცემიან გაზონზე. ქალიშვილი, რომელმაც გადაწყვიტა, წინააღმდეგობა არ გაუწიოს ვენსანს, შეჭრის მოლოდინში ფართოდ გახელილი თვალებით უყურებს მას. ფეხებს შლის. თვალებს ხუჭავს. თავს ოდნავ გვერდზე გადააგდებს.

### 35

მაგრამ შეჭრა არ შედგა. არ შედგა იმიტომ, რომ ვენსანის ჯადოსნური ჯოხი პატარა, როგორც ტყის მარწყვის დამჭკენარი კენკრა, როგორც მისი დიდების სათითე.

რატომ არის ის ასე პატარა? მე ამ კითხვას უშუალოდ ვენსანის სასქესო ასოს ვუსვამ და ისიც გულწრფელად გაკვირვებული მპასუხობს:

— მაინც, რატომ არ უნდა ვიყო პატარა? გაზრდის ვერავითარ აუცილებლობას ვერ გხედავ.

მერწმუნეთ, ასეთი იდეა თავში არც კი მომსვლია. გაფრთხილებული არ ვყოფილვარ. ვენსანთან თანხმობით, აუზის გარშემო მხიარულ რბოლაში მათთან ერთად ვმონაწილეობდი და სული მელეოდა, გამეგო, რა იქნებოდა შემდგომ. ვინ-ვინ და მე გემოზე გავერთე! ახლა კი თქვენ ვენსანს იმპოტენციაში სდებთ ბრალს! ნუ იზათ ამას, გემუდარებით! მე თავს დამნაშავედ ვიგრძნობ და ეს უსამართლობა იქნება ორთავეს მიმართ, რადგანაც ჩვენ აპსოლუტურ პარმონიაში ვცხოვრობთ. გეფიცებით, ერთმანეთისთვის იმედი არასოდეს გაგვიცრუებია. მე მუდამ ვამაყობდი მისით, ის კი ჩემით.

ასო სიმართლეს ამბობდა. თუმცა ვენსანიც ზედმეტად არ განაწყენებულა მისი საქციელით. მსგავსი რამ ნომერში რომ მომხდარიყო, არასოდეს აპატიებდა. აქ

კი იძულებულია, მისი რეაქცია გონივრულად და მართებულადაც კი მიიჩნიოს. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტს, ყველაფერი ისე მიღლოს, როგორაცაა, და სქესობრივი აქტის სიმულაციას იწყებს.

არც იულია ყოფილა განაწყენებული და მოტყუებული თავის მოლოდინში. გრძნობდა ვენსანს ზემოდან, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა შიგნით და ეს უცნაურად, მაგრამ მისაღებად ეჩვენებოდა და ცდილობდა, ვენსანის ჭიფებისთვის საკუთარი სხეულის მოძრაობებით ეპასუხნა.

მათ სმენამდე მიღწეული ხმები თანდაფათან გაშორეულდა, მაგრამ აუზის სიღრმეში ახალი ხმები გაისმა: მორბენალის ფეხის ხმა, საყვარლებს რომ გვერდით ჩაუქროლა.

ვენსანის არათანაბარი სუნთქვა გახშირდა და გაძლიერდა; ის ხრიალებდა და ზმუოდა, იულია კი კვენესოდა და სლუკუნებდა, ნანილობრივ იმიტომ, რომ დროდადრო ვენსანის სველი სხეული ებერტყებოდა, რომლითაც განსაკუთრებულ სიამოვნებას ვერ გრძნობდა, ნანილობრივ კი იმიტომაც, რომ სურდა, ვენსანის ზმუილისათვის ეპასუხნა.

### 36

ჩეხმა მეცნიერმა ეს წყვილი მხოლოდ უკანასკნელ წუთს შეამჩნია და დროულად ველარ შეძლო გადახვევა. ის თავის რბოლას აგრძელებს ისე, თითქოს იქ არავინ იყოს და გვერდზე ყურებას ცდილობს. ეჩოთირება: მან ჯერ კიდევ არ იცის დასავლური ცხოვრების ყველა წვრილმანი. კომუნისტურ იმპერიაში აუზის კიდეზე სიყვარულით ტკბობა სავსებით შეუძლებელი საქმე იყო, როგორც, სხვათა შორის, ზოგიერთი ის საქმიანობა, რომელთაც აწი უნდა დაეუფლოს. ჩეხი სწავლული უკვე აუზის საპირისპირო მხარეს არის და შემოპრუნებისა და შეერთებული წყვილისათვის მზერის შევლების სურვილი კლავს. ერთი კითხვა აწამებს: არის კი ფიზიკურად საკმარისად განვითარებული ქალთან შერწყმული მა-

მაკაცი? და რა უფრო სასარგებლოა სხეულებრივი კულტურისათვის – ფიზიკური სიყვარული თუ ხელით შრომა? მაგრამ თავს ძლევს. სულაც არ უნდა, უსირცხვილო დოყლაპიას სახელი გაუვარდეს.

აუზის საპირისპირო მხარეს გაჩერებული, ვარჯიშს იწყებს: თავიდან ადგილზე დაბის მაღლა აწეული მუხლებით, შემდეგ, ხელებზე დაყრდნობილი, ფეხებს მაღლა წევს; ბაგშვობიდანვე დაეუფლა ამ ვარჯიშებს, ტანმოვარჯიშები „ყირამალას“ რომ უწოდებენ; ამჯერად ეს წინანდელზე არანაკლებ კარგად გამოსდის და თავს ეკითხება: ბევრი ფრანგი მეცნიერი ან მინისტრი შეძლებს კი ამ ვარჯიშების მასავით კარგად გაკეთებას? გონებით ყველა ფრანგ მინისტრს, რომელსაც გვარით ან სურათით იცნიბს, გადაჩერეკს და ცდილობს მათ წარმოდგენას ამ პოზაში – ხელებზე დაყრდნობილი რომ ეს-წრაფვიან წონასწორობის შენარჩუნებას – და კმაყოფილი რჩება: ყველა სუსტი და მოუქნელი ეჩვენება. ამ ვარჯიშის შვიდჯერ შესრულების შემდეგ პირქვე წვება და ტანის არეკვინას იწყებს.

### 37

არც იულიას და არც ვენსანს არაფერი ესაქმებოდათ იმასთან, რაც მათ გარშემო ხდებოდა: ისინი ექსპიბიციონისტები არ იყვნენ, უცხოთა მზერისგან აღგზნება, ამ მზერის დაჭერა, მოთვალთვალების დევნა ჩვეულებად არ ჰქონდათ; აი, ამჯერადაც მათ ორგია კი არა, სპექტაკლი მოაწყვეს. მსახიობებს კი არ უყვართ წარმოდგენისას მაყურებლის მზერასთან შეხვედრა. იულია ვენსანზე მეტად ცდილობს, არაფერი დაინახოს, მაგრამ გარეშე მზერა, რომელიც აი ახლა გასრიალდა მის სახეზე, ისე მძიმეა, არ შეუძლია არ იგრძნოს. ქუთუთოებს მაღლა წევს და მდიდრულ თეთრ კაბაში გამოწყობილ ქალს ხედავს, რომელიც დაჟინებით უყურებს მათ; მისი მზერა უცნაურია: გაუცხოებული და, ამავე დროს, მძიმე, საშინლად მძიმე, როგორც

უიმედობა, როგორც სასოწარკვეთილება და იულია პირდაპირ გასრესილია ამ სიმძიმით, თავს პარალიზებულად გრძნობს. მისი მოძრაობები ნელდება, უფერულდება, წყვეტილი ხდება; კიდევ რამდენიმე კვნესა და – ყუჩდება.

თეთკაბიანი ქალი კი მხეცივით დაღმუვლების სასოწარმკვეთ სურვილს ებრძვის. თუმცა ამ ცდუნებისაგან თავის დახსნას ვერ შეძლებს. ცდუნება მით უფრო დაუძლეველია, რომ ის, ვის გამოც სურს ღმუილი, ამ ხმას ვერ გაიგონებს. მეტის გაძლების ძალა არ შესწევს და იგი განმგმირავ, საზარელ კივილს ამოუშვებს.

იულია მაშინვე გამოერკვევა გაშტერებიდან; წამოხტება, ტრუსს წაეტანება, იცვამს; უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ტანისამოსს როგორლაც მოირგებს.

ვენსანი ასე სწრაფად ვერ ირჯება. იგი თავის პერანგს და შარვალს იღებს, მაგრამ ტრუსს ვერაფრით ნახულობს.

მის უკან რამდენიმე ნაბიჯზე პიჟამი-

ანი კაცი ქვავდება; მას ვერავინ ხედავს და ისიც, ცხადია, ასევე ვერავის ხედავს, თეთრსამოსიანი ქალის გარდა.


### 38

იმაკულატას ღონე არ ჰყოფნიდა, შერიგებოდა იმ აზრს, რომ ბერკმა მოისროლა. მისი გამოწვევის, დამცირების, ამ ნაძირალას წინაშე თავისი სილამაზის უბინო სითეთრით გაბრწყინების გიუურ სურვილს გრძნობდა (განა უბინო სილამაზე სითერე არაა?); მაგრამ ციხე-დარბაზის კორიდორებსა და ჰოლში სეირნობამ ფუჭად ჩაუარა: ბერკი იქ არ იყო. აი, კინომანი კი, აქამდე მის კვალზე უჯიშო ძალივით მოწანწალე, ახლა, დროდადრო, მასთან გამოლაპარაკებას ცდილობს მაღალი და უსიამოვნო ხმით. ქალმა შეძლო საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მიპყრობა, მაგრამ ეს ყურადღება მტრული და დამცინავი იყო; ასე რომ, ძალაუნებურად ნაბიჯის აჩქარება მოუხდა; აი, ამგვარად, თითქმის სირბილით მიაღწია აუზის კიდეს, სადაც შეერთებული წყვილის დანახვისას საზარელი ყვირილი მორთო.

ამ ყვირილმა აზრზე მოიყვანა: ნათლად ხედავს, რომ მახეში ალმოჩნდა; მის წინ წყალია, უკან – პიჟამიანი მდევარი. საკუთარი მდგომარეობის გამოუვალობას მიხვდა. ერთადერთი, რაც დარჩა, ჭკუაზე შერყევაა, ერთადერთი გონივრული მოქმედება, ასევე უგუნურებაა; ნებისყოფის მთელი დაძაბვით მეორე აირჩია: ორიოდე ნაბიჯი გადადგა და წყალში მოიღო ზღართანი.

ნახტომი საკმაოდ კურიოზულად შეასრულა: თუმცა, იულიასაგან განსხვავებით, ცურვა ბრწყინვალედ იცოდა, აუზში ფეხებით წინ ჩახტა და ხელები კიდევ ულამაზოდ გაფშიკა.

საქმე ის არის, რომ ნების-



მიერი უესტი, თავისი პრაქტიკული ფუნქციის გარდა, ადამიანთა მიერ განხორციელებულ ზრახვებზე აღმატებულ კიდევ განსაზღვრულ მნიშვნელობას ფლობს. როდესაც საცურაო კოსტიუმიანი ადამიანები წყალში ხტებიან, მათ სწრაფვაში ცინცხალი სიხარული გამოსჭვივის, თუნდაც ისინი მთლად კარგ განწყობაზე არ იყვნენ. სხვა საქმეა, როცა წყალში ჩაცმული ადამიანი ხტება; მას უთუოდ თავის დახრჩობა განუზრახავს. ის კი, ვინც ამის ჩადენა გადაწყვიტა, წყალში „მერცხალივით“ არ ჩადის, ისე, ტომარასავით ენარცხება. ასე უბრძანებს მას უესტების მარადიული ენა. აი, რატომ მოხდა, რომ თეთრ კაბაში გამოწყობილი იმაკულატა, არსებითად საუკეთესო მოცურავე, ასე საცოდავად ჩავარდა აუზში.

ყოველგვარი გონივრული საბაბის გარეშე, წუთიერ აღტკინებას დამორჩილებული, რომლის მნიშვნელობის გაგება-საც ახლადა ნელ-ნელა იწყებს, წყალში აღმოჩნდა. მან უნდა გადაიტანოს საკუთარი თვითმკვლელობა, წყალში დახრჩობა და ყველაფერი, რასაც შემდგომში გააკეთებს, აღმოჩნდება მხოლოდ ბალეტი, პანტომიმა, რისი მეშვეობითაც მისი ტრაგიკული უესტი საკუთარ თავთან უსიტყვო დიალოგს გააგრძელებს.

წყალში ჩაბერტყების შემდეგ დგება. ამ ადგილას აუზი ღრმა არ არის, წყალი წელამდე ძლივს სწვდება; ერთხანს ბოძივით გახევებული დგას, თავი პირდაპირ უჭირავს, მკერდს წინ გამოწევს. შემდეგ ისევ ეცემა. ამ მომენტში შარფი ეხსნება და მის კვალდაკვალ ისე მიცურავს, როგორც მიცვალებულთა უკან მათი მოგონებები. ის კვლავ სწორდება, თავს მსუბუქად გადააგდებს და ხელებს შლის, რის შემდეგაც თითქმის სირბილით დგამს რამდენიმე ნაბიჯს იმ მხარეს, სადაც აუზის ფსკერი დახრილია და ხელახლა უჩინარდება წყალქვეშ. ასე მიიჩევს წინ, წყლის ფრინველივით, მითოლოგიური იხვივით, რომელიც თავს ხან წყალში ჩაყოფს, ხანაც უკან გადააგდებს. მოძრაო-

ბების ეს მონაცვლეობა ადასტურებს მის სურვილს – იცხოვროს მაღლა სივრცე-ებში და დაიღუპოს წყლის უფლებულში.

პიუამიანი კაცი უეცრად მუხლებზე ეცემა და ცრემლებს ღვრის:

– დაბრუნდი, დაბრუნდი, დამნაშავე ვარ, არამზადა ვარ, ოღონდ დაბრუნდი!

### 39.

აუზის მეორე მხარეს, იქ, სადაც წყალი ღრმაა, ტანის არეკვნით დაკავებული ჩეხი სწავლული გაოცებული უთვალთვა-ლებს ამ სპექტაკლს: თავიდან გაიფიქრა, რომ ახლახან გამოჩენილი წყვილის მიზანი აქ მყოფ წყვილთან შეერთება იყო და რომ მას ლეგენდარული „ჯგუფური სექ-სის“ ხილვა მოუწევს, რომლის შესახებაც ასე ბევრი სმენია პურიტანული კომუნისტური იმპერიის სამშენებლო ტყეებ-ში; სიმორცხვის გამო ისიც კი გაიფიქრა, ჯგუფური სექსის შემთხვევაში მისთვის უმჯობესი იქნებოდა სასწრაფოდ გაძურ-ნულიყო თავის ნომერში. მაგრამ უცებ შემზარვამა ყვირილმა გაკვეთა მისი სმენა და ის, ხელებზე მდგარი, ჰაერში გაჭი-მული ფეხებით ქანდაკებასავით გაშეშდა. განძრევის თავიც აღარ ჰქონდა, თუმცა მანამდე თვრამეტჯერ აირევნა მიწიდან ტანი. მის თვალწინ წყალში ჩაენარცხა თეთრკაბიანი ქალი, რომლის გარშემო გველივით გაიკლავნა შარფი და რამდენიმე ცისფერი და ვარდისფერი ხელოვნური ყვავილი ატივტივდა. ჩეხი მეცნიერი, უძრავი, აწეული ტორსით, ბოლოს და ბოლოს ხვდება, რომ ქალს თავის დახრჩობა სურს: ცდილობს, თავი წყალში ჩაყოფილი ეჭიროს, მაგრამ ნებისყოფის უკმარისობის გამო ხანდახან ამოყოფს. ესწრება თვითმკვლელობას, რომლის მოსაზრებაც თავად არასდროს შეეძლო. ეს ქალი ავადა, ან დაჭრილია, ან მდევრისგან თავის დახსნას ცდილობს; ის ხან წყალში ჩაიძირება, ხან ისევ გამოჩნდება ზედაპირზე; ცურვა, ცხადია, არ იცის; უფრო და უფრო ხშირად იძირება, მალე წყალი თავიდან ბოლომდე დაფარავს და პიუამიანი

კაცის უძლური მზერის ქვეშ მოკვდება, აუზის კიდეზე მუხლებზე მდგარი თვალ-ცრემლიანი რომ დაპყურებს.

ჩეხი მეცნიერი უკუაგდებს ყოველ-გვარ ყოყმანს: დგება და წყალზე იხრება, ფეხებს მუხლებში ხრის და ხელები უკან მიაქვს.

პიჟამიანი კაცი უკვე აღარ უყურებს ქალს, მაღალი, ძლიერი და უცნაურად მოუხეშავი უცნობი სპორტსმენის მუს-კულატურით მონუსხული, მის პირდაპირ რაღაც თხუთმეტიოდე მეტრში რომ ემ-ზადება იმ დრამაში ჩასარევად, რომე-ლიც მას არანაირად არ ეხება, დრამაში, რომელსაც პიჟამიანი მამაკაცი იჭვნეუ-ლად ინახავს თავისთვის და საყვარელი ქალისთვის. რადგან – ვის შეუძლია ეჭვის შეტანა – მას უყვარს იგი, მისი რისხვა წუთიერი გრძნობაა; უნარი არ შესწევს, ხანგრძლივად და გულწრფელად ძულ-დეს, თუნდაც ის ტანჯვას აყენებდეს. მან იცის, რომ ქალი თავისი ირაციონალური და დაუცხრომელი მგრძნობელობის კარ-ნახით მოქმედებს, ჯადოსნური მგრძნო-ბელობის, რომელსაც ის, მართალია, ვერ იგებს, მაგრამ აღმერთებს. თუმცა მისი ლანძლვა-გინებით დასეტყვა მოუხ-და, მაგრამ შინაგანად, სულის სილრმეში, დარწმუნებულია ქალის უდანაშაულობა-ში და ერთადერთი დამნაშავე მათ მოუ-ლოდნელ განხეთქილებაში ვიღაც სხვაა, რომელსაც არ იცნობს, არ იცის, სად იმ-ყოფება, მაგრამ მზადაა, მუშტებით მი-ვარდეს. აი, ასეთ სულიერ მდგომარეო-ბაში მყოფი უყურებს სპორტულ პოზაში წყალზე დახრილ ადამიანს; პიპოზირე-ბულივით მისჩერებია მის ძლიერ, მუსკუ-ლებიან და საოცრად უშნოდ მოყვანილ სხეულს. ფართო, ქალური ბარძაყები, სქელი, სრულიად არაინტელიგენტური კუნთები, – აბსურდული სხეული, ხორ-ცუშესხმული უსამართლობა. მან არაფერი იცის ამ კაცზე და მასზე არ ეჭვიანობს, მაგრამ მწუხარებით დაპრმავებული სი-მახინჯის ამ მონუმენტში ხედავს თავისი უბედურების სიმბოლოს და მის მიმართ

დაუძლეველ სიძულვილს გრძნობს.

ჩეხი მეცნიერი ჩაყვინთავს და ბრასის რამდენიმე მძლავრი მოძრაობით უახ-ლოვდება ქალს.

– თავი გაანებე, – ღრიალებს პიჟამი-ანი კაცი და თვითონაც ვარდება წყალში.

მეცნიერს ორიოდე მეტრიდა აშორებს ქალს. ფეხებით ფსკერს ეხება.

პიჟამიანი კაცი მისკენ ყვირილით მი-ცურავს:

– დაეხსენი, ხელი არ ახლო!

სწავლულს ხელში აყავს ქალი, რო-მელიც ღრმად ამოსუნთქვის შემდეგ მის ხელებში იტრუნება, პიჟამიანი ახლოს მი-ცურდება.

– დაეხსენი, თუ არა, მოგვალავ!

თვალცრემლიანი უფორმო სილუეტის გარდა ვერაფერს ხედავს. ბეჭებზე წავ-ლებს ხელს და მთელი ძალით ანჯლრევს. მეცნიერი წაიფორხილებს და ხელიდან უვარდება ქალი, რომელსაც აღარც ერ-თი მამაკაცი აღარ აქცევს მეტად ყურად-ლებას. იგი უვნებლად მიცურავს კიბემდე და მაღლა ადის.

პიჟამიანი მამაკაცი თავს ვეღარ იკა-ვებს და სახეში ურტყამს მეცნიერს, რო-მელიც პირში ტკივილს გრძნობს. წინა კბილებზე ენას გადაატარებს და დაად-გენს, რომ ხელოვნური კბილი ერყევა, პრალელი შრომისმოყვარე დანტისტის მცდელობით ფესვთან ხრახნით მიერთე-ბული. დანტისტმა ამ კბილის გვერდით სხვა ხელოვნური კბილებიც ჩაუსვა და გულდასმით აუხსნა, რომ ცენტრალური კბილი მთელი კონსტრუქციის საფუძვე-ლია და თუ მას რაიმე მოუვა, მეცნიერს ხელოვნური ყბის ჩასმა მოუწევს, რი-სიც ცეცხლივით ეშინია. ის ენით სინ-ჯავს დაზიანებულ კბილს და თანდათან ფითოდება, თავიდან შიშის, შემდეგ კი ბრაზისაგან. თვალწინ მეყსეულად გა-უელვებს მთელი მისი ცხოვრება; დღის განმავლობაში ეს მერამდენედ დაუნამა ცრემლებმა თვალები; დიახ, ის ტირის და მისი ცრემლების სიღრმიდან სხლტე-ბა ახალი აზრი; მან ყველაფერი დაკარ-

გა, დარჩა მარტოოდენ კუნთები, მაგრამ რისი მაქნისია ისინი? ამ აზრს, ზამპარის მსგავსად, მოძრაობაში მოჰყავს მისი ხელი, რომელმაც საშინელი ძალით გააწნა სილა პიუამიანს, ისეთივე უსაზომო, როგორაც შიში ხელოვნური ყბის წინაშე, როგორაც ნახევარსაუკუნოვანი სექსუალური პარტაში ყველა ფრანგული აუზის პირას. პიუამიანი წყალქვეშ უჩინარდება.

მისი ვარდნა ისეთი სწრაფი და უზადო იყო, ჩეხ მეცნიერს მოეჩვენა, რომ შემოაკვდა. წუთიერი ყოყმანის შემდეგ იხრება და წყლიდან ამოათრევს, სახეზე მსუბუქად უტყლაშუნებს; პიუამიანი კაცი თვალს ახელს, მისი უაზრო მზერა უფორმო მოჩვენებაზე ჩერდება, შემდეგ ხელიდან უსხლტება და მიცურავს კიბისკენ, სადაც საყვარელი ელოდება.

## 40

აუზის პირას მჯდარი ქალი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პიუამიან კაცს, მის პრძოლას და დაცემას. როცა ეს უკანასკნელი აუზის კაფელით მოგებულ ქიმზე აფორთხდა, ქალი წამოდგა და კიბისკენ გაემართა. არ შემობრუნებულა, მაგრამ არც აჩქარებულა. ასე რომ, კაცს მისი დაწევა შეეძლო. თავიდან ფეხებამდე განუწლებმა გადაკვეთეს (უკვე კარგა ხნის წინ დაცარიელებული) ჰოლი, კორიდორში შეუზვის და, როგორც იქნა, თავიანთ ნომრამდე მიაღწიეს. ძაფი რომ ძაფია, ისიც არა აქვთ მშრალი, სიცივისაგან ცახცახებენ. გათბობა სჭირდებათ.

## შემდეგ?

რას ნიშნავს – შემდეგ? ახლა სიყვარულს მიეცემიან, სხვა რაღა დარჩენიათ? ამ ღამით ისინი წყალზე ჩუმი და ბალაზე დაპალნი იქნებიან, ოლონდ ქალი იკვნესებს მსუბუქად, თითქოსდა ვიღაცამ გაანაწყენა. ამგვარად, ყველაფერს გაგრძელება ექნება და ბიესაც, რომელიც მათ პირველად ამ საღამოს გაითამაშეს, განმეორდება უსხლოეს დღეებსა და კვირებში, რათა ქალმა აჩვენოს, რომ ის ყოველგვარ უმსგავსობაზე მაღლა დგას,

მაღლა დგას უფერულ სამყაროზე, რომელიც გარს აკრავს. იგი ხელახლა აიძულებს კაცს მუხლებზე დადგომას, იტირებს და ყველაფერში მას დაადანაშაულებს, შედეგად კიდევ უფრო გაავდება, რქებს დაადგამს, თავისი ლალატით იტრაბახებს; გატანჯავს მას, კაცი კი გაკერპდება, უხეშობას, მუქარას ან სხვა რაიმე გამოხდომას გადაწყვეტს, მაგალითად, დაამსხვრევს ლარნაქს, სახეში, უმსგავს, შეურაცხმყოფელ სიტყვებს მიახლის, ქალი ისევ ითვალთმაქცებს, თითქოსდა მისი ეშინია, კაცს მოძალადეობასა და აგრესიულობაში დასდებს ბრალს და, როცა ეს უკანასკნელი კვლავ მუხლებზე დაეცემა, ატირდება, თავის დანაშაულს აღიარებს, მასთან დაწოლის ნებას დართავს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ – მთელი კვირა, მთელი წელი, მთელი მარადისობა.

## 41

ჩეხ მეცნიერს რაღა? მორყეულ კბილზე ენის მიჭერისთანვე ეუბნება საკუთარ თავს: აი, ყველაფერი, რაც შენი ცხოვრებიდან დარჩა: გატეხილი კბილი და ხელოვნური ყბის ჩასმის პანიკური შიში – და მეტი არაფერი? მეტი არაფერი, სრულიად არაფერი. უეცარი გამონათებით მთელი წარსული წარმოუდგა არა როგორც გმირული მოღვაწეობის ხანა, დრამატული და თავისებურად განუმეორებელი მოვლენებით, არამედ როგორც საპრალო ქვეშის ნამცეცი შემთხვევითი ფაქტების ბუნდოვან ხვავში, რომელმაც პლანეტა ააფორიაქა და სადღაც ისეთი სიჩქარით ჩაიქროლა, რომ წესიერად მისი დათვალიერება და გააზრება შეუძლებელია. ასე რომ, ბერკი, შესაძლოა, სრულიად მართალია, უნგრელი ან პოლონელი რომ ჰონია. რა სათქმელია, შესაძლებელია, ის მართლაც უნგრელი ან პოლონელია, გამორიცხული არაა, თურქიც იყოს, რუსი ანდა სომალში მომაკვდავი ბავშვი. როდესაც ყველაფერი ასეთი სისწრაფით მიქრის, შეუძლებელია რაიმეში დარწმუნებული იყო, ყოველგვარ რაიმეში, საკუ-

თარ თავშიც კი.

მეხსიერებაში ქალბატონი დე T.-ს ღამის აღდგენისას გავიხსენე ეგზისტენციალური მათემატიკის სახელმძღვანელოს პირველსავე გვერდზე მოყვანილი ცნობილი განტოლება: სიჩქარის ხარისხი დავიწყების ინტენსივობის პირდაპიროპორციულია. ამ განტოლებიდან სხვადასხვა დასკვნის გამოტანა შეიძლება, მაგალითად, ასეთის: ჩვენი ეპოქა სიჩქარის დემონს მიეცა და ამ არცთუ უკანასკნელი მიზეზით ასე იოლად დაივიწყა თავისი თავი. მაგრამ მე მინდოდა ეს მტკიცება თავით ფეხამდე ამომეტრიალებინა და მეთქვა: ჩვენი ეპოქა დავიწყების ჟინმა შეიძყრო და ამ ჟინის დასაკმაყოფილებლად დანებდა სიჩქარის დემონს; სულ უფრო და უფრო აჩქარებს სვლას იმის შთასაგონებლად, რომ არ სჭირდება, ჩვენ ის გვახსოვდეს, რომ დაიღალა საკუთარი თავით, შესაბამის საკუთარი თავი; რომ მას სურს, ჩააქროს მეხსიერების პანაწკინტელა მთრთოლარე ალიც კი.

ჩემთ ძვირფასო თანამემამულევ და მეგობარო, *musca pragensis*-ის ცნობილო ალმომჩენო, გმირო მშენებელო მუშავ, აღარ მწადია, შენი წყალში ფშეკვის ყურებით ვიტანჯებოდე. ასე შეიძლება სასიკვდილო გაცივება აიკიდო. მეგობარო! ძმაო! თავს წუ იწამებ. ამოდი, დასაძინებლად გაემართე. გიხაროდეს, რომ ყველასგან დავიწყებული ხარ. საყველთაო ავხორცული გულმავიწყობის შალში გაეხვიე. აღარ იფიქრო სიცილზე, რომელმაც ტკივილი მოგაყენა; ის წარსულში ზუსტად ისე დაინთქა, როგორც შენს მიერ მშენებლობაზე გატარებული წარსული წლები; როგორაც შენი – თავისუფლებისათვის დევნილი მებრძოლის დიდება. ციხე-დარბაზში სიწყნარეა. გააღე ფანჯარა და აყვავებულ ხეთა სურნელი გაავსებს შენს ოთახს. ისუნთქე ის. ეს სამასწლოვანი წაბლებია. მათ შრიალს ისმენდნენ მადამ დე T. და მისი კავალერი, როცა სიყვარულს ეძლეოდნენ პავილიონში, რომელიც შენი ფანჯრიდან მაშინ კარგად მოჩანდა,

მაგრამ შენ – აფსუს! – უკვე ვეღარ დაინახავ იმიტომ, რომ ის თხუთმეტი წლის შემდეგ, 1789 წლის რევოლუციის დროს დაინგრა და მისაგან რამდენიმე გვერდილა დარჩა ვივან დენონის ნოველაში, რომელიც არასოდეს წაგიკითხავს და, ალბათ, არც არასოდეს წაიკითხავ.

42

ვენსანმა თავისი ტრუსი ვერ ნახა. პერანგი და შარვალი სველ სხეულზე ჩაიცვა და იულიას კვალს აედევნა. ქალიშვილი მეტისმეტად მკვირცხლი იყო, ვენსანი კი ძლიერ ზოზინა. კორიდორები შემოირბინა და ნახა, რომ იულია სადღაც აორთქლდა. არ იცოდა, სად იყო მისი ნომერი და ამიტომაც თავის შანსებს ფრიად სათუოდ თვლიდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, კორიდორებში ყიალს იმ იმედით განაგრძობდა, რომ რომელიმე კარი გაიღებოდა და იულიას ხმა მოუქმობდა: „აქ მოდი, ვენსან, აქ მოდი“. მაგრამ ყველას ეძინა, ყველგან სიჩუმე იდგა და ყველა კარი ჩაეტილი იყო. „იულია, იულია“, – ჩურჩულებდა იგი, ჩურჩულიდან ჩვეულებრივ ხმაზე გადავიდა, ჩვეულებრივიდან – ყვირილზე, მაგრამ პასუხად მხოლოდ სიჩუმე იყო. იულია არ ტოვებდა ვენსანის წარმოსახვას. წარმოიდგინა მთვარის შუქით განათებული მისი სახე, მისი უკანალის ხვრელი. ოჰ, ეშმაკმა დალახვროს, ეს ხვრელი პირდაპირ მის თვალწინ კოხტაობდა, ის კი დაუდევრად მოიქცა, ისე საშინლად შეცდა! არც კი შეხებია და ხეირიანად არც დაუთვალიერებია. ეს საბედისნერო ხატება ისევ მის თვალწინაა და გრძნობს, მისი საბრალო ასო როგორ აღიძვრის, დგება, ჯანყდება – და მერე როგორ: ტყუილუბრალოდ, უგუნურად და უსაზომოდ.

თავის წომერში დაბრუნებული ვენსანი სავარძელში ჩაენარცხება. გრძნობს, მთლიანად იულიასადმი ვნებას შეუპყრია. მის ხელახლა მოსაპოვებლად მზადაა, რაც კი შესაძლოა, ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ გასაკეთებელი არაფერია.

ხვალ დილით იულია სასადილოში ისაუზ-მებს, მაგრამ თვითონ – აფსუს! – უკვე თავის პარიზულ კაბინეტში იქნება. მან არ იცის ქალიშვილის მისამართი, არც გვარი, არც სამუშაო ადგილი, სრულიად არაფერი! პირისპირ ჩემი თავის უსაზღვრო სასოწარკვეთილებასთან, რომელიც მისი ასოს შეუსაბამო სიდიდეში მატერიალიზირდება.

სულ რაღაც ერთი საათის წინ ამდენი ჯანსაღი აზრის წარმომჩენელ ამ ყოჩაღ ბატონს თავი გონივრულობის ჩარჩოებ-ში ეჭირა, თავის ღირსახსოვარ სიტყვა-ში კი საკუთარი საქციელის გამართლება შეძლო იმ მოსაზრებების საშუალებით, რომლებმაც ყველა ჩვენგანზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა; ახლა მე ძლიერ მეპარება ეჭვი იმავე ორგანოს გონივრულობაში, რომელმაც ამჯერად ჯანსაღი აზროვნების ყოველგვარი ნიშნიანი დაკარგა; ყოველგვარი სერიოზული გამართლების გარეშე ის მთელ სამყაროს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის მსგავსად აუჯანყდა, ბეთჰოვენისა, მჭმუნვარე კაცობრიობის პირისპირ მდგარი რომ აღრიალებს თავის სიხარულის ჰიმნს.

## 43

ვერა ისევ იღვიძებს:

- რატომ ჩართე რადიო მთელ ხმაზე? გამაღვიძე!
- რადიოს არ ვუსმენ. ჩვენთან ისეთი სიწყნარეა, როგორც არასდროს.
- არა, უსმენდი და ეს ულამაზოა შენი მხრიდან. მე ხომ მეძინა.
- გეფიცები!
- და კიდევ, როგორ შეგიძლია ამ სულელურ სიხარულის ჰიმნს უსმიონ?
- მაპატი, ყველაფერში ისევ ჩემი წარმოსახვაა დამნაშავე.
- რა შეუშია აქ შენი წარმოსახვა? განა მეცხრე სიმფონია შენ დაწერე? შენ რა, თავი ბეთჰოვენი გგონია?
- არა, სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა.
- არასოდეს აქამდე ეს სიმფონია ასე

აუტანელი, ასე უადგილო, ასე ბიჭურად გაბლენძილი, ასე სულელური, ასე გულუბრყვილოდ ვულგარული არ მომჩვენებია. მეტი აღარ შემიძლია. ჩემი მოთმინების ფიალა აისო, ერთი წუთითაც აღარ მინდა ამ მოჯადოებულ ციხე-დარბაზში დარჩენა. გთხოვ, გავემგზავროთ. სხვათა შორის, განთიადიც მალე დადგება.

და ის საწოლიდან დგება.

## 44

ადრიანი დილაა. მე ვივან დენონის ნოველის ფინალურ ეპიზოდზე ვფიქრობ. ციხე-დარბაზის საიდუმლო კაბინეტში გატარებული ღამე მთავრდება გრაფინიას კონფიდენციალური მოსამსახურის გამოჩენით, რომელიც საყვარლებს გათენებას აუწყებს. კავალერი სასწრაფოდ იცვამს, გამოდის, მაგრამ ციხე-დარბაზის კორიდორებში გზა ებნევა. გამომუღავნების შიშით პარკში მიემართება და ისეთ სახეს იღებს, ვითომ მშვენივრად გამოიძინა, მაგრამ დილაადრიან გაღვიძებულმა გასეირნება გადაწყვიტა. თავი ჯერ კიდევ დამძიმებული აქვს, ცდილობს, ჩასწვდეს თავისი ღამეული თავგადასავლის აზრს: ნუთუ მადამ დე T.-მ ურთიერთობა გაწყვიტა თავის საყვარელ მარკიზთან? ან, იქნებ, დაცილების საბაბს ეძებს? იქნებ მხოლოდ მისი დასჯა სურდა? როგორი იქნება ახლახან, დასრულებული ღამის გაგრძელება?

ამ კითხვებში ჩაფლული უეცრად წინ მადამ დე T.-ს საყვარელს – მარკიზს ხედავს. პარკში ახლახან მოსული მარკიზი მას მივარდება:

– როგორ ჩაიარა ყველაფერმა? – ეკითხება მოუთმენლად.

ამას მოყოლებული დიალოგი, ბოლოს და ბოლოს, თვალს უხელს კავალერს საკუთარი თავგადასავლის არსზე: მას ქმრის ყურადღება უნდა გადაეტანა ცრუ საყვარელზე, რომლის როლის შესრულებაც თავად მოუხდა.

– არც ისე კეთილშობილური როლია, – სიცილით ეთანხმება მარკიზი და ამ

მსხვერპლისათვის, კავალერის საამებ-ლად, თითქმის აღიარებს: მადამ დე T. მომაჯადოებელი და უზომოდ ერთგული ქალია; მას მხოლო ერთი სისუსტე აქვს: სხეულებრივი სიცივე.

ისინი ერთად ბრუნდებიან ციხე-დარბაზში, რათა ქმარს მშვიდობიანი დილაუსურვონ. ის ზრდილობიანად ესაუბრება მარკიზს, მაგრამ, როცა რიგი კავალერზე მიდგება, მტრულად მიმართავს და ურჩევს, რაც შეიძლება მალე დატოვოს ციხე-დარბაზი, რის შემდეგაც თავაზიანი მარკიზი თავის კარტას სთავაზობს ახალგაზრდა კაცს.

შემდეგ მარკიზი და კავალერი ერთად მოინახულებენ მადამ დე T.-ს. საუბრის ბოლოს ქალი მოახერხებს, რამდენიმე საალერსო სიტყვა ჩასჩურჩულოს კავალერს. აი, როგორაა ეს გამოსათხოვარი სიტყვები გადმოცემული ნოველაში:

— ახლა თქვენ გიხმობთ თქვენი სიყვარული; თქვენი შეყვარებული უეჭველად ლირსეულია. მშვიდობით კიდევ ერთხელ. თქვენ მომხიბლავი ხართ... ნუ ეცდებით, გრაფინიას წამიდოთ...

„ნუ ეცდებით, გრაფინიას წამკიდოთ“  
— ასეთი იყო მადამ დე T.-ს საყვარლი-სადმი მიმართული უკანასკნელი სიტყვები. ამას ნოველის უკანასკნელი სიტყვები მოჰყვება: „მე ჩავჯექი ჩემს მომლოდინე ეკიპაჟში. მთელი ამ თავგადასავლის აზრის მოძებნას ვცდილობდი, მაგრამ... ვერ შევძელი“.

მაგრამ მასში აზრი არის: მას მადამ დე T. საკუთარ თავში განასახიერებს: მან მოატყუა ქმარი, მოატყუა საყვარელი, მოატყუა ახალგაზრდა კავალერი. ამით ის ეპიკურეს ჭეშმარიტ მონაფედ გვევლინება. ტკბობის ძვირფასი მეგობარი, აზიზი ცრუპენტელა — მფარველი. ბეჭინერების დამცველი.

კარად რცხვენია საკუთარ ფიქრებზე და გრძნობებზე ლაპარაკი. ორივე პერსონა-ჟის შინაგანი სამყარო დაფარული ან ნა-ხევრად დაფარული რჩება.

დილაადრიან, როდესაც მარკიზი თავისი საყვარლის სიცივეზე ელაპარაკებოდა, კავალერს შეეძლო ქვეშ-ქვეშ ჩაეცინა, რადგანაც ქალმა ახლახან სრულიად სანინააღმდეგო დაუმტკიცა. მაგრამ, ამ რწმენის მიუხედავად, ის სხვას ველარა-ფერს ვარაუდობს. როგორ გაიგოს ის, რომ მადამ დე T. მასთან იწვა: მისთვის ეს ყოველდღიური რუტინის ნაწილი იყო თუ უიშვიათესი, ლამის ერთადერთი თავ-გადასავალი? აალელვა მისი გული თუ გულგრილი დარჩა? გაუღვიძა თუ არა გრაფინიასადმი ეჭვი სიყვარულის და-მემ? კავალერისადმი მიმართული მისი უკანასკნელი სიტყვები გულწრფელი იყო თუ, უბრალოდ, უსაფრთხოების აუ-ცილებლობამ უკარნახა ისინი? კავალე-რის გამგზავრებამ ნაღველი მოჰველი მოჰველი თუ უგულისხმოდ დარჩა?

თავად მას რაც შეეხება: დილაადრიან, როცა მარკიზმა დამცინავი კითხვით მიმართა, შეეძლო ეპასუხა და მდგომა-რეობის ბატონ-პატრონი დარჩენილიყო. მაგრამ სინამდვილეში რას გრძნობდა კა-ვალერი? როგორი იყო მისი განცდები იმ მომენტში, როცა ციხე-დარბაზს ტოვებდა? რაზე ფიქრობდა? განცდილ ტკბობაზე თუ მეტისმეტად დამყოლი ყმაწვილის სასაცილო დიდებაზე? თავს გამარჯვებულად გრძნობდა თუ დამარცხებულად? ბეჭინერად თუ უბედურად?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შესაძლებელია კი იცხოვრო განცხერომათა შორის და განცხერომათა გამო და ამით ბეჭინერი იყო? მივწვდებით კი ჰედონიზმის იდეალს? არსებობს კი ამის იმედი? ანდა თუნდაც ამ იმედის მკრთალი გაელვება?

არა უგვიანეს, ერთ საათში უნდა გაემ-გზავროს. სავარძელში მჯდარი თავზე მოტოციკლისტის მუზარადს ჩამოიფხა-ტავს. ფიქრობს, მისი სიმძიმე გამგზავ-რების დავიწყების საშუალებას არ მის-ცემს, მაგრამ იჯდე მუზარადიანი თავით და წაძინების შესაძლებლობა არ გქონ-დეს, სრული უაზრობაა, დაძვრის გადაწ-ყვეტილებით დგება.

გამგზავრების აუცილებლობა პონტე-ვენზე ფიქრებს აღუძრავს. ოჰ, ისევ ეს პონტევენი! კითხვებით სულს ამოხდის. რას უნდა მოუყვეს? თუკი მოყვება ყვე-ლაფერს, რაც სინამდვილეში მოხდა, ეს უსათუოდ გაართობს მას და მთელ მის კომპანიას. ყოველთვის სასეიროა, როცა მთხრობელი საკუთარ თვეგადასავალში კომიკურ როლს თამაშობს. სხვათა შორის, ამის გაკეთება პონტევენზე უკეთ არავის შეუძლია. მაგალითად, როცა ის თავის გა-მოცდილებას აღწერს მბეჭდავ ქალთან, რომელიც შეცდომით, სხვა ქალის ნაც-ვლად, თმით შეათრია ლოგინში. მაგრამ ყურადღება! პონტევენი ეშმაკია! ყველას ჰერინია, რომ მისი კომიკური მონათხრობი თავის თავში ითარავს კიდევ უფრო სასი-ამოვნო სიმართლეს. მსმენელები უინით ივსებიან მისი პატარა მეგობარი ქალი-სადმი, რომელიც პონტევენისგან უხეშო-ბას ითხოვს, და შურიანად წარმოიდგენენ სასიამოვნო მბეჭდავ ქალს, რომელთანაც მათი ლვთაება აკეთებს ყველაფერს, რაც სურს. თუკი ვენსანი მოპყვება აუზის კი-დეზე მოჩვენებითი შერწყმის ისტორიას, ყველანი დაუჯერებენ და სასაცილოდ აიგდებენ წინდაუხედაობის გამო.

ის წომერში წინ და უკან დადის. თა-ვისი ამბის როგორმე შესწორებას, გადა-კეთებას, რალაც შტრიხების დამატებას ცდილობს. პირველ რიგში, მოჩვენებითი შერწყმის ნამდვილად გადაქცევაა საჭი-რო. წარმოიდგინა აუზისაკენ მიმავალი ხალხი, გაოცებული და აღგზნებული მა-თი სასიყვარულო ხევვნით; ისინი სასწრა-ფოდ იხდიან; ერთი მხოლოდ თვალებად იქცევიან, მეორენი მათ მიბაძვას იწყებენ

და, როცა ვენსანი და იულია მათ გარ-შემო ამ დიდებულ ჯგუფურ სექსს დაი-ნახავენ მთელი თავისი მიზანსცენებით, დგებიან, კიდევ რამდენიმე წამს უყურე-ბენ გაშმაგებით მოქანავე წყვილებს და შემდეგ ერთმანეთს შორდებიან იმ დემი-ურგების მსგავსად, რომლებმაც შექმნეს ახლახან ახალი სამყარო. შორდებიან ისე, როგორაც შეხვდნენ, თითოეული თავის მხარეს. შორდებიან, რომ ამიერიდან ერ-თმანეთს აღარასოდეს შეხვდნენ.

მაგრამ ის იყო, საშინელმა სიტყვებმა „რომ ამიერიდან ერთმანეთს აღარასო-დეს შეხვდნენ“ ვენსანის გონებაში გაიუ-ღერა, მისმა მამაცმა ვაჟბატონმა კვლავ გაიღვიძა და მოუნდა კედლისათვის ეხა-ლა თავი.

და აი, რაა ყველაზე სასაცილო: ორგი-ის სცენის წარმოდგენისას მისი ავადმყო-ფური აღგზნება მისუსტდა, მაგრამ საკ-მარისი იყო ნამდვილი, ცოცხალი, თუმცა სხვაგან მყოფი იულიას ხელახლა გახსე-ნება, რომ სიგიჟემდე აღგზნებულიყო, როგორც ჩანს, მას მხოლოდ მის მიერვე გამოგონილ ორგის ამბავზე ჩაბლაუჭე-ბადა დარჩენოდა. ხელახლა წარმოედგი-ნა ის, შემდეგ კი ისევ და ისევ მოეყოლა საკუთარი თავისთვის: ისინი სიყვარულს ეძლევიან, ყოველი მხრიდან მორბიან წყვილები, აშტერდებიან მათ, იხდიან და მალე აუზის ირგვლივ გააფთრებული სექ-სჯგუფების ბობოქრობა იწყება. ბოლოს, ამ პატარა პორნოგრაფიული ფილმის უთ-ვალავი რეპეტიციის შემდგომ, თავს უკე-თესად გრძნობს. მისი ასო უფრო გონება-დამჯდარი, თითქმის მშვიდიც კი ხდება.


ვენსანი თაეს „გასკონურ კაფეში“ წარ-მოიდგენს, მეგობართა შორის, რომლებიც მის მონათხრობს ყურადღებით ისმენენ. მაშუ მაცდური იდიოტური ლიმილით გა-იკრიფება, გუჯარი თავის მეცნიერულ შე-ნიშვნებს ჩაურთავს. დასკვნის სახით ვენ-სანი ეტყვის: ჩემო მეგობრებო, მე ყველა თქვენგანის ნაცვლად ვწერაობდი, ყველა თქვენგანის ჭანჭლებმა ითამაშა თავისი როლი იმ დიდებულ გაზონზე. მე ვიყავი

თქვენი სრულუფლებიანი ელჩი, თქვენი მწერავი დეპუტატი, თქვენი გაქირავებული ასო, თქვენი კოლექტიური კი!

ის ნომერში მიდი-მოდის და გაუთავებლად, ხმამაღლა იმეორებს უკანასკნელ ფრაზას: კოლექტიური კი, რა ბრნყინვალე მიგნებაა! შემდეგ (მტანჯველი აღგზნება უკვე მთლიანად უქრება) ზურგჩანთას ხელს დასტაცებს და ნომრიდან გამოდის.

47

ვერა ანგარიშის გასასწორებლად გაემართა, მე კი, პატარა ჩემოდნით ხელში, ეზოში მდგარ ჩვენს მანქანას მივაშურე. ვწუხდი, რომ ვულგარულმა მეცხრე სიმფონიამ ჩემს ცოლს გამოძინების საშუალება არ მისცა და დააჩქარა ჩვენი გამგზავრება იმ ადგილიდან, სადაც თავს ასე კარგად ვგრძნობდი. უკანასკნელად ვათვალიერებ გარეშემოს ერთგვარი ნოსტალგიით. ციხე-დარბაზის შესასვლელი. სწორედ აქედან გამოვიდა მადამ დე T.-ს ზრდილობიანი და გაფხორილი ქმარი მწუხრისას, კარეტის გაჩერების შემდეგ,



თავისი მეუღლისა და ახალგაზრდა კავალერის მისაღებად. ამავე სადარბაზოდან ათი საათით გვიან გამოვიდა კავალერი, ამჯერად მარტო, გამცილებლის გარეშე. მას შემდეგ, რაც ქალბატონ დე T.-ს აპარტამენტის კარი მის უკან მიიხურა, მარკიზის სიცილი მოესმა, რომელსაც მალე მეორე – ქალის სიცილი შეუერთდა. წამიერად შენელა ნაბიჯი: რაზე იცინიან? მას დასცინიან? მეტის მოსმენა აღარ სურს და გასასვლელისკენ მიდის; მაგრამ ეს სიცილი მის სულში გრძელდება; ვერაფრით იცილებს და ვერც ვერასოდეს მოიცილებს. ერთათავად მარკიზის ფრაზა აგონდება: „იქნებ, შენ ვერ გრძნობ შენი როლის კომიკურობას?“ დილაადრიან, როდესაც მარკიზმა ეს იქედნური კითხვა დაუსვა, მას წარბიც არ შეუხრია. იცოდა, რომ მარკიზი რქიანია და სიხარულით უმეორებდა საკუთარ თავს, რომ მადამ დე T. მარკიზის მიტოვებას აპირებს და მაშინ უსათუოდ ისევ ნახავს მას, ანდა რატომ-დაც საყვარელზე შურისძიება განუზრასავს და ამ შემთხვევაშიც მასთან პაემანი სავსებით შესაძლებელი რჩება (რადგან

დღევანდელ შურისძიებას თავისთავად მოჰყვება ხვალინდელი). მაგრამ ასე ფიქრი ერთი საათის წინ შეეძლო. მადამ დე T.-ს გამოსათხოვარი სიტყვების შემდეგ ყველაფერი ცხადი ხდება: ლამეს გაგრძელება არ ექნება. არავითარი ხვალ.

სასახლიდან დილის ცივ მარტოობაში გამოდის; თავს ეუბნება, რომ განვლილი ლამიდან, ამ სიცილის გარდა, არაფერი რჩება: თავის შესაქცევი ამბავი განვრცობას დაიწყებს, ის კომიკური პერსონაჟი გახდება. სარწმუნოა, რომ არც ერთი ქალი არ მოისურ-

ვებს საყოველთაო დაცინვის ობიექტთან ურთიერთობას. მისი თანხმობის გარეშე, თავზე მასხარის ჩაჩი ჩამოაცვეს, ის კი ისე ძლიერი არაა, ეს თავსაბურავი ატაროს. შინაგანი ხმა ჯანყისკენ აგულიანებს, მოუწოდებს, მთელ ქვეყნიერებას გააგებინოს ის, რაც თავს გადახდა.

მაგრამ იცის, ეს მის ძალას აღემატება. უარესია, უხეში კაცის სახელი გაუვარდეს, ვიდრე სასაცილოსი. არ შეუძლია ქალბატონი დე ტ. გასცეს და არც არასოდეს გასცემს მას.

## 48

სასახლის მეორე, უფრო შეუმჩნეველი კარიდან გამოსვლის შემდეგ ვენსანი ეზოში აღმოჩნდება. საკუთარ თავს განუწყვეტლივ უმეორებს მთვრალი ორგიის ამბავს აუზის ახლოს, მაგრამ არა დამამშვიდებელი ეფექტის გამო (მთელი მისი აღზნება განქარდა), არამედ იულიას მოგონებით გამოწვეული აუტანელი, სულისგანმგირავი ტკივილის ჩასახშობად. იცის, მხოლოდ გამონაგონი თუ დაეხმარება რეალური წარსულის დასავიწყებლად. უნდა, ახლავე და მთელი ხმით მოყვეს ეს ახალი ამბავი, ფანფარებისა და საყვირების საზეიმო ბეგერებით გაამაგროს, ნულზე რომ დაიყვანენ და როგორლაც არაარსებითს გახდიან მის საცოდავ ცრუ შერწყმას, რის გამოც იულია დაკარგა.

„მე ვიყავი კოლექტიური კიი“, – იმეორებს და საპასუხოდ პონტევენის თანამგრძნობი სიცილი ესმის, ხედავს მომხიბვლელ ჩაცინებას მაშუსი, რომელიც ამბობს: „შენ ახლა ჩვენი კოლექტიური კიი ხარ, ასეც დაგიძახებთ: კოლექტიური კიი“. ეს იდეა ჭკუაში უჯდება და იღმიბა.

ეზოს მეორე მხარეს მდგარი მოტოციკლისკენ მიმავალი შეამჩნევს მასზე ოდნავ უმცროს, ძველებურ კოსტიუმში გამოწყობილ კაცს, რომელიც მის შესახვედრად მოემართება. ვენსანი თვალდაჭყეტილი უყურებს. როგორ გამოშტერებულა აუზის ღამის შემდეგ: ამ მოჩვენების ხილვის გონივრულად ახსნის ძალაც

არ შესწევს. შესაძლოა, ეს ისტორიულ კოსტიუმში გამოწყობილი მსახიობია, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ტელევიზიის იმ კეთილ ქალთან? იქნება, გუშინ ციხე-დარბაზში ისტორიულ თემაზე სარეკლამო რგოლი გადაიღეს? მაგრამ მათი მზერის შეცვედრისას ახალგაზრდა კაცის თვალებში ისეთ გულწრფელ გაოცებას ხედავს, რომლის გამოხატვასაც ვერ შეძლებდა ყველაზე გამოცდილი, ნიჭიერი მსახიობიც კი.

## 49

ახალგაზრდა კავალერი მისჩერებია უცნობს, რომლის თავსაბურიც განსაკუთრებით იპყრობს მის ყურადღებას. ორი-სამი საუკუნის წინათ ასეთი მუზარადებით რაინდები ომში მიეშურებოდნენ. მაგრამ მუზარადზე არანაკლებ საოცრად ახალგაზრდა კაცის უბადრუკი ტანისამოსი ეჩვენება. გრძელი, ფართო, უფორმო შარვალი, რომელსაც მხოლოდ ღარიბი ქრისტიანები თუ ატარებდნენ ანდა ბერ-მონაზვნები.

ჭაბუკი კავალერი თავს დაღლილად, სავსებით დაქანცულად გრძნობს, ცოტაც და, გული შეულონდება. შესაძლოა სძინავს, შესაძლოა ზმანებებმია, შესაძლოა ბოდავს. ბოლოს მუზარადიანი კაცი მისებან ორიოდე წაბიჯზე ჩერდება და წარმოთქვამს ფრაზას, რომელიც მხოლოდ ზრდის მის შეცებუნებას:

– მომისმინე, შენ შემთხვევით მეთვრამეტე საუკუნიდან ხომ არ ხარ?

კითხვა კურიოზულია, აბსურდული, მაგრამ ტონი, რომლითაც ის ითქვა, კიდევ უყრო სასეიროა: სრულიად უცნობი ინტონაცია, თითქოსდა უცხო სამეფოს დესანს უსმენს, ფრანგული ენა საფრანგეთიდან შორს, წიგნებით რომ შეუსწავლია. ეს ინტონაცია კავალერს არწმუნებს, რომ თანამოსაუბრე ნამდვილად სხვა დროებიდან გამოეცხადა:

– დიახ, შენ კი რომლიდან ხარ? – ეკითხება.

– მე? მეოცედან, – პასუხობს ისიც და

აზუსტებს: – მეოცე საუკუნის მიწურულიდან. დღეს განსაცვიფრებელი ღამე გავატარე.

ეს ფრაზა კავალერს აკვირვებს.

– მეც ასევე, – ამბობს.

ის ქალბატონ დე T.-ს წარმოადგენს და გრძნობს, უცცრად როგორ იტაცებს მადლიერების ტალღა.

ლმერთო ჩემო, როგორ შეეძლო მარკიზის სიცილისათვის ამდენი ყურადღება დაეთმო? განა განვლილი ღამის მთავარი მოვლენა ქალბატონი დე T.-ის წარმოუდგენელი სილამაზე არ იყო, რომელიც აქამდე ისე მთვრალივით ამყოფებს, რომ აჩრდილებს ხედავს, სიზმრებს სინამდვილეში ურევს, თავს სხვა დროში აგრძნობინებს!

მუზარადიანი კაცი ისევ სასაცილო ინტონაციით იმეორებს:

– მე წუხელ სავსებით განსაცვიფრებელი ღამე გავატარე.

კავალერი თავს ისე უქნევს, თითქოს ეუბნება: „დიახ, დიახ, მეგობარო, მესმის შენი. ვის შეუძლია, უკეთესად გაგიგოს?“ და ფიქრობს: რადგან მადამ დე T.-ს აღუთქვა, ენას კბილი დააჭიროს, ვერასდროს და ვერავის მოუყვება იმის თაობაზე, რაც შეემთხვა, მაგრამ განა გულახდილობა ორასი წლის შემდეგ იმავე გულახდილობად რჩება? ეჩვენება, ლიბერტინელების ლმერთმა გამოუგზავნა ეს კაცი, რომ სულის გადაშლა, სიმართლის მოყოლა საიდუმლოს ფიცის დაურღვევლად შეძლოს, რომ თავისი ცხოვრების ერთი მომენტთაგანი გადაიტანოს სადღაც მომავალში, მომავალში მისი პროვოცირება, დიდების შუქით განახლება მოახდინოს.

– მაშ, შენ ნამდვილად მეოცე საუკუნიდან ხარ?

– რასაკვირველია, ძველო, გეუბნები, არაჩვეულებრივი ამბები ხდება ამ საუკუნეში. ზნე-ჩვეულებათა თავისუფლება მეფობს. გიმეორებ, მე თავად განვიცადე ახლახან არაჩვეულებრივი ღამე.

– მეც ასევე, – მეორედ ამბობს კავა-

ლერი და ემზადება, თანამოსაუბრეს თავისი თავგადასავალი უამბოს.

– გასაოცარი, ველური, პირდაპირ დაუჯერებელი ღამე, – იმეორებს მუზარადიანი კაცი, რომელიც დაუინებით უყურებს მას, კავალერი ამ მზერაში ლაპარაკის შეუპოვრობა რატომდაც აშფოთებს. ესმის, რომ მჭევრმეტყველებისადმი ეს უინი, იმავდროულად, სხვისი მონათხრობისადმი შეუწყნარებელ გულგრილობას გულისხმობს. ლაპარაკის ამ უინთან შეჯახებისას კავალერი მაშინვე კარგავს საუბრის ყოველგვარ სურვილს და, საერთოდ, მასთან შეხვედრის გაგრძელების ვერავითარ მიზეზს ვეღარ ხედავს.

თავზე დაღლილობის ახალი ტალღა გადაევლება. სახეს ხელით ისრესს და მადამ დე T.-ს მიერ თითებზე დატოვებულ სიყვარულის სურნელს გრძნობს. ეს სურნელი მასში ნოსტალგიის ხელახალ მოწოლას იწვევს. სურს, მარტო აღმოჩნდეს კარეტაში, რომელიც აუჩქარებლად, რნევით მიიყვანს პარიზში.

ძველებურკოსტიუმიანი კაცი ვენსანს ძალზე ახალგაზრდად და, აქედან გამომდინარე, ვალდებულად ეჩვენება, მოისმინოს უფროსი ადამიანის აღსარება. როცა ვენსანმა ორგზის უთხრა: „მე განსაცვიფრებელი ღამე გავატარე“, თანამოსაუბრე კი გამოეხმაურა: „მეც ასევე“, მოეჩვენა, – თითქოს მის სახეზე ცნობისმოყვარეობამ გაიელვა, მაგრამ მერე სრულიად აუხსნელი მიზეზით ჩაქრა, ჩაიფერფლა თითქმის ამპარტავნული გულგრილობით. გულახდილობის ხელშემწყობი მეგობრული ატმოსფერო ერთ წუთს გაგრძელდა, შემდეგ კი განქარდა.

ვენსანი ახალგაზრდა კაცის კოსტიუმს გაღიზიანებით მისჩერებია. ბოლოს დაბოლოს, ვინაა ეს კლოუნი? ვერცხლისბალთიანი ფეხსაცმელებით, შემოჭერილი თეთრი ნიფხვით და მთელი ამ ენითალუნერელი ჟაბოთი, სავერდებითა და მაქმანებით მის მკერდს, რომ ფარავს და ამკობს, ორი თითით იღებს კავალერის

კისერზე შემოგრაგნილი ლენტის ბოლოს და პაროდიული აღფრთოვანების გამომ-სატველი ღიმილით ათვალიერებს მას.

ამ უესტის ფამილარობამ გააპრა-ზა ძველებურკოსტიუმიანი კაცი. სა-ხე სიძულვილმა მოუქუფრა, მარჯვენა ხელს იქნევს, თითქოს ამ თავხედისათ-ვის სილის გაწვნა სურს. ვენსანი ხელს უშვებს ლენტს და ერთი ნაბიჯით უკან იხევს. კავალერი ზიზღით სავსე მზე-რას სტყორცნის მას. შებრუნდება და კარეტისაკენ მიდის. ზიზღმა, რომელიც მან ვენსანს შეაფრქვია, ეს უკანასკნე-ლი ისევ დააბნია. უეცრად თავს ძალზე სუსტად გრძნობს. ხვდება, ვერავისთა-ნაც ვერ მოჰყვება გაზონზე მომხდარის შესახებ, სიცრუისთვის ძალა არ ეყოფა. ის მეტისმეტად მოწყენილია ამისთვის. მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: რაც შე-იძლება მალე დაივიწყოს ეს გარყვნილი ღამე, ქაღალდიდან რეზინის საშლელით წაშალოს, გონებიდან ამოიგდოს, გაანად-გუროს – და ზუსტად ამ წამს ის სიჩქა-რის გაუმაძლარმა სურვილმა წალეკა.

მტკიცე ნაბიჯით მიემართება მოტო-ციკლისაკენ, მისდამი უინით სავსე, სიყ-ვარულით სავსე ამ მანქანისადმი, რომ-ლის მომართვაც ყველაფერს დაავიწ-ყებს, საკუთარ თავსაც კი.

## 50

ვერა მანქანაში ჩემს გვერდით ეს-ესაა მოეწყო.

- აი, იქით გაიხედე, – ვეუბნები მე.
- საით?
- აი, იქით, ეს ვენსანია. ვერ ცნობ?
- ვენსანი? ისაა, მოტოციკლზე რომ ჯდება?
- დიახ. ვშიშობ, მთელი ძალით არ დაგაზოს. მის გამო ნამდვილად ვში-შობ.
- ჩქარი მგზავრობა უყვარს? მასაც კი?
- ყოველთვის არა. მაგრამ დღეს შეშლილივით იქროლებს.
- ეს ციხე-დარბაზი მოჯადოებუ-

ლია, მას ყველასთვის მხოლოდ უბედუ-რება მოაქვს. აბა, გთხოვ, წავიდეთ!

– წუთით დამაცადე.

მინდა, კიდევ ერთხელ მივესიყვარუ-ლო კარეტისაკენ აუჩქარებლად მიმავალ ჩემს კავალერს, მისი ნაბიჯების რიტმით დავტკებე: რაც უფრო უახლოვდება კარე-ტას, მით უფრო ნელდება ეს რიტმი. ამ სინელეში მე ბედნიერების ნიშნებს ვც-ნობ.

მეტლე ესალმება. ის ჩერდება, თავის თითებს ყნოსავს, შემდეგ კარეტაში ადის. ჯდება, კუთხეში იყუშება, ფეხებს ნეტა-რებით გაჭიმავს. ეკიპაჟი იძვრის, მალე ის ჩათვლემს, შემდეგ ილვიძებს და მთე-ლი გზის განმავლობაში ცდილობს, რაც შეიძლება ახლოს იყოს ლამესთან, რომე-ლიც უმოწყალოდ დნება დღის ნათელში.


არავითარი ხვალ.

არავითარი მსმენელი.

გთხოვ, მეგობარო, ბედნიერი იყავ. ბუნდოვნად ვგრძნობ, შენს უნარში – იყო ბედნიერი, ჩვენი ერთადერთი იმედია.

კარეტა ნისლში უჩინარდება და მეც ადგილიდან ვიძვრი.

თარგმნა  
ნანა გასვიანმა



## შეხვედ ანისიმო



### თავგადასავალი

ელის ჰაინდმენი 27 წლის შესრულდა მაშინ, როცა ჯორჯ ვილარდი ჯერ კიდევ ბიჭუნა იყო. მთელი თავისი ცხოვრება ვაინსბურგში გაატარა. ვინის ქსოვილების მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა და ცხოვრობდა დედასთან, რომელიც მეორედ გათხოვდა.

ელისის მამინაცვალს, ეტლების გადამკვრელს, დალევა უყვარდა. უცნაურ ცხოვრებას ენეოდა. ღირს ამის შესახებ ოდესმე მოყოლა.

ოცი წლისა ელისი მაღალი, სუსტი და ნაზი იყო. თავი, ტანთან შედარებით, ცოტა არ იყოს, დიდი ჰქონდა. მხრები ოდნავ მოხრილი, წაბლისფერი თმა, თვალები კი თაფლისფერი. მშვიდი ჩანდა, მაგრამ ამ მშვიდი გარეგნობის მიღმა რაღაც იდუ-მალი ძალა იგრძნობოდა.

თექვსმეტი წლის ასაკში, სანამ მაღაზიაში მუშაობას დაიწყებდა, ელისის სასიყვარულო რომანი ჰქონდა ერთ ახალ-გაზრდა მამაკაცთან. ეს ნედ კერი იყო, ელისზე ასაკით უფროსი. ისიც, ჯორჯ ვილარდის მსგავსად, გაზეთ „ვაინსბურგის არნივში“ თანამშრომლობდა და დიდი ხნის განმავლობაში ელისთან თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა ხოლმე. ისინი ხეების ქვეშ ქუჩებში დასეირნობდნენ

და თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე საუბრობდნენ.

იმ სანად ელისი ძალიან ეშნიანი გოგონა იყო. ნედ კერი ხშირად მოეხვეოდა ხოლმე, კოცნიდა. მღელვარებისას ნედი ისეთ რამეებს ამბობდა, რაზეც ლაპარაკ-საც საერთოდ არც კი აპირებდა. ელისი, რომელსაც სურდა თავისი ცხოვრება რაღაცნაირად გაელამაზებინა, ნედისავით ღელავდა. ისიც ლაპარაკს იწყებდა. ცხოვრების გარსში ჩაკეტილი და ბუნებრივად მორიცდებული უცებ სასიყვარულო გრძნობებს აჰყავა.

გვიან შემოდგომას, იმ წელს, როცა ელისი თექვსმეტისა გახდა, ნედ კერი კლივლენდს გაემგზავრა, სადაც, იმედოვნებდა, რაიმე თანამდებობას მიიღებდა გაზეთში და ხალხში იტრიალებდა. ელისს მასთან ერთად გამგზავრება სურდა. აკანკალებული ხმით თავისი აზრი გაანდო.

„ვიმუშავებდი, შენც იმუშავებდი“, – ეუბნებოდა. – „არ მინდა, რომ ზედმეტი ხარჯი გასწიო და ხელი ნინსვლაში შეგიშალო. თუ გინდა, ახლა ცოლად ნუ შემირთავ. ისედაც შეგვიძლია, ერთად ვიცხოვროთ. ერთ ბინაშიც კი რომ დავსახლდეთ, ვერავინ ვერაფერს იტყვის. დიდ

ქალაქში არ გვიცნობენ და ყურადღებას არ მოგვაქცევენ“.

ნედ კერი შეცძა. სატრფოს გამბედა-ობამ და ერთგულებამ ააღელვა. განზრა-ხული ჰქონდა, ელისი საყვარლად ჰყო-ლოდა, ახლა კი გადაიფიქრა. სურვილი გაუჩინდა, დახმარებოდა და ეზრუნა მას-ზე.

„თვითონაც არ იცი, რას ამშობ“, – უკ-მეხად უპასუხა. – „დარწმუნებული იყავი, მსგავსს არაფერს დავუშვებ. როგორც კი კარგ სამსახურს ვიშოვი, დავპრუნდები. ჯერჯერობით აქ უნდა დარჩე. ეს ერთა-დერთია, რისი გაკეთებაც შეგვიძლია“.

სალამოს, სანამ ვაისბურგში წავი-დოდა და დიდ ქალაქში ახალ ცხოვრე-ბას დაიწყებდა, ნედმა ელისთან შეიარა. ისინი ქუჩებში დასეირნობდნენ, მერე ეკიპაჟი დაიქირავეს და ქალაქგარეთ გა-ემგზავრნენ. მთვარე ჩავიდა და მღელვა-რებისგან ვერც ერთი ვერ ლაპარაკობდა. სევდამორეულ ახალგაზრდა კაცს და-ვიწყდა თავისი გადაწყვეტილება, როგორ მოქცეულიყო ქალიშვილთან.

ეკიპაჟიდან იმ ადგილზე გადმოვიდ-ნენ, სადაც დიდი მდელობი ვაინ-კრიკის ნაპირისკენ ეშვებოდა, და იქ მქრქალ მთვარის შუქზე სიყვარულს მიეცნენ. როცა შუალამისას ქალაქში ბრუნდებოდ-ნენ, ბედნიერები იყვნენ, ფიქრობდნენ, რომ მომავალი ამ მშვენიერებას და მათ სიყვარულს არ წაშლიდა.

„ახლა ერთმანეთს უნდა ჩავჭიდოთ ხელი, რაც უნდა მოხდეს“, – თქვა კე-რიმ და გოგონას მამის სახლის კართან დაემშვიდობა.

ახალგაზრდა უურნალისტმა კლივ-ლენდში სამსახური ვერ იშოვა და და-სავლეთში, ჩიკაგოში წავიდა. ერთხანს მარტოობისგან იტანჯებოდა და თითქმის ყოველდღე ელისს ნერილს სწერდა. შემ-დეგ კი დიდი ქალაქის ცხოვრების ორომ-ტრიალში ჩაერთო. გაჩიდნენ მეგობრები, ახალი ინტერესები. ჩიკაგოში ოთახი და-იქირავა მაგიდით. აქ რამდენიმე ქალიც იყო. ერთ-ერთმა მათგანმა ნედის ყურად-

ღება მიიპყრო და ვაინსბურგელი ელისი დაავიწყდა. ერთი წელიც კი არ იყო გა-სული, რაც წერილების წერა შეწყვიტა. მხოლოდ ზოგჯერ წერდა ხოლმე, როცა თავს მარტოდ გრძნობდა ან ელისზე მა-შინ გაიფიქრებდა, როცა რომელიმე ქა-ლაქის პარკში მთვარით განათებულ ბა-ლახს დაინახავდა, აი ისეთს, ნაკადულ-თან მდელობზე რომ იყო.

ვაინსბურგში კი გოგონა, რომელმაც უკვე იცოდა, რა იყო სიყვარული, გაი-ზარდა და დაქალდა. ოცდაორი წლისა იყო, როცა უეცრად მამა, რომელსაც ცხე-ნის აღკაზმულობის სახელოსნო ჰქონდა, გარდაიცვალა. ძველი ჯარისკაცი იყო და რამდენიმე თვის შემდეგ მეუღლეს პენ-სია დაუნიშნეს. პირველი პენსიით საქ-სოვი დაზგა შეიძინა და მეხალიჩე გახ-და, ელისმა კი ვინის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. მრავალი წელი სჯეროდა, რომ ნედ კერი დაუპრუნდებოდა.

ელისს უხაროდა, რომ სულ საქმე ჰქონდა, რადგან მაღაზიაში მუშაობა მო-ლოდინს ასეთ ხანგრძლივსა და მოსაწ-ყენს არ ხდიდა. ფულის გადადება დაიწ-ყო იმ იმედით, რომ ორას-სამას დოლარს დააგროვებდა, თავის სატრფოს დიდ ქა-ლაქში გაჰყვებოდა და შეეცდებოდა, მისი სიყვარული კვლავ მოეპოვებინა.

ელისი იმისთვის, რაც მაშინ, მდელობ-ზე მთვარის შუქზე მოხდა, ნედ კერის არ კიცხავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ვე-ლარასოდეს სხვაზე ვერ გათხოვდებო-და. გაფიქრებაც კი არ უნდოდა იმაზე, რომ ვინმე სხვისთვის უნდა მიეცა ის, რაც, მისი აზრით, მხოლოდ ნედს ეკუთ-ვნოდა. როცა ახალგაზრდა მამაკაცები მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობ-დნენ, მათთან შესვედრაზე უარს ამბობ-და. „მისი ცოლი ვარ და დაბრუნდება თუ არა, მის ცოლად დავრჩები“. – იდუმალი ხმით ჩურჩულებდა. და, მოუხედავად მი-სი ყველანაირი მცდელობისა, დამოუკი-დებელი ყოფილიყო, არ შეეძლო, გაეგო იმ დროისთვის გავრცელებული მოსაზ-რება, რომ ქალი მხოლოდ თავის თავს

ეკუთვნის და საკუთარი მიზნისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

ელისი ქსოვილების მაღაზიაში დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე მუშაობდა. კვირაში 3-ჯერ კი ისევ სამორიგეოდ – 7-დან 10 საათამდე – მიდიოდა ხოლმე. თანდათან შინაგანად უფრო ჩაიკეტა და ახირებულობა დასჩემდა, მარტოხელა ადამიანებს რომ ასასიათებთ. როცა საღამობით ოთახში ბრუნდებოდა, ხან მუხლებზე დაიჩოქებდა სალოცავად, მაგრამ ლოცვებთან შენაცვლებით, ჩურჩულით ამბობდა იმას, რისი თქმაც თავისი სატრფოსათვის სურდა. რაღაცა ნივთები ამორჩება და ვერ იტანდა, მათ ვინმე შეხებოდა ოთახში, სადაც ავეჯი მისი საკუთრება იყო. ფულის გადადების უინი, რასაც ადრე აზრი ჰქონდა, არ დაოკებულა მას შემდეგაც კი, რაც დიდ ქალაქში ნედ კერის საძენელად წასვლა გადაიფიქრა. ეს მტკიცე ჩვეულებად ექცა და, როცა საჭირო იყო, თავისითვის რაღაცა ტანსაცმელი ეყიდა, არ ყიდულობდა. ზოგჯერ, წვიმიან დღეებში მაღაზიაში ჯდომისას, საბანკო ჩეკს ამოიღებდა ხოლმე, მაგიდაზე გაშლილს ტოვებდა და საათებს აუხდენელ ოცნებებში ატარებდა – თუ როგორ დააგროვებდა ფულს, რომ პროცენტებით მას და მის ქმარს ეცხოვრათ.

„ნედს ყოველთვის უყვარდა მოგზაურობა“, – ფიქრობდა, – „ამის შესაძლებლობას მივცემ. ოდესმე, როცა დავქორწინდებით, ნედისა და ჩემს ფულს გადავდებ ხოლმე და გავმდიდრდებით. აი, მაშინ კი მთელ მსოფლიოს მოვივლით!“

ქსოვილების მაღაზიაში კი კვირები, თვეები, წლები გადიოდა. მისი უფროსი, ჭაღარა მოხუცი ხელოვნური კბილებით და თხელი ჩამონეული ულვაშით, პირს რომ უფარავდა, ენაძუნი იყო. წვიმიან დღეებში ან ზამთარში, როცა ქარი მძვინვარებდა მეინ-სტრიტზე, მაღაზიაში დიდ-ხანს მყიდველი არ ჭაჭანებდა. ელისი კი ამასობაში სავაჭრო საქონელს დააწყობდა და გადააწყობდა ხოლმე. ვიტრინის

წინ იდგა, დაცარიელებულ ქუჩას გასცექროდა და იმ საღამოებს იხსენებდა, როცა ნედ კერისთან ერთად სერწობდა, და ფიქრობდა იმაზე, რას უუბნებოდა ხოლმე: „ახლა ჩვენ უფრო მაგრად უნდა ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი...“ ეს სიტყვები ექისავით გაისმოდა ელისის, უკვე მოწიფული ქალის თავში, თვალებზე ცრემლი ადგებოდა. ზოგჯერ, როცა მისი უფროსი მიდიოდა და მარტო ტოვებდა, ელისი თავს დახლზე ხრიდა და ტიროდა; „ახ, ნედ, გელოდები!“ – ჩურჩულებდა კვლავ და კვლავ და ყოველთვის უფრო და უფრო ძლიერდებოდა შიში იმისა, რომ ნედი ალარასოდეს დაპრუნდებოდა.

გაზაფხულზე, როცა აღარ წვიმს და ზაფხულის გრძელი და ცხელი დღეები ჯერ არ დამდგარა, ვაინსპურგის შემოგარენი თვალწარმტაცია. პატარა ქალაქი გაშლილ მინდვრებს შორის არის განლაგებული, მათ უკან კი ლამაზი წარაფი მოჩანს. ტყიან ადგილებში ბევრი მყუდრო, წყნარი კუთხეა, რომელსაც კვირა დღეებში მიჯნურები მიაშურებენ ხოლმე. ხეებს შორის ისინი გასცექრიან მინდვრებს და ხედავენ სარდაფებთან მომუშავე ფერმერებს ან გზაზე მიმავალ ადამიანებს. ქალაქში ზარები რეკენ, ზოგჯერ მატარებელიც ჩაივლის ხოლმე, რომელიც შორიდან სათამაშო მატარებელს ჰეგავს.

ნედ კერის გამგზავრებიდან პირველ წლებში, კვირა დღეებში, ელისი ახალგაზრდებთან ერთად ტყეში არ დადიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს – მათი განშორებიდან ორი-სამი წლის შემდეგ – მარტოობამ დარია ხელი, ყველაზე ლამაზი კაბა, რაც კი ჰქონდა, ჩაიცვა და გზას გაუდგა. იპოვა თუ არა შებურვილი ადგილი, საიდანაც ქალაქი და მინდვრების გაშლილი სივრცე მოჩანდა, იქვე ჩამოჯდა. უცებ სიბერისა და ცხოვრების უუნარობის შიშმა აიტანა. მშვიდად ჯდომა აღარ შეეძლო და წამოდგა. სანამ ასე იდგა და არემარეს გასცექროდა, რაღაცამ, შესაძლო ფიქრმა ცხოვრების უწყვეტ დინებაზე,

გასულ წლებზე, რაც წელიწადის დროთა ცვლაში აისახება, აიძულა, გარდასულ დღეებზე დაფიქრებულიყო. შიშისაგან შეძრნუნებული მიხვდა, რომ სილამაზემდა ახალგაზრდობის სინორჩემ ჩაიარა. პირველად თავი მოტყუპულად იგრძნო. ნედ კერის არ კიცხავდა და არ იცოდა, ვინ და რისთვის დაედანაშაულებინა. სევდამ მოიცვა. მუხლებზე დაეცა, შეეცადა, ელოცა, მაგრამ ლოცვის ნაცვლად ბაგეთაგან აღშფოთების სიტყვები ისმოდა.

„არასოდეს მოვა ჩემთან ბედნიერება... ვერასოდეს ვიპოვი ბედნიერებას! რატომ ვიტყუებ თავს?“ – წამოიძახა და შვების უცნაური გრძინობა დაუფლა, რომ ამ გაბედულ მცდელობასთან ერთად პირდაპირ შეეხედა შიშისთვის, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

იმ წელს, როცა ელის ჰაინდმენი ოცდახუთი წლისა გახდა, მისი დღეების მოსაწყენი ერთფეროვანი დინება ორმა მოვლენამ დაარღვია. დედამისი ეტლების გადამკვრელ ბუშ მიღლონზე გათხოვდა, თვით ელისი კი მეთოდისტთა ეკლესიის მრევლთაგანი გახდა. მრევლს იმიტომ შეუერთდა, რომ მარტობის შიშმა მოიცვა. დედის მეორე ქორწინებამ კიდევ უფრო გაუსვა ხაზი მის მარტობას.

„უცნაური და, ცოტა არ იყოს ახირებული ვედები. თუ ნედი ჩამოვა, მისთვის სასურველი არ ვიქნები. დიდ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს, ადამიანები არ ბერდებიან. იქ იმდენი საინტერესო რამ არის, რომ დაბერებისთვის დროც კი არა აქვთ“, – თავის თავს უთხრა ნაღვლიანი ღიმილით და ამის შემდეგ აქტიურად დაიწყო ადამიანებთან ნაცნობობის გაბმა. ყოველ ხუთშაბათს მაღაზიის დაკეტვის შემდეგ მლოცველთა შეკრებებზე დადო-ოდა, ეკლესიის სარდაფს ქვევით რომ იმართებოდა კვირაობით, საღამოს ორგანიზაციის შეკრებებში იღებდა მონაწილეობას სახელწოდებით „ეპვორტის ლიგა“.

როდესაც ვილ ჰარლიმ, შუახნის მამაკაცმა, რომელიც აფთიაქში მუშაობდა და ისიც ამ ეკლესიის მრევლი იყო, შინ

გაცილება შესთავაზა, ელისს უარი არ უთქვამს. „რა თქმა უნდა, არ დავუშვებ იმას, რომ ჩემთან შეხვედრა ჩვევად ექცეს, მაგრამ თუ იშვიათად ჩემს სანახავად მოვა, ამაში უბედურებას ვერ ვხედავ“, – უთხრა მან თავის თავს, ჯერ კიდევ ალსავსემ მტკიცე გადაწყვეტილებით ნედ კერის ერთგული დარჩენილიყო.

ისე, თვითონაც რომ არ ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს, ელისი ცდილობდა, ჯერ ოდნავ, შემდეგ კი მტკიცედ, ახალი მიღვომა მოექცნა ცხოვრების მიმართ. უჩუმრად მიჰყევებოდა აფთიაქის გამყიდველს, მაგრამ დროდადრო, სიბნელეში, ფრთხილად უთათუნებდა ხელს მისი პალტოს ნაკეცებს. როცა ის ელისს დაემშვიდობა დედამისის სახლის კართან, შინ მაშინვე არ შესულა, წუთით კართან შეჩერდა. უნდოდა მისთვის დაეძახა, – ცოტა ხნით ჩემთან ერთად სიბნელეში დაჯექით სახლის კარის წინ, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ ვერ გამიგოსო „ეს ის კაცი არ არის, რომელიც მჭირდება“, – თქვა თავისთვის. „უბრალოდ, არ მინდა, ყოველთვის მარტო ვიყო. თუ არ ვეცდები, ხალხთან ურთიერთობას სულ გადავეჩევი“. ●

ოცდაშვიდი წლის ასაკში ელისი საშინელმა შფოთვამ მოიცვა. აფთიაქის გამყიდველის საზოგადოებას ვეღარ იტანდა და გააგდო მაშინ, როცა მან ერთ საღამოს მიაკითხა, რათა სასეირნოდ წაეყვანა. ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და შემდეგ დახლთან დიდი ხნის დგომის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, ლოგინში წვებოდა, მაგრამ ვერა და ვერ იძინებდა. ფართოდ გახელილი თვალებით სიბნელეს მიშტერებოდა. ბავშვივით გაღვიძებისას ყურადღება ერთი საგნიდან მეორეზე გადაჰქონდა, მაგრამ ცნობიერების სიღრმეში იმაღებოდა რაღაც ისეთი, რის გამოც თავს ფანტაზიით ვერ მოიტყუებდი – რაღაც ისეთი, რაც ცხოვრებისგან გარკვეულ პასუხს მოითხოვდა.

ელისმა ბალიშს ხელი მოხვია და მკერ-დზე მაგრად მიიჩუტა, შემდეგ ლოგინი-დან წამოდგა და საბანი ისე გაშალა, რომ სიბეჭდეში ზენარგადაფარებული ადა-მიანის სხეული გეგონებოდათ. ლოგინის წინ მუხლებზე მდგარი, საბანს უალერ-სებდა და მინამღერივით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა:

„რატომ არაფერი ხდება ჩემს ცხოვ-რებაში? რატომ ვარ აქ უულად მიტოვე-ბული?“ – ჩურჩულებდა.

და, თუმცა ზოგჯერ ნედ კერის იხსე-ნებდა, მაინც მთლად მასზე დამოკიდე-ბული აღარ იყო. მისი ტანჯვა უფრო და უფრო შფოთიანი ხდებოდა. არც ნედ კე-რის და არც სხვა რომელიმე მამაკაცის ალერსი აღარ უნდოდა. მაგრამ სურდა, ჰყვარებოდათ, სურდა, მიეღო რაიმე პა-სუხი იმ ძახილზე, რომელიც მის სულში უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა.

ერთ წვიმიან დღეს ელისს თავგადასა-ვალი გადახდა. ამან შეაშინა და ააფორი-აქა. მაღაზიიდან ცხრა საათზე დაბრუნდა და სახლი ცარიელი დახვდა. ბუშ მილტო-ნი ქალაქში წავიდა, დედა კი მეზობელ-თან. ელისი თავის ოთახში ავიდა და სიბ-ნელეში ტანთ გაიხადა. წუთით ფანჯა-რასთან შეჩერდა, ყური დაუგდო როგორ ეხეთქებოდა წვიმა შუშას და უცებ უცნა-ური სურვილი გაუჩნდა. ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულა თუ რა უნდოდა. ელისმა წყვდიადით მოცულ სახლს შემო-ურბინა, კიბეზე დაეშვა და წვიმის ქვეშ აღმოჩნდა. და, სანამ სახლის წინ პატარა გაზონზე იდგა, წვიმისაგან ტანზე შემო-სალტულ სიცივეს რომ გრძნობდა, მასში გაიღვიძა გიურმა სურვილმა, შიშველს გაერბინა ქუჩაში.

ეჩვენებოდა, რომ წვიმას შეეძლო რა-ღაც საოცარი, გამაცოცხლებელი გავლე-ნა მოეხდინა მის სხეულზე. დიდი ხანია,

თავი ასე ახალგაზრდად, შემართულად არ უგრძნია. უნდოდა ხტუნვა, სირბილი, ყვირილი, ვინმე მარტოხელა ადამიანის პოვნა, რომელსაც მოეხვეოდა. აგურით მოკირნყლულ ტროტუარზე, სახლის წინ, ბორძიკით ვიღაც მამაკაცი მოდიოდა. ელისი მისკენ გაიქცა. სასოწარკვეთი-ლების ტყვეობაში იყო. „განა სულერთი არ არის, ვინ არის? მარტოა და მასთან მივალ“, – გაიფიქრა და ისე მყისიერად, რომ დაფიქრების საშუალებაც კი არ ჰქონოდა, თუ რა მოჰყვებოდა მის ასეთ სიგიურს, გამვლელს დაუძახა:

„შეჩერდით! – დაუყვირა. – არ წახვი-დეთ! ვინც უნდა იყოთ, გთხოვთ, დაი-ცადოთ!“

კაცი შეჩერდა და ყური დაუგდო. ეს მოხუცი იყო, ოდნავ ყრუ. რუპორი პირ-თან მიიტანა და დაიყვირა:

„რა გნებავთ? რას ამბობთ?“

ელისი მინაზე დაეცა და აცახცახდა. თავისი საქციელის ისე შერცხვა, რომ, როცა მოხუცი თავის გზას გაუდგა, ფეხ-ზე ვერ წამოდგა და სახლისაკენ გაბობ-დდა. როგორც კი თავის ოთახში აღმოჩ-ნდა, კარი ჩარაზა და ტუალეტის მაგიდა კართან მიაჩოჩა. სხეული უცახცახებდა, როგორც ციებ-ცხელებისას, ხელები კი ისე უკანკალებდა, რომ ღამის პერანგი ძლიერ ჩაიცვა. ლოგინში ჩაწერა და აქვი-თინებულმა თავი ბალიშში ჩარგო. „რა მემართება? საშინელებას ჩავიდენ თავს თუ ხელში არ ავიყვან“, – ფიქრობდა და კედლისკენ მიბრუნებული ცდილობ-და, გაბედულად ელიარებინა, რომ ბევ-რი ადამიანი განწირულია, იცხოვროს და მოკვდეს მარტოობაში. ვაინსბურგშიც კი.

ინგლისურიდან თარგმნა  
ქეთვან თუხარელმა

## ჯონ აზლინი



### შოთლები

ვაზის ფოთლები ჩემს ფანჯრებს მიღმა საოცრად მშვენიერია. „საოცრად“, რადგან მათ მაშინ წავაწყდი, როდესაც საკუთარი შიშისა და სირცხვილის სიბნელით ვიყავი მოცული. საგნები მშვენიერია, მიუხედავად ჩვენი უამრავი მარცხისა – ისინი ინარჩუნებენ ბუნებისათვის დამახასიათებელ ეფექტს. ბუნება. ამ დილით ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ბუნება არსებობს დანაშაულის გარეშე. ჩვენი სხეულები ბუნებაშია; ჩვენი ფეხსაცმელები, მათი თასმები, პატარა პლასტიკური ბოლოები, ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ არის, ბუნებაშია და მაინც რაღაც გვაკავებს, რომ მას დავუახლოვდეთ, როგორც ზეატყორცნილ წყლის შეფს, ქვიშიან ფსკერს რომ გვაშორებს, დაღარულსა და კამკამას, რომელშიც მიმობნეულია ხამანწკის ნიუარის ნამგალა მთვარისებრი ფრაგმენტები, რასაც ასე ცხადად ხედავენ ჩვენი თვალები.

ფანჯრის მიღმა, ხის რტოზე, ლურჯი ჩინიკი შემომჯდარა. უცბად მყარად დადგა ფეხებგაფარჩული, ჩემკენ კუდმოშვერილი, თავის სილუეტი თითქოსდა გაშეშებული ჰქონდა, ბინძური. მისი მოკაკული, მტაცებლური ნისკარტი ნისლიანი ჭაობის თავზე გადათეთრებულ ცას ეხლებოდა. ხედავთ? ვხედავ და, ჩემი ფიქრების ჯაჭვი რომ გაწყვიტა, მივწვდი

ფანჯრიდან, შევიპყარი და ამ ფურცელზე ავსახე. ახლა ის გაქრა. და მაინც რამდენიმე სტრიქონს ზემოთ ის ისევ „ფეხებგაფარჩულია“, „ბინძური კუდით“ და „გაშეშებული თავით“. უცნაური ხერხია, შესაძლოა, უსარგებლოც, მაგრამ ჩემია.

ვაზის ფოთლები, სადაც ერთმანეთს არ ჩრდილავენ, ოქროსფრად ელავენ. მათი ბრტყელი ზედაპირი შეიწოვს და მერე ირეკლავს მზის სხივებს. წმინდა სინათლე კი – ეს არის ერთად შეკრული სპექტრი და წყარო სიცოცხლისა, რომელიც ფერადი ფანქრით შესრულებულ ნახატს ჰგავს. გაცრეცილ ფოთლებზე ეს ნასესხები ნათება მუქ ფორთოხლისფერს იღებს. ფოთლები კი, რომლებიც მწვანე და ჯერ კიდევ ნორჩია, თუ დააკვირდებით, ამ სიმწვანეს გვიან შემოდგომამდე ინარჩუნებენ და მზე მათ ნაზღიმონისფრად ჩამოწურავს. ჩრდილები, რომლებსაც ფოთლები ერთმანეთს აფენენ, თუმცა ქარით შემფოთებული და დევნილნი, სახურავზე შრიალებენ და მაინც მრავალფეროვან, თვალში საცემ მოხატულობას ქმნიან – იატაგანებს, შუბის თავებს, შიშისმომგვრელ მუზარადებს. მაგრამ შთაბეჭდილება მთლიანობაში მუქარისგან დაცლილია. პირიქით, ერთდროულად შეთავაზებული თავშესაფარი და სივრცე, სითბო და ნიავი გარეთ

გასვლისაკენ მიბიძგებს; მე კი მზერა ფოთლებისაკენ მაქვს მიმართული. ირგვლივ ფოთლები მახვევია. მუხის ხეების ბასრ ბრჭყალებს მეწამული ჟანგისფერი დასდებია. თელებზე კი გაქუცულ, ბუმბულოვან ფოთლებს ქალური სიყვითლე გადაჰკრავს. თუთუბოზე ველური, დაკბილული ფოთლები ნითლად ელავს: შეპყრობილი ვარ ამ, ერთი მხრივ, მშვიდი და, იმავდროულად, ფოთლების მწველი სამყაროთი, მაგრამ რაღაც უკან მეწევა და მაბრუნებს იმ შიდა სიბნელეში, სადაც თითქოს მზეა დანაშაული.

აქ კი, ჩნდება საჭიროება, გავერკვეთ  
მოვლენებში. მეუბნებიან, რომ თავაშვე-  
ბულად ვიქცეოდი და ახლა დიდი დრო  
დამტკირდება, რომ ეს უმეცარი სიმარ-  
თლე ჩვენს საკუთარ ქცევებს მიუსადა-  
გო, თუნდაც ყველაზე წარუმატებელს.  
და, როგორც კი მოვლენები დალაგდება,  
მოქმედებებს თავისი საფუძველი მიეცე-  
მა, მოქმედი პირების ფსიქოლოგია გა-  
ირკვევა, წარუმატებლობას თავისი სა-  
ხელი დაერქმევა, ეს ველური ბუჩქნარი  
გაისხვლება განმარტებებით, ისტორიაში  
ფესვებს გაიდგამს და ბუნებას ისეთივე  
სახით დაუბრუნდება, მაშინ რა მოხდება?  
განა ასეთი დაბრუნება საეჭვო არ იქნე-  
ბა? შეუძლიათ ჩვენს სულებს, რეალუ-  
რად ეზიარონ უკვდავებას და გაჰყვნენ  
ფოთოლთა დევნას? არა. ჩვენ ვდგავართ  
ორი ქვენის გასაყარზე და გზა არც წინ  
არის და არც უკან, დასაბრუნებლად.  
მხოლოდ, სადაც ჩვენ ვდგავართ, იქ უფ-  
რო მკვეთრი იქნება გამყოფი ზღვარი.

ნათლად მახსოვეს ჩემი ცოლის შავი  
კაბა, როდესაც სახლიდან გავიდა გან-  
ქორწინების მოსაგვარებლად. კაბა რბი-  
ლი, შავი ფერისა იყო, გულზე სამკუთ-  
ხედად ამოჭრილი და ამ კაბით ელენი  
ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა; ეს  
მის ფერმიხდილ სახეს უხდებოდა. ამ დი-  
ლით განსაკუთრებით ლამაზი იყო, დალ-  
ლილობისგან სახე გაფითრებოდა. სხე-  
ულმა კი, რომელიც ბუნების ნანილია,  
არაფერი იცოდა ჩვენი წარუმატებლობის

შესახებ და მისი ტანის მოყვანილობა, მი-  
მოხრა, როგორც ყოველთვის, შეუსაბამო  
სჩანდა. წასვლისას მსუბუქად მეამბო-  
რა. ჩვენ ორივემ ვიგრძენით ის იუმო-  
რისტული სიტუაცია ამ მოგზაურობისა,  
რომელიც არაფრით არ ჰგავდა მის სხვა  
მოგზაურობებს ბოსტონში – სიმფრონიურ  
კონცერტებზე ან ბონვიტში\*. ჩვეულებ-  
რივი, ხელის ფათურით მანქანის გასა-  
ღების მოძიება, ძიძის დარიგება თავის  
მომაპეზრებელი მითითებებით, მისთვის  
ჩვეული ღრმად ჩაჯდომა მანქანაში –  
ბორბლების უკან თავის წინ წამოწევით.  
იმ კაცის მზერით შევათვალიერე ჩემი  
შვილები, რომლებმაც ისინი მიატოვა.  
თვალი მოვავლე სახლს ისე, როგორც  
ათვალიერებენ ხოლმე ძველ ფოტოსუ-  
რათებს დაუბრუნებელი წარსულიდან.  
ჩაცჯექი მანქანაში და შემოდგომის პეი-  
ზაჟში ისე გავექანე, როგორც აბრიალე-  
ბულ ცეცხლში აზბესტის ტანისამოსში  
ჩაცმული კაცი, შევხვდი ჩემს მომავალ,  
თვალცრემლიან, მაგრამ მოლიმარ, შეც-  
ბუნებულ, თუმცა მამაც მეუღლეს და  
თავზარდაცემულმა ვიგრძენი, რომ ჩემმა  
შინაგანმა სიბრნეემ კანიდან გამოხეთქა,  
ორივე გვშთანთქა და ჩვენი სიყვარული  
ჩაახშო. ბუნების საყარო, სადაც ჩვენი  
სიყვარული არსებობდა, გაქრა. ჩემი გუ-  
ლი შედრეკა; ის კვლავ დათრგუნვილია.  
უკან დავიხიე. როცა გამოვბრუნდი, ხის  
ფოთლები გზის გასწვრივ შექნიშნის მა-  
გივრობას მინევდა. აი, მთელი ეს ამბავი.  
ტელეფონით ცოლი გამოვიხმე. შავ კაბას  
ძლიერად მოვეხვიე და ტკივილის შესახ-  
ვედრად ძალა მოვიკრიბე.

\* ბონვიტი – უნივერსალური მაღაზია ბოსტონში.

სიჩუმით. ნებისმიერ მომენტში შეიძლება აფეთქდეს და კვლავ დაიბინდოს ფოთოლთა გასაცარი სილამაზე. ვდგები და ოთახში აქეთ-იქით დავდივარ. ობობა, როგორც თეთრი ასტერიქსი, ჩემ ცხვირნინ ჰაერში გამოკიდულა. ჭერში ვიყურები და ვერსად ვერ ვხედავ ქსელს. ჭერი გლუვია, ბათქაშით შელესილი. ობობა ყოვნდება. გრძნობს, რომ ოთახში ვიღაც უცხოა. ფეხები დუნედ გაუშლია, მთელი სიმძიმით დასწოლია და ბრუნავს უხილავ ძაფზე. მგონია, ის ძეველი მეიგავარაკე ვარ, რომელიც გაკვეთილს ობობასგან\* იღებს და თავს შეცდუნებულად ვგრძნობ, მაგრამ უკუვაგდებ შიშს და მთელ ყურადღებას მივაპყრობ პატარა მკაფიო ვარსკვლავს, მრავლისმეტყველად რომ გამოკიდულა ჩემ წინ. და უძლური ვარ, რომ ეს გაკვეთილი აღვიქვა. მე და ობობა თითქოს ერთ სივრცეში, მაგრამ სხვადასხვა სამყაროში ვარსებობთ.

უფსერულის პირას ვდგავართ და მხოლოდ შიში გვაერთიანებს. ტელეფონი დუმს. ახლა ობობა ქსელს საპირისპირო მიმართულებით აბაშს. კოტეჯში შესვლა-გამოსვლისას რამდენიმე ხმელი ფოთოლი ფეხსაცმლის ლანჩჩე ამეკრო და იატაკზე გაიფანტა, როგორც მუქი ფურცლის ნაფლეთები.

განა ეს ფურცლები ფოთლები არ არის? განა იმიტომ არ ვქმნი მათ, რომ სუბიექტური ფოტოსინთეზით ჩემი დანაშაული გადავაბრალო ბუნებას, სადაც დანაშაული არ არსებობს? ახლა ხალიჩასავით გაშლილ ჭაობს გადაკრავს ბაცი მწვანე ზოლები ყავისფერის ელფერით: მონითალო-მიხაკისფერი, მოყვითალოყავისფერი, წაბლისფერი და იმ მხარეს, სადაც ხმელეთი დინების დონის ზემოთ ინევს, პირქუმად ამონვერილა მარად-მწვანე მცენარები. მათ იქით დაბალი, ლურჯი ბორცვი მოსჩანს; ამ სანაპირო

ზოლში ბორცვები იმდენად მომცროები არიან, რომ სახელებიც კი არ გააჩნიათ. მაგრამ მე ამას ვხედავ; თვეების განმავლობაში პირველად ვხედავ, როგორც თითებჩაბლაუქებული და კისერაწვდილი პატარა ბიჭი, მაღალი კედლის მიღმა რომ შეყურებს სახლის სახურავს. ჩემი ფანჯრის ქვეშ მდელოზე ბალახი მწვანედ ამოზრდილა და თელიდან ჩამოცვენილ ფოთლებში შერეულა. მახსოვს, პირველ ღამეს როგორ მოვედი ამ კოტეჯში – უფიქრობდი, რომ ჩემი ცხოვრება უკან მოვიტოვე – როგორ დაგწექი დასაძინებლად მარტო, ისე, როგორც უცხო სახლში, ძილის წინ რომ ნებისმიერ წიგნს აიღებენ წასაკითხად, „ბალახის ფოთლების“\*\* ძველი გამოცემის რამდენიმე გვერდს.

ძილი ყულფივით მეხვეოდა და, როცა გავიღვიძე, თითქოსდა ისევ წიგნს ვკითხულიბდი. განათებული ცა, რომელიც ნორჩი თელის შიშველ ტოტებს შორის გამოსჭვიოდა, უიტმენის „ბალახის ფოთლების“ კიდევ ერთ ფურცელს ჰგავდა და ისე მოთენთილი ვიწექი, როგორც ვნებას აყოლილი ქალი, თავისუფალი და შეყვარებული, რომლის სულშიც ერთი შავი ჩრდილიც კი არ ჩანდა. ეს იყო ღამაზი გაღვიძება, თუმცა მეორე ღამით ისევ სახლში დაგბრუნდი. ვაზის ფოთლების მკვეთრმა, ველურმა ჩრდილებმა ადგილი იცვალეს. სინათლის დაცემის კუთხე შეიცვალა. ასე მგონია, რომ სითბო კარს მოეძალა და მივდივარ, რომ მას კარი გაულო – მზის შუქი ჩემს ფერხთით ისე ცემა, როგორც მომნანიებელი ცოდვილი.

ინგლისურიდან თარგმნა  
ქეთევან თუხარელმა

\* პოპულარული ლეგენდის თანახმად, შოტლანდის მეფემ, რობერტ ბრუსმა (1306-1329), შეუპოვრობა ობობასგან ისნავლა, რომელიც კვლავ და კვლავ თავდაუზოგავად აბამდა რამდენჯერმე გაწყვეტილ ქსელს, სანამ სასურველ შედეგს მიაღწევდა. ამ მაგალითმა ძალა შთაბერა მეფეს, რომელმაც საბოლოოდ განდევნა ინგლისელები თავისი ქვეყნიდან.

\*\* „ბალახის ფოთლები“ (1855) – ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის პოეტური კრებული.





## გურია კვარაცხელიას „ათინათები“

ციცქნა წიგნი, ციცქნა ლექსები, ციცქნა ნახატები... „ათინათები“ – ასე ჰქვია ბატარა შავ წიგნს, რომლის ავტორი მეცნიერი, პოეტი და მხატვარი ქალბატონი გურია კვარაცხელია.


კითხულობ მის ლექსებს, ათვალიერებ ნახატებს და.... მთელი სამყარო იშლება თვალწინ: რამდენი ფერია, რა სილამაზე... როგორ გინდა, აღიქვა ყველაფერი ეს ცალ-ცალკე და ერთიანად ისე, რომ სამყაროსეული ჰარმონია არ დაირღვეს? სამყარო კარს უღებს, ეხსნება ხელოვანს და სრულ თავისუფლებას ჩუქნის, ანიჭებს – ნიჭი ხომ ძველი ქართულით საჩუქარს ნიშნავს.

ნიჭი და ნიჭიერება იგრძნობა 75 წლის ქალბატონის, გურია კვარაცხელიას, შემოქმედის და ხელოვანის თითოეულ ნამუშევარში. ენათმეცნიერი, პოეტი, დრამატურგი, მხატვარი; ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; იყო განათლების მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

ასე რომ, ქალბატონი გურიას სამეცნიე-

რო რეგალიების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, კიდევ უფრო შორს – სამეცნიერო ნაშრომები (170 ნაშრომის ავტორი), და მაინც, ამ ყველაფრის მიუხედავად, მისი ცხოვრება, მით უფრო, მისი პორტრეტი სრული არ იქნებოდა მისი შემოქმედების – ლექსების, ნახატების გარეშე. აგრე, ახლა, ოქტომბერში, გურია კვარაცხელიას მეორე პერსონალური გამოფენა გაიმართა – „ჩვენი შავ-თეთრი და ფერადი წუთისოფელი“. გამოფენაზევე იყო წარმოდგენილი მისი ახალი წიგნი „ათინათები“. გამოფენის დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი – თითქოს შეთანხმდნენ

"ჩვენი შავ-თეთრი და  
ფერადი წუთისოფელი"



**გურა კვარაცხელია  
Gucha Kvaratskhelia**

"OUR BLACK AND WHITE AND  
COLOURED EARTHLY LIFE"



— აღტაცების გამოსახატავად ერთხმად  
მიმართავდა სიტყვას — შესანიშნავია!

კითხულობ პოეტი ქალის ამ ციცქნა  
ლექსებს და გიჭირს, მათში საუკეთესო  
ამოარჩიო:

**• რაც გაღონებს**

შენი სამშობლო  
მსოფლიოს ცენტრი  
შენთვის არის,  
სხვებისთვის — არა.

**• ფასადი**

აქ დიქტატორიც ვერ ქმნიდა  
ნესრიგს,  
ის უბრალოდ —  
ქაოსს ფარავდა.


**• 1 = 2 (ერთი უდრის ორს)**

მოვიდნენ ორნი —  
ის თვითონ და  
მისი სახელი.

**•**

სიკვდილმისჯილნი მწუხარების  
აკვანში ვიშვით,  
ვინც უნდა მოკვდეს, სულერთია —  
სიკვდილის კარს ვერ გაიხურავს.

როდესაც „ათი-ნათებს“ გაეცნობი,  
სამყაროს თითქოს  
სხვა პრიზმაში აღმო-  
აჩენ: გუჩა კვარაც-  
ხელიას „ათინათები“,  
როგორც ფანტასტი-  
კური ნანიტები, იპ-  
ყრობენ გონებას და  
3+1-განზომილებიანი  
სამყარო მრავალგან-  
ზომილებიანი ხდება.  
სიგრძე, სიგანე, სი-  
მაღლე და დრო ახალ  
შტრიხებს, ფერებს,  
გრძნობებს, განცდებ-  
სა და აზრს იძენს და  
მათ სიყვარულის ძა-  
ლა, ენერგია მართავს.



და კიდევ: განა შესანიშნავი არ არის,  
როდესაც ხედავ, გენიალური მხატვრები:  
პიკასო, მირო, პიკაბია, კლეე, კლიმტი,  
მოდილიანი, მაკე თავიანთი განსხვავებუ-  
ლი წერის მანერითა და მსოფლმხედვე-  
ლობით როგორ ჰარმონიულად ერწყმიან  
ერთმანეთს?! და ეს შესაძლებელი აღ-  
მოჩნდა გუჩა კვარაცხელიას შემოქმედე-  
ბაში. მის გრაფიკულ ნამუშევრებში ინ-  
ტერტექსტური გადაძახილებია ავტორსა  
და ამ დიდ შემოქმედთა შორის.

რესპუბლიკის დამსახურებული მხატ-  
ვარი, პროფესორი დანა დათუკიშვილი  
წერს: „გუჩა კვარაცხელია, თავისი შავ-  
თეთრი და ფერადი გრაფიკით საკუთარ  
მსოფლმხედველობრივ მრნამსს გამოხა-  
ტავს: სამყარო, როგორც არა ერთფე-  
როვანი, უსახური და მონოტონური ერ-  
თგვარობა, არამედ მრავალფერთა და  
მრავალგვართა თანხმობა და პოლიფო-  
ნიური ერთიანობა, რასაც იგი კაცობრი-  
ობის ყველაზე დიდ სიმდიდრედ და მონა-  
პოვრად მიიჩნევს. ის თავის მხატვრობას  
ნონკლასიკურს უწოდებს. ეს ტერმინი  
უფრო მოხერხებულად მიაჩნია ხელოვნე-  
ბის ყველა იმ მიმართულების გასაერთი-

ანებლად, რომელიც  
რეალობის მიბაძვით  
არ იქმნება. მან ააგო  
სამყარო, რომელიც  
მეტია, ვიდრე ყოფიე-  
რი სინამდვილე“.

ერთ-ერთ თავის  
ესეში გუჩა კვარაც-  
ხელია ამბობს: „ასეთი  
პარალელური სამყა-  
რო მოიცავს ჩვეუ-  
ლებრივსაც და უწვეუ-  
ლოსაც, არსებულსაც  
და წარმოსახულსაც,  
ზღაპრულსაც და მი-  
თოსურსაც, ცხადსაც  
და სიზმარსაც, ცნო-  
ბიერსაც და არაცნო-  
ბიერსაც“. მწერალი



და ლიტერატურისმცოდნე ივანე ამირხანაშვილი აღნიშნავს, რომ „განსხვავებულობა გუჩა კვარაცხელიას აზროვნების თვისებაა, აგრეთვე მხატვრული სიღრმე-ების არასტანდარტულობაც“.

ცხოვრება საინტერესოა, როულია და, ამავე დროს, ერთფეროვანიც, მაგრამ არსებობს მისი უდიდებულესობა ხელოვნება, სადაც შემოქმედი თავისი წარმოსახვის ნიჭითა და ხედვის ორიგინალობით აღმოაჩენს ისეთ სიახლეს, რომელიც გვაოცებს, გვაღელვებს და, ამავე დროს, ჩვენს ცნობიერებასაც აფართოებს. რაციონალური და აბსტრაქტული, რეალური და ირეალური, თუნდაც ალტერნატიული რეალობა, თუნდაც სიურრეალიზმი და რამდენი „ახალი რეალობა“ აღმოაჩინა ადამიანმა მას შემდეგ, რაც გამოქვაბულში პირველი „ნახატი“ გაჩნდა.

გუჩა კვარაცხელია მეცნიერი და შემოქმედია და, ალბათ, ამიტომაც მასში თანაზომიერადაა რაციონალური და აბ-

სტრაქტული აზროვნება. „შედიხარ რაღაც ურთულეს სამყაროში და როცა წარმოიდგენ, ყოველივე ეს შექმნილია შესანიშნავი ქალის მიერ, საკუთარი თავისაგან მოითხოვ ბევრს და ბევრს... შიშის კანკალიც აგიტანს გზა-გზა“, – წერდა რევაზ ინანიშვილი. აქვე კიდევ ერთხელ დავიმოწმებ ივანე ამირხანაშვილს: „პოეტი გუჩა კვარაცხელია, პირველი ასოციაცია: ინტელექტუალი... მან იცის. ის გრძნობს. მას შეუძლია და ქმნის. ქმნადობა მისი ინტელექტუალის თვისებაა, შთაგონება – სულის მდგომარეობაა...“

ქალბატონი გუჩას შემოქმედების გაცნობის შემდეგ ყველა – ხელოვანი თუ მეცნიერი – ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთ რამეში თანხმდება: მისი ორიგინალური ხედვა ახლებურად და საინტერესოდ წარმოგვიდგენს სამყაროს.

**მარიკა კახაძე**

## მე უნდა გავხდე ზმნა, ანუ მოქმედება.

საუბარი მანანა მენაბდესთან



არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მანანა მენაბდის შემოქმედებას ცოტა ხნის წინათ გავეცანი. ახლა უკვე შემიძლია საათობით ვუსმინო მის სიმღერებს.

მანანა მენაბდის მოღვაწეობის სფერო მრავალფეროვანია. ის არის მუსიკოსი, მხატვარი, მუშაობს კინოსა და თეატრის, ლიტერატურის სფეროში. 1991 წლიდან 2010 წლამდე გერმანიაში ცხოვრობდა, ხოლო ბოლო ხუთი წელია მუშაობს მოსკოვში, პეტრე ფომენკოს ექსპერიმენტულ თეატრ-სტუდიაში. მომავლის გეგმებზე სიფრთხილით საუბრობს, თუმცა გვითხრა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში პიესის დადგმას (როგორც რეჟისორი) და გამოფენის ჩატარებას აპირებს, ცხადია, კონცერტებისაც.

17 ოქტომბერს, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე ქალბატონ მანანას, როგორც ბ-ნი მიხეილის მოსწავლეს, გადაეცა ჯილდო „ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის“, რომელიც დიდი მაესტროს სახელს ატარებს.

**ალინა ქადაგიშვილი – ქადაგიშვილის მანანა, რას გვეტყვით ნლევანდელი მიხეილ**

თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის შესახებ?

მანანა მენაბდე – ეს ფესტივალი 90-იანი წლებიდან მოყოლებული ტარდება თბილისში. მას საფუძველი ჩაუყარა კინომსახიობთა თეატრის მთავარმარეჟისორმა ქეთი დოლიძემ. თავიდანვე „საჩუქარი“ იყო თბილისელებისათვის და დღემდე საჩუქრად რჩება. მიხარია, რომ უკვე მეორე წელია, ამ ფესტივალის მონანილე ვარ. ბევრი ხელოვანი პირველად ეცნობა ქართულ კულტურას, ჩვენს ქალაქს, ადათ-წესებს და დადებითი ემოციებით ბრუნდება უკან. ფესტივალს, ქეთი დოლიძის მეთაურობით, ჰყავს ნიჭიერი საორგანიზაციო ჯგუფი, უცხოელი სტუმრებისთვის ენყობა დაუვინწყარი ექსკურსიები როგორც დედაქალაქში, ისე ქალაქებარეთ.

საერთოდ, ამ კულტურული მოვლენის მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს წარმოუდგენია. ასეთი ფესტივალები, თეატრალური თუ მუსიკალური, მხატვართა ბიენალები, ძალზე მნიშვნელოვანია სულიერი და ინტელექტუალური ზრდისათვის.

– ყველასგან, ვინც ცხოვრების მანძილზე გვხვდება, რაღაცას ვსწავლობთ, მით უმეტეს, თუ ამ ადამიანს ჩვენი დამოდგრა ავალია. შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენ რა ისწავლეთ ბ-ნი მიხეილ თუმანიშვილისგან?

– ბატონი მიშა ესწრაფოდა, რომ ჩვენ, მის მოწაფეებს, ერთი წუთით მაინც წინ გაგვესწრო დროისა და მოვლენებისთვის... მე ვერ გეტყვით, ვუსწრებ თუ არა მოვლენებსა და დროს, მაგრამ ვცდილობ, რომ არ ჩამოვრჩე.

– თქვენი ბავშვობიდან რა გახსენდ-

### ებათ?

— ენა ავიდგი „მუსიკალურად“. ლაპარაკი არ ვიცოდი, რომ ვმღეროდი. ჩემი ცხოვრების პირველი პერიოდი, ანუ, სანამ სკოლაში წავიდოდი, იყო სრული იდილია, უზრუნველი ხანა. ყველან ჩემზე ზრუნავდნენ, მე, როგორც ბავშვი, ყურადღების ცენტრში ვიყავი. იმიტომ კი არა, რომ არავინ მუშაობდა. დედაჩემა, მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი ვოკალი ჰქონდა და ქაშაყაშვილის მოსწავლე იყო, ინუინრის პროფესია აირჩია. რამდენჯერ მინახავს დედა, როცა ღამით თვალებს ვხუჭავდი და ვიძინებდი, ნათურის შუქზე ნახაზებში ჩაფლული. ძალიან ხშირად შეკვეთებსაც იღებდა, რომ თავი გაგვეტანა. ასევე მამა. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი ხმა და იყო ლირიკული ტენორი (ინაშვილის მოსწავლე).

23-ე სკოლაში დავიწყე სწავლა, პლეხანოვზე. კარგად მახსოვს, თაბაგარი იყო ჩვენი დირექტორი. ეს იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლა, საჩვენებელი, ერთ-ერთი საუკეთესო. სხვათა შორის, მასწავლიდა ერლომ ახვლედიანის მამა. ბაბუანვერას ჰგავდა. თეთრი, ხუჭუჭა თმა ჰქონდა, რომ ვუყურებდი, კიდევ უფრო ვმშვიდებოდი. საერთოდაც, ძალიან მშვიდი, წყნარი ბავშვი ვიყავი. მეოთხე კლასიდან ვაკეში განვაგრძე სწავლა, 57-ე სკოლაში. აქაც არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა.

იცით, ახლა რომ ვუყურებ ჩვენს სკოლებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღეს ასეთი მასწავლებლების ნაკლებობაა. თუმცა, ახლახან თავისუფალ უნივერსიტეტში, „ალმა მატერში“ ვიყავი, მას ბრნეინვალე რექტორი ჰყავს – მამუკა თავხელიძე. იქ ისეთი ატმოსფერო დამხვდა, იმდენად მომენტია, კიდევაც ვუთხარი: რომ შეიძლებოდეს, თავიდან ჩავაპარებდი უნივერსიტეტში-მეთექი. აუდიტორიები ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით არის მოწყობილი – ყველა ოთახი ერთმანეთისგან განსხვავდება. ერთი ლექცია რომ დამთავრდე-

ბა, სტუდენტები მეორე აუდიტორიაში გადადიან, რომელიც სხვა ფორმისაა, სხვა ფერის, თვალი რომ არ დაეღალოთ... აი ესაა მომავალ თაობაზე ზრუნვა, სამშობლოს სიყვარული და არა ის ლოზუნგები, რომლებსაც საქმე არ მოჰყება. რას ნიშნავს „მიყვარს სამშობლო“, „მიყვარს დედა“? ამაზე შეიძლება უსასრულოდ ვილაპარაკო ან ვწერო, მაგრამ რა აზრი აქვს? ეს რომ ვაჩვენო, მე უნდა ვიქცე ზმნად ანუ მოქმედებად. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზმნა.

— ქართული ზმნა მართლაც განსაკუთრებულია...

— დიახ, სამაგიეროდ, ჩვენ ვერ ვართ ჩვენი ზმნის ტოლფასი.

— ანუ ვერ ვდგავართ მის სიმაღლეზე?

— დიახ, შესაბამის სიმაღლეზე ვერ ვდგავართ. არ ვარ მართალი?

— რა თქმა უნდა, მოქმედება! ქართველებს ხშირად ყველაფერი ლაპარაკის დონეზე გვრჩება...

— მე სულ ვფიქრობდი, რატომ გვემართება ეს? ქართველს აქვს ძალიან დიდი და კეთილი გული, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ ცალ თვალს მოჭუტავს, დაფიქრდება: კი დაგპირდი, მაგრამ რაღაცა მეზარება...

— ნაცარევენიას სინდირომი...

— დიახ, მეგონა, რომ მხოლოდ ქართველები ვართ ასეთი ზარმაცები, მაგრამ, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დიდხანს მომიხდა ცხოვრება, მოვიარე ევროპა, მივხვდი, რომ ზოგადად ადამიანია ზარმაცი.

— რას ნიშნავს, იყო ქართველი ხელოვანი უცხო ქვეყანაში?

— ბერლინში ჩასვლისთანავე, ცხადია, იმაზე დავიწყე ფიქრი, თავი როგორ გამეტანა. წავედი და აქ დავტოვე ის, რაც მანამდე ვიყავი. საკუთარი თავისითვის ყველაფერი ხელახლა უნდა დამემტკიცებინა. იქ, უცხოეთში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად გინევს ყოფნა. აქ კი, სანამ ხარ, მაინც ყოველთვის ვინმე გეიმედება:



მეგობარი, ნათესავი, მეზობელი...

**- გერმანიაში თავს რითი ირჩევდით?**

- ჯერ ქუჩის მუსიკისად დავიწყე სიმღერა და გიტარაზე დაკვრა. ახლაც მაქვს შენახული ის ქუდი, რომელშიც ფულს ვაგროვებდი. ვმუშაობდი სულიერად დაავადებულთა კლინიკაში. ეს მძიმე სამუშაოა, ავადმყოფი ადამიანების მეთვალყურეობა მევალებოდა. თანაც ვცდილობდი, თანხის უმტესი ნაწილი საქართველოში დარჩენილი ჩემი ოჯახისთვის გამომეგზავნა. წარმოიდგინეთ, ყოველდღე ქუჩაში გავდივარ, ვმღერი და ამ დროს მომდის წერილი, რომ გავხდი ჰენრის ბიოლის სახელობის სტიპენდიანტი. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო და ამავდროულად მომცა საშუალება, ერთი წელი მანც აღარ მეფიქრა ყოფით პრობლემებზე, დრო საინტერესო პროექტებისთვის დამეტო.

**- გერმანული თუ იცოდით?**

- თუ ადამიანს ენების მიმართ რაღაც განსაკუთრებული ნიჭი არ გააჩნია, მას 3-4 წელი მანც სჭირდება, რომ მასში უცხო მეტყველება შემოვიდეს. საერთოდ, გერმანული ენის დიდი მოყვარული ნამდვილად არ ვიყავი. ჰოდა, ახალჩასულს ვიღაცამ რადიოლა მაჩუქა. ძალიან მიყვარდა ჯაზის მოსმენა...

**- ანუ გერმანული ენა ისევ მუსიკით შემოვიდა თქვენში?**

- არა, მუსიკით არა, ეს ამერიკული ჯაზი იყო. ენა შემოვიდა ამ პროგრამის არაჩვეულებრივი წამყვანის წყალობით, რომელიც რაღაც სულ სხვა, კეთილხმოვანი და დახვენილი გერმანულით მეტყველებდა და არა ისეთით, როგორიც ქუჩაში მესმოდა და რომლითაც ჩემი ნაცნობმეზობლები ლაპარაკობდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ეს იყო სალიტერატურო გერმანული ენა, ე. წ. „პოს დორი“. ახლა მიკვირს, რამ მაფიქრებინა, რომ რილკეს ენა ცუდი იქნებოდა?

**- გოთეს ენა...**

- ჰო. საერთოდაც, როგორ შეიძლება ამის თქმა რომელიმე ენაზე? აი, ამაშიც

დავიჭირე ჩემი სულელი თავი! ავიღოთ ჩვენი ენა, როგორი თანხმოვნები გვაქვს და მაინც შედევრივით სრულყოფილია, რომელიმე უცხოელს კი, შეიძლება, სულაც არ მოენონოს...

**- პირველი ალქმისას...**

- დიახ! ეს არის სრული სიბრიყვე. აი, ასეთ სიბრიყვებში ჩამახედა ჩემმა იქ ყოფნამ და ბევრი რამ გადავაფასე.

**- მინდოდა მეკითხა, რა შეცვალა გერმანიაში თქვენს ცხოვრებაში, მსოფლმხედველობაში, შემოქმედებაში?**

- სწორედ იქ, უცხოეთში შევიგრძენი ბოლომდე მერაბ მამარდაშვილის ლექციების სილრმე. იქ, სამშობლოდან შორს, ჩავწვდი მის ერთ-ერთ მთავარ სათქმელს, რომ ადამიანად შედგომა ყოველდღიურად ხდება, ამისთვის შრომაა საჭირო. დღეს რომ სიკეთე გააკეთე, ეს არაა საკმარისი, ხვალაც უნდა გააკეთო. ხომ არ შეიძლება, ვინმეს უთხრა, აი, გუშინ ხომ გაჭამე, დღესაც და ხვალაც იმყოფინეო.

**- ყოველდღე უნდა დაუმტკიცო საკუთარ თავს, რომ ადამიანი ხარ!**

- დიახ, ჩემს თავს უნდა დავუმტკიცო და ჩვენ ძირითადად რას ვაკეთებთ? სხვებს ვუმტკიცებთ რაღაცას. „აი, მე დაგანახებ, რა შემიძლია“... – ვის რა უნდა დაანახო? არავის არ სჭირდება არაფრის დანახვა, შენ გჭირდება..

**- ვიცი, რომ სამშობლო გერმანიაში და შემდეგ რუსეთშიც თან გაიყოლეთ. ამაზე თქვენი ბერლინის სახლიც მონაბდდა.**

- დიახ, ყველა, ვინც მესტუმრა, ამბობდა, რომ ეს არის თბილისური სახლი...

**- და რამდენადაც უცხო გარემოში მოხდით, თქვენთვის და მეგობრებისთვის შექმენით პატარა საქართველო, თქვენი მიკროსამყარო...**

- კუნძული.

**- ერთი მხრივ, ჩვენი აზრები და გრძნობები სხვადასხვა ნივთში მატერიალიზდება, მეორე მხრივ, ჩვენ ვირეკლავთ იმ საგნებს, რაც ჩვენ გარშემოა, ისინი ზემოქმედებენ ჩვენზე და ამიტომ სულ ერთი**



**არ იყო, როგორი ინტერიერი გექნებოდათ, წმინდად ევროპული – გერმანული თუ ქართული...**

– უნდა გითხრათ, რომ ის სტერილურობა, რაც გერმანელებს ახასიათებს, ნამდვილად მოსაწყენია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ დანგრეული სახლები და ბინძური ქუჩები მომწონს.

**– დიახ. იდეალური ნესრიგი და რეგლამენტაცია ცხოვრების ყველა სფეროში ზოგჯერ თვით ევროპელებსაც აღიზიანებს, როდესაც შემთხვევითობისთვის ადგილი თითქმის არ რჩება. დიდი ხნით ჩარჩოში ყოფნა ღლის ადამიანს...**


– გააჩნია, თქვენ რას გულისხმობთ ამ ჩარჩოში. ცხოვრებამ დამარტმუნა, რომ თავისუფლება არის შეზღუდვა. დიახ, დიახ. შენი თავი გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოაქციო, დაიოკო ვნებები. ეს არის მკაცრი დაცვა რაღაცა კანონების. თუ იმას გააკეთებ, რაც გინდა, თავისუფლი ვერასოდეს იქნები, იმიტომ, რომ დამოკიდებული გახდები ფულზე, სხვა ადამიანებზე, ყველაფერზე.

**– ქალბატონო მანანა, უცებ ასეთი კითხვა გამიჩნდა, გყავთ თუ არა მოსწავლეები? მე ახლაც ახალგაზრდად მიმაჩნიხართ, რადგან მუდამ შემოქმედებით ძიებაში ხართ და, როგორც თავად მითხარით, ძალიან გიყვაროთ უმცროს თაობასთან ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ თქვენი მუსიკალური ცოდნა აუცილებლად უნდა გადასცეთ სხვებსაც.**

– როდესაც პატარა ვიყავი, უფროსებთან მიყვარდა ურთიერთობა და ახლა, როცა უკვე ჭარმაგი ვარ, ახალგაზრდებთან ვაკეთებ პროექტებს. მომწონს და მაინტერესებს, იმიტომ, რომ მათ მოაქვთ სიახლე. თუ მათთვის საინტერესო ვარ, ესე იგი, ყველაფერი კარგად ყოფილა.

არ მყავს მოსწავლეები. ალბათ, ესეც

ყოფის ბრალია. სამწუხაროდ, შენი ქვეყანა პირობებს არ გიქმნის. რაღაც ლირებული რომ შექმნა, დიდი ძალისხმევა გჭირდება. რატომ არ უნდა აინტერესებდეს საკუთარ ქვეყანას, რომ, მაგალითად, მანანა მენაბდე საინტერესოდ ხატავს და ფოტოებს იღებს და მას გამოფენა დაუფინანსოს? ამაზე თავად შემოქმედმა კი არ უნდა ირპინოს, სახელმწიფო ორგანიზაციები უნდა იყვნენ დაინტერესებული ამ ყველაფერში. რატომ უნდა მჭირდებოდეს, „მაშებით“ ამოექაჩო თანხები სხვადასხვა პროექტისთვის, როდესაც, მაგალითად, რომელიმე უცხოელი შემს-



რულებლის, თუნდაც დაიანა კროლის კონცერტისთვის დაუფიქრებლად გაიღებენ გაცილებით მეტ თანხას. მე არავის მიღწევებს არ ვამცირებ, ეს შემსრულებელიც ძალიან მომწონს, მაგრამ, თუ ჯერ საკუთარს არ გაუფრთხილდი და არ დააფასე, დაიანა კროლი ვერ გიშველის.

**– ეს, ალბათ, ქართული სნობიზმია.**

– ოლონდ ეს სენი მარტო ქართველებს არ გვჭირს, რუსეთშიც იგივე ხდება, გერმანიაშიც და, საერთოდ, – „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ – ყველან ამართლებს.

მე, მაგალითად, სიამოვნებით გავხსნიდ საესტრადო სიმღერის ფაკულტეტს და ჩემს ცოდნას, სიმღერის კულტურას

გადავცემდი სტუდენტებს. მაგრამ ხელს ვინ შემიწყობს? „ჩვენ გვიყვარს საქართველო“ – ლოზუნგებით იციან სიყვარული. სიმღერაშიც ვერ ვიტან, გულზე რომ მჯიდებს იბრახუნებენ და მღერიან სამშობლოზე. არაა საჭირო ამაზე ხმამალ-ლა ყვირილი. „სიყვარულსა მალვა უნდა“, იქნება ეს სამშობლოს თუ ქალისა და მამაკაცის სიყვარული. რაც მეტს ილაპარაკებ, ის მხოლოდ გაუფასურდება!

– **თქვენს შემოქმედებაში ერთმანეთს საინტერესოდ ერწყმის ტრადიცია და სიახლე.**

– ეს როგორ ხდება, იცით? ყველა ეპოქას მოაქვს თავისი ტემპორიტმი. ის უნდა შეიგრძნო, რაღაცების მონტაჟი უნდა გაკეთდეს, როგორც კინოფილმის შემთხვევაში. მწერალიც ამ მეთოდს იყენებს, როცა ერთი ეპიზოდიდან მეორეზე გადადის. მეც ყოველთვის ვიყენებდი მონტაჟს მუშაობის დროს, მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე ბროდსკიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მონტაჟს და ეს ძა-

ლიან გამიხარდა. ხშირად ვუსმენ ბახს, ვგრძნობ, რომ ის ძალიან საინტერესო მონტაჟს აკეთებს და მიმარინია, რომ, თუ ამას კარგად ახერხებ, მაშინ ყოველთვის დაემთხვევი მომავალ თაობას.

– **რა არის თქვენთვის მხატვრული ნანარმოების შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი?**

– სევდა უნდა მომგვაროს, ქრუანტელ-მა დამიაროს, ყელში მომიჭიროს რაღაცამ... ერთი სიტყვით, ტრაგიკული უნდა იყოს. მაგრამ მოსმენას, კითხვას ან თვალიერებას რომ დავასრულებ, სიხარული, შვება უნდა განვიცადო.

– **ანუ კათარზისი, არა? არისტოტელურ შეულ შეფასებასთან მივედით.**

– (იცინის) ჰო, რას იზამ, ვერ გავცილით არისტოტელეს!

ესაუბრა  
ალინა ქადაგიშვილი



ISSN 1987-5762  
9 771987 576000

ფასი: 4 ლარი